



# ისინფი

ლიტერატურული ჟურნალი

ISSN 2449-3120

№10

# ისინქტი

ლიტერატურული ჟურნალი

საიუბილეო ნომერი

№10

2020

რედაქტორი

იკა ქადაგიძე

სარედაქციო კოლეგია:

ლერი ალიმონაკი (საპატიო წევრი)  
რეზო ემელიანე ადამია (საპატიო წევრი)  
ბონდო არველაძე (საპატიო წევრი)  
ვახტანგ ბახტაძე  
აკაკი ბრეგაძე (საპატიო წევრი)  
ვანო გელაშვილი (საპატიო წევრი)  
მარინა თექთუმანიძე (საპატიო წევრი)  
ჯემალ მეხრიშვილი  
ერეკლე სალლიანი (საპატიო წევრი)  
თეიმურაზ ნადარეიშვილი  
მარსიანი  
გიორგი შიშნიაშვილი

ნინა ყდა: ქრისტე – მხატვარი – მარსიანი

უკანა ყდა: ფოტოხელოვანი გიორგი შიშნიაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

თამარ სტეფნაძე

## შინაარსი

<b>რედაქტორის წინათქმა</b> .....	5
ისინდის ქრონიკა	
<b>იკა ქადაგიძე – დაარსებიდან დღემდე</b> .....	7
ეროვნული ფასეულობების სადარაჯოზე	
<b>როლანდ თოფჩიშვილი</b> ოსების საკითხი .....	23
კრიტიკა	
<b>მარსიანი – მოდერნიზაციის ეპოქა დასრულდა</b> .....	27
პროზა	
<b>გიო კილაძე</b> .....	30
ღირსსახსოვარნი	
<b>მარინა თექთუმანიძე – ზვიად გამსახურდია</b> .....	32
პროზა	
<b>ციცი გურიელი</b> .....	34
ერთი ლექსის გაელვება	
<b>მარსიანი</b> .....	36
<b>ირაკლი ბაზაძე</b> .....	36
პროზა	
<b>მარინე ხუჭუა – ემიგრანტული სარკმელი</b> .....	37
ჩანაწერი	
<b>ელისაბედ ჯავახიშვილი –</b> .....	39
მილოცვა	
<b>ციური მესხიშვილი-ასპანიძე – საიუბილეო მისალოცი</b> .....	41
პოეზია	
<b>ჯენი ჩხეიძე – ემიგრანტული პოეზია</b> .....	43

ახალი თარგმანი	
<b>ვანტანგ პანტაძე</b> – რუსეთის პატრიარქი ტიხონი .....	45
ნარსულის მოზაიკა	
<b>ვანო გელაშვილი</b> – ზომფო .....	50
ესე	
<b>გიორგი შიშნიაშვილი</b> – ტერენტი გრანელი.....	55
კრიტიკა	
<b>დალი ყარაულაშვილი</b> – .....	56
თარგმანი	
<b>გივი გეგეჭკორი</b> – ფრანგი პოეტები .....	59
ლტოლვილი ლიტერატურული კრიტიკა	
<b>ჯემალ მენურიშვილი</b> – .....	61
აფხაზური პოეზია (თარგმანი)	
<b>ერეკლე სალიანი</b> – .....	66
ესეისტიკა	
სულის ფოტოგრაფიები	
<b>თემურ ნადარეიშვილი</b> – .....	68

**რედაქტორის წინათქმა**

და აი, 2020 წელს ყველაზე მეტბოლო და ეროვნულ ჟურნალის, „ისინდის“ დაარსებიდან სამი წელი შესრულდა. ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით თქვენი მონა-მორჩილის ვრცელი, მონინავე პუბლიკაცია „ისინდის ქრონიკა- დაარსებიდან დღემდე“ ჩვენს მრავალფეროვან ისტორიას ფაქტების მეშვეობით აღწერს და აანალიზებს. ბუნებრივია, ამ ხნის მანძილზე საეტაპო, შემაჯამებელი წერილი ეროვნული კულტურის ბედით დაინტერესებულ მკითხველებსა და კეთილსინდისიერ მწერლებს იმ სირთულეებსა თუ არაერთ შთამბეჭდავ წარმატებაზე მოუთხრობს, რაც ჩვენ გამოვიარეთ. ამრიგად, ამ თემას აქ მხოლოდ გაკვრით შევხები და თქვენის ნებართვით სხვა ყურადსაღებ საკითხებზე გადავინაცვლებ.

2020 წელი კორონოვანი წელთაღრიცხვის სახელით მსოფლიო ქარტეხილებით აღინიშნა. პანდემიასთან დაკავშირებით შემოღებულმა საყოველთაო შეზღუდვებმა მსოფლიო ახალი, არც თუ უხიფათო დილემის წინაშე დააყენა; საფუძვლიანი ძვრების კვალდაკვალ კულტურული მუშაობაც შეფერხდა და მანამდე არნახული კრიზისის ფონზე არაერთ მნიშვნელოვან ნამოწყებას საფრთხე დაემუქრა. ჩვენ ამ მოვლენების შუაგულში მოვყევით. „ისინდის“ რიგით მეცხრე ნომერი კომენდანტის საათის გამოცხადებამდე 5 დღით ადრე გამოიცა და თვითიზოლაციის კანონს სტამბიდან ფეხად გამოვასწარიტ. (ჟურნალი სტამბიდან 19 მარტს გავიტანეთ, 21 მარტს კი კომენდანტის საათი ძალაში შევიდა!) ღვთის წყალობითა და გამომცემლობა „მერიდიანის“ მესვეურისა და კოლექტივის სამაგალიტო ხელშეწყობის მეშვეობით (გამომცემლობამ, ისევე, როგორც სტამბამ ბოლო დღემდე საქმიანობა არ შეწყვიტა!) სრულიად ექსტრემალურ პირობებში ყველაფერი მშვიდობიანად დაგვირგვინდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია გამომცემლობის ხელმძღვანელის, ბ-ნ კახა რუსიძის კეთილშობილური და ჭეშმარიტად მამულიშვილური გადანყვეტილება: საყოველთაო კრიზისის მიუხედავად, ფასების მზარდი მატების ფონზე მან ყველაზე ეროვნულ და მეტბოლო ჟურნალს თავდაპირველი მოცემულობა შეუნარჩუნა, რაც საგამომცემლო სივრცეში ქველმოქმედებისა და ხელშეწყობის საუკეთესო და უმაგალიტო პრეცედენტია. უღრმესი მადლობა მას, როგორც დიდსულოვან პიროვნებასა და მაღალ პროფესიონალს; საქართველო სწორედ ამგვარი საიმედო ჭირისუფლების მხრებზე დგას ყოველთვის, როდესაც ძალა ერთობაშია და ეროვნული საქმის გასაგრძელებლად ურთულეს ჟამს ეროვნული კულტურის მეოხად ერთობლივ ძალისხმევასა და მზაობას შესაფერისი საქმე აღრმავებს და ადასტურებს! „ისინდის“ გამომცემის საქმეში მისი ამაგი მართლაც განუზომელია!

„ისინდის“ საერთაშორისო აღიარების კიდევ ერთი სასიკეთო პრეცედენტია ქართულ-ირლანდიური ცენტრის ხელმძღვანელის, ქ-ნ ნანა შალამბერიძის მიერ ირლანდიაში ჩვენი მეტბოლო

ჟურნალის პოპულარიზაცია, რაც პოსტკორონოვან ხანაში გაღრმავდება და ამ ენერგიული მანდილოსნისა და საინტერესო მთარგნელის მეშვეობით იქაურ სამეცნიერო თუ სალიტერატურო წრეებში სათანადო გამოხმურებას ჰპოვებს, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდით და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი თანამშრომლობა სამერმისოდაც ნაყოფიერად გაგრძელდება. ქ-ნ ნანა შალამბერიძის მიერ ახლახანს “ისინდის” საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად დაწერილი გულითადი გამომხაურება კოლეგიალობის ნათელი ნიმუშია, რაც მოწმობს, რომ ეროვნული ძარღვი ურთულეს პირობებშიც ცოცხლობს და საყოველთაო მცდელობით ძლიერდება.

დიდი მადლობა გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკის” რედაქტორს, ბატონ სპარტაკ ქობულიას, რომელმაც “ისინდს” „უმშვენიერესი ჟურნალი“ უწოდა, რაც კოლეგიალობის შესანიშნავი მაგალითია. ამგვარი ჟესტი მართლაც მისასალმებელია და მოწმობს, რომ მადლობა ღმერთს, ყველა რედაქტორი კონკურენციის მანიას არ არის აყოლილი და უნარი შესწევს კოლეგის ძალისხმევა და შრომა სათანადოდ აღიქვას და გულწრფელად და უშურველად შეაფასოს.

რაც მთავარია, ის გადამწყვეტი ფაქტორი, რომლის მეშვეობითაც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში ეროვნული კულტურისადმი ინტერესი განუზომლად იზრდება, რაც ნაციონალური სულისკვეთების გამოხატულებაა, “ისინდისთვის” მუდამ ამოსავალი წერტილი იყო, არის და იქნება; ჯანსაღად მოაზროვნე კაცობრიობა მარადიული იდეალების დამცველად რჩება და მყარ პოზიციას არასწორი ზენოლის მიუხედავად არასდროს დათმობს.

“ისინდი” უწინარესად საყოველთაო ჰუმანიზმის პრინციპს იზიარებს და ეროვნულ ნიადაგზე დამყნობილ ფასეულობებს მედგრად იცავს და ავითარებს. ჟურნალის ისტორია ცხადყოფს, რომ ჩვენ მსოფლიოს ეროვნული, თვითმყოფადი კულტურის მეშვეობით დავამახსოვრებთ თავს, რაც უძველესი კულტურისა და ისტორიის მქონე ქვეყნის მართებული არჩევანი და უშუალო მოვალეობაა. გააზრებული გადწყვეტილება - მყარად ვიდგეთ ეროვნული ფასეულობების სადარაჯოზე, ჩვენი უცვლელი დევიზია და წინ ისინდი! საიუბილაო თარიღის ფონზე საკუთარ მრწამსს მეტად განამტკიცებს და მომავალს ახალი წარმატებებითა და სასიკეთო წამოწყებებით ცვეული პასუხისმგებლობითა და გაბედულებით ეგებება!

2.06.2020.

**ისინდის ქრონიკა - ჟურნალის დაარსებიდან  
დღემდე**

საცაა სამი წელი შესრულდება, რაც ყველაზე მე-ბრძოლ, ეროვნულ ჟურნალ "ისინდს" სათავეში ჩაფუდე-ქი. საკმაოდ მცირე დროის მანძილზე მომხდარ არც თუ სახუმარო სარედაქციო ცვლილებებს დაკვირვებული თვალი შეუფერხებლად აღმოაჩენს. ცოდვა გამხელილი სჯობს, მოუწყობელ ქვეყანაში საკუთარი ხარჯით გამოცემულ ჟურნალს მრავალწინაგოვანი ფათერაკე-ბი არასდროს აკლია. სწორედ უწყვეტი, დაძაბული და მრავალფეროვანი პერიპეტიების პროცესში მჟღავნ-დება საბოლოოდ ვინ გაამართლა ყველაზე მკვეთრი ეროვნული მიმართულების ჟურნალის მებრძოლი წე-რის დანიშნულება, ვინ ნაღია და საიმედო, ვინ ეპი-ზოდურ შუშუნას როლს დასჯერდა და ვინ შუალობი-თი პოზიციის მეშვეობით სცადა თავის დამკვიდრება. როდესაც წილი ნაყარია, წარმატებისა და წინააღმდეგობის ჯამი ამტკიცებს, ესა თუ ის წამოწყება რამდენად სი-ცოცხლისუნარიანია და დროს უძლებს თუ სწრაფმავა-ლი დინების ზვირთებში უსახელოდ იძირება.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე წერილი ჟურნალის ქრონიკის სპეციფიკის გათვალისწინებით მომზადდა. შესაბამისად, დაარსებიდან სამი წლის თავ-ზე "ისინდს" რაც გადახდენია, ფაქტების მეშვეობით შუქდება. ეს გარემოება დამოუკიდებელი დასკვნის გამოტანის საფუძველს იძლევა რათა შემდგომში მო-მავალმა მკვლევარებმა თავი ამაოდ არ იმტვირონ და თანამედროვეთა ათასგვარ ინტერესთა თვითნებური ინტერპრეტაციის გამოისობით არსებული სინამდვილე გაყალბების მიღმა მიუკერძოებლად დააგემოვნონ.

მოკლედ, "ისინდის" არსებობის ისტორია რედ-კოლეგიის წევრთა კალიედოსკოპურ ცვლას არც თუ პროზაულად მოიცავს. ცალკე საკითხია, ეს ჟურნალის სარედაქციო კურსს რამდენად თანხვედბა; ნათქვამია, სიტყვა საქმით მოწმდება და ამიტომ შიშველ ფაქტებს ძალიანაც რომ გინდოდეს, ადამიანი-ობობას ნაქები სი-ჩაუქით თავს ვერ გადაეველები. აქედან გამომდინარე, ერთ "უმნიშვნელო დეტალს" თავიდანვე დავაზუსტებ: ბირთვში განვერიანების წინ კანდიდატებს წინასწარ პატიოსნად ვაფრთხილებ ჩვენთან თანამშრომლობისას რა სახის სიძნელეებს გადაეყრებიან რათა დამოუკიდე-ბელი არჩევანის უფლებით ნებაყოფლობით ისარგე-ბლონ. საბჭოურმა ეპოქამ გადაიქუხა, როდესაც სად-მე ძალით ან ხათრით გაკავებდნენ და საამისოდ ათას ხრიკსა და მზაკვრულ ფანდს მიმართავდნენ. საერთო-დაც ათასნაირი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უმჯობესია ყველაფერი მაშინვე გაირკვეს, მაგრამ აღ-მოსავლურ დიპლომატიას შესისხლხორცებულ ქართ-ველებს ევროპულ-ამერიკული პირდაპირობა სათანა-დოდ ჯერაც ვერ აგვითვისებია; ვერც დროის ყადრმა გვაიძულა ჯადოსნური სიტყვა: "არა" თამამად და დაუნ-ანებლად წარმოვთქვათ, რაც უსასრულო კატათავგო-ბანას უსუფთაო თამაშს ისე აჭიანურებს, ამ ნიადაგზე



წარმოქმნილ უთავბოლო პროვოკაციებს დასასრული არა და არ უჩანს. ველური კაპიტალიზმის პირობებში ევროპულ კონსტრუქციულობაზე სწორება ორი ქაჩა-ლის უსაგნო ქიშპს ნააგავს, ნანატრი და უსარგებლო სავარცხლის მოსაპოვებლად მოზღვავებულ ენერგიას არამიზნობრივად რომ ფლანგავენ. იუმორისტულ პასა-ჟებს რომ გავცდეთ, ადგილობრივ სტატისტიკას დავეყ-რდნოთ, რომლის მიხედვითაც გუნდის შემადგენლობის ცვლა ობიექტურადაა განსზღვრული და სპეციფიკურ ფსიქოლოგიურ კომპლექსს ეჯახება. თუ რა კომპლექსი გვაიძულებს ქმედების ან გადაწყვეტილების მიღებისას სანახევრო შემართებით შევიარადეთ, ამას ფაქტების მეშვეობით დავადგენთ...

მაშასადამე, პირველივე ნომრის გამოცემიდან მცირე ხნის შემდეგ, ჟურნალის სწრაფი და ხმაურიანი წარმატების კვალდაკვალ ცნობილმა პოეტმა სეგარიონ ნადირაძემ, რომელთანაც მრავალწლიანი მეგობრობა მაკავშირებდა, (მის გამო რამდენიმე წლის წინ ერთმა მომწერლო-მოსადისტო ელემენტმა ლამის ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენა; საჭირო პიროვნების დროული ჩარევა რომ არა, აგრესიულ და უზნეო სატელეფონო თუ ინტერნეტში განხორციელებულ კიბერშეტევებს დასასრული არ ექნებოდა), მთხოვა რედკოლეგიის რიგებიდან ამომეშალა, რადგან ჩემი პროქართული, მე-ბრძოლი ორიენტაცია მის ამერიკულ მსოფლხედველო-ბას არ თანხვედბოდა. როგორც დიალოგიდან გაირკვა, ყბადალებული ლიბერალიზმის საკითხის განსხვავებუ-ლი ხედვა მას რატომღაც სამოქმედოდ აბრკოლებდა. ცხადია, ძველი თანაგუნდელის შეხედულებას გაგებით მოვეკიდე. ჩვენში ან რუსეთის ძაგებაა მოდამი ან-ამერ-იკის, მაგრამ თუ ქართულ ორიენტაციას გამომჟღავნე-ბა, ეს სხვადასხვა ბანაკებში გადასროლილ მწერლებს უმაღლ გადაგამტერებს. მათ მშობლიური ყველაფერი აშინებთ, თუმცა ლექსებში საპირისპირო პოზიციას ავ-

ლენენ. ჩემი „მოურჯულელობის“ ნივთმტკიცებად რეკორდულად გახმაურებული მწვავე ეროვნული მუხტის გამომხატველი ლექსი „მოძმე“ იქცა, რუსეთუმეებსა და ამერიკანისტებს გულზე მურმანის ეკალივით რომ დაესოთ და რადგან ჩემდა ჭირად რასაც ვწერ, საქმიანად ყოველთვის იმავს ვამტკიცებ, ყველა დარწმუნდა, ჩემ გვერდით დგომა არც ისე უსაფრთხო და კომფორტულია. გასაკვირია და დიდი ხნის მეგობარს ოცნლიანი გამოცდილება ზურგს უმაგრებდა, ჩემი ურყევი პოზიცია სათანადოდ რომ აღექვა და გაეაზრებინა, ინტერესთა დაშორიშორება კი თანამოაზრეობას სათავეშივე გამოორიცხავს. მოდური სიტყვათშეთანხმება: ინტერესთა კონფლიქტი იმდენად მოულოდნელად ამოიზარდა, ძველი მეგობრის გადაწყვეტილება მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ემსგავსა. მოკლედ, თანამოაზრის თხოვნას ვერ უგულვებელყოფდი და ამიტომ მესამე ნომრიდან (მეორე ნომერშივე მკვეთრ ცვლილებებს მოვერიდე) „მკვდარი სულები“ თავის გზას მშვიდობიანად გაუყენე. აკი ჟურნალის ერთ-ერთ ნინათქმაში გულწრფელად ვალიარებ, რომ მეტბოლ ბირთვში გაერთიანებული მწერლების ოსტატობა არ კმარა საიმისოდ, ეროვნული მწერლობის დასაცავად გამართულ უშეღავათო ჭიდილში სანახევრო გამბედაობა გამოავლინონ და ეროვნული ენერგია სხვისი ავტორიტეტის ხარჯზე სათავისოდ წინდახედულად დაზოგონ. თუ გუნდის ერთიანობის პრინციპს ვერ აჰყევი, უმჯობესია, გვერდზე გონივრულად გადაგე. ამიტომ ძველი მეგობრის გულწრფელმა პოზიციამ საქმე გამაადვილა, რაც სხვა, არანაკლებ ცნობილი კოლეგების შემთხვევაში უფრო სხვაგვარად გამოვლინდა.

სახელდობრ, აღიარებულმა კრიტიკოსმა ლევან ბებურიშვილმა, (მასთან ხუთწლიანი საბრძოლო თანამოაზრეობა მაკავშირებდა) ჩემი რეკორდულად გახმაურებული, მეტბოლი ლექსის „მოძმის“ პრინციპული იგნორირების შემდეგ არც ჟურნალის მომდევნო ნომრისთვის შეიწუხა თავი, (შეთანხმების თანახმად მან ჟურნალის ტექნიკური რედაქტორის მოვალეობა იკისრა) პრესტიჟულ სამსახურში (უნივერსიტეტის გარდა აღიარებული ახალგაზრდა პუბლიცისტი და კრიტიკოსი ლიტერატურის ინსტიტუტსა და საპატრიარქოს უნივერსიტეტში ოპერატიულად მიიღეს) დასაქმებისთანავე მეტბოლი იმიჯი მკვეთრად შეცვალა. მყუდრო კაბინეტის მკვლევარად გარდასახული ყოფილი მეამბოხე მიხვდა, რომ მას დამოუკიდებელ, ცენზურისა და კლანის ზეგავლენის წინააღმდეგ მეტბოლ ეროვნულ ჟურნალში დარჩენა კარიერულად უკან დახევდა და წინსვლისთვის სერიოზულ წინააღმდეგ შეუქმნიდა, ამიტომ აღმოსავლური გაურკვეველობის პოზიციას ამოეფარა. ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდების სტილს ოსტატურად მისდია. მისმა პასიურობამ მიმახვედრა, ახალ წერილებს ჩვენს ჟურნალს აღარ მიანვლიდა, აღარც ტექნიკურად შემოგვეხიდეოდა, ამიტომ ნახევარი წლის შემდეგ, 2018 წლის იანვარში მას პირადად დავეუკავშირდი და შევატყობინე, რომ უმოქმედობიდან გამომდინარე, რედ-

კოლეგიის წევრის მოვალეობისგან ვათავისუფლებდი. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, ყოფილ თანამოაზრეს ჩემი გადაწყვეტილება არ გაუპროტესტებია. პირიქით, გულახდილად აღიარა, ამ გადაწყვეტილებას ადრეც ველოდი, რადგან მეორე ნომრის გამოცემაში ფორმალური წვლილიც არ შემიტანიაო. ამდენად, მესამე ნომრის საკადრო ცვლილების თანახმად ცნობილი კრიტიკოსს უდავიდარაბოდ შეველიეთ, რაც ორივე მხარეს ხელს აძლევდა. ჩვენ ხომ მანამ საკმაოდ კარგი ურთიერთობა გვაკავშირებდა, რაც გვაგვალდებულებდა ადრინდელი სიკეთე დავინყებას არ მისცემოდა, რაც ცალსახა შეზღუდულობასა და უკმაყოფილებას მისცემდა გასაქანს. შესაბამისად, მას სწორი არჩევანის მისაღებად დავეხმარე; რა ბედენაა, თუნდაც ყველაზე აღიარებული კოლეგა შენ გვერდით ფორმალურად იდგეს, სინამდვილეში კი ოფლს სხვაგან ღვრიდეს. ეს უსამართლობა და სიყალბეა, რაც „ისინდს“ ჩრდილს მიაყენებდა...

გუნდის მესამე ყოფილი წევრი, ცნობილი პოეტი ლაშა გვასალია, ეროვნული ხელისუფლების მხარდაჭერისთვის თავის დროზე პატიმრობა რომ გამოიარა, ძალზე უცნაურად გაგვიუცხოვდა. კერძოდ, მან დათქმულ დროს წევრობის შემოსატანი თანხა არა და არ გამოგზავნა (მისივე ნებართვითა და სურვილით ორჯერ მივწერე, მესამედ დავეურეკე და ამის მიუხედავად სიტყვა რომ არა და არ არ შეასრულა, ცხადია, აღარ შემინუხებია;) თუმცა გარკვევით აუუხსენი, რომ ჟურნალის გამოცემა ამ მიზეზით ფერხდებოდა, რამაც ფრიად უსიამოდ გამოაგნა. მერჩივნა ყველაფერს კვლავ მსოფლმხედველობრივი სარჩული სდებოდა, აბა რომელი ჭკუთამყოფელი ირწმუნებდა, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის ვიცე-გუბერნატორის მოადგილეს (ის პოლიტიკაში აქტიურადაა ჩართული) ყბადაღებული ორმოცდაათი ლარი არ აღმოაჩნდებოდა?! მან ხომ საკუთარი ინიციატივით შემომთავაზა, რომ ჩვენი ჟურნალისთვის სერიოზულ დამფინანსებლებს მოიზიდავდა, და უცებ ასეთი გადასვლა! არც თუ ძნელი მისახვედრი იყო, ამ გაუთვალისწინებელ გაგარეულებასა და პირუმტიციობაში კლანური მომენტი ერია; ლაშა გვასალია ყველაზე გავლენიან მწერალთან და მეცნიერთან, როსტომ ჩხეიძესთან მეგობრობს, (რომელთანაც მეც მრავალწლიანი და საინტერესო ურთიერთობა მაკავშირებს,) თუმცა როდესაც ამ უკანასკნელმა მხარდაჭერის მაგივრად რატომღაც თავისი „ქვეშევრდომის“ მეშვეობით მადლიერების სანაცვლოდ პრესის ფურცლებიდან შემომიტირა, ყოფილმა თანაგუნდელმა სამართლიანობას არ უღალატა და ამ მოულოდნელი ომის პერიტივიების ამსახველი კრიტიკული წერილი გაბედულად „დამილაიქა“. „ესეც ქართული ხასიათის პარადოქსი! მას შემდეგ ჩვენი ღია ინტერნეტურთიერთობა იმაზე მეგობრულია, ვიდრე ინტრიგანი მტერ-მოყვარე ინატრებდა. და მაინც, ეს ვითარება ფინანსურ ნიადაგზე განხორციელებულ „გადაგდების“ ფაქტს სამწუხაროდ არ ცვლის; შესაბამისად, ამგვარი მოცემულობით იძულებულმა სიტყვის გატყვის პარალელურად მისი წიგნის რედაქტორობისგან

თავი შევიკავე. პირობის დარღვევამ მოვალეობისგან ავტომატურად გამათავისუფლა. ამგვარი ვარდნის შემდეგ ჯანსაღ თანამშრომლობას ნყალი შეუდგა, თუმცა ელექტრონულ სივრცეში ხალხის თვალის დასანახად ორმხრივი მხარდაჭერა მყარია და თვალშისაცემად კეთილგანწყობილი...

მესამე ნომრიდან “ისინდს” ახალი წევრები: ჩემი ძველი თანაგუნდელი პოეტი ბადრი პატაშური და ახალგაზრდა პოეტი გიორგი შიშნიაშვილი შემოემატნენ, რომელმაც “მომის” გადარჩენის პარალელურად (მან რეკორდულად გახმაურებული ჩემი ლექსი პლაგიატისგან გაბედულად დაიცვა) ჟურნალის ტექნიკური საქმეები იტვირთა და პასუხისმგებლობისა და ერთგულების გამოვლენით ჟურნალის საიმედო ძალად იქცა. სწორედ ამიტომ სახელოვანი კოლეგებით დაკომპლექტებულ გამოცდილ ბირთვში მას გზა შეუფერხებლად გაეხსნა. როცა საქმით ამტკიცებ, რა შეგიძლია, ასაკსა და გამოცდილებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ ეკისრება. ადამიანების (მით უფრო ახალგაზრდების) ნახალისება დამსახურების მიხედვით ჩვენი ჟურნალის უცვლელი დევიზია. მალე მან ჩვენი ყველაზე მებრძოლი ჟურნალის ელექტრონული გვერდი გახსნა, სადაც მკითხველს საშუალება მიეცა საარქივო მასალების დროული დახარისხებისა და მიმდინარე მოვლენების ამსახველი ფოტოსურათებისა და ჩემი ქრონოლოგიური წერილების მეშვეობით “ისინდის” მზარდი განვითარებისთვის თვალყური მიედევნებინა. ციფრული ეპოქის სპეციფიკის გათვალისწინებით სამწერლო პროცესების ოპერატიული გაშუქება გაცილებით იოლია, ვიდრე ადრე, როდესაც ცენზურის მსახვრალი პოლიტიკის გამოისობით სიმართლე დიდი ხნის მანძილზე იდევნებოდა ან იჩქმალებოდა და მომავლის კეთილსინდისიერ მკვლევარს მტანჯველად ელოდა. დღეს ამ თვალსაზრისით გაცილებით მომგებიანი ვითარებაა, რაც ბუნებრივია, შესაფერის რეაგირებას განაპირობებს. ამდენად, “ისინდმა” ახალი სისხლი გადაისხა. თაობათა შეკავშირების პრინციპს ოდითგანვე ძალზე სერიოზულად ვეკიდებოდი. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა უფროსთაობელმა თანამოკალმეებმა თაობათა შემაკავშირებელ ხიდად მალიარეს, რაც უზარმაზარი პასუხისმგებლობაა და მავალდებულებს ეროვნული მწერლობის დასაცავად შექმნილ მებრძოლ გუნდში მსოფლმხედველობრივად შესაფერის მწერლებს თავი მოვუყარო. ცალკე თემაა, გამონვევას ვინ როგორ უძლებს. რედკოლეგიის წევრების ცვლა ამაზე მკაფიოდ მეტყველებს...

როდესაც სამოქმედო ასპარეზზე თვალშისაცემი აქტიურობითა და მიღწევებით გამოირჩევი, რასაც ნდობისა და ავტორიტეტის ზრდა თან ახლავს, კონკურენციის ხისტი მექანიზმი ავტომატურად ირთება. რასაც პატივცემული კოლეგები, ოდესღაც საიმედო მოკავშირეობას რომ მეფიცებოდნენ და ჩემი მხარდაჭერით ხშირად უპირობოდ სარგებლობდნენ, დაწინაურებისას კურსს მაქსიმალურად ცვლიან. ახალი მოცემულობის გათვალისწინებით გუშინდელი მოკეთე მოსისხლე მტრად

გვეიდება, როდესაც აღმოაჩენს, რომ მისი ხედრითი წონა იკლებს და მონოპოლიის ხანა წამგებიანად სრულდება. ამ დროს ფარული ხრიკების ყამი ჩამორეკს, რაც იატაკქვეშა დაპირისპირების სახით ადრე თუ გვიან ზედაპირზე ამოტივტივდება და ფაქტების მეშვეობით არასახარბიელო ვითარებას ააშკარავებს. სახიფათო კონკურენციის მანიით დაფეთებული თანამოკალმეები რასაც ღიად ვერ ბედავენ, კულუარებიდან ინტრიგების ხლართვით ცივი ომისა თუ აკრძალული ილეთების უკადრისი გამოყენებით უყოყმანოდ ახორციელებენ. “ისინდის” დაარსებიდან ერთი წლის თავზე მსგავს უგვან პრეცედენტს შუბლით შევეჯახეთ.

სახელდობრ, ჟურნალ “ანეულის” რედაქტორისა და პოეტის, თამარ შაიშმელაშვილისა და მისი ერთგული წევრისა და დამფინანსებლის, ჯუბა ლებელის მხრიდან (ლებელი იგივე გოგრიჭიანი სამწერლო სივრცეს ჩემი მეშვეობით გაეცნო და შეეთვისა და აკი სამაგიერო ესოდენ კეთილშობილურად გადამიხადა!) ახდელი პროვოკაციის სამიზნედ ვიქეცი. წინასწარ დაგეგმილი მზაკვრული ანგარიშსწორების თანახმად, რომელიც მიზნად ისახავდა ყველაზე მებრძოლი, ეროვნული ჟურნალის “ისინდის” გუნდი ლებელის წიგნის წარდგენაზე საგანგებოდ მიეტყუებინათ და ყველას თვალწინ სიტყვის გარეშე დაეტოვებინათ რათა საზოგადოების თვალში ახდელად დაემცირებინათ, სწორედაც ბინძური კონკურენციის თანმდევ მდაბიო შურისძიებას ცალსახად ადასტურებდა. ამ სამარცხვინო ფაქტს საგანგებო წერილით: “კონკურენცია ქართულად” გამოვეხმაურე, სადაც “ანეულის” რედაქტორისა და ლებელის გაუმართლებელი უმადურობისა და სრულიად უსაფუძვლო, უკადრისი არაკოლეგიალობის კვალდაკვალ ჩვენი ადრინდელი ურთიერთობა ფაქტებითაა გადმოცემული, რაც კეთილსინდისიერ მკითხველებსა და მწერლებს საშუალებას აძლევს ბინძურად გათამამებული პროვოკაციის გამომწვევი მიზეზ-შედეგი დამოუკიდებლად შეიტყოს და დადგმული ფარსი ტროლეიბუსის ჭორების გვერდის ავლით გაიზროს. არ მინდა ამ უხერხულ პრეცედენტზე სიტყვა გამიგრძელდეს, თუმცა ერთს დავძენ, მომხდართი აღმოფთებულმა ცნობილმა მწერალმა თემურ ჩალაბაშვილმა, აქვე დავაზუსტებ, იგი “ანეულის” რედკოლეგიის წევრი და შაიშმელაშვილის კახური კლანის ერთ-ერთი განმტოების მფარველი და უფროსი მეგობარია, (ბ-ნი თ. ჩალაბაშვილი სწორედ მაშინ მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს 2018 წლის ზაფხული მაქვს მხედველობაში. ლებელის წიგნის წარდგენა ამავე წლის ივნისის ბოლოს გაიმართა) ჩემთან პირადი საუბრისას გულწრფელად აღნიშნა, რომ “ისინდის” რედაქტორისა და ბირთვის ეს სკანდალური იგნორირება “ანეულის” გუნდის მეთაურისა და მისი მარჯვენა ხელის, ლებელის მხრიდან სამარცხვინო ქმედებაა, რომ პატარა ბავშვიც არ წამოეგებოდა ყალბ სატყუარაზე, თითქოსდა კოლექტიური “ლეთარგიით” შეპყრობილმა “კონკურენტებმა” (მათ გარდა იქ არაერთი ნაცნობი კოლეგა და მომწერლო ელემენტი

იმყოფებოდა, გულითადი სალამი რომ არ დაუმაღლებიათ) “ისინდის” ექვსი წევრი რატომღაც ვერ “შენიშნეს” იმ ფონზე, როდესაც ბრეჟნევის ხოტბით სულმხუთულ დარბაზში პრემიით დაჯილდოებული ლებელის ახალ-ახალ მაქებრებს ლამის სკამის ქვეშ დაეძებდნენ. – ყველა ყველა და შენი შეუმწინელობა აბსურდია! ეს უნიჭოდ მოჭორილი ზღაპარია. ცუდი საქმე დაემართათ და ამაზე პასუხს აუცილებლად მოვკითხავო, ახალარჩეულმა მწერალთა კავშირის თავ-რემ გულმხურვალედ დამამიგა. ცოდვა გამხელილი სჯობს, მისთვის უნდობლობა ნამდვილად არ მიკადრებია. შესაბამისად, ყველამ საკუთარ გულში ჩაიხედოს და გააცნობიეროს, სამწერლო სარბიელზე დასამკვიდრებლად გზას როგორ იკაფავს. ცხადია, მომხდარის მიჩუმება ჩვენი ჟურნალის პრესტიჟის შელახვას უდრიდა და სწრაფად მოწვეულ კრებაზე დღის წესრიგში უმთავრეს საკითხად დაუყოვნებლივი რეაგირების თემა გამოვიტანე. თანაგუნდელებს ჩვეული გულახდილობით სამოქმედო გეგმა გავაცანე; კერძოდ, ბინძური პროვოკაციის გასაპროტესტებლად ერთ-ერთი მოკავშირის სოლიდურ ჟურნალში მწვავე წერილის გამოქვეყნება განვიზრახე, რაც ბუნებრივია, ბირთვის წევრების თანხმებულ რეაქციას საჭიროებდა. აბა და ქართული ნაჯექ-უკუჯექობანა აქ გათამამდა! “ისინდელების” მსჯელობიდან გაირკვა თურმე გუნდის ღირსების დასაცავად გადაჭრით მხოლოდ მე უნდა მებრძოლა, ფრონტის ხაზზე მუდამ ცალუღელა გაეჭრილიყავი, წევრები კი ოდენ ორჭოფულ პოზიციას დასჯერებოდნენ და სათავისო ინტერესებების შესაბამისად იხელმძღვანელებდნენ. ესეც სანაქებო ერთიანობა, პირველივე სერიოზული შეტევისთანავე ჩემივე თანაგუნდელების ურღვევი ერთსულოვნება ცარცივით რომ დაფშვნა! ხანგრძლივი დიალოგის პროცესში ემოციების გაფილტვრის შემდეგ საერთო სურათი გამოიკვეთა. საბოლოო ჯამში უმრავლესობამ მხარი დამიჭირა და ჩემი გადაწყვეტილება მოიწონა, თუმცა უსიამო სიურპრიზს ვერც ამჯერად ავცდი. მუდამ დინჯმა და მუშაობის პროცესში პასიურმა დავით არახამიამ სცადა მომხდარი არსერიოზულ ხუმრობად გაეტარებინა და ლებელს, როგორც ძმაკაცს (თუ ასე მეგობრობთ, ნიგნის წარდგენაზე ყველას სცენაზე რომ ეპატიჟებოდა, ძმაკაცი როგორ გაგანზილამეთქი, რომ შეეხსენე, საპასუხოდ დუმილი დამიხვედრა.) ყურის ანევით დაემუქრა, რასაც ცხადია, ჩვენი მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა. და რადგან ეს ძალადობის გამომხატველი “სახუმარო ჟესტი” უკუვაგადეთ, არახამიამ უცბად შაიშმელაშვილის უფასო ადვოკატობა ითავა და დანარჩენების თვალწინ ჟანდარმობაში დამადანაშაულა. ასე იქცა ჟანა დარკი საკუთარი თანაგუნდელის მხრიდან ჟანდარმად. რაც მთავარია, ეს ინტენსიური ჟღერადობა არც თუ სამშვიდობო ალიტერაციად გახმოვანდა. ის, რაც ჩემთვის ყველაზე შეურიგებელ ოპონენტს არ უკადრებია, სწორედ იმ მწერალმა მიწოდა, ვინც გუნდში თანამოაზრედ მოვიწვიე და “ისინდის” მუშაობის პროცესში ისე გავანებივრე,

მხოლოდ სუფრებსა და წარდგენებზე დასწრების გარდა სხვა არაფერი ევალეობდა. სანამ ჟურნალის წინ წასანევად რამდენიმე კაცი მუხლჩაუხრელად ვშრომობდით, ბ-ნი არახამია მსგავს შეხედულებებს იგროვებდა, რაც ასე მიკერძოებულად გაამჟღავნდა. პროტესტის მიუხედავად “დემოკრატიულიად” მოსიერე მოსიერნეს (აკი ერთ-ერთ შეკრებაზე პირდაპირ განაცხადა, რომ ყველა ლიტერატურულ საღამოს ესწრებოდა და მწერლებს აკვირდებოდა. ცალკე საკითხია, რატომ?!) გუნდი დავატოვებინე, რადგან სუბორდინაციის რღვევის პირობებში თანამშრომლობა გამორიცხულია. არაჩვეულებრივ მასპინძლად ცნობილ არახამიას ამიერიდან შეეძლო ნებისმიერი გაერთიანების სასურველ წევრად ქცეულიყო, სადაც ხელმძღვანელ პირებს ანალოგიური ეპითეტებით შეამკობდა. სადღესოდ ჩვენი ვირტუალური შესმატებულება მართლაც რომ თვალსაჩინოა და საქმეში ჩაუხედავ ადამიანს უყოყმანოდ აფიქრებინებს, რომ ძალა ერთობაშია, რაც საქმის გარეშე ოდენ დეკორატიული ფარდის შთაბეჭდილების ტოლფასია.

სხვადასხვა მიზეზთა გამო „ისინდში“ ჭარმაგი ვეტერანების სამოქმედო ველი გარკვეულწილად შეზღუდულია, რამაც ჟურნალის საპატიო წევრების რუბრიკის დამატებისკენ მიბიძგა, თუმცა რამდენიმე თვალშისაცემი მწერლის აქტიურობიდან გამომდინარე, ყველაფერი საქმის შესრულების ინტენსიურობამ და ხარისხმა განსაზღვრა. კიდევ ერთი მომგებიანი “გარღვევა” ცალკე აღსანიშნავია. სახელდობრ, 2019 წელს ჩვენს გუნდს ცნობილი ფიზიკოსის, თემურ ნადარეიშვილის სახით ენერგიული და პასუხისმგებლობით სავსე თანამოაზრე შემოემატა, რომელმაც თავის დროზე ლიტერატურულ სამყაროში შექსპირის პიესების მრავალწინაგოვანი და კოლორიტული ინტერპრეტაციით გაითქვა სახელი. მასთან ერთად აღიარებული რეჟისორი და მწერალი კობა ცხაკაია შემოგვიერთდა. ცხაკაიას აქტუალური პიესები ბეჭდვით ორგანოში ხშირად ქვეყნდება და საინტერესო შინაარსით მკითხველებისა და მწერლების სერიოზულ ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს. მოკლედ, ჩვენს კოლექტივს საიმედო წევრების შემომატებით საკადრო ცვლილებით გამომწვეული დისკომფორტი ოდნავაც არ დასტყობია. მეტიც, უფრო დავწინაურდით. აქვე აღსანიშნავია, “ისინდის” მზარდი, მყარი წარმატება გავლენიანი მონოპოლისტების მხრიდან “ცივი ომის” მიზეზად იქცა. ჩვენი უკუღმართი სინამდვილის თანახმად ძალა ერთობაშია ჯერაც დაუძლეველი აქილევსის ქუსლია. გაუტანლობა და აღმოუფხვრელი დაქსაქულობა, რაც თითქოსდა წერილმანი უკმაყოფილებების საბაბით სასტიკ ბრძოლებშია გადაზრდილი, საუკუნეებია ეროვნულ საქმეს საგრძნობად აზიანებს. როდესაც დიდი ხნის მოკავშირეებს თანამშრომლობისთვის გულითადად იწვევ, მათი საპასუხო სვლა კი სოლიდარობის წილ ჩახლართული ინტრიგების სერიაა, იქ ნაძალადევი ზავი მყოფვა და უსაზღვრო გავლენის გაფართოების ფონზე წარმმართველ ძალად დაუსრულებელი კულუარული ომი მძინვარებს. ახალ-

ბედებისთვის ამგვარი დაპირისპირება უცხო ხილია, ჩემისთანა ათას ფრონტგამოვლილი “გლადიატორისთვის” “კი ჩვეული მოცემულობა, რის შესასუსტებლადაც მუდამ თანმიმდევრულად ვილაშქრებ. ლიტერატურული ჯუნგლების ნამდვილი ატმოსფეროს საუკეთესო ილუსტრაციად ცნობილი მწერლისა და მეცნიერის, როსტომ ჩხეიძის სატელევიზიო გამოსვლა იქცა, სადაც მან “იბერიის” ტელეეთერთი თავის საავტორო პროექტ “ნიგნის თაროში” “ისინდი” ისეთ კონტექსტში მოიხსენია, ბრმაც უმალ მიხვდებოდა, პირველობის მოსურნე ფრიად გავლენიანი და ავტორიტეტული მწერალი თავისი კონტროლის ველიდან ამოვარდნილ ძლიერ, დამოუკიდებელ ჟურნალს კეთილგანწყობით არაფრისდიდებით შეეგებებოდა. ამ თემის ამსახველი ვრცელი საპროტესტო პუბლიკაცია ჟურნალის მეექვსე ნომერში გამოქვეყნდა, თუმცა მანამ ჩემი “ჟანდარმული ბუნებიდან” გამომდინარე, თანაგუნდელებს ფაქტებზე აგებული მწვავე წერილი საგანგებოდ ნაფუკითხე რათა მოულოდნელი სიურპრიზის წინაშე არ დამეყენებინა. ერთიანი ბირთვი უპირველესად ურთიერთპატივისცემას, თანმიერებასა და ანგარიშის განევის ხელოვნებას მოითხოვს, სადაც თითოეულ წევრის შეხედულებას ყურადღება ჯეროვნად ეთმობა. ამ ახალმა ყუმბარამ ყველა უკლებლივ გააოგნა. კითხვის პროცესში ჟურნალის წევრების რეაქციამ ცხადყო, უმრავლესობამ ჩემი მოურჯულებლობა კიდევ ერთხელ სათანადოდ აღიქვა, თუმცა ძველი ინერციით ყველაზე გავლენიანი კოლეგის ესოდენ გაბედული, ფაქტებზე დამყარებული კრიტიკა მაინც ეხამუშათ. ამასთან დაკავშირებით მწერალმა, მთარგმნელმა და მხატვარმა, დალი კახიანმა პირდაპირ, მიუკბი-მოუკბიავად განმიცხადა, წერილი არ დამებეჭდა, რადგან მისი ახლო ნათესავი ბ-ნი ჩხეიძის სიძისგან ფინანსურად დავალებული იყო და ეს მას (მებრძოლი იმიჯით თავს ყველგან მჭახედ რომ იწონებდა) ნათესავთან უსიამოვნებას შეამთხვევდა. ანალოგიური თხოვნით ცნობილმა მეცნიერმა და მწერალმა, ბონდო არველაძემაც მომმართა; ჰოდა, რა გასაკვირია, მწერლობის ხვედრი ნათესაური კლანების გულმონყალების მიხედვით წყდებოდეს და ირჩეოდეს! ამგვარი დანვრილმანება სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ჩემმა თანაგუნდელებმა თითქოს უცბად აღმოაჩინეს ჩემი შეუპოვრობა და უწყვეტი ბრძოლისუნარიანობა, რისთვისაც კეთილსინდისიერმა თანამოკალმეებმა მწერლობის ჟანა დ’არკი ერთხმად მიწოდეს. უმრავლესობის მსგავსად ხელში საანგარიშო რომ მჭეროდა ან ნათესაურ ბანკნოტებს ხარბად ავდევენბოდი, სამაგალითო მემამოხის სახლ-ფორთო ტიტულს ვინ ოხერი მომაბნელებდა?! მე ხომ “ისინდის” დაარსებამდე გაცილებით ადრე ობიექტური და ყველაზე მებრძოლი კრიტიკოსის სახელი მწერლობის ზვიგენებთან და მათ კლანებთან დაპირისპირებით უწყვეტი რისკისა და მუხლჩაუხრელი შრომის ფასად მოვიხვეჭე; ვისაც მხოლოდ საკუთარი ეგოს გაპიარება ადარდებს და სხვისას არც არაფერს კითხულობს და არც ისმენს, ე. ი. მიმდინარე ლიტერატურული პრო-

ცესების დაძაბული, ურთულესი შიგთავსი არაფრად ანალვებს, ვინაიდან მიაჩნია, რომ ცარგვალ მარტოოდენ მის ირგვლივ ბრუნავს, საკითხავია, სერიოზული მონოდება სად ფრთიანდება?! სად ჩანს, რომ ახლომხედველი თავკერძობითა და ფუჭი ტრახბით გატაცებული ადამიანების ადგილი ყველაზე მებრძოლ გუნდშია, რომელიც უზარმაზარი პასუხისმგებლობით მზარდ ავტორიტეტს დაუზარლად ამართლებს და ეროვნული მწერლობის ჭაპანის განევა ერთსულოვნებით და არა სეპარატული გამოხდომებით მოეთხოვება! ასე შეზღუდულად ოდენ სათავისო ნარცისიზმით შეპყრობილი თავდაჯერებული ეგოისტები ირჯებია, რომელთათვისაც ეროვნული იდეალებისათვის ბრძოლა ოდენ საკუთარ ჭიშკრის ალაგს არ გასცილებია. ამ ტიპის ახლომხედველი დროთა განმავლობაში მებრძოლის მანტიას სხვისი ნაბაძვითა და ნამხედურობით ჯიუტად ეპოტინებია და ვინც დახმარების ხელს გაუწვდის, მის დასაკუნად წამითაც არ ყოყმანობენ. მუდამ მოქოთქოთე და საკუთარი “მიღწევების” ჩამოთვლით დაკავებული ქ-ნი კახიანი აკი არც არასდროს მალავდა, რომ თანამედროვე სამწერლო პროცესებში არ მონაწილეობდა (მწერლობას ბოლო ხუთი წელი იყო, რაც პედაგოგიური ინსტიტუტიდან გათავისუფლების შემდეგ შემოკედლებოდა) და შესაბამისად, არც უახლესი კრიტიკა-პუბლიცისტიკის მწვავე ნაზრევის წაკითხვით ილღიდა გონებას. არადა, თუ სამწერლო დუღილში სათანადოდ ვერ ერკვევი და სხვის დაუხმარებლად ვერ ერთვები, ყველაზე მებრძოლი გუნდის თანმიმდევრულ მებრძოლად როგორ გამოიწოთი და ჩამოყალიბდები?! საამისოდ მხოლოდ ცხარე თვითრეკლამა და თვითშეფასებები ოდნავაც არ კმარა და არც ჟურნალის გამოსაშვებად გამწესებული თანხის გადახდა იმის გარანტი, “უჩემოდ ვით უმღერეთას” უკადრისი გათამაშება მუდამ უვადოდ შეგარჩინონ. დამოუკიდებლად გამოშვებული ჟურნალის სპეციფიკა საბჭოური ვალდებულებისგან იმით განსხვავდება, რომ არავის არაფერს აძალებს, რომ თანამშრომლობა ნებაყოფლობითია და კი არ გნიშნავენ, არამედ საკუთარი უნარით ამტკიცებ, რის შემძლე ხარ, რაც ჩემზე ასაკით ორჯერ უფროსი კოლეგებისთვის შეუთავსებელი მოცემულობა აღმოჩნდა. სადღეისო საბაზრო სინამდვილის გათვალისწინებით ზოგიერთებმა რატომღაც ირწმუნეს, რომ გარკვეული თანხის გადახდა (ფინანსების მოსაზიდად ჩემს უკიდურეს ძალისხმევას ესენი არაფრად აგდებდნენ, რადგან იცოდნენ, ჟურნალის გამოსაცემად თავს არ ვზოგავდი. კარგად ხედავდნენ, რომ შრომის 95 პროცენტი ჩემი იყო, რაც ფაქტია, მადლიერების ნაცვლად აცოფებდათ.) იმის უფლებამოსილებას ანიჭებდათ, დაწესებული სუბორდინაცია თვითნებურად დაერღვიათ და სარედაქციო მუშაობის ერთიანობის პრინციპს აგდებით მოკიდებოდნენ, რაც ჩემსა და ჩემი მარჯვენა ხელის მუშაობის ხვედრით წონას საგრძნობლად ზრდიდა. შრომის განაწილების არასწორმა კურსმა მოგვიანებით სერიოზული წინაღობები შექმნა, თუმცა უპრი-

ანია თხრობას თანმიმდევრულად მივყევ რათა არაფერი გამომჩეს. გარედან ია-ვარდებით მოოქროვილი პარნასი შიგნით რა ჯოჯოხეთურ სირთულეებს აწყდება, ამას მხოლოდ ანალოგიური საქმიანობით დაკავებულ ადამიანები ჩასწვდებიან და გაიგებენ. ზერელე დამკვირვებლებისთვის კი ეს ზედმეტი თავსატეხია, თუმცა მე მოსერიერების გასართობად არც ახალგაზრდობაში ვაცდენდი კალამს; მით უფრო, 22 წლიანი საბრძოლო გამოცდილების შეძენის შემდეგ სწორება სწორედაც გულისხმიერ და კეთილსინდისიერ პუბლიკაზე მაქვს, რომელიც ჩვენს ეროვნულ ჭირსა და ლხინს გაგებით მოეკიდება და უხერხული სიმართლისთვის კი არ დამძრახავს, გამამხნევეს და თანამიგრძნობს. სხვაგვარად მწერლისა და მკითხველის უხინჯო ურთიერთობა უბრალოდ წარმოუდგენელია. მუხლჩაუხრელი გარჯის პარალელურად ბრძოლისუნარიანობას თუ ვერ დამტკიცებ, ტრახახა რიგითის ტიტულს ვერასდროს გადააბიჯებ. ამ კატეგორიას რომ დავმსგავსებოდი, ყველაზე მეტბოლი ყურნალის დაარსება და გაძლოლა საბავშვო სიზმრადაც არ უნდა მომლანდებოდა! მით უფრო იმ წევრის უსაფუძვლო პრეტენზიების ფონზე, რომელიც თავს გაუთავებლად მამადლიდა; ვისაც ერთიანი აღმაფრენით შეუძლია ზვიად გამსახურდია და ჯანსუღ ჩარკვიანი თანასწორ სიბრტყეზე მოათავსოს და ამგვარი კაზუსის მიუხედავად საკუთარი “ბრძოლისუნარიანობით” საჯაროდ იტრაბახოს! და უცებ, საქმე საქმეზე რომ მიდგა, სიმართლისკენ გზა რა ბანალურად “გადამიკეტა” “ყვაფი ჩხიკვის მამიდის სამადლო თანხაზე დამიხურდავა წერილი-მატიანე, რომელიც უღმობელ სიმართლეს გაბედულად ააშკარავებს. მისმა დაუსრულებელმა პრეტენზიულობამ და საკუთარი თავის ქების დაუოკებელმა აზარტმა ყურნალის პირველივე სარედაქციო შეკრებაზე თვალსაჩინო მწერალი და მთარგნელი, ჩვენი საპატიო და საამაყო წევრი, ბ-ნი ლერი ალიმონაკი იმდენად გააღიზიანა, ტაქტიანმა კოლეგამ უკმაყოფილოდ განმიცხადა: ეს ვინ ყოფილა, სიტყვას თქმას არავის აცდის, არც არავის დამსახურება აინტერესებს, არც საკუთარი ადგილი იცის და მუდამ აუტანლად ხმაურობსო. გამოცდილი კოლეგის დასკვნა იმდენად ზუსტი იყო, შემდგომშიც ამ ბოზოქარი ამორძალის (მას ასე შევარქვი) გამოხდომებს გუნდი არაერთელ ძალზე უსიამო ვითარებაში ჩაუყენებია. ჩემი მონოღება სუბორდინაციის დაცვის თაობაზე (ტექნოდაქტორის გარდა გუნდის წევრების უმრავლესობა ჩემზე ასაკით ორჯერ და უფროსები არიან, რაც ჩემს მდგომარეობას გარკვეულწილად ართულებს. მართლაც უხერხულია, მშობლების ხნის ადამიანს წესრიგისა და გაგებისკენ გამუდმებით მოუწოდებდე, რისი მაგალითიც წესისამებრ აქეთ უნდა ეჩვენებინათ!) მისი მხრიდან მუდამ მწვავე პროტესტით სრულდებოდა. ვითარებას ის გარემოება ამძაფრებდა, რომ მან, მარსიანის, როგორც ჩვენი ყურნალის უპირველესი და შეუცვლელი ფიგურანტის-მხატვრის ადგილის დაკავება ჩვეული აგრესიულობით მოინადინა და რადგან ვერაფერს გახდა, ცალ-ცალკე კოლეგებს ეთათ-

ბირებოდა და აქეზებდა, რომ ჩემთვის “შეგნებინებინათ”, რომ ის არაპროფესიონალი მხატვარია (ფიროსმანი მაინც გახსენებოდა ამ დალოცვილს!) და მისი სურათები ყდაზე ასე ხშირად არ გამეტანა. არადა, სწორედ მარსიანის საუცხოო, ექსკლუზიური ნამუშევრები “ისინდის” წარმატებას აორმაგებდა, თუმცა ქ-ნ დალიზე ეს გარემოება არა და არ ჭრიდა. თავის კინტოებს კვლავ ჯიუტად გვიმარჯვებდა და ვერაფრით ეგუებოდა, რომ მე საკინტოურე მსოფლმხედველობისგან ისევე შორს ვდგავარ, როგორც მთვარე გომბეშოსგან. ჩვენი ამორძალი ამ ნიადაგზე ბრძოლას არა და არ წყვეტდა. ამ უთავბოლო მოთხოვნების წამოყენებით რამდენი შინაარსიანი შეკრება ჩაუშხამებია და ჩაუმწარებია, ღმერთმა უწყის! თუმცა არც მის ხელგაშლილობაზე ღირს დადუმება, არც გაბედულებას ვუკარგავ, რაც არაერთხელ დროულად გამოამჟღავნა. ამდენს ამიტომ ვუთმობდი და გულწრფელად ვთხოვდი, გაუთავებელ პრეტენზიებზე ხელი აეღო, გუნდის წევრების თანდასწრებითაც არაერთხელ ხან მკაცრად ხან ალერსიანად გავაფრთხილე, წყლის ამღვრევას შეშვებოდა, რაც საქმიანი ატმოსფეროს დამძიმების პარალელურად შინაგანად გვთრგუნავდა და უსიამო ტალღაზე გვრთავდა; ბოლოს მისი დაუსრულებელი დესტრუქციულობით შევიწროვებულმა გუნდის დატოვება რომ ვუხსენე: სად წავიდეო, კითხვა ისე შემომიბრუნა, თითქოს საველე პირობებში მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად გამოცემული ყველაზე ეროვნული ყურნალის მეტბოლი რედაქტორი კი არა, უსახლკაროთა თავშესაფრის უგერგილო დირექტორი ვიყავი, ნებისმიერი ადამიანი განურჩევლად ზნისა და მდგომარეობისა, ჩემ ფრთებქვეშ სამუდამოდ შემეკედლებინა, რათა შემოხიზნულთაგან მაღლიერების სანაცვლოდ არაერთგზის უსამართლოდ დაკორტინილი უწყვეტად დავზარალებულიყავი. ეს გადანწყვეტილება სწორედაც ამ დაუმთავრებელი უთანხმოების ნიადაგზე მომწიფდა. უზარმაზარი დატვირთვის ფონზე დაუსაქმებელი წევრების მხრიდან გაუმართლებელი პრეტენზიების ატანა დღითიდღე მიძიმდა. აკი ამიტომაც ჯიუტი და გუნდურ მუშაობას შეუთვისებელ-შეუგუებელი თანამშრომელი ბევრჯერ პატიოსნად გავაფრთხილე ან სარედაქციო მუშაობის წესს შეწყობოდა ან სამშვიდობო გზას გადგომოდა; ცხადია, ჭირვეულ კოლეგას ეს არ ნებავდა, რადგან ჩემთან რაც გასდიოდა, სხვა მსგავსი თვითნებობის გამოვლენის უფლებას არასდროს მისცემდა. ჩემს ადგილას თვითონ რომ ყოფილიყო, პირველივე პრეტენზიის გაჟღერებისთანავე სკანდალურად, როგორც სჩვეოდა, აგრესიული სიტყვების თანხლებითა და ყიჟინით კუდიტ ქვას მასროლინებდა. ცალმხრივი დათმობის შედეგად გაფორმებული ნაძალადევი ზავი კი მუდამ ასე აუტანლად გამოყურება. მოფრთხილება ორივე მხარის ჩართულობას გულისხმობს და რადგან გასარიცხად ვერა და ვერ ვიმეტებდი, თავისას მაინც არ იშლიდა. აკაკის გენიალური აფორიზმისა არ იყოს: „მაგრამ მარტო წვრთნა რას იზამს თუ ბუნებამც არ უშველა?!“ “მარსიანის” ვეფხ-

ისტყაოსნის “შესანიშნავი ილუსტრაციებით დამშვენებული საიუბილეო ყდა რომ გამოვიდა, თანაგუნდელების თანდასწრებით ხმამაღლა ამრეზით შესძახა: ფუჰ! ეს არაკოლეგიალური (მისი მხრიდან ასეთი რამ იმდენად ხშირი იყო, ყველაფრის აღწერა ვრცელ ტომს დაისაჭიროებს!) ჟესტი სილის განზნად აღვიქვი. მკითხველი ამ ერთი დეტალითაც მიმიხვდება, რაოდენ რთულია ჭირვეული ადამიანებით დაკომპლექტებული გუნდის მართვა, სადაც ზოგიერთები სათავისოდ იწევენ და ჟურნალის რედაქტორის პოზიციას მხარდაჭერის ნაცვლად მძაფრად აპროტესტებენ, რითაც დანარჩენებს ცუდ მაგალითს აძლევენ. ხელისშემშლელთა ჩხირკედელაობით ხომ შინაგანი ენერგია უაზროდ იკარგება, ხოლო უსიამოვნო ველის გავრცელებით ჯანმრთელობა ირყევა. სამუშაო შეკრებების უმრავლესობა ამგვარ არაჯანსაღ ატმოსფეროს გამოსობით ხშირად საბრძოლო პოლიგონად გარდასახულა. ქ-ნი დალი სათავისო პრეტენზიების დასამკვიდრებლად მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას არ მაცლიდა, სადაც სხვების შეურაცხყოფის პარალელურად თანაგუნდელებს მისგან კბილებით ვიცავდი. საათივით აწყობილ საქმეს უყოყმანოდ და უსინანულოდ რევედა, რითაც გუნებას გვიწამლავდა, ხან ერთ წევრს აუხირდებოდა, ხან -მეორეს. ამ მხრივ მარსიანის გარდა ახალგაზრდა პოეტი გიო შიშინაშვილიც ამოიჩემა. “ობიექტივის, ტელეეთერით რომ გამოვედით, გადაცემის დასრულებისთანავე შემომხმინანა და მკვახედ მომახალა, რომ ამ ახალგაზრდის ტელევიზიით გამოყვანა ნაადრევი იყო, თავი ჯერ არაფრით გამოუჩინია, რომ თავდაპირველად თვითონ უნდა მიმეწვია და ა. შ. დინჯი და სიტყვაძვირი ყმანვილი მის მწვავე თავდასხმებს უსიტყვოდ ატარებდა, თუმცა დაგროვილ უკმაყოფილებას უკვე ჩემთან ამჟღავნებდა, რაც ბუნებრივია, მდგომარეობას აწვავებდა და ჩვენს თანხმეირ თანამშრომლობას სერიოზულ საფრთხეს უქადდა. სწორედ ამ გარემოებამ უბიძგა ახალგაზრდას, მსგავსი სცენების ხილვის შემდეგ ეთქვა: გუნდმა გადამიარაო. გამოუცდელ ჭაბუკს ისედაც ძალიან გაუძნელდა თვალსაჩინო მწერლების მხარდამხარ უწყვეტი შემოქმედებითი აქტიურობის გამოვლენა. გულახდილად შემომჩვილა, რომ ეს გარემოება (მუდამ ახალი მასალის პროდუქტიულად შემოთავაზება) არასრულფასოვნების კომპლექსს უჩენდა, იმის მიუხედავად, რომ მაქსიმალური ხელშეწყობის თვალსაზრისით მის ლექსებსა და ესეებს (ესეების წერა ჩემი ნახალისებით დაიწყო) ყველა ნომერში ვუქვეყნებდი, მერვე ნომრის უკანა გარეკანი კი რეზო ადამიას არაჩვეულებრივად შესრულებული გრანელის სურათის ფონზე მთლიანად მის ლექსს დაეთმო. ცალკე ეპოპეაა, მისმა განდგომამ ბირთვი როგორ დააზარალა და რაოდენ დიდი ძალისხმევის მოხმობა დამჭირდა ვითარების გამოსასწორებლად. დიდი შრომის კვალდაკვალ ეს შინაურული, თითქოსდა წვრილმანი, გაუმართლებელი შეტაკებები იმდენად ქანცისგამცლებლია, უზარმაზარ ენერგიას გართმევს და უსაგნოდ გვიტავს. აქვე მტანჯველ კითხვის ნიშნად

ინვარტება სავალალო მოცემულობა: მეორე ოჯახად სახელდებული კოლექტივის გამრუდებული მიმართულების წნეხის სიმძიმე მეთაურს ადამიანებისადმი რწმენას რომ უკარგავს და ნდობას უქვეითებს. როდესაც გუნდის ერთიანობის შესანარჩუნებლად მზარდ უსიმოვნებებს თვალს მოუხუჭავ, და გადაწყვეტ გუნდში არსებული სიძნელეები, როგორც ბირთვის წინამძღოლმა, მარტომ გადალახო, ამით ამრევეები უვაოდ სარგებლობენ; საერთო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებული მოკეთებებიც ალმაცერად გიმზერენ, შენს დიდსულოვნებასა და თმენის უნარს სისუსტედ სახავენ, რითაც ორმაგად იჩაგრები. სიკეთის ნილ კი ამგვარი საზღაურის დათმენა იმდენად რთულია, ამის აღწერა ახლაც მესიკვდილება. ამგვარი სცენებით გაბზრებულმა ფიზიკის პროფესორმა სამართლიანად მისაყვედურა, რომ ჩემი ხათრიანობით თანაგუნდელებს დათვურ სამსახურს ვუნევედი, რაც უკვე სახეზე იყო. წამხედურობამ სხვებიც აიყოლია. ამის გამოხატულებად კობა ცხაკაიას უცაბედი გამიჯვნა იქცა, რომელმაც როსტომ ჩხეიძისადმი მიმართული კრიტიკული წერილის წაკითხვისთანავე გუნდიდან გასვლის მაუწყებელი აბსურდული ტექსტი გამომიგზავნა. რეჟისორი თავაზიანი ბუნდოვანებით მამცნობდა, რომ თურმე არ იცოდა, “ისინდის” წევრად როდის აირჩიეს, რომ ესოდენ საპატიო მოვალეობისთვის მზად არ იყო, რომ ბრძოლებში არასდროს ერეოდა (ამათ სარედაქციო საქმიანობიდან მარტო დაბეჭდვა, აღიარება და ქეიფები მოსწონდათ!), რომ მარად ჩვენს მხარდამჭერად დარჩებოდა და ა. შ. რეჟისორის ალლომ უკარნახა ეს პაროდული ეპისტოლე ჩვენი ფიზიკის პროფესორისთვისაც გადაეგზავნა, რომელმაც უეცრად დამფრთხალ და “ამნეზიადამართულ” წევრს კეთილსინდისიერად შეახსენა, მათი განევრიანება გუნდში სწორედ პროფესორის დღეობაზე, საზეიმო ვითარებაში, სათანადო დალოცვის ფონზე რომ აღინიშნა. ამგვარი მზაკვრობით გაოგნებულმა კოლეგას ჩვეული გულწრფელობით მივწერე, მისი განდგომა სინამდვილეში რა ფაქტორმა განაპირობა, რაც სულ მცირე, ფაქტების გაყალბების უფლებას არ აძლევდა. ეს მიმონერა ჩემს არქივში დაცულია, როგორც მრუდე სარკეში არეკლილი სუბიექტური პოზიციის უკადრისი გამოხატულება, რასაც ამ ერთი შეხედვით სოლიდური და საიმედო პიროვნებისგან ნამდვილად არ ველოდი. მაინც რამდენჯერ უნდა გაგიტყდეს გული, მაღალფარდოვანი სიტყვების მიღმა ვერაგულ ქმედებას როდესაც შუბლით შეასკდები?! ჩემი ყუმბარა-სტატის დაგემოვნებისთანავე ბ-ნი ცხაკაია იმდენად აღელდა (ეს წერილობითაც აღნიშნა), რელიგიურ დღესასწაულსაც არ დაერიდა, როგორც ღრმად მორწუნე და გუნდიდან გასვლის განცხადება ვითომდა თავაზიანი და ფაქტების დამახინჯებით გაჯერებული ყალბი ტექსტით გააფორმა და ჩემკენ უმალ აფრინა. ფაქტია, რეჟისორული ნიჭის კვალდაკვალ მცირე ფარსის სცენარი დაბეჭდვის ემხით (ჩვენთან თანამშრომლობას კვლავ გეგმავდა ისე, რომ ამგვარი უმართებულო აბრუნდით შეცვლილი ჩემი

პოზიცია ოდნავაც არ ადარდებდა) მოხერხებულად შემოგვაპარა, რაც პროფესორისა და თქვენი მონა-მორჩილის არგუმენტებმა ცალსახად გააფერმკრთალა. სიმართლე ზოგისთვის შენიღბვის საუკეთესო ფასადია, ზოგისთვის - საიმედო საბრძოლო იარაღი. ამრიგად, მორიგი წევრის არტისტულმა განდგომამ ცხადყო, "ისინდის" წევრების გამოცდა გარდამავალი წარმატებით მიმდინარეობდა. დროის მიერ ამოქმედებული გაფილტვრის უღმობელი კანონის თანახმად შეულამაზებელი სინამდვილის კვალდაკვალ ყველა უნიღბოდ წარმოჩნდა. არადა, მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, უახლესი მოცემულობის გათვალისწინებით აღიარებული რეჟორისა და მწერლის შესტი ოდენ წინასაპრელუდო თამაში გამოდგა...

2019 წელი მკვეთრ ცვლილებებს დაედო საფუძვლად. საბინაო პირობების გაუარესებამ მაიძულა დროებით სოფელში გადავბარგებულიყავი, რომელიც დედაქალაქიდან ახლოს მდებარეობდა, მაგრამ ტრანსპორტის არასახარბილო მოძრაობა თბილისში ჩემს ჩასვლას გარკვეულწილად აფერხებდა. ამ ფონზე ბუნებრივია ორმაგი ძალისხმევის გამოჩენა მმართველად, ყურნალის წარმატებული კურსი შეფერხების ნაცვლად კვლავ სტაბილურად შენარჩუნებულ-გაფართოებულიყო. რამდენჯერ საათობით გაჩერებაზე მდგარს მინერვიულია საქმიან შეხვედრებზე არ დამგვიანებოდა; დათქმულ ადგილს დოლის ცხენივით გულამოვარდნილი მივაშურებდი, რომ ელიტარული ვაკე-ვერის უბნელები: დალი კახიანი და რუსუდან ჭანტურიშვილი, ეს უკანასკნელი კლასიკოს დამგვიანებლად ბობოქარმა ამორძალმა მას შემდეგ მონათლა, თვით კახიანის რეკორდი არაერთგზის რომ მოხსნა, ორი საათის (რუსუდანი ბოლოს სამი საათითაც) დაგვიანებით გამოცხადებულან. საქმე იქამდე მივიდა, რუსუდანი ერთ-ერთ წარდგენის დასრულებისას გამოცხადდა და როდესაც ამის მიზეზად შეუძლოდ ყოფნა დაასახელა, ცოტა ხნის შემდეგ რესტორანში სუფრაზე პირდაპირ წამოაძახეს, ავადმყოფმა ქეიფზე როგორ მოაღწია. ეს ჩემზე ორჯერ უფროსი, მეგობრებად გაფიცული მანდილოსნები მშვენივრად ხედავდნენ საგზაო განამანის გადამკიდე როგორ ვწვალობდი, თუმცა ამის მიუხედავად ნირს არ იცვლიდნენ და ჩვევას ჯიუტად არ ღალატობდნენ. მეტიც, დედაქალაქიდან ჩემი "გასახლების" შემდეგ დაგვიანებების უწყვეტი სერია თითქოს ჯიბრზე განუხრელად დამინესეს. ოპერაციებით განამებული მარსიანი გამოსაჯანმრთელებლად ლეჩხუმს დასთან რომ მიემგზავრებოდა, ჩვენი უცვლელი თანამოაზრისა და მრავალმხრივი ტალანტის მქონე "ისინდელის" გასაცილებლად პოეტურ აივანზე შევიკრიბეთ. რუსუდანი ჭანტურიშვილი ამჯერადაც ორსაათანხვერის დაგვიანებით მოვიდა და პროტესტის გასაქარწყლებლად რა ვუყო, სხვაგვარად არ შემიძლიაო, გულუბრყვილო ღიმილით აღიარა. სანამ დედაქალაქში ვცხოვრობდი, მის ამგვარ ქცევას იუმორისტულად ვუდგებოდი, მაგრამ სისტემატურმა სატრანსპორტო შეფერხებამ ცხადყო,

ჩემი ღამეული გადაადგილება სერიოზულ საფრთხეს მიქმნიდა და რომ არა ჩვენი ტექნიკური რედაქტორი, სამარშრუტო ტაქსამდე ერთგული დაცვასავით რომ მაცილებდა, ერთხელ ტრანსპორტისთვის რომ მიმეხწრო, ღამის რუსთაველზე მანქანა დაგვეჯახა! კაცმა არ იცის, რას გადავეყრებოდი. (რამდენჯერმე მაინც ვერ ავციდი საეჭვო ამკიდებლებს!) თქვენც არ მომიკვდეთ, კახიანსა და ჭანტურიშვილზე ჩემი გადაადგილების პრობლემა არა და არ მოქმედებდა, კვლავ საათობით აგვიანებდნენ და ჩემი ფორიაქით ხალისობდნენ კიდეც. იმაზე არ უფიქრიათ, რომ ამ მხრივ ორი ადამიანი ზარალდებოდა. ჩვენი თანამშრომელი ვალდებული არ იყო პირადი მცველის ფუნქცია შეეთავსებინა, მით უფრო, როდესაც მარკეტში საკმაოდ დაძაბული სამუშაოს პარალელურად გუნდში დაბრუნებისთანავე თავის საქმიანობას ჩვეული პასუხისმგებლობით შეუდგა. ცალკე თემაა, რუსუდანი ჭანტურიშვილის თავმოუბმელობა, ვადას რომ ვერასდროს იცავდა და პუბლიკაციის ყველაზე ბოლოს აბარებდა, რის გამოც დამკაბადონებელთან ვითარებას ძაბავდა, რაც ყურნალის გამოცემის დროს საგრძნობლად ამუხრუჭებდა... ოჯახური მოვალეობებით დატვირთვის შემთხვევაშიც თუ სამსახურს მოჰკიდებინარ, შინაური სატკივარი შენჭერქვეშ რჩება, მით უმეტეს, დასაოჯახებელი მანდილოსნის თვალშისაცემი, მოურჩენელი არაორგანიზებულია, როდესაც ეს უკანასკნელი საქმეს ხელოვნურად აფერხებს, იუმორის საზღვრებს სცილდება. ერთხელ ცოცხალ კურიოზსაც შევესწარი: დამკაბადონებელს სასვენ ნიშნებზე ენერგიულად ეკამათებოდა, (საკუთარ ნაზრევს მუდამ აქტიურად იცავდა!) მან კი სიტყვა მოუჭრა; - სულ თქვენ როგორ გემართებათ ასე. წერილი არ გადმოგიგზავნიათ და რაზე მედავებითო. ამ სცენას ჩემ გარდა გიორგი შინაშვილი შეესწრო. როგორც ყოველთვის, გამომცემლობაში საქმეზე მოვიჩქაროდით, რუსუდანი დაგვემგზავრა, აქაოდა სტატიის საბოლოო ვარიანტის კორექტურის გასაკეთებლად და უცებ გაირკვა, რომ წერილს ადრესატამდე არ მოუღწევია! ცოდვა გამხელილი სჯობს, როდესაც მუშა ჯგუფი სულ სამი კაცისგან შედგება და წინ რაკეტასავით მიფრინავს, დანარჩენები კი ფეხით, ისიც სვენებ-სვენებით მოსდევენ, იქ თანხმირი მუშაობა გამორიცხულია. ესეც შრომის განაწილების უთანაბრობა. ამ არასახარბილო მოცემულობის ფონზე ჩემისთანა ჟანდარმი რედაქტორის სისასტიკით დაჩაგრული თანაგუნდელები საპატიო წევრების გრძელი ნუსხის კვალდაკვალ ყურნალის ფურცელებსა და ინტერნეტსივრცეში თანასწორუფლებიანად თავს იწონებდნენ; გინდა არ გინდა, საბჭოური მექანიზმი დაუკითხავად ირთვებოდა და ფასადური სურათით მტერსა და მოკეთეს თვალს ამაყად ჭრიდა. შიდა სამზარეულო კი სხვაგვარად თუხთუხებდა. ცალკე საკითხია, ეს დანარჩენები გამოთავისუფლებულ დროს ისე განკარგავდნენ, ანგარიშს არასდროს არავის უწევდნენ. ამ დასაოჯახებელი ქალბატონებისთვის სარედაქციო ოჯახი აშკარად გასართობ კლუბად ასო-

ცირდებოდა: სადაც სურვილისამებრ იკრიბებოდნენ და მხოლოდ სათავისო ინტერესებს აძლევდნენ გასაქანს, ერთობოდნენ, ათას ამბავს იხსენებდნენ, სარედაქციო საქმის არსს კი ყურმოკვრითაც ველარ იგებდნენ; ფიზიკის პროფესორს დიდი ჯაფა დაადგა (თუმცა აზრი მაინც ვერ შეაცვლევინა!) ბობოქარი ამორძალის წინადადების უკუსაგდებად; როდესაც ჯიუტად გვაძალებდა, სამუშაო შეკრებებზე მისი დაქალები მოსულიყვნენ ნამცხვრებითა და ხაჭაპურებით, რისთვისაც საკუთარ ქერს უშურველად გვათავაზობდა, სადაც რუსუდან ჭანტურიშვილის მსგავსად არაერთხელ მშვენივრად გვიმასპინძლა. ლხინი ლხინად, მაგრამ ყველაფერს თავისი ადგილი გააჩნია; იმის წარმოდგენაზე, რომ ასაკოვანი, გამძაფრებულად ცნობისმოყვარე, უცნობი ქაღალბატონების დამზერის ქვეშ ჩვენი სარედაქციო საქმეები საფუძვლიანად განგვეხილა, ტანში უსიამო ჟრუანტელი მივლიდა. როდის ყოფილა, გახურებული ქეიფის დროს შემთხვევით შემოსწრებული ადამიანების გარემოცვაში საჭირობოტო, მნიშვნელოვან საქმეს ხორცი შესხმოდა?!

“ისინდის“ არქიტექტონიკა 2019 წელს ასე დაჯგუფდა: მარსიანის გამგზავრების შემდეგ თქვენი მონა-მორჩილი და ფიზიკის პროფესორი თემურ ნადარეიშვილი ვასრულებდით რთულ და ყოვლისმომცველ სარედაქციო სამუშაოს. გიორგი შიშნიაშვილი კვლავ განაპირებულიყო, რის გამოც ვირტუალური გვერდის რეკლამა მხრებზე მთლიანად მე დამანვა, რასაც არც თუ ურიგოდ ვუმკლავდებოდი. ჩემი უწყვეტი აქტიურობის ფონზე დაულალავმა პიარმა თავისი ნაყოფი გამოიღო და რამდენიმე ქველმოქმედი ემიგრანტი მხარდამჭერი მანდილოსანი შეგვძინა, რომლებიც დროდადრო გარკვეულ თანხას გვიგზავნიდნენ, რაც ჩვენთვის სულზე მისწრება გახლდათ. სარედაქციო ოთახის უქონლობის გამო მოხეტიალე ბრემნელი მუსიკოსებივით დროებით თავშესაფარს ვჯერდებოდით. ამ მხრივ “ისინდის“საპატიო წევრად მიღებულმა ცნობილმა ჟურნალისტმა და პოეტმა, მარინა თექთუმანიძემ, რომელთანაც მრავალწლიანი მეგობრობა მაკავშირებდა, გარკვეულ დროით სული მოგვათქმევინა. მან ჟურნალისტთა კავშირის შენობაში შესაკრებად იქაური დარბაზი თავაზიანად დაგვითმო. ამ ვრცელ ნაგებობაში რამდენიმე შთამბეჭდავი პოეტური თავყრილობაც გავმართეთ, რაც ძალზე სასიამოვნოდ მახსენდება. ვირტუალური თვალსაზრისით ცნობილი ჟურნალისტი, ბრწყინვალე ლიტერატორისა და პოლიტიკური მოღვაწის, თემურ ქორიძის მეგობარი (განსვენებულთან ბოლო წლებში მეგობრობა მაკავშირებდა) ბ-ნი ვახტანგ ბახტაძე შემოგვეშველა, თემურ ნადარეიშვილმა კი ამ ფრონტის ხაზზეც სათანადოდ დაამტკიცა ერთგულება და სიმყარე. დანარჩენი მანდილოსნები (მ. თექთუმანიძისა და რ. ჭანტურიშვილის გარდა) სოციალურ ქსელში არ იყვნენ განვერვიანებულნი; ამიტომ არც ამ მხრივ დასდგომიათ ჯაფა. “ისინდის“ დანერჩილი სტატიების წასაკითხად რომ ვინვევდი, სადაც მუდამ დადებითად ვახსიათებდი, ხშირად არც საამისოდ

ილღიდნენ გონებას. რუსუდან ჭანტურიშვილი ფეისბუქსაც თავისებური უცნაურობით ეკიდებოდა. მოულოდნელად, სწრაფმავალი ტურისტივით ჩამოგვიქროლებდა ხოლმე, დროდადრო შინაარსიან კომენტარებს აქვეყნებდა. რამდენჯერმე “ისინდის“აფიშა გააზიარა და ჟურნალის ვირტუალური გვერდისთვის ჟურნალის საინტერესო შეფასება მოამზადა. აქვე აღსანიშნავია, რომ პოლონურ კულტურულ ცენტრთან სიმების გაბმის პარალელურად რამდენიმე სოლიდური ავტორიც მოიხიდა, რაც ჟურნალის ფინანსურ მხარეს სასიკეთოდ წაადგა. “ისინდის“ერთ-ერთი ყველაზე საიმედო და მონესრიგებული წევრი, ნინო ბაქანიძე, რომელსაც ხელგამლილობის გამო კრასული შევარქვი, (მან პროფესორთან ერთად მყარი მხარდაჭერის ნიშნად ჩვენს საყვარელ სახინკლში დღეობა გადამიხადა, სადაც “ისინდის“ შემადგენლობამ გვარიანად მოილხინა) ზემოთნახსენები ქაღალბატონებისგან განსხვავებით საპირისპიროდ იქცეოდა, რითაც გუნდის წევრების ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა. ის მარსიანის შემდეგ ჩემს ყველაზე დაახლოებულ პირად იქცა, ვინაიდან ჭირსა და ლხინში მუდამ სათანადო სიმაღლეს ინარჩუნებდა და უპირობოდ მემხრობოდა. მასთან თუნდაც ერთი, უმნიშვნელო შელაპარაკებაც კი არ მომსვლია, იმდენად თანხმეირად ვენყობოდით ერთმანეთს. ამიტომ ხშირად ვუმეორებდი, რომ მისი სახით ღმერთმა მფარველი ანგელოზი გამომიგზავნა. ის თემურ ნადარეიშვილთან (მეგრე რომ შევარქვი) ერთად, თანდათან ჩემს საიმედო დასაყრდენად იქცა. ვინც ჩვენი ჟურნალის ამსახველ წერილებს კითხულობს, ცალსახად დარწმუნდება, ყოველ ჩემი ისინდური გამოხმაურება გუნდის წევრებისადმი სიყვარულითა და მაღლიერებითაა გაჟღენთილი, უთანხმოების ჩრდილიც კი არსად გამოკრთის; “ისინდის“ერთიანობის შესანარჩუნებლად იმდენი რამ მოვითმინე და გადავიტანე, ეჭვიც არ შემპარვია, რომ თანაგუნდელები ჩემს ამავს დააფასებდნენ და მზარდი წინსვლის ფონზე ადრე თუ გვიან მხარში ამომიდგებოდნენ. კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, ამაზეა ნათქვამი! ნინო ბაქანიძესთან კვირაში ორჯერ ტრადიციული სატელეფონო ზარი ხანგრძლივი დიალოგის საფუძველზე გუნდის თემების დაწვრილებით მიმოხილვად იქცა. მას გულქართლი, საიმედო მეგობარი იმიტომ ვუნოდე, ყოველთვის ზურგს რომ მიმაგრებდა და კახიან-ჭანტურიშვილის არორგანიზებულობასა და სხვა სახის ჭირვეულობებს ჩვეული პასუხისმგებლობით აბალანსებდა. წინაღობების მიუხედავად 2019 წელს “ისინდის“საერთაშორისო აღიარებას მიაღწია. რეგიონებში სახელის დამკვიდრების პარალელურად ჩვენთვის უცხოეთშიც გზა გაიხსნა. საბერძნეთი, თურქეთი, პოლონეთი, იტალია და ყველაზე დიდი წარმატების ცენტრი ავსტრია-ვენის ბობლითეკამ ჩვენი ჟურნალის ყველა ნომერი თავის სტენდზე თვალსაჩინოდ, ილიას ნაშრომების გასწვრივ გამოფინა, რაც განუზომელ პატივთან ერთად დიდი აღიარების ნიშანია. მარსიანის მიერ შესრულებულმა ყდებმა “ცივისსხლიანი ევროპელების“დიდი ალტა-

ცება დაიმსახურა. როდესაც მუხლჩაუხრელი გარჯის წარმატებულ ნაყოფს იმკი, წინაღობებიც ტკბილად გახსენდება, რადგან ერთობლივი ტრიუფი გაძლიერებს და გამხნეებს და მეც, ვირტუალურ სივრცეს ჩვენი დიდი გამარჯვების ამბავი შესაბამისი შინაარსის წერილების სერიის სახით ვამცნე. მერვე ავსტრიული ნომრის წარდგენა 21 ნოემბერს ტრადიციულად ეროვნულ ბიბლიოთეკაში გადაწყდა. ისედაც საყოველთაო ყურადღების შუაგულში მოქცეულ “ისინდს” უცხოეთში წარმატების მოპოვებისთანავე უამრავი მხარდამჭერი და მკითხველი გამოუჩნდა. ჩვენში ხომ საზღვარგარეთული საშვი გადამწყვეტი ფაქტორია, რამაც ჟურნალის ავტორიტეტი და წონა გააათამაგა. მერვე ნომრის ყდის თვალშისაცემმა ორიგინალობამ საყოველთაო ეფექტი გააძლიერა. ტერენტი გრანელის ძველ საფლავზე მწვანე სანთლებისა და ნაირფერი ყვავილების ფონზე, რომელთაც მცირე ზომის ჯვარცმის ამსახველი რეპროდუქცია აგვირგვინებდა (როგორც ნანამები გრანელის სიმბოლო), ალბეჭდილი ორი პოეტის ხელი, ჩემი იდეა, რომელიც პოეტმა გიორგი შიშნიაშვილმა ტექნიკურად საუცხოოდ გადაიღო და განახორციელა, ნამუშევრის მისტიკურ შინაარსს ცხადყოფდა. ამ ნომერს ისე იტაცებდნენ, შევშინდი, აუცილებელი ეგზემპლარების გარეშე არ დავრჩენილიყავი. ერთადერთი იმაზე მწყდებოდა გული, ჩვენს წინსვლასა და თავბრუდამხვევ წარმატებას მარსიანი ოდენ სატელეფონო დიალოგის მეშვეობით რომ იგებდა. არადა, მისი ღრმავარდნიანი, პირველხარისხოვანი წერილები და საუცხოო ნახატები “ისინდს” უცვლელ საფირმო ნიშნად რჩებოდა.

და აი, 2019 წლის 21 ნოემბერს საყოველთაო წარმატებით ფრთაშესხმული “ისინდელები” ეროვნულ ბიბლიოთეკაში დამსახურებული ტრიუმფის აღსანიშნავად მრავალრიცხოვანი პუბლიკის წინაშე წარვდექით. ჟურნალის შესავალს ტრადიციულად ვუძღვებოდი, სულგანაბული დარბაზი ყურადღებით მისმენდა. გულს სიამე მოეფინა, როდესაც მრავალფეროვანი აუდიტორიის ფონზე ახალგაზრდების სიჭარბე შევნიშნე. ჟურნალის დაარსებიდან ორწლიანხვედრის თავზე, ეროვნული ღირებულებების დაცვითა და მაღალი დონის, ცენზურისაგან სავსებით დამოუკიდებელი ბეჭდვითი ორგანოს გამოცემით საზოგადოებას ნათლად ვუჩვენეთ, რომ ნომენკლატურის უნებართვოდა და გავლენიანი სამწერლო კლანების დაუხმარებლად, სიმართლის განუხრელი დაცვითაც შესაძლებელია ეროვნული ლელოს გატანა, როცა მიზანიმართულად და გაბედულად ირჯები და უწყვეტი წინაღობების დაძლევის უნარი განუხრელად მოგმადლებია. დაძაბული შრომით მოპოვებული აღიარებას მართლაც ვერაფერი შეეძრება, ვინაიდან საკუთარ გარჯას ვერასდროს ვერავინ დაგამადლის, ვერც რაიმეს ნამოგაყვედრებს, აქ ხომ უანგარო სისხლი და თავდაუზოგავი შრომაა ჩაქსოვილი; ამრიგად, საფუძვლიანად შეგძლია შესაფერისი შედეგით იამაყო, მაგრამ “ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმე განა?!” (აკაკი). ამ საყოველთაო კეთილგანწყობისა და აღიარე-

ბის ფონზე გაუთვალისწინებელი, უსამართლო და მძაფრი პროტესტი არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენი საპატიო წევრის, ჩემი უფროსთაობელი, მეგობრის, ღვანლმოსილი მწერლისა და მეცნიერის, გიგი ხორნაულის მხრიდან მრისხანედ დამატყდა თავს. ჩვენი ცხრანლიანი, ორმხრივი, საამაყო მეგობრობა “ისინდის” დაარსების შემდეგ უკვე ჟურნალის ფურცლებზე გაგრძელდა; აქვე აღსანიშნავია: ჟურნალში მისი მეუღლის, მშვენიერი მეცნიერის, ნანა კოტეტიშვილისა და ან გარდაცვლილი უფროსი ქალიშვილის, მთარგნელ ლელა ხორნაულის პუბლიკაციებს სისტემატურად ვბეჭდავდი. (სხვათა შორის, არც უმცროსი ქალიშვილის, ნათია ხორნაულის წიგნი დამიტოვებია უყურადღებოდ და მის საგულისხმო კრებულზე დადებითი რეცენზია გაზეთ “რეაოში” გამოვაქვეყნე, თუმცა ამ ქალბატონის მხრიდან უსაფუძვლო ათვალწუნება ვერც ამ კეთილგანწყობით გავაქარწყლე...) მოკლედ, “ისინდის” არც ერთი ნომერი არ გამოიშვა ამ დარბაისლური ოჯახის ღრმავარდნიანი ნააზრევის გარეშე. მანამ “ჩვენი მწერლობის” სალონში მისმა მხარდაჭერამ, ჩვენი ნაყოფიერი თანამოაზრობა საბრძოლო შემართებით განამტკიცა. მე კი ამავს მტერსაც არ ვუკარგავ, არათუ მოკეთეს. ჩემი საავტორო რადიოგადაცემებით, მისი საუცხოო, მნიშვნელოვანი წიგნების წარდგენითა (ბ-ნი გიგის წიგნის წარდგენებს ოჯახის თხოვნით ხშირად გავძლიერებ) და ჩემი ვრცელი წინასიტყვაობებით მის სოლიდურ ნააზრევს დამსახურებულ პატივს მივაგებდი, ბოლო წლებში თვალისჩინდაკარგულ მოხუცის, კოლეგებისა და ნათესავების უმრავლესობა რომ შემოეცალა (მისი მეუღლის სიტყვებს ვიმონმებ) იმდენად ხშირად ვაკითხავდი, თბილისიდან იძულებით გასახლებული ძველებური სიხშირით რომ ველარ ვნახულობდი, განაწყენებული მსაყვედურობდა, რომ დავივინყე. ჩვენს შეხმატკბილებულ ურთიერთობას ერთადერთი “დეტალი” – სააკაშვილისადმი მისი მყარი მხარდაჭერა ჩრდილს სცემდა, თუმცა ამ ნიადაგზე კამათს შეგნებულად თავს ვარიდებდი, ის კი ხევესურული სიკერპით პოზიციას არ თმობდა. ჟურნალის წარდგენებზე რამდენჯერმე ოდიოზური ვარდოსნის ქება და მთავრობის მწვავე, არაკორექტული ძაგება საფუძვლიანად რომ გააჩაღა, რეგლამენტის დაცვა ვთხოვე, რამაც როგორც ჩანს, მისი უკმაყოფილება გააღრმავა. ეს დანარჩენებმა შენიშნეს და მიჩიეს, რომ პოლიტიკურ ანგარიშსწორებას აყოლილს ჟურნალი აღარ აინტერესებდა და ვითარების გამწვავების თავიდან ასაცილებლად მისთვის გამოსვლის ნება აღარ დამერთო. გამორიცხული არ იყო, ამგვარი აგრესიული ტირადებით ეროვნული ბიბლიოთეკის ადმინისტრაციას ჩვენივე დარბაზის დათმობის ხელშეკრულება გაუქმებინა, რაც ისედაც სავსე პირობებში მყოფ მებრძოლ ჟურნალს საკმაოდ სერიოზულ დაბრკოლებებს შეუქმნიდა. ნომენკლატურის ზემდგომნი ჩვენს წინსვლას თვალყურს დაძაბული ადევნებდნენ და სადაც ხელი მიუწვდათ, იქ თავიანთი კლანჭი არაერთხელ გამოაჩინეს. ჩვენივე წევრის მოუზომავი

პოლიტიკური გამოსვლები კი სწორედ მათ ნისქვილზე ასხამდა წყალს. ეს გამოქვეყნების საუკეთესო შესაძლებლობას იძლეოდა, რაც დამატებით წინააღმდეგობას შეგვაჯახებდა. რამდენჯერ ლტოლვილებად უნდა ვქცეულიყავით ბოლოს და ბოლოს? მშობლიურქვეყნადკარგულს სარედაქციო ოთახის ძებნა არ მყოფნიდა, ბიბლიოთეკიდან გაქვების სიმწარეც გვეწვინა?! მერედა რისთვის?! ეს ხომ ეროვნულ ჟურნალს დააზარალებდა და ჩვენს მეგობრობასა და კოლეგიალობას საგრძობლად შეარყევდა. ამიტომ უფროს მეგობარს რამდენჯერ ალერსიანად ვთხოვე, ჟურნალის განხილვა მწვავე პოლიტიკურ მონოლოგში არ გადაეზარდა, ამის გამო მისი მეუღლე უხერხულად მებოდიშებოდა, რომ დროს შეგრძნებდაკარგულს უსასრულო საუბრის ჟინი დასჩემდა, ვერც უყურადღებობას იტანდა და მეც, ორცეცხლშუა მოქცეული, გული რომ არ დასწყევტოდა, მისთვის სიტყვა არასდროს დამიკავებია. ვინ ვინ და მწერალს აზრის გამოთქმის უფლებას რომ ართმევ, ეს სიმწარე იმდენჯერ გამოვიარე, იმავს მტერს არ ვაკადრებდი, არათუ დიდ ხნის უფროსთაობელ კოლეგასა და მეგობარს. და აი, ამჯერად, ჩემი რეპლიკა რეგლამენტის დაცვის თაობაზე (სულ მცირე, 38 წუთს საუბრობდა, რის გამოც სხვა გამომსვლელები იჩაგრებოდნენ). რამდენჯერმე ამის გამო რეგიონიდან ჩამოსული სტუმრები გავანზილვე, სანამ სარეგლამენტო დროის გასაგრძელებლად იგი შეუპოვრად იბრძოდა, დარბაზში შემოსული დაცვა სულთამაშუთავივით დროს გვიზომავდა და იქიდან პედანტურად გვისტუმრებდა. ლამის ჯგუფური სურათების გარეშე ვრჩებოდით, რაც მღელვარებას აორკეცებდა. ჩემი რეპლიკა გავუმეორე თუ არა, გაავებულმა შემომიტია: ისე მიღრიალა: გიგი ხორნაული ხელნამოსაკრავი პიროვნება ხომ არ გგონიაო, თითქოს მოსისხლე მტერს მიმართავდა, არც ამას დასჯერდა და ხალხით გატენილი დარბაზის წინ კვლავ შემომიღრინა: აბა, მარტო შენ უნდა ილაპარაკო! დარბაზში ჩამონოლილი ღუმელი მოწმობდა, აგრესიული შეტევით დაზაფრული პუბლიკა მოულოდნელი პროტესტის სურნელს გაოგნებული ისუნთქავდა. ამ თავდასხმით თავზარდაცემულმა პასუხი არ დავახანე და მას შევხსენე, რომ სწორედაც მე ვიცოდი მისი ფასი და მისგან ამგვარი მოპყრობა არ დამიმსახურებია. ამ სიტყვებზე გავემებულმა მწერალმა ცოლს ხაფად, ყველას გასაგონად დაუტია: აქ აღარაფერი გვესაქმება, ახლავე წავიდეთო, ლამის სკამი ააყირავა და დარბაზიდან ყავარჯნის კაკუნით გააღმასებული გავიდა. ახლაც ამ მძიმე სცენის აღწერისას გული ტკივილით მეკუმშება და წარმოიდგინეთ, მაშინ რა გუნებაზე დავდგებოდი, როდესაც მოწმენდილი ციდან მეხი ისე უღმობლად დამატყდა, ამის გააზრებას გონება ჯიუტად ეურჩებოდა. საკუთარი თანაგუნდელის მხრიდან ჟურნალის წარდგენაზე ახილი პროტესტის ასე უკიდურესად გამოხატვამ ყველა დაბნინა. საბედნიეროდ, ჩინებული მწერალი და მებრძოლი, საუკეთესო კრიტიკოსი, ბ-ნი ჯემალ მეხრიშვილი სათანადო სიმალლეზე აღმოჩნდა და გამოსვლის დროს

მხარი უპირობოდ დამიჭირა. ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მე ქართული მწერლობის ჟანა დარკი ვარ და ბრძოლა თავიდანვე დამებედა. მადლიერებით აღვსილი შევეყურებდი ძველ ნაცნობს, რომელმაც ჯერ კიდევ წლების წინ საუკეთესო კრიტიკოსობა და ჟურნალის რედაქტორობა ღიად მიწინასწარმეტყველა. დარბაზმა ამოისუნთქა. გამოცდილმა ჟურნალისტმა მაია კახიძემ ეს პოზიცია განამტკიცა და მე სამართლიანი მწერალი მიწოდდა. საკითხავი იყო, თანაგუნდელები რას მოიმოქმედებდნენ. როდესაც კრიტიკულ ვითარებაში მოკავშირეები გიცავენ, იქ თანაგუნდელებს სულ მცირე, ანალოგიური ქცევა მოეთხოვებათ, მაგრამ ასე არ მოხდა. როგორც ჩანს, ტრიუმფად ჩაფიქრებული წარდგენა უხილავმა თვალმა ისე გათვალა, იმ დღეს ჩემიანების მხრიდან სრული იმედგაცრუება უნდა მეწვინა! ფაქტია, ჭირვეული ფორტუნა ჩემს მხარეს არ იყო და უსიტყვოდ მიგებდა ნიშნს, აქაოდა ერთი ადამიანისთვის სამყოფი ყოველგვარ სიკეთეს რომ არ დავჩვეოდი. ოღონდაც! ტრიუმფის კვალდაკვალ იმედგაცრუება მხარდამხარ მოაბიჯებს რათა საწუთროს სიმზაკვრემ სიფხიზლე არ მოგვიდუნოს. პირიქით, ამ ახილმა პროტესტმა დალი კახიანსა და რუსუდან ჭანტურიშვილზე სიგნალივით იმოქმედა. მომხდარი სკანდალის შემდეგ იმის ნაცვლად რედაქტორს შემომშველებოდნენ, გიგი ხორნაულის ესტაფეტა აიტაცეს და რეგლამენტისთვის გამართული ბრძოლა ჯიუტად გადაიბარეს. აფერუმ ქალებო, ქალებო! თითქოს ამ ნიშანს ელოდნენ, თავისებურად რომ აენწყვიტათ და რასაც მანამ საჯაროდ ვერ ბედავდნენ და კულუარებში კი ძალუმად ამჟღავნებდნენ, ჟურნალის მერვე ნომრის წარდგენაზე ხანდაზმული სპარტაკის ახილი პროტესტის გასაძლიერებლად როგორც იქნა, თავიანთი უკმაყოფილება საქვეყნოდ გამოავლინეს! ჩამწარებული სალამოს ფინალი ახალგაზრდების ლამაზმა ყესტმა ოდნავ გამიქარწყლა: ჩემთან საგანგებოდ მოსულმა სტუდენტებმა წარდგენის გაძლიერებისთვის მხურვალე მადლობის კვადაკვალ გულწრფელი პატივიცემის დადასტურების კვალდაკვალ მითხრეს, რომ ილიას გზას ღირსეულად მივყავი და როგორც კი ვუხმობდი, უყოყმანოდ მოვიდოდნენ და მხარს დამიჭერდნენ. მადლობა ღმერთს, უმადური ადამიანებისგან განსხვავებით კეთილსინდისიერმა ახალთაობელებმა ნათლად შეამჩნიეს, ვინ რა ჯიშისაა და გულში რა ამოუჭრია! ჯანსაღი პოზიციის გამოვლენამ მიმახვედრა, სამომავლოდ "ისინდის" ხვედრითი ნონა განუზომლად გაიზრდება და ჩვენს ეროვნულ ბრძოლას სათანადოდ დააფასებენ. სუფრასთან რა თქმა უნდა, ამ თემაზე კრინტი არავის დაცდენია. რესტორანში თანაგუნდელებმა თავისებურად მოილხინეს, ამიტომ ჩემი გადანყევტილება აღარ გამიხმაურებია და ორი კვირის თავზე, ხორნაულების შვილიშვილს, რომელმაც ბებიისგან შეიტყო "საშინელ ინციდენტზე" შეხვედრისას პირდაპირ ვუამბე ყოველივე და ავუხსენი, რომ რადგან ამ ხნის მანძილზე მათგან არავინ შემომხმინებია, არც მოუბოდიშებიათ, არც სინანული გამოუვლენიათ, ჩვენი ურთიერთობა დას-

რულდა. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ჩემი საქვეყნო შეურაცხყოფის შემდეგაც ბ-ნი გიგი ხორნაული "ისინდის" საპატიო ნევრობას მაინც ვერ ელეოდა. ცხადა, ოჯახს კვლავ ჩემი ტრადიციული ხათრიანობის იმედი ჰქონდა. ასეა, როდესაც ადამიანებს უპირობო ხელშეწყობასა და მხარდაჭერას მიაჩვენ, აზრადაც არ მოსდით, რომ კონფლიქტის (რომელსაც თვითონვე ქმნიან!) დროს ახალი მოცემულობის გათვალისწინებით ვითარება რადიკალურად იცვლება. იმ "წერილმანმა"-ცალკე შემძრა, ქ-ნი ნანა, მანამ სიყვარულს რომ მეფიცებოდა და ნამდაუნუმ თავიანთი საქმეების მოსაგვარებლად დაუზარლად მიკავშირდებოდა, ამ უსამართლო თავდასხმის შემდეგ არც კი შემომეხმინა, თითქოს საერთოდ აღარ ვარსებობდი! კოტეტიშვილებისეული ოჯახური სიღარბისლე და ინტელიგენტურობა ამ შესტს მისგან ნამდვილად მოითხოვდა! აქვე დავძენ, მომხდარის მიუხედავად ჟურნალის მეცხრე ნომერში გიგი ხორნაულის სახელი და გვარი სატიტულო ფურცელზე დავტოვე; მეათე ნომრიდან ის საპატიო ნევრების სიაში აღარ ეწერება. დიდი ხნის მეგობრის მიერ მოყენებულმა ტკივილმა იმდენად დამთრგუნა, მთელი წარდგენა ჩამმწარდა. ბ-მა ჯ. მეხრიშვილმა რომ დამირეკა, სწორედ ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა და რომ შეიტყო, ბ-ნი გიგისთან მანამ როგორი ურთიერთობა მაკავშირებდა, უსიამოდ გაოგნებულს აღმოხდა, მართლაც ვერავის ენდობი კაციო. ამ პროტესტის გადამკიდეს ჩვენი მოკავშირე, საქართველოში ნაბეჭდი და ელექტრონული გამოცემების ფონდის განყოფილების ხელმძღვანელი, ქ-ნი მაია მიქაბერიძე სიტყვის გარეშე დამრჩა, არადა, მას მისასაღმებელი შესავალი შეთანხმებისამებრ უნდა წაეკითხა და სანამ ჭანტურიშვილი-კახიანი გააფთრებით აგრძელებდნენ საარგლამენტო ჭიდაობას, წარდგენის დრო ამოიწერა და ქ-ნი მაიასთან შევრცხვი. ძნელი აღსაწერია ბოდიშის მოსახდელად რომ შევეხმინა, რა განცდა დამეუფლა! გულმა მიაზრა, გიგი ხორნაული ლაკმუსის ქალაღი გამოდგა და მის კვალდაკვალ გულმოცემული ქალების დუეტი შეტევას გადაძლიერებდა. შინაშლილობა უკვე იმდენად თვალშისაცემი იყო, ნევრების უმრავლესობა სათავისოდ ისე ჯიუტად იწვედა და ჟურნალის ერთიან სამუშაო გრაფიკს თვითნებურად არღვევდა, საჯარო პროტესტის კვალდაკვალ ბ-მა მეხრიშვილმა, რომელმაც ჩვენს გუნდში განევრინება მთხოვა, ქიზიყური პირდაპირობით შენიშნა, რომ სარდაქციო ატმოსფერო კრიტიკას ვერ უძლებდა, რომ სუბორდინაცია რედაქტორსა და თანაგუნდელებს შორის თვალშისაცემად მოიკოჭლებდა და სამომავლო თანამშრომლობის გასაგრძელებლად სერიოზული რეფორმის გატარება აუცილებელი იყო. მოკლედ, ჭირმა მალა მალა, თავი ვერ დამალაო, ისე გამოვიდა! და მეც თუ მეთაურისთვის შესაფერის ზომებს არ მივიღებდი, ვითარება მთლიანად უკონტროლო გახდებოდა. სწორედ ამ მიზნით გადავწყვიტე 2020 წლის იანვარში მოწვეულ პირველ სამუშაო კრებაზე გუნდის შემადგენლობა დამეზუსტებინა და საკადრო

ცვლილებები განმეხორცილებინა. გიგი ხორნაულის საჯარო პროტესტი ბოლო წვეთი აღმოჩნდა საიმისოდ, მომავალში ბირთვის რომელიმე ნევრის მხრიდან მომდინარე უსამართლო პროვოკაციები კვლავ ძველებური ხათრითა და თავაზიანობით მომეთმინა. ბუნებრივია, ამის თაობაზე ჩემს სანდო, უახლოეს ნევრებს, ნინო ბაქანიძესა და თემურ ნადარეიშვილს განვუცხადე, რასაც ვაპირებდი. მათ უპირობო მხარდაჭერა აღმითქვეს. ისიც კი დასძინეს, რომ თავგასული ნევრების დასაშომინებლად საკადრო "წმენდა" მანამდეც უნდა ჩამეტარებინა. საკუთარი განზრახვა არც სხვებისთვის დამამალავს, ვინაიდან ზურგიდან ლახვარის ჩაცემა ყველაზე ამორალურ ქმედებად მიმაჩნია და ამგვარი რამ არასდროს მიკადრია, რასაც ჩემი დაუძინებელი ოპონენტებიც ხშირად ადასტურებენ. დეკემბერში ვითარება უფრო დამძიმდა. გიორგი შიშნიაშვილმა პოეტ ქეთევან დოლიძის საღამოზე საჯაროდ დამაიგნორა, რამაც ჩვენი ბანოვანები ისე გაახალისა, კახიანმა ნიშნისმოგებით მომძახა, მე გიორგი ამ ბოლო დროს მიჯერებს, აკი ლექსიც მომიძღვნაო. პარადოქსი მოწმობდა: ის, ვინც ახალგაზრდა პოეტს მუდამ გაავებით უტევდა, მისი მხრიდან ამ შესტით დაფასდა, ხოლო თქვენი მონა-მორჩილი, რომელმაც უცნობ ახალგაზრდას სამწერლო ასპარეზზე გზა გაუკაფა და ხელი მყარად შეუწყო, მისგან უბრალო მისაღმებასაც ველარ ეღირსა! მართლაც რომ უცნაურია წუთისოფელი, ისევე, როგორც ადამიანის ბუნება. ერთი თვის შემდეგ გ. შიშნიაშვილმა ახალი ფეისბუქის გახნის შემდეგ მეგობრობის თხოვნა რომ გამომიგზავნა, პირადი წყენით დანვრილმანება არ ვიკადრე და ახალგაზრდა, ჯერაც დაუღვინებელ კოლეგას ძველი დამსახურებისა და შრომისმოყვარეობიდან გამომდინარე, მეორეჯერ მივეცი შანსი გუნდში დასაბრუნებლად. კრების თარიღად 15 იანვარი გამოვაცხადე. ნახალწლევს ახალი ნომრის სამზადისის წინ "ისინდელებთან" შეხვედრა მიზანშეწონილი იქნებოდა. 1 იანვარს დალი კახიანის ზარი გაისმა. მას კრების შესახებ როგორც კი ვუთხარი, ვულკანივით იფეთქა, ყველაფერი გააპროტესტა, ჟურნალის გამოცემის გადადებაც კი მოითხოვა და ამის მიზეზად ფინანსური მდგომარეობა დააახელა. მანამ გაგვენდო, რომ თავისი ნაზრების გასაპიარებლად სხვადასხვა გაზეთებში ფულს სისტემაურად იხდიდა, რის გამოც თურმე ჩვენი ჟურნალის გამოშვება უნდა შემეჩერებინა! კომენტარი თქვენთვის მომიწია. უფრო მეტიც, როდესაც ვახარე, რომ ცნობილი მხატვრის, მზია ხალვაშის ალბომს ვუსახსოვრებდი, მისი მხრიდან ამ სიტყვებს აღშფოთების ნიაღვარი მოჰყვა: აგრესიულად დამკიოდა, რომ მე მას არასდროს არაფერს ვუბეჭდავდი, რაც უნდოდა, რომ თავის ნახატებს "ისინდის" ყდაზე ვერა და ვერ ეღირსა. (ცნობისთვის, მისი ნამუშევარი ჟურნალის მეხუთე ნომრის უკანა ყდას ამშვენებს) და ა. შ. საახალწო სუფრასთან ნათესავების თანდასწრებით იმგვარი უკმაყოფილებისა და ნეგატიური თავდასხმის ხანძარში გამხვია, უხერხულობისგან რამდენჯერმე ვთხოვე, რომ

1 იანვარს ამ თემაზე დავა არ ღირდა და ყველაფერი კრებაზე გაირკვეოდა, მაგრამ როდის იყო, მას სხვისი აზრი აინტერესებდა?! ბოლოს აგრესიული საყვედურები რომ ვერ შევანყვევებინე, ვუთხარი, რომ კრებაზე მისი საკითხი ერთხელ და სამუდამოდ დადგებოდა. ამგვარ საომარ და არაკეთილმოსურნე გარემოში მე კი არა, ჰიტლერიც ვერ იმუშავებდა. ცხადია, მისი "საახალწლო მილოცვის" შესახებ ნ. ბაქანიძესა და თ, ნადარეიშვილს ვუამბე და მივუგე, რომ ამიერიდან კახიანს წევრად აღარ გავაჩერებდი და ვინც კრებაზე ამ დესტრუქციულ ადამიანს მხარს დაუჭერდა, იმავე ბედს გაიზიარებდა. საიმედო თანაგუნდელებმა მხარდაჭერა აღმოთქვეს, ცხადია, კრების თარიღი წევრებმა იცოდნენ, თუმცა დათქმულ დროს, გიორგი შიშნიაშვილი და ბადრი პატაშური არ გამოცხადდნენ. შიშნიაშვილმა მანამ მომწერა, რომ შესაძლოა მოსვლა ვერ მოეხერხებინა, თუმცა კრებამდე ორი საათით ადრე შემომეხმინა, საათი მკითხა და რადგან მაინც არ გამოჩნდა, მოგვიანებით ვკითხე, რას აპირებდა, ბოლო წამსლა მაცნობა, ვერ მოვალო, მოკლედ მოჭრა. პატაშურმა სატელეფონო შეხმინების მიუხედავად ყურმილი საერთოდ არ აიღო. მარინა თექთუმანიძემ წინასწარ გამაფრთხილა, რომ მოსვლას ვერ შეძლებდა. მოკლედ, ქალების გარდა თ. ნადარეიშვილს მამაკაცების მხრიდან "ისინდის" წევრობის ახალი კანდიდატები: ჯემალ მესრიშვილი და ვახტანგ ბახტაძე შემომემატნენ. როგორც კი ჩემი გადანყვევტილება ყველას თანდასწრებით გავაჟღერე, დ. კახიანი ჩვეულ სტილში აჯანყდა, ისეთი ბობოქარი სცენა გამართა და ძარღვები აიშალა, ცოტაც დააკლდა, მესამე მსოფლიო ომის გაჩაღებაში დამდო ბრალი, რომ კაფეს მომსახურე პერსონალი მოგვიახლოვდა და სთხოვა ხმაური შეენყვიტა და ეტიკეტი დაეცვა. მისი მხრიდან ამგვარი სკანდალი პირველი შემთხვევა არ იყო; საკუთარი პერსონის წარმოსაჩენად ყველგან ცხელი დებოშის გამართვას მიჩვეული იყო. სანამ ის გაღმა მიედავეს ფანდის გამოყენებით ენერგიულად მადანაშაულებდა, დანარჩენებს გადავხედე და ვთხოვე საკუთარი პოზიცია გამოეხატათ. რუსუდან ჭანტურიშვილმა, რომელიც მანამ კახიანის რუსულ თარგანებს ხელალებით ინუნებდა, როდესაც ვთხოვეთ, როგორც მთარგმნელს (ბებიით რუსს) მისი ტექსტებისთვის ხელი შეველო, ამ უმძიმეს საქმეზე უხარისხო თარგმანის საბაბით უარი განაცხადა; ისევ მე და მარსიანს მოგვიხდა ოფლის ღვრა და კახიანის თარგმანის გაკეთილშობილება და დახვეწა, რაც ისე შეიფერა, ჩვენ ვილას ვახსოვდით! კახიანის ლექსების გამოქვეყნების შემდეგ ნ. ბაქანიძემ მითხრა, რომ მის ახლობლებს კახიანის პოეზია უხარისხოდ მოეჩვენათ და მირჩია მისი ლექსები ჟურნალში აღარ დამეუბნებია. ამ დაძაბული დავის დროს ჭანტურიშვილი, რომელსაც ჩემთან ათწლიანი მეგობრობა აკავშირებდა, კახიანს უპირობოდ მიემხრო და მას მხარი აუბა. ფაქტია, ჩემი იძულებითი გასახლების დროს ერთმანეთს ისე დაუახლოვდნენ და შეუტყვნენ, "შელახული უფლებების" დასაცავად ერთსულოვნად

ამიმხედრდნენ. და როდესაც ამ უსიამო ფაქტით გულდამძიმებულმა ნინო ბაქანიძეს ვთხოვე ჩართვა, საეჭვო დუმილს რომ არა და არ არღვევდა, ამ დროს კახიანი ბოლო ხმაზე აყვირდა: მე ამას არ ვიმსახურებ, სირცხვილიაო, ქალური წუნუნი და ცრემლები მოიმარჯვა, ჭანტურიშვილმა მართალი ხარ, ვერ გაგიშვებენო, ანუგეშა, რაზეც განვუცხადე, რომ ჟურნალი ჩემი დაარსებულია და რედაქტორის ნებას ვერაფერს გადავიდოდა და აი, აქ ჭანტურიშვილმა ცხარე მუქარა მომხალა: რომ "ისინდი" ჩემი არ არის და მაგასაც ვნახავთ, ჟურნალს უჩვენოდ როგორ გამოსცემო. ამ რეპლიკამ ამ უმძიმეს სცენით შეძრული მამაკაცები მიახვედრა, რომ ეს "ნამოცდენა" კი არა, კარგად მოფიქრებული, ორგანიზებული პროტესტი იყო, რაც მესრიშვილმა უმალ აღნიშნა. და აი, ამ უკიდურესად დაძაბულ ფონზე ნინო ბაქანიძეს მივუბრუნდი და ვკითხე ხმას რატომ არ იღებდა და ყოფილი გუნდელების ბრალდებებს ღიად რატომ არ აბათილებდა, რასაც მანამ სატელეფონო საუბრების დროს ენერგიულად და ხალისიანად აკეთებდა. ამ დროს კახიანი დარბაზიდან გავარდა, რუსუდან ჭანტურიშვილიც უკან გაეკიდა, ბაქანიძემ კი - ასე არ შეიძლება, რა უსიამო სცენააო, წამოიძახა და ისიც ქალებს უკან მიჰყვა. ვიფიქრე, სიგარეტის მოსანწვად თუ გავიდა და სულს რომ მოითქვამს, შემობრუნდება-მეთქი, რომ თ. ნადარეიშვილმა მითხრა: - ვერ მიხვდი, ეგეც მაგათთანაა და აღარ დაბრუნდებაო. მან ჩემზე ადრე იაზრა, რა სცენა გათამამდა; წარმოუდგენელ ფაქტს შუბლით შევეჯახეთ: რომ ამ ორგანიზებულ ამბოხს კულისებიდან სწორედაც ჩემი თითქოსდა ყველაზე საიმედო, გულქართლი თანამოაზრე ღირიჟორობდა, რომელსაც იმდენად ვენდობოდი, არაფერს ვუმალავდი, მან კი ჩემი შეხედულებების მიხედვით ყველაფერი წვრილად გათვალა, წევრების პრეტენზიები და მათი ფსიქოლოგიური პროტრეტები დააზუსტა, გუნდის სუსტი წეტილები სათავისოდ გაანალიზა და სწორედაც ამ საეტაპო კრებაზე მიყვლა და მიმუხთლა! ესეც კლასიკური ამბოხი! მე კი ჯიუტად არ მჯეროდა ამ საშინელი ვერაგობის და ბაქანიძეს მობილურზე ვურეკავდი. ეს ტირანი რედაქტორის მხრიდან მაშველი რგოლი იყო, რითაც წევრებს სამშვიდობო მოლაპარაკების შანსს ვთავაზობდი. საქმის მოგვარებისა და ზავის ნაცვლად კი გულმართალმა მეგობარმა კახიან - ჭანტურიშვილთან ერთად ჩაის სახლში გადაინაცვლა და მეტიც, ჩემს ზარს არ უპასუხა! "ბრუტოს, შენც?" ამ საბედისწერო ფრაზის ცხოველმყოფელობამ ყოველმხრივ დამცეცხლა! ბაქანიძის გაუგონარი ლალაბით დამეხილები ერთხანს უსიტყვოდ ვისხედით. მართლაც რამდენმაგი ნიღბით თვალთმაქცობენ ადამიანები?! - ყოველთვის ცხარე ბრძოლა დაგვებდა! სულ ფრონტის ხაზზე ვართ! - მესრიშვილის რეპლიკამ მიმახვედრა, კრიტიკული ვითარების მიუხედავად გადანყვევტილება უნდა მიმელო და მეც უსიამოდ განცვიფრებულ კაცებს ყოფილი წევრების სანაცვლოდ გუნდში დაუყოვნებლი განვევრიანება შევთავაზე, ცხადია, არსებული პირობების გათვალის-

წინებით. გულზე ოდნავ მომეშვა, რომ ბ-ნი ჯემალი უმალ დამთანხმდა, ბ-ნმა ბახტაძემ კი სამშვიდობო მოლაპარაკება ითხოვა, რაზეც მივუგე, რომ მე ეს ნაბიჯი უკვე გადავდგი, მაგრამ ქალები უკანდახევას არ გეგმავდნენ. და მან ჩემი წინადადება მიიღო. საათნახევრის შემდეგ ამბობებულები მეგრეს რომ დაუკავშირდნენ, ახალ მოცემულობას შეეჩვენნენ. მოლაპარაკებების წარმოება ჭანტურიშვილმა ითავა, ბაქანიძე რუხი კარდინალივით კულისებიდან აჩენდა კლანჭებს; ტარანტულივით ჩრდილში ჩასაფრებული სხვების მეშვეობით აყენებდა ულტიმატუმს და თავისი ჭკუით ვითარების გაკონტროლებას აწვებოდა. ვის ვის და მას რა ჰქონდა საპრეტენზიო, როგორც ფავორიტს, ეს ვერავინ გაიგო სანამ ჭანტურიშვილის ფრაზა არ გავაანალიზეთ. მან კამათის დროს აკი პირდაპირ მოგვახალა, რომ არასაკმარისი ფინანსების გამო ჟურნალის გამოცემას ველარ შევძლებდით. ესეც ამბობების გეგმის შიფრის გასაღები, რაც მყარი ფინანსების უქონლობაზე აიგო. ბაქანიძემ მშვენივრად უწყოდა, რომ ამ მხრივ მეგრეს გარდა დანარჩენი მამაკაცები გვარიანად მოიკოჭლებდნენ; ჩემი უახლოესი მრჩეველი ბოლო დროს ამ თემას საგანგებოდ უტრიალებდა. მოთმინებით ვუხსნიდი, რომ მართალია, მამაკაცი წევრები (მეგრეს გამოკლებით) ბოლო დროს თანხის გადახდას აყოვნებდნენ, ყელში ნაჭერის პოლიტიკის ნაცვლად ვალის ნაწილობრივ დაფარვას ვამჯობინებდი (მაილოკი კი არა ვარ, წევრები ფულის გამო ჯვარს ვაცვა!), ამასობაში ემიგრანტებისა და ჩვენი ავტორების მეშვეობით ხარჯს ამ გზით დაფარავდით. ფაქტია, მას ეს გარემოება ხელს არ აძლევდა, რადგან ლიბერალისტების მსგავსად “ისინდში” ფულის დიქტატურის შემოღება განიზრახა და თავის საყრდენად გადახდისუნარიანი ქალები შეარჩია, რომელთაც ჩემთან ცხარედ აძაგებდა, ზურგსუკან კი შეეკრა და ფარულად გაურიგდა. ფული რომ ძალაუფლების მადს ზრდის, ეს არაახალია და რადგან ბაქანიძე ჩვენ შორის ყველაზე შეძლებული გამოდგა, ლიდერობის მიტაცების იდეამ ისე გააბრუა, ჩემი გაკონტროლება-დამორჩილების გეგმა საგულდაგულოდ შეიმუშავა. ეგაა, მოკავშირეების არჩევისას შეცდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, სხვები ჩემ წინააღმდეგ ვერა და ვერ აამხედრა. რის გამოც არასახარბიელო ვარიანტს დასჯერდა. ამ მიზნით დედაქალაქიდან ჩემი ერთწლიანი იძულებითი გადასახლება ჭირვეული წევრების გადაბირების სახით წარმატებით გამოიყენა. მან ამავედროულად ჩემსა და ჩემს მარჯვენა ხელს შორის არსებული დაძაბული ვითარებაც სათავისოდ შეაფასა, თუმცა ამ კოზირის ამოქმედება არ დასცალდა, რადგან ჩემი ლექსის გადამრჩენელი მათ არ მიემხრო. მერე ისევ შემობრუნდა. მისი მხრიდან ამგვარ მერყევ გრადაციებს დასასრული არ უჩანდა ამიტომ წინდანინ ვერავინ განსაზღვრავდა როდის რას მოიმოქმედებდა. არაპროგნოზრებადი ახალგაზრდა წევრისგან მხარდაჭერის კვალდაკვალ რა უსიამოვნებებიც ვინვნი, აკი წერილად უწყოდა, საუბრების დროს ცეცხლზე ნავთს აქეთ მისხამდა. სისტემატურად მეუბ-

ნებოდა, რომ ამ უზრდელო და უტიფარმა ბიჭმა (მას ასე იხსენიებდა) მობილურში ჩემი ნომერი დაუხშო, ამას ჩემ გარდა მეგრესაც უმეორებდა. სხვა ტექნიკურ შეფერხებებსაც მას მიანერდა; ამავედროულად კახიან-იადმი მიძღვნილი ლექსით იმის ინსცენირებაც გაითამაშეს, რომ ეს უკანასკნელი მათ პოზიციას იზიარებდა. მოკლედ, ჩახლართული ინტრიგების მეშვეობით ბევრითად ცდილობდა მარტო დაგრჩენილიყავი რათა სამნი იოლად გამკლავებოდნენ. კრების ფინალმა ცხადყო, რომ ეს ნაუცბათევი აფეთქება კი არა, კარგად გათვლილ-გაანგარიშებული გეგმის სცენარი იყო, რომლის ხორცშესხმა ჩემს ნაცვლად ბაქანიძის ლიდერობას უზრუნველყოფდა. მას ხომ სხვების განეიტრალება ქეიფებითა და ბიჟუტერიით მართლაც მშვენივრად გამოსდიოდა. როდესაც ვ. ბახტაძის, როგორც გამოცდილი პროფესიონალისა და კარგი პიროვნების კანდიდატურა წამოვაყენე, მან პირდაპირ მომიჭრა, რომ ბახტაძე გადახდისუნარო იყო, რის გამოც მისი განწევრიანებისგან თავი შემეკავებინა. ფაქტია, საქმე საქმეზე რომ მიდგა, ჩემგან განსხვებით იგი გავლენასა და ფულის მიღმა ადამიანურ ღირსებას ძალადაც არ აგდებდა! ასევე სასტიკად ილაშქრებდა ჩემი ძველი მეგობრის, ბადრი პატაშურის წინააღმდეგ, რომელიც რაც მართალია და “ისინდის” თამაღობის გარდა სხვა ფუნქციას მართლაც ვერ ითავსებდა, რაც საყოველთაო გაღიზიანებას აძლიერებდა. მზამზარეულ სუფრაზე მოლხენა მაშინაა კარგი თუ საქმეს კეთილსინდისიერად ასრულებ და საკუთარ მოვალეობას არ ივიწყებ, რაც სამწუხაროდ მისი მხრიდან შეუსრულებელი დარჩა. ერთადერთი მამაკაცი, ვისაც ეს ამბობებული მდებრები გარკვეულწილად ეგუებოდნენ, ახალგაზრდა პოეტი იყო და ისიც იმიტომ, რომ მისი წინააღმდეგობრივი დამოკიდებულებით ისევე თვითონ ეხეირათ. სანამ ათას ფრონტზე სისხლს მიშრობდნენ, ისინი ყველაფერს ცხვირწინ შეუმჩნეველად ამაცლიდნენ და დამასუსტებდნენ. ჩემი ყველაზე სანდო მეგობარი და თანამოაზრე მარსიანი შორს იყო და ძალიანაც რომ სდომოდა, ვერაფრით დამეხმარებოდა. მეგრეს კი კულუარული პროვოკაციები გაუჩაღეს, თუმცა ამ ნიადაგზე ჩვენი გადაკიდება ვერ მოახერხეს, რადგან ზრდასრული და კეთილსინდისიერი პროფესორი სამართლიანი და ერთგული პიროვნება გამოდგა, რომელიც ჩემს ფასს კარგად ხვდებოდა და ზურგს მუდამ საიმედოდ მიმაგრებდა, თუმცა ორი კაცის ფინანსებით ჟურნალის გამოცემას თვით ჩემისთანა შუპოვარი მებრძოლიც კი ვერ დაადგამდა თავს; თანაგუნდელი ქალები კი სწორედ ამ აქილევსის ქუსლით აპირებდნენ კედელთან ჩემს მიყენებას, რადგან უფრო ავზნიანი და ბინძური გეგმა, “სახიფათო კავშირების” დრამატული „Love story“-ს სცენარის გათამაშებით არ გამოუვიდათ და ჩემი კომპრომეტირება ვერც ამ მხრივ მოახდინეს! ბაქანიძე ამ აზრს ელოლიავებოდა. ჩემი პროტესტის მიუხედავად ახალგაზრდა წევრს ახალგაზრდა ვერტერს უწოდებდა. ღვთის წინაშე თუ არ შერცხვებათ ამ მოკეთებებს, ვინც ჩემი სიკეთისა და მხარდაჭ-

ერის სანაცვლოდ თავს ამდენი დაუმსახურებელი უბედურება და უსამართლობა დამატებს! ბაქანიძეს სწორედ მაშინ უმტყუნა ნერვებმა, როდესაც გამოვუცხადე, რომ ახალ კრებაზე ყველა არასაიმედო წევრს დავფერთხავდი, ვინც გუნდის ერთგულებას ამერიდან საქმით არ დაამტკიცებდა; რომ ხორნაულის პროტესტის შემდეგ აღარავის ვუხათრებდი. მიხვდა, რომ დაყოვნება აღარ ივარგებდა და დრო იყო, ჩემი ძალაუფლება სათავისოდ შეეკვეცა. ყუთლუ არსლანის ამ უხეირო, თანამედროვე ნაყალბეგმა ვერ გათვალა, რომ მე ულტიმატუმის საპასუხოდ ახალ წევრებს შემოვიმტკიცებდი, პოზიციას უმაღლესად გავიმავრებდი და თვითონ სასურველი ზავის მაგივრად საერთოდ თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. რაც არ გერგება, არ შეგერგებაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი. ბაქანიძეს, რომლის წიგნსაც დადებითად პირველი მე გამოვეხმაურე და როგორც კი ყურადღება მივაქციე, როსტომ ჩხეიძემაც მაშინ დაუნყოფერება, ცნობილ მწერალს ისე უპატიურად ახსენებდა, მასზე საუბარს ვანწყევტინებდი. თავისი ახალი წიგნის რედაქტორადაც შემასახელა, გულში კი იმგვარ გესლს იგროვებდა, ერთი სული ჰქონდა, ყველა საქმეში “გადავედვე!” “და ამას პირმოთნე ღიმილითა და ყალბი ქათინაურებით ორწლიანხვეწის მანძილზე საკუთარი მტაცებლური გეგმის ხორცშესახმელად იყენებდა! ბრავო! ისე ინიღბებოდა, ათასი ინტრიგის ქარცეცხლში გამოვლილი გამაცურა. ჩემზე უფროსი და გამოცდილი კოლეგებიც რომ იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ეს გარემოება ოდნავ შვებასაც არ მგვრის. აკი ერთხელ ვუთხარი კიდეც, ამ შინაომების ფონზე ლაოკოონივით გამოვიყურები-მეთქი რაზეც კმაყოფილებით ჩაეცინა. “გულქართლ, საიმედო წევრს “აშკარად დაავინყდა, რომ იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის. ლალატი ყოველთვის სასტიკ და გაუნელებელ ტკივილს ჰგვრის მას, ვისაც ამგვარი ქცევა თავად არ მოსდგამს... ამ კრების კიდეც ერთი პარადოქსი ერთი “დეტალი” გამოდგა: ფოტოსესიისთვის მომზადებულმა მეგრემ უეცრად კუთხეში საცოლესთან ერთად მობაასე პატაშური შენიშნა, რომელიც კაფეში მაშინ შემოსულყო, ქალების ამბოხში ჩართულები საქმეს რომ ვარჩევდით. არადა, შენობის განლაგებიდან გამომდინარე, ის გვერდს ვერაფრით აგვივლიდა, ძალიანაც რომ სდომოდა; (კაფე ერთადერთი ოთახისგან შედგება) თვითონ რომც “დაბრმავებულიყო”, მისი ქ-ნი დაგვინახავდა, რომელიც ადრე დიდი ამბით გამაცნო. კახიანის დებოშს ყურს ვერც ვერავინ მოუყრუებდა და ფაქტი ლალადებდა, პატაშური კრების მსვლელობის და არც მისი დამთავრების შემდეგ ჩვენთან არ მოსულა, რაც რბილად რომ ვთქვათ, გუნდის წევრის მხრიდან უცნაური საქციელი იყო. რატომ?! წევრები თავიდანვე მიეჩვივნენ ყველაფერზე პასუხისმგებლობა მე, რედაქტორს ამელო, თვითონ კი მხოლოდ აღიარება და დროსტარება რგებოდათ წილად. ბოლოს ფოტოსესიაში მონაწილეობის შემდეგ ვითარება მოკლედ ავუხსენი, ორი დღის შემდეგ ვალად დარჩენილი 50 ლარი მოიტანა და შეწუხ-

ებულმა დასძინა: - იმ ორი ქალის არ მიკვირს, მაგრამ ბაქანიძე ასე რატომ მოიქცა, სერიოზული პიროვნების შთაბეჭდილებას ტოვებდა, თან სულში იძვრენდი, მითუმეტეს მაშინ, როდესაც გუნდმა ამხელა საერთაშორისო წარმატებას მიაღწიაო. ფაქტია, ჩემი მამაკაცი კოლეგები ვერაფრით მიხვდნენ, რომ სწორედაც მყარმა წინსვლამ გააბედინა კულისების დირიჟორ ბაქანიძეს, “ისინდი“ მზამზარეულად გადაებარებინა და თავისი მომხრეებით პირველობა უზრუნველყო, შემდეგ ამ ქალებსაც ისე მოიშორებდა და თავის სადაქალოს წევრებს ჩაანაცვლებდა, (თავისი საახლობლოდან შვილის გარდა არაფრით არ გაგვაცნო არავინ! მისმა სიმპატიურმა ასულმა კი გულახდილად მითხრა, რომ დედამისი ყველგან არცხვენდა. ახლა მესმის, ახლობლებს ჩვენთან რატომ არ აჭაჭანებდა!) ეს დოღრილა და არც თუ დიდი გამჭრიახობით გამორჩეული ამბოხებულები ამ ვერაგი გულქართლი ობობას ხრიკს ვერც კი გაიაზრებდნენ, გარეთ ისე გასვამდა! ძლიერი გუნდის ლიდერობა სასურველია, როცა შენს ნაცვლად სხვები ოფლს ღვრიან და შენ მათ იმსახურებ და იყენებ თორემ სუსტი და ფეხზე დასაყენებელი გაერთიანება ამ ნებიერ ქალბატონს სადავიდარაბოდ როდი ნებავდა! ძაღლის თავი სწორედ ამგვარ ხორცმეტობაში მარხია, როდესაც სხვისი შრომის ხარჯზე აღზევება უშრომველად მოინადინეს; ბაქანიძემ დეკაბრისტების ლოზუნგი ააფრიალა, რომლის თანახმადაც მათ საქართველო უქართველებოდ ნებავდათ და ამ განათლებულმა გერამანისტმა სკვითური გაქანებით ჩემს სისხლზე დამყნობილი “ისინდის“ მიტაცება და მართვა უჩემოდ მოინადინა. მე ხომ დაულალავი გარჯით უურნალი მყარ რელსებზე დავაყენე და დრო იყო, შავი საქმის შემსრულებელი მავრი სცენიდან გასულიყო. მამაკაცი კოლეგები კი დაულალავად მიმორებდნენ ამგვარი უსამართლობისთვის უპირველესად ბაქანიძისთვის მომეთხოვა პასუხი - მას რა დააკელით? ყველაფერს უსრულებდით და თვითონაც ყოველთვის მხარს ისე გიჭერდათ, ეს მაღიზინებდაო, მოგვიანებით კვლავ შემორიგებულმა გ. შიშნიაშვილმა რომ განმიცხადა, (ან მას რა დავაკელი?!) გავაცნობიერე, პასუხს მკაცრად რომ არავის ვთხოვდი და მათი უმსგავსობის საპასუხოდ დიდსულოვნებას ვავლენდი, ჩემდამი პატივისცემა და რიდი ამიტომ შეუსუსტდათ და შედეგმაც არ დაიგვიანა! უძველესი გამოცდილების გაუთვალისწინებლობამ დამცადა, რომლის თანახმადაც ადამიანების უმრავლესობა შიშის გარდა სხვა სიდიდეს არ ცნობს და არ ემორჩილება! ესენი ერთდროულად ამიტომ ამიჯანყდნენ და გადამიდგნენ! მე იმ ადამიანების უცვლელ სამიზნედ ვიქციე, ვისაც ვენდე და ვისაც მუდამ ხელს ვუწყობდი, ვენმარებოდი და გზას ვუკაფავდი! მათ კი მადლიერების სანაცვლოდ ომი გამომიცხადეს. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ მეტ ტკივილსა და იმედგაცრუებას მომიტანდა! მხოლოდ თემურ ნადარეიშვილი და ახალგაწევრიანებული მენრიშვილი დარჩნენ მყარ პოზიციაზე, რომელთაც მოგვიანებით გ. შიშნიაშვილი და ბ-ნი ვ. ბახტაძე შემოუერთდნენ. პატა-

შურმა კი ჩემთან პირდაპირი კავშირი განწყვიტა, რითაც მაგრძობინა, რომ მისთვის თურმე ვერაგი წევრებით დაკომპლექტებული გუნდი ყოფილა ძვირფასი. რატომ ეშმაკს არ გაეცინება! არადა, შარშანწინ მას სამწერლო სივრცეში ხანგრძლივი სტაგნაციის შემდეგ ხელი კვლავ მე გავუწოდე, საზოგადოებას გავაცანი, გუნდში უპირობოდ შემოვიყვანე და ვენდე, გავაპიარე, მან კი კარანტინის დროს ერთხელაც არ დამირეკა და ძნელბედობისას, მსოფლიო ქარტეხილების ბოხოქრობის ფონზე ხმა ზრდილობისთვისაც კი არ მომანვდინა, არ დაინტერესებულა ძველი მეგობარი როგორ ვიყავი. ამგვარი მოცემულობის ფონზე რაღაზეა საუბარი?! ან საერთოდაც, დაუსრულებელი ვენბათაღლევის საპირწონედ სინამდვილეში ვის უნდა ენდოს ეროვნულ საქმეს შეჭიდებული მწერალი თუ არა თანამოაზრეებსა და თანაგუნდელებს?! ვაგლახ, რომ ჩვენში ეროვნული საქმის ერთსულოვნად გაძლოლა და დაცვა მადლიერებისა და დაფასების სანაცვლოდ მუდამ აურაცხელ უსიამოვნებას გადაგყრის და მოკეთეს მტრად გადაგიქცევს. ეს ქართლის ჭირის აღმოუფხვრელი სენი დღემდე მოურჩენლად გვლრნის და სისხლს გვინამლავს! მარტის დასაწყისში, როდესაც გ. შიშნიაშვილმა შემორიგებისთანავე მითხრა, რომ საჯაროდ ჩემს გვერდზე დამედასტურებინა, რომ ის, როგორც “ისინდის” ვირტუალური გვერდის დამაარსებელი და უცვლელი მმართველი გვერდის მუშაობას განაახლებდა (ორჯერ გაჩერებულ გვერდს ავად თუ კარგად მე ვუვლიდი, თუმცა მას რომ სხვა პიროვნებით არ ჩავანაცვლებდი, ეს არაერთხელ აღვნიშნე. ბაქანიძე კი ახალი მმართველის მოყვანას მირჩევდა). ამას მერჩინა, ახალი გვერდი დამეარსებინა, რადგან სხვისი ნაშრომით სარგებლობა ჩემი სტილი არ არის! ამის განმაურებიდან მეოთხე დღეს ვირტუალური გვერდი თვალსაწიერიდან გაქრა. ის უბრალოდ აღარ არსებობდა. ტექნიკური ტერმინი-დაბლოკვა ან ნაშლა საქმის არსს არ ცვლიდა. ფაქტია, ჩვენი ტექნიკური საქმეების მმართველის უკან დაბრუნება მავანთ იმდენად ემცხეთათ, კიბერშეტევამ არ დააყოვნა! გვერდი, რომელიც ორი წელი ფუნქციონირებდა და წინააღმდეგობის მიუხედავად ხელშეუხებელი იყო, “ისინდის” გვერდის დამაარსებლის დაბრუნებისთანავე გააქრეს! ამგვარი კიბერთავდასხმა კი ცხადია, მხოლოდ იმათ სჭირდებათ, ვინც “ისინდისადმი” მტრულადაა განწყობილი და ვისაც ჩემი მეთაურობით ჩვენი ერთიანობა და წარმატება გულზე ეკლად ესობა. დანაშაულს ანატომია მუდამ ცალსახად ღაღადებს, რომ მოტივი: ვინ, რისთვის და რატომ რას სჩადის, ყველა კითხვას პასუხს სცემს და თვალსაწიერზე იმ ადამიანებს შემოწერს, ვინც საფუძვლიანადაა დაინტერესებული ძლიერი დარტყმა მოგვაყენოს და საამისოდ ძალას არ ზოგავს. ამას რომ უცხოპლანეტელები ან ინდიელები არ ჩაიდენდნენ, წყალი არ გაუვა. გონებაგამჭრიახი მკითხველები და კოლეგები კი თავა-

დაც მიხვდებიან, ჩვენი მწყობრიდან გამოყვანა და “დაძირვა” ხელს რეალურად ვის აძლევს, რასაც სანამ პირში სული მიდვას, ვერასდროს ელირსებიან! სიმართლე არასდროს დაიმალება და ყველას საკადრისი პასუხი გაეცემა თავდახმების, ღალატისა და სხვა სახის მტრული გამოხდომების გამო, მთავარი სიმართლეა, რომელიც სიყალბეს მუდამ ამარცხებს. “ისინდის” ისტორია კი სწორედ ამის მტკიცებულებაა, ვინ ვინაა, რას გაუძლო და ჩვენი ჟურნალის ისტორიაში თავი როგორ გამოიჩინა თუ პირიქით.

დიდ საქმეს მუდამ თან ახლავს დაძაბული დაპირისპირება და უთვალავი დაბრკოლება. ეს ნიშნავს, რომ ძლიერი ხარ და მტერი ასე გააფთრებით ამიტომ გებრძვის. ჩვენი კი ღვთის წყალობით გამარჯვება დაგვებედა. წინ ისინდი! ნიშნავს, რომ ნამდვილი ისინდელები შეუჩერებლები ვართ და ეროვნულ მწერლობას მუდამ განუხრელად დავიცავთ. “გმუშაობდი რა სიყვარულით და სრული უანგარობით, არ ველოდი არავისგან არც ჯილდოს, არც ნახალისებას, პირიქით, გადავიტანე ბევრი გასაჭირი და უსიამოვნება პირებისაგან, რომელნიც გვერდში უნდა ამომდგომოდნენ და გავემხნეებინე...” ეს გულმდულარე სიმართლე, სახელგანთქმულ მეცნიერსა და ერისკაცს, ალექსანდრე ხახანაშვილს ეკუთვნის, რაც სამწუხაროდ დროგამძლე, ქართულ აქსიომად იცა და რა გასაკვირია, ჩემზე, როგორც ეროვნული მწერლობის მესტიყვესა და დამცველზე ისე ვრცელდებოდეს, როგორც ჩემს თვალსაწიერს, თავდადებულ წინამორბედებზე ვრცელდებოდა. სწორედ მათ გვიჩვენეს გაუტყხელობის საუკეთესო მაგალითი, რასაც არასდროს გადავუხვევ რათა მომავალი თაობები დარწმუნდნენ, ისინდელობა რაოდენ საპატიო და საამაყო მოვალეობაა და უწინარესად ეროვნული კულტურის გაფრთხილება და განვითარებას გვაავალდებულებს. ყველაზე მეტად ჩვენს მრავალჭირგამოვილილ სამშობლოს ნანატრი, ნამდვილი დამოუკიდებლობა განუმტკიცოს და მომადლოს!

და ბოლოს, ამ ურთულესი პერიპეტეიების დაძლევის შემდეგ რომ მეტად გავძლიერდებით, დავწინაურდებით და მტერ-მოყვარეს დაუზარლად დავუმტკიცებთ, რომ “ისინდი” არა მხოლოდ დაარსებიდან სამი წლისთავზე, არამედ ყოველთვის სათანადო სიმაღლეს შეინარჩუნებს, რადგან მარადიული ისინდელებისათვის შეუპოვარი ბრძოლა ყველაზე მეტად ჟურნალს მეტად აკაყვებს და აწრთობს! ასე რომ წინ ისინდი! მუდამ ძალაშია!

31. 05. 2020.

როლანდ თოფჩიშვილი

**ოსაპი ისტორიულ და თანამედროვე  
საქართველოში**

წინამდებარე მცირე მოცულობის წიგნი საქართველოში ოსთა მიგრაციასა და ქართულ-ოსურ ურთიერთობებს ეხება, რომელშიც ძალიან მოკლედ, კონსპექტურად არის გადმოცემული აღნიშნული პრობლემა. ოსურ პრობლემაზე უკანასკნელი ორი-სამი ათეული წლის განმავლობაში ბევრი სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფია და კრებული გამოქვეყნდა, მაგრამ ისტორიის გამყალბებლები და ეთნოცენტრისტული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები თავიანთ „პოზიციაზე“ არიან – მათთვის ხომ არც წერილობითი წყარო, არც არანაირი სხვა საბუთი არ არსებობს. არც არავის უნდა ჰქონდეს იმედი, რომ ოდესმე რეალურ ისტორიას აღიარებენ, რადგან იმპერიის პოლიტიკური წრეებისაგან არიან ნაქეზებული. რეალური წარსული კი ყველა ჩვენმა თანამემამულემ და დაინტერესებულმა უცხოელმა უნდა იცოდეს. საქართველო მონოეთნიკური ქვეყანა არასოდეს ყოფილა. ეთნიკურად ქვეყანა განსაკუთრებით აჭრელდა რუსეთის კოლონიად გადაქცევის შემდეგ (1801 წელი). სხვადასხვა ეთნოსთა საქართველოს ტერიტორიაზე დასახლება ცარიზმის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი იყო. რუსეთის იმპერიისათვის არაფერს წარმოადგენდა ხალხთა საკუთარი მიწა-წყლიდან აყრა და სხვათა ტერიტორიაზე გადასახლება. ამავე დროს, მეფის რუსეთი ადგილობრივ მოსახლეობას ერთი ადგილიდან მეორეზე დასახლების ნებას არ აძლევდა და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ მათ დაეტოვებინათ წინაპართა საცხოვრისი (ამ შემთხვევაში აფხაზთა და ქართველ მუსლიმთა ოსმალეთში გადასახლების მაგალითიც იკმარებს). საქართველოში ქართველთა პროცენტული რაოდენობა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მუდმივად იკლებდა. XIX საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოს მთელი მოსახლეობის 90%-ს თუ ქართველები წარმოადგენდნენ, 1939 წლისათვის მათი პროცენტული რაოდენობა 61-მდე დავიდა. XIX საუკუნეში ცარიზმმა საქართველოში ეთნიკური სომხები და ბერძნები გადმოსახლა ოსმალეთის იმპერიიდან, აგრეთვე რუსები, გერმანელები... უფრო ადრე საქართველოში მკვიდრობდნენ სომხები (ძირითადად ქალაქებში. სომხებში ორი ფენა გამოიყოფოდა: ა) მიგრირებულები და ბ) ქართველი მონოფიზიტები, რომლებიც ასევე სომხებად იწოდებოდნენ. ორივე ფენისათვის დედაენას ქართული წარმოადგენდა. მათი წიგნისა და დოკუმენტების ენა ქართული იყო); ებრაელები (ეს უკანასკნელნი თავს „ქართველ ებრაელებს“ უწოდებდნენ. ქართველ ებრაელთა ადგილობრივი მოსახლეობისაგან განმასხვავებელი მხოლოდ რელიგია იყო); თათრები (ასე იწოდებოდნენ თანამედროვე აზერბაიჯანელების წინაპრები. ბორჩალოელი თათრები საქა-



რთველოს სახელმწიფოს ღირსეული მოქალაქეები იყვნენ. მტრების შემოჭრის დროს ქართველ მეფეთა მონოდებაზე ერთ-ერთი პირველი ებმებოდნენ ბრძოლაში. განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს მათ ერეკლე მეფის დროს. ცნობილია ქვეყნისათვის თავდადებული მებრძოლის სახელიც; ეს იყო ხუდია ბორჩალოელი – ფაქტობრივად, საქართველოს ეროვნული გმირი); აფხაზები და ოსები. სანამ ჩვენს თემას – საქართველოში ოსთა მიგრაციისა და ქართულ-ოსურ ურთიერთობებს შევხებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები რუსეთის იმპერიის მიზანმიმართულ ქმედებამდე მხოლოდ და მხოლოდ კეთილმეზობლური იყო, რა თქმა უნდა, მხედველობაში თუ არ მივიღებთ ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლების წინადროინდელ თარეშებს. საერთოდ, საქართველოს ხანგრძლივმა ისტორიამ არ იცის არც ერთი შემთხვევა არა მხოლოდ ეთნიკური კონფლიქტისა, არამედ რაიმე ეთნიკური დაპირისპირებისა ქართველებსა და საქართველოში მცხოვრებ სხვა ეთნოსებს შორის. საქართველოში ეთნოსთა შორის დაპირისპირება მხოლოდ რუსეთის იმპერიის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად გაჩნდა და მან თავი მხოლოდ XX საუკუნეში იჩინა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები რომ კეთილმეზობლური იყო, ეს კარგად ჩანს იმ საქორწინო ურთიერთობებიდან, რომელიც ამ ხალხებს შორის არსებობდა. ინტეგრაცია განსაკუთრებით შორს იყო წასული აღნიშნულ ეთნოსთა საკონტაქტო ზოლში. (ახალი გვერდიდან) ბოლო ორი-სამი ათეული წლის მანძილზე მიზანმიმართულად ხდება საქართველოში ოსთა გადმოსახლების ისტორიის

დამახინჯება, რაც თავიდანვე იგრძნობოდა – ის იმპერიის გარკვეული ძალების მიერ იყო პროვოცირებული. აქედან გამომდინარე, გარკვეულ სიბრაღულს იწვევდა იმ ოსი „ბოევიკების მოქმედება, რომლებიც ქართველთა წინააღმდეგ იბრძოდნენ, რომლებსაც ბავშვობიდან აგონებდნენ, რომ „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორია ოსთა განსახლების უძველესი არეალია და, რომ, თურმე, ყველაფერში დამნაშავე ქართველი ფეოდალები იყვნენ (საბჭოთა პერიოდში მხოლოდ კლასობრივი მტრის ლანძღვა შეიძლებოდა), რომლებიც ოსებს ბატონებად მოევიდნენ; შემდეგ კი სალანძღავად ქართველი სოციალ-დემოკრატები („მენშევიკები“) იქცნენ, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიას ბოლშევიკთა მიერ ნაქეზებული აჯანყებული ოსებისაგან იცავდნენ. ბოლშევიკთა მიერ პროვოცირებულ ამბოხს საქართველოს ხელისუფლებამ 1920 წელს სათანადო პასუხი გასცა 4 – დაიცვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. ამას კი ოსი ავტორები ოსთა გენოციდს უწოდებენ და რუსეთის დუმას „ოსთა გენოციდის“ აღიარებისაკენ მოუწოდებენ. სანამ უშუალოდ შევეხებით ოსთა საქართველოში მიგრაციის ნამდვილ თარიღს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ორი რამ: 1. ბოლო წლებში ოსი ისტორიკოსების მიერ დასახელდა სხვადასხვა თარიღი საქართველოში ოსთა გადმოსახლების შესახებ. ერთთა „მტკიცებით, ეს მოხდა ხუთი ათასი წლის წინ (ნაფი ჯუსოითი), ხოლო უფრო ზომიერნი მიგრაციის პერიოდად XIII–XIV საუკუნეებს ასახელებდნენ. მესამე კატეგორიისანი კი აღნიშნულ ორ ძალიან დაშორებულ თარიღს შორის სხვადასხვა ქრონოლოგიურ პერიოდს გვთავაზობდნენ. ბოლო წლებში მითოლოგიების შექმნით განსაკუთრებით გამოიჩინა თავი საბჭოთა ისტორიკოსმა მარკ ბლიევმა, რომლისთვისაც, შეიძლება ითქვას, რომ საისტორიო წყარო არც არსებობს, ან, თუ არსებობს, იმ ინტერპრეტაციით, როგორც მას ეს წარმოუდგენია. მარკ ბლიევის მიხედვით, თურმე ადრე შუა საუკუნეების ქართლის (იბერიის) სამეფო სხვა არაფერი იყო, თუ არა ქართულ-ოსური კონფედერაცია. უფრო შორსაც კი მიდის ზოგიერთი მეზღაპრე და საბჭოთა პერიოდის „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიას „სარმატიას“ უწოდებს. ნებისმიერი ისტორიკოსისათვის კავკასიონის ქედის სამხრეთისათვის „სარმატიის“ წოდება, ალბათ, გამოგონებული იქნება. უფრო მეტიც, უკვე რამდენიმე წელიწადია საქართველოს ცენტრალური ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის ქართლის ნაწილს – შიდა ქართლს ახლა ალანის სახელით მოიხსენიებენ. 2. ყველა დამეთანხმება, რომ ეთნიკური კონფლიქტების მოსაგვარებლად ისტორიას მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს – ხალხი, რომელიც ცხოვრობს გარკვეული ეთნოსის ტერიტორიაზე, ქვეყნის სრულყოფილებიანი წევრი უნდა იყოს (ასეც იყვნენ ოსები საქართველოში ცხოვრების პერიოდში). პოსტსაბჭოთა სივრცეში წარმოქმნილი ქარ-

თულ-ოსური დაპირისპირება რომ სინამდვილეში კლასიკური ეთნიკური კონფლიქტი არ ყოფილა და რომ ის პროვოცირებული და მართული იყო რუსეთის იმპერიული ძალების მიერ, ეს კარგად წარმოაჩინა სწორედ ისტორიული თემატიკის ზედმეტმა შემოტანამ, რაც დააგვირგვინა ჯერ – 2004 წელს რუსეთის დუმის განცხადებამ და ბოლოს – მაღალი სახელმწიფო თამამდებობის პირების განცხადებებმა. ამ განცხადებების შინაარსი კი ასეთია: რუსეთმა ჩრდილოეთი და სამხრეთ ოსეთი ერთად შეიერთა 1774 წელს, ე. ი. „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოს შემადგენელი ნაწილი არ ყოფილა. მიზანი ცხადია: იმპერიულ ძალებს სურთ საქართველოს ტერიტორიების მიტაცება დააკანონონ – ამ შემთხვევაში ოსები მხოლოდ იარაღად არიან გამოყენებულნი, არც ეთნიკური ოსისა და არც ეთნიკური ქართველის ბედი იმპერიას არ ალღევენ. აღნიშნულ პრობლემას ქვემოთ მოკლედ კვლავ დავუბრუნდებით. ახლა რეალურ ისტორიას შემოგთავაზებთ. ის კი ასეთია: ისტორიკოსთა შორის ეჭვს არ იწვევს, რომ ოსები ირანულენოვანი ალანების უშუალო შთამომავლები არიან, თუმცა ოსთა საბოლოო ფორმირება კავკასიის მთებში მოხდა ადგილობრივ კავკასიელებთან შერევის შედეგად. ასეთი კონტაქტები ალანებს უფრო ადრე სხვა ეთნოსებთანაც ჰქონდათ, მაგალითად, თურქული და მონღოლური მოდგმის ხალხებთან. ირანულენოვანი ალანების ეთნოგენეზი შუა აზიის ტერიტორიაზე მოხდა (თოფჩიშვილი 2008). ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია, რომ პირველად ისინი ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნის ჩინურ წყაროებში არიან მოხსენიებულნი (ალემანი 2003). ამ წყაროთა თვალსაწიერი კი კასპიის ზღვის აღმოსავლეთ მონაკვეთს არ სცილდებოდა. კლასიკურ ავტორთა თვალსაწიერში კი ალანები ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში ჩნდებიან, მას შემდეგ, რაც ევრაზიის სივრცის ევროპულ მონაკვეთში დაიწყეს მომთაბარეობა და გამოცალკევდნენ აზიელი ალანებისაგან. ოსთა წინაპარი ალანების შესახებ მონაცემები, რაც კი მსოფლიოს სხვადასხვაენოვან საისტორიო წყაროებში არსებობს, თავმოყრილია კატალონიელი ავტორის – აუგუსტი ალემანის წიგნში და მასში დაინტერესებული მკითხველი ნახავს, რომ საქართველოს სიახლოვეს მთელი ადრე შუა საუკუნეების განმავლობაში ალანები (ოსები) არ მკვიდრობდნენ. მათი სამომთაბარო არეალი ევრაზიის სივრცე იყო (წყაროები განასხვავებენ ერთმანეთისაგან აზიელ და ევროპელ ალანებს). ოსთა წინაპარი ალანები საქართველოდან ძალიან შორს ცხოვრობდნენ (თოფჩიშვილი 2008). თუმცა V საუკუნეში ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალს ოსებმა და გასტაცეს. ცოტა ხნის შემდეგ ვახტანგ გორგასალმა ჩრდილოეთ კავკასიაში ილაშქრა, ოსები დაამარცხა და ტყვეობიდან და გამოიხსნა. X საუკუნის არაბი ავტორის იბნ-რუსთას ცნობით, მაშინ დარიალიდან ალანთა) ოსთა განსახლებამდე ათი დღის ფეხით

სავალი იყო (თოფჩიშვილი 2008: 46-47), ე. ი. მათი განსახლება ჩრდილოეთ კავკასიის მთისა და მთის-ნინეთიდან საკმაოდ შორს, ამ რეგიონის დაბლობში, სტეპებში არსებობდა. ალან-ოსების ისტორიაში მეორე, სამწუხარო, ეტაპი იწყება XIII საუკუნიდან. მონღოლთა შემოსევების შემდეგ, ხანგრძლივი წინააღმდეგობის მიუხედავად, დამარცხებულმა ალან-ოსებმა დაკარგეს არა მარტო სახელმწიფოებრიობა, არამედ განსახლების არეალიც. XIII-XIV საუკუნეებში სტეპებში მცხოვრები ალან-ოსები მთიელებად იქცნენ. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ ალანების ნაწილი მთიელებად უფრო ადრეც – ადრე შუა საუკუნეების შემდეგაც იქცა. ჰუნთა შემოსევების შემდეგ ისინი არა მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის ბარის მკვიდრები გახდნენ, არამედ დასახლდნენ კავკასიის მთიანეთის დასავლეთ ნაწილში – თანამედროვე ყარაჩაისა და ბალყარეთის ტერიტორიაზეც. სწორედ აქ, დიდი ზელენჩუკის ხეობაში არსებობდა ბიზანტიელთა მიერ დაარსებული ალანის ეპარქია (გუდაკოვი 2007: 104-105), რომელიც ბიზანტიელებმა მონღოლთა შემოსევების შემდეგ გააუქმეს, რადგან ხალხი ისევ მომთაბარე ცხოვრებას დაუბრუნდა (გოილაძე 2018: 163). ამ ფაქტზე ყურადღების გამახვილება იმიტომაც გვიხდება, რომ ოსი „მკვლევარები“ დაჟინებით ალანის ეპარქიაში შემავლად შიდა ქართლის ტერიტორიასაც აცხადებენ, თუმცა, ბუნებრივია, მათ ამის დამადასტურებელი არცერთი წყარო არ გააჩნიათ. გვიანი შუა საუკუნეების დიგორელი ოსები სწორედ ძველი შემოსახლებული ალანების შთამომავლები არიან (ჩრდილოეთ კავკასიის მთებში მცხოვრები ოსები საერთოდ ოთხ საზოგადოებად, თემად ცხოვრობდნენ. ის ქართველთაგან გავრცელდა. ამ ეგზოთნონიმით ოსებს, ქართველთა გარდა, ფაქტობრივად, არავინ იცნობდა. დღეს ოსი მეცნიერები ცალკე გამოყოფენ „თუალებს“, ანუ თუალთაში მცხოვრებ ოსებს. თუალთა კი სხვა არაფერია, თუ არა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე დვალეთი, სადაც ქართველი მთიელი დვალეები მკვიდრობდნენ. ისინი ექვს თემად ცხოვრობდნენ და განსახლებულნი იყვნენ ჟღელის, ზრამაგის, ნარას, ზროგოს, ზახას, კასრის ხეობებში. XX საუკუნის მეორე ნახევარში დვალეთს ოსმა მეცნიერებმა „ცენტრალური ოსეთი“ უწოდეს. XIII-XIV საუკუნეებში, როგორც აღვნიშნეთ, ხდება ალან-ოსების ბინადრობის ადგილის კიდევ ერთხელ შეცვლა. ჩრდილოეთ კავკასიის მთებში შესული ალან-ოსები ადგილობრივ კავკასიურ ტომებს შეერივნენ. ესენი იყვნენ ქართული წყაროების „კავკასიანნი“ და ინგუშთა წინაპარი ტომები. ოსების ადრინდელი საცხოვრისი ჩრდილოეთ კავკასიის ბარში ყაბარდოელებმა დაიკავეს და მთიდან ბარში გამოსასვლელ ადგილებში შექმნეს მტკიცე სიმაგრეები, რათა მთებში შერევილი ოსები ჩრდილოეთ კავკასიის ბარში საცხოვრებლად აღარ გასულიყვნენ. მათ მიგრაციას ბარიდან მთაში ტო-

პონიმების გადატანაც კი მოჰყვა. XIII-XIV საუკუნეებიდან მოყოლებული, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ოსებს რაიმე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი არ ჰქონიათ; არ ჰყოლიათ საერთო მმართველი. ისევე, როგორც კავკასიის სხვა ეთნოსთა უმეტესობა, ოსებიც აქ ხეობებში ერთმანეთისაგან განცალკევებით, ტერიტორიული თემების სახით ცხოვრობდნენ. სამხრეთისაკენ ოსთა მიგრაციას ქვემოთ დავუბრუნდებით. ამჯერად კი მათ რუსეთთან ურთიერთობას და ჩრდილოეთ კავკასიის მთისნინეთსა და ბარში მიგრაციის საკითხს უნდა შევეხეთ. რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რუსულ-ოსური ურთიერთობები XVIII საუკუნის შუა ხანებიდან განმტკიცდა. ოსების დიდი ნაწილი რუსეთზე იყო ორიენტირებული და არაერთხელ მიმართავდნენ რუსეთის ხელისუფლებას, მიელოთ ისინი ქვეშევრდომებად. პირველად აღმოსავლეთ ოსეთის უხუცესებს ასეთი თხოვნით 1770 წლის 7 დასანყისში ყიზლარის კომენდანტისათვის მიუმართავთ. თავის მხრივ, რუსეთი ოსეთის შეერთებით დაინტერესებული იყო, რადგან ოსურ ხეობებს სამხრეთ კავკასიასთან დასაკავშირებელი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდგომარეობა ეკავათ. ოსეთის რუსეთთან შეერთების პროცესი ქუჩუკ-კაინარჯის ზავის დადების შემდეგ დაიწყო. ცნობილია, რომ აღნიშნული ზავით რუსეთის მფარველობაში შევიდა ყაბარდო. სამშვიდობო ხელშეკრულებაში ოსეთი საერთოდ ნახსენები არ იყო. ეს ბუნებრივია, ასეთი ქვეყანა, სახელმწიფოებრივი ერთეული იმ დროს არ არსებობდა. დღევანდელი რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეები კი პირიქით აცხადებენ. არ არსებობს არც ერთი საბუთი, დოკუმენტი, რომელშიც ნახსენები იქნებოდა რაიმე ფუნქციის მატარებელი ოსური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. მით უმეტეს, არ არსებობს ორი ოსეთის ერთიანობის დამადასტურებელი საბუთი. საერთოდ არ არსებობდა ისეთი ცნებები, როგორცაა: „ჩრდილოეთი ოსეთი“ და „სამხრეთი ოსეთი“. XVIII საუკუნის ბოლოსთვისაც და შემდეგაც ორი ოსეთის, როგორც სახელმწიფოებრივი ერთეულის არსებობა და, მით უმეტეს, ერთიანი ოსეთის და თანაც სახელმწიფოს არსებობა, სრული ნონსენსია. თუ ოსეთის სახელმწიფო არსებობდა რუსეთის შემადგენლობაში შესვლის სურვილით, ასტრახანის გუბერნატორს 1774 წელს რატომ მაინცდამაინც ოსთა „ჩენილები“ (ხალხის არჩეულები) და არა სახელმწიფოს მეთაური ან მისი ელჩი არ ეწვია? ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებაში მხოლოდ ყაბარდოზეა საუბარი და არა ე. წ. ოსეთზე. მაშინ ოსები მხოლოდ ყაბარდოზე ფორმალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. საბჭოთა პერიოდის საისტორიო გამოკვლევებშიც ხომ ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ჩრდილოეთ ოსეთის ოთხი ხეობიდან (საზოგადოებიდან) მხოლოდ სამი შევიდა ფორმალურად რუსეთის დაქვემდებარებაში (ჩრდილოეთ კავკასიის... 1988: 422-449; ბლივი 1990:

44–45). ოსების ძირითადი მიზანი ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა ველებში სამოსახლო ადგილების მოპოვება იყო. ამის შემდეგ კი იწყება ოსთა ინტენსიური მიგრაციული პროცესი ჩრდილოეთისაკენ, რაც განსაკუთრებით ინტენსიური XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან გახდა. მიგრაციის ამ მიმართულებამ ოსების სამხრეთისაკენ, ანუ საქართველოს ტერიტორიაზე მიგრაცია ფაქტობრივად შეაჩერა, თუ არ ჩავთვლით დვალეთში მცხოვრებ ოსებს, რადგან მათი განსახლების არეალი გეოგრაფიულად უფრო საქართველოსთან იყო დაკავშირებული, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიასთან. რაც შეეხება საქართველოში – დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში – მცხოვრები ოსებს, ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებას დიდხანს უნევდნენ წინააღმდეგობას. თუ ჩრდილოეთ კავკასიის მთებში მცხოვრები ოსები რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლისაკენ მიისწრაფოდნენ, ამას ვერ ვიტყვით საქართველოს შიდა ქართლის მთიანეთსა და დვალეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში მცხოვრებ ოსებზე – ისინი გარკვეული ხნის განმავლობაში საქართველოს სამეფო დინასტიის – ბაგრატიონების ერთგული რჩებოდნენ და ამ უკანასკნელთა ორგანიზებულ აჯანყებებშიც მონაწილეობას. საბჭოთა პერიოდის ისტორიკოსები, და ახლაც ოსი მეცნიერები, ოსების ცარიზმისადმი დაუმორჩილებლობას ქართველ ფეოდალებთან ბრძოლად აცხადებენ, ე. ი. გამოსვლებს კლასობრივი ბრძოლის საფარველში ხვევდნენ. სინამდვილეში, როგორც იმდროინდელი რუსული დოკუმენტები გვიდასტურებენ, შიდა ქართლსა და დვალეთში მცხოვრებ ოსებს ცარიზმის ხელისუფლებასთან ჰქონდათ ბრძოლა და ამ ბრძოლის სათავეში ხშირად ქართველი ბატონიშვილები და ფეოდალები იდგნენ. ოსებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1804 წლის მთიულთა აჯანყებაში. 1804 ოქტომბერს ოსებმა როკის გადასასვლელთან თითქმის მთლიანად გაანადგურეს რიშკინის პოლკი (10 ოფიცერი, 600 „სალდათი“). ამ პოლკიდან ცოცხლად მხოლოდ დატყვევებული „სალდათები“ გადარჩნენ. მთიულთა აჯანყების ჩაქრობის შემდეგ რუსებმა მთლიანად გადაწვეს ჟამურის ცხრავე სოფელი და სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ, მთავარმართებელ ციციანოვის ბრძანებით, სამი დღის განმავლობაში ანგრევდნენ საგვარეულო კოშკებს. შენიშნულია, რომ XIX საუკუნის პირველ სამ ათეულ წელს რუსული მმართველობა შიდა ქართლის მთიანეთსა და დვალეთში მხოლოდ და მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. სისხლიმღვრელი შეტაკებები იყო რუსულ ჯარს და პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრებ ოსებს შორის 1810 წლის ბოლოსაც, რომლის დროსაც ხელისუფლებამ დამარცხებული ოსების რამდენიმე სოფელი გადაწვა და დაანგრია საგვარეულო კოშკები, დაიჭირეს უხუცესები, რომელთაგანაც 12 კაცი თბილისის ქუჩებში დამამცირებელი კისერ-

ზე ჩამოკიდებული ხმლებით გაატარეს. რუსები ოსებისაგან ლევან ბატონიშვილის გადაცემას თხოულობდნენ. მას შემდეგაც შიდა ქართლის მთიანეთსა და დვალეთში მცხოვრები ოსები კვლავ აგრძელებდნენ ანტირუსულ ბრძოლებს. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია დადგენილი, რუსეთის ხელისუფლებამ თავისი მმართველობის დამყარება მხოლოდ 1830 წლის შემდეგ შესძლო, როდესაც ოსები ხელისუფლებას აუჯანყდნენ. ხელისუფლებამ მხოლოდ პასკევიჩისა და გენერალ რენენკამპფის კარგად დაგეგმილი და სამხედრო ექსპედიციის განხორციელების შემდეგ მოახერხა გამარჯვება.

ცრუ ისტორიის შემქმნელ ავტორთა მიზანი, სამწუხაროდ, არის ოს მოსახლეობაში ქართველთა მიმართ სიძულვილის დანერგვა. რაც შეეხება ე. წ. სამხრეთ ოსეთს, ესაა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის – შიდა ქართლის ერთი ნაწილი, რომელიც მოიცავდა გვიანი შუა საუკუნეების ქართლ-კახეთის სამეფოს სათავადოებს: სამაჩაბლოს, ქსნის საერისთავოს, დავითაშვილების, ამილახვრების, თაქთაქიშვილების, ფალავანდიშვილების, ფავლენიშვილების, ხერხეულიძეების და სხვათა სამფლობელოებს. ნაწილი კი ამ მიწა-წყლისა სახასო (სახელმწიფო) საკუთრება იყო. ამის შესახებ მოგვითხრობს არაერთი წერილობითი დოკუმენტი და სამართლის ძეგლი, აგრეთვე მოსახლეობის აღწერის დავთრები. ქართულ წერილობით ძეგლებში შიდა ქართლსა და უფრო ჩრდილოეთით – დვალეთში მცხოვრებ ოსთა შორის აზნაურთა წარმომადგენლებიც არაერთხელ არიან მოხსენიებული. ეს ბუნებრივია, ქართული სამეფო კარი ცდილობდა მიგრირებული ოსების ინტეგრაცია განეხორციელებინა, აზნაურობას უბოძებდა. ესენი იყვნენ: თომაშვილები, ხეთაგურები, ჯიდაშვილები, ხაჩირაშვილები... ამ აზნაურებს სამეფო კარისაგან ყოველწლიური ხელფასიც ჰქონდათ დანიშნული (თოფჩიშვილი 2016: 78-80; სცსსა, ფონდი 1461, რვეული 6, საქმე 6, 10, 11...). ხოლო სახელმწიფო მიწებზე მეფეს მოხელეები – მოურავები ჰყავდა დანიშნული. მაგალითად, ცნობილია, რომ 1608 წლიდან დვალეთის (აგრეთვე ცხინვალისა და თბილისის) მოურავი იყო გიორგი სააკაძე. დვალეთში ამ მაღალი სახელმწიფო მოხელის – გიორგი სააკაძის თანამდებობაზე დანიშვნა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ სამეფო კარი დვალეთს როგორც განაპირა „ქვეყანას“ დიდ ყურადღებას აქცევდა, რადგან ამ დროს აქ მიმდინარეობდა ოსთა დასახლება. შემოსახლებულ ოსებს კი ქართულ სახელმწიფოებრივ და სოციალურ სისტემაში ინტეგრაცია სჭირდებოდათ. ამისათვის გიორგი სააკაძეს დვალეთში გადმოსახლებული ოსების დასაწყნარებლად ჯარით გადასვლაც კი დასჭირდა.

მარსიანი

**მოდერნიზმის ეპოქა დამთავრდა**

2007 წლის 30 მაისს, ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართული შემოქმედებითი საღამო პოეტ დავით ჩიხლაძისა, არაორდინალური აღმოჩნდა იმით, რომ დავით ჩიხლაძემ არცერთი ლექსი არ წაიკითხა და ამის სანაცვლოდ აუდიტორიას შესთავაზა დისკუსია პოეზიის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ (მისი თქმით, პოეზია თვით ამ დისკუსიისთვის შეგვეძლო დაგვერქმია, დისკუსია ჩაგვეთვალა თავისებურ „ლექსად“); მან განაცხადა, რომ რამდენიმე წელია ლექსი არ დაუწერია, ისიც დასძინა, მგონი პოეზია საერთოდაც დამთავრდაო; მართალია, იგი კატეგორიული არ იყო, მხოლოდ თავის შეგრძნებებს თუ დაკვირვებებს აფიქსირებდა, მაგრამ აუდიტორიის რეაქცია საკმაოდ მძაფრი გამოდგა: ყველას გულზე მოხვდა პოეტის განაცხადი – „ისეთი შეგრძნება მაქვს თითქოს საქართველოში შეჩერებულია შემოქმედებითი პროცესები. აქ ვხედავ უბრალოდ ნიღაბს ლექსების კითხვის სახით.“

დისკუსიაში სხვებთან ერთად მეც მივიღე მონაწილეობა. ამ დისკუსიის ჩანაწერის პუბლიკაცია გაზეთმა „ახალმა 7 დღემ“ იდო თავს („ამ პარასკევს გაცოცხლებული ის ოთხშაბათი“. „ახალი 7დღე.“ 23: 15-21 ივნისი. 2003). ჩემი გამოსვლის ტექსტში, სამწუხაროა. ერთი ისეთი კორექტურული შეცდომა გაიპარა, რომელიც აზროს ამახინჯებს და გაუგებარს ხდის, ამიტომ ბარემ აქვე შემოგთავაზებთ სწორ წაკითხვას; ტექსტში წერია: „ჩვენ რატომღაც ყველა ეპოქისგან, ათწლეულისა და ათასწლეულისგანაც კი ვითხოვთ რაღაც ჭეშმარიტ ღირებულებებს. ხაზგასმული სიტყვების ნაცვლად უნდა ეწეროს „ასწლეულისა და ათწლეულისგანაც“. ამით უკვე გასაგები ხდება ყველაფერი. ათასწლეულს რაც შეეხება, ეს მართლაც დიდი დროა, რამდენიმე ეპოქის მომცველი, და ათასწლეულისგან მართლაც ხამს მოთხოვნა კულტურული ღირებულებებისა, ვთქვათ, ხელოვნების შედეგებისა (ზოგი ქვეყნის კულტურა ათას წელზე მეტი ხნის არცაა); მაგრამ ყოველ ასწლეულში და, მით უმეტეს, ათწლეულში ამგვარი მოთხოვნების წაყ-

ენება რომელიმე ქვეყნის კულტურისათვის არარეალურია: შემოქმედებითი მუხტის აკუმულირება და შემდეგ ჩამოფრქვევა“ (რეალიზება) გამუდმებით, უწყვეტად ხდება ცალკეულ კულტურებში: არის ნაყოფიერი და უნაყოფო პერიოდები. საქართველოსთვის ამ მხრივ მეოცე საუკუნე ერთობ უხვმოსავლიანი აღმოჩნდა: საერთოდ ქართულ კულტურას და კერძოდ პოეზიას მრავალი ჭეშმარიტი ფასეულობა შეემატა. მაგრამ რას გვიქადის ახალი, ოცდამეერთე საუკუნე? ჩვენ ჯერ კიდევ არ გამოვსულვართ მეოცე საუკუნის მენტალური სივრციდან, არადა დრო რადიკალურად შეიცვალა: აღარ არსებობს საბჭოთა კავშირი, სულ სხვაგვარი პოლიტიკური, ეკონომიკური, ყოფითი, ინტელექტუალური თუ სულიერი პრობლემების წინაშე აღმოვჩნდით დაბნეულნი და დეზორიენტირებულნი. მრავალი ღირებულება გადაფასდა და მრავალი კიდევ გადაფასდება. გადაფასებებს ხშირად მოსდევს, როგორც იტყვიან, „ნაბანი წყლისთვის ბავშვის გადაყოლება“.

ეს საფრთხე დღეს განსაკუთრებით საცნაურია, რადგან კრიტიკიუმთა იმგვარ მოშლასა და აღრევასა აქვს ადგილი, რომ ძნელი ხდება, თუნდაც შედეგრი განასხვაო უდღეური კრიზისაგან.

ჩემს გამოსვლაში ისიც ვთქვი, რომ რაც აქამდე შეიქმნა ჩვენს პოეზიაში, იმის მართებულად წაკითხვაც დიდად საშური საქმეა: „მართებულად წასაკითხი“ ავტორები რომ ჩამოვთვალო, გალაკტიონთან, გრანელთან, სამადაშვილთან ერთად კორნაპელიც გავიხსენე, რომელსაც ცოტანი იცნობენ და აღიარებენ, თუმცა კი უდიდესი პოეტია. თუ პოეზიის მოყვარულნი დაინტერესდებიან, დიდი სიამოვნებით ვიკისრებდი მათ წინაშე გიორგი კორნაპელის პოეზიის შტუდირებას: მე მის შემოქმედებას საფუძვლიანად ვიცნობ, რამდენიმე წერილიც მიმიძღვნია, გარდა ამისა მისი ნაწარმოებების დეკლამაციასაც ვენევი (შიგადაშიგ რეჩიტატივის თუ მელოდიის გამოყენებით), რაც, ვფიქრობ, ამ ნაწარმოებთა ემოციურ აღქმას გაუადვილებს მსმენელებს.

დავით ჩიხლაძემ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ ნამდვილი პოეტი თავისი დროის შესატყვისად უნდა წერდეს. ეს, რა თქმა უნდა, სრული სიმართლეა, ოღონდ საკითხავი ის არის, კონკ-

რეტულად როგორი შეიძლება იყოს ის პოეტური ფორმები, რომლებიც ადეკვატურად გამოხატავენ დროის სულს და არის კი ეს ფორმები ყოველთვის დაუბრკოლებლად აღქმადი და გასაგები ამა თუ იმ პოეტის თანამედროვე მკითხველისათვის? ხომ არაერთი დიდი პოეტი ვიცით, რომელსაც თავისმა ეპოქამ ვერ გაუგო, მაგალითად, ჰოლდერლინი, ბარათაშვილი, დიკინსონი. ნიკო სამადაშვილს ლექსებს საერთოდ არ უბეჭდავენ და ამიტომ არც არავინ იცნობდა მის შემოქმედებას თითო-ორიოლა გამონაკლისის გარდა, ხოლო გიორგი კორნაპელს მწერალთა კავშირის ნევრობამ და ათი პოეტური კრებულის სიცოცხლეშივე გამოცემამაც ვერ უშველა: იგი დღესაც რიგით პოეტად მიაჩნია ქართველ მწერალთა უმრავლესობას და მე ასეთი აზრიც კი ჩამომიყალიბდა — კორნაპელი არ იყო „თანამედროვე პოეტი“, ოღონდ იმის გამო კი არა, რომ თავისი ეპოქის ლიტერატურულ ტენდენციებს ჩამორჩა, არამედ პირიქით, მნიშვნელოვნად გაუსწრო თავის ეპოქას, ალბათ ნახევარი საუკუნით მაინც. ამის გაგება და აღიარება ალბათ მით უფრო გაუძნელებდათ დღევანელ ქართველ პოეტებს, რაც უფრო დიდი პრეტენზიები (თუნდაც სამართლიანი) ექნებათ, რომ თვითონ არიან თანამედროვე ლიტერატურული ტენდენციების გამომხატველნი და ახალი ქართული პოეზიის საჭეთმპყრობელნი: ზოგჯერ სწორედ გარეგნული „ძველმოდურობა“, ეპოქალურობის გარეგნული ნიშნების ნაკლებობა ამა თუ იმ ხელოვანის შემოქმედებაში არის მიზეზი თანამედროვეთა მიერ მისი ვერშემჩნევის და ვერდაფასებისა. ემილი დიკინსონი, რომლის სახელმაც სწორედ ამ კონტექსტში გაიჟღერა დავით ჩიხლაძის საღამოზე, დიასაც ეპოქალური პოეტი გახლდათ, ოღონდ არა გარეგნული ნიშნებით; ამიტომაც დარჩა ჩრდილში (სხვა მიზეზებთან ერთად) და მხოლოდ მოგვიანებით გახდა ნათელი, რაოდენ ზუსტად, ადეკვატურად და უნივერსალურად გამოხატა მისი შემოქმედება მაშინდელი ეპოქის სულს.

საქართველოში მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან პოეზია ძირითადად ბესიკ ხარანაულის გზით განვითარდა და ბუნებრივია, იგი დღეს თავისი და მომდევნო თაობების პოეტთა შორის ცენტრალურ ფიგურად მოიაზრება; გიორგი



კორნაპელი კი ამ მაგისტრალური ხაზის მიღმა დარჩენილი. შეგვიძლია მივმართოთ ანალოგიას ქართული კლასიკური პოეზიიდან: ვაჟა-ფშაველა აკაკის თანამედროვე იყო და მისი შემოქმედების სათანადო შეცნობა და შეფასება იმის გამოც შეფერხდა, რომ მაშინ აკაკის სკოლის პრინციპები ბატონობდა, ის იყო მაშინდელი ლიტერატურული ტენდენციების გამომხატველი; ვაჟა კი საერთო კონტექსტიდან ამოვარდნილი ჩანდა და მრავალთა მიერ „ჩამორჩენილ პრიმიტივადაც“ კი იყო შერაცხული ათეული წლების მანძილზე. სინამდვილეში იგი თავის დროს უსწრებდა, როგორც შემდეგ გაირკვა. ვფიქრობ, გიორგი კორნაპელიც რამდენადმე ვაჟა-ფშაველას ბედს იზიარებს.

გიორგი კორნაპელი უკვე ათი წლის გარდაცვლილია და, მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, მისი პოპულარიზების საქმე ჯერჯერობით დიდად ვერ დავძარით ადგილიდან მისმა თაყვანისმცემლებმა. ეგ კი არა, ჩემმა დაურიდელებმა განაცხადმა, კორნაპელის გენიოსობის შესახებ გარკვეული გალიზიანებაც გამოიწვია მწერალთა შორის. ალბათ, ჩემი მეორე განაცხადიც — საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი ათიოდე დიდი პოეტი კიდევ მეგულება-მეთქი — გაალიზიანებს მაგანთ, მაგრამ რა ვქნა, ასე მჯერა. დიდი ხანია ოცნებად მაქვს გადაქცეული, ერთი პოეტური კრებული შევადგინო და მასში ჩემთვის მოსაწონი ის ავტორები შევიყვანო, რომელთაც არავინ ახსენებს თანამედროვე ლიტერატურის ავ-კარგზე საუბრისას, რადგან არავინ იცის მათი არსებობა. გარკვეული მიზეზის გამო აქ არც დავასახელებ ამ ავტორებს (მხოლოდ მათი სახელები საზოგადოებისთვის არაფრისმთქმელი იქნება), მაგრამ თუ ვინმე იკისრებს ჩემი საოცნებო კრებულის გა-

მოცემას, მარსიანულ სიტყვას ვაძლევ, ეს საუკუნის წიგნი იქნება: ამ წიგნში შედეგების რიცხვი გაცილებით გადააჭარბებს უბრალოდ კარგი და საშუალო ნაწარმოებების რიცხვს, ხოლო სუსტი, არაფრისმთქმელი ლექსი აქ საერთოდ ვერ გაჭაჭანდება და ეს მოხდება იმიტომ, რომ მასალის შერჩევისას მე ვიქნები განუსაზღვრელად უფლებამოსილი — არავის, თვით ავტორებსაც კი არ ვკითხავ რა შევიტანო და რა არა ამ კრებულში: „სამოსელი პირველის“ დონ დიეგოსი არ იყოს, აქ „მხოლოდ მე და ჩემი კეთილშობილი თავი ვიქნებით პასუხისმგებელნი.“

ამ წიგნს მინდა „პარალელური სამყაროს პოეზია“ ვუწოდო. პარალელური იმიტომ, რომ ეს პოეტური სამყარო აქვია, ამავე სივრცეშია, ოღონდ გამოუმზეურებელი, ხედვის ფოკუსს აცდენილი. ის არამც და არამც „მეორადობის“ სტატუსს არ იმსახურებს, პირიქით, მისი სათანადოდ გამომჟღავნებით შესაძლოა არაერთი „პირველად“ შერაცხული თუ თვითადიარებული სახელი „გამეორადდეს“ და, საერთოდ, ლიტერატურული პროცესის დღევანდელ სურათში არაერთი არსებითი კორექტივი იქნას შეტანილი.

დავით ჩიხლაძის აქცია (დიახ, ეს აქცია იყო და არა უბრალო გასაუბრება აუდიტორიასთან) მხოლოდ უშუალო რეაქცია როდი გამოიწვია: მისგან შემოთავაზებული დისკუსია იმ დარბაზშივე არ დამთავრებულა — „ახალი 7 დღის“ მომდევნო, 24-ე ნომერში სათაურით „თუ პოეზიას ღმერთის სტატუსს „ვათხოვებთ“ დაიბეჭდა ლიტერატურულ საიტებზე დაფიქსირებული გამოხმაურებანი მის მოსაზრებებზე. გამოხმაურებათა ავტორები, უეჭველია, ახალგაზრდები არიან: ისინი კამათობენ, არ ეთანხმებიან ან პირიქით, ეთანხმებიან, საინტერესოდ მსჯელობენ, თავიანთ პოზიციას გამოხატავენ.

რასაკვირველია, ძნელია შეეგუო იმ აზრს, რომ პოეზიამ თავისი თავი ამოწურა და პოეტებს დადუმების მეტი არაფერი დარჩენიათ. მართალია, დავით ჩიხლაძეს მთლად ასე რადიკალურად არ დაუსვამს საკითხი, მაგრამ, როგორც ჩანს, მისმა სკეპტიკურმა განაცხადმა (რომელიც ნამდვილად არ იყო საფუძველს მოკლებული) მრავალთა პოეტურ ენთუზიაზმს ცივი წყალი გადაასხა. ეს კი, ვფიქრობ, საჭირო პროცედურა გახლავთ

(ცივი წყლის პროცედურები სხეულს აკაჟებს). საკუთარი თავით ტკობას რომ არ მივეცეთ და მართლა რომ არ ჩამოვრჩეთ დროს, სწორედ ამისთვისაა საჭირო მსგავსი გამომაფხიზლებელი შექაზილი.

ოღონდ, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, საკითხავი ის არის, კონკრეტულად როგორი შეიძლება იყოს თანამედროვეობის სულის ადეკვატურად გამომხატველი პოეტური ფორმები? მგონი სადღეისოდ იმ ეტაპზე მივიდა ლიტერატურა (არამარტო „მონინავე“ დასავლეთში, არამედ ჩვენთანაც), რომ ყოველგვარმა ავანგარდულმა და მოდერნულ-პოსტმოდერნულმა ნოვაციებმა თავისი ისტორიული როლი უკვე შეასრულა და თავისი თავი ამოწურა. დავით ჩიხლაძე მართალს ამბობს — ჩვენში დღეს ბევრი მიუბრუნდა ტრადიციულ, კონვენციურ ლექსს, ოღონდ კიჩის დონეზე; არადა, კლასიკური ფორმებისაკენ მიბრუნებას მართლაც რა აზრი აქვს, თუ ამ სფეროში ხარისხობრივად და თვისობრივად ახალ შედეგებს არ მივალნევთ? პოლ ვალერისა არ იყოს, „ვისაც ოცდახუთწლიანი ასაკის შემდეგ პოეტად დარჩენა სურს, მან უნდა გასწიოს უდიდესი შრომა.“ დიახ, შრომაა საჭირო კლასიკური ფორმების ყოველმხრივ ათვისებისა და მათში ინდივიდუალურ სიახლეთა შეტანისათვის. ამავე დროს არც ალტერნატიული პოეზიის მიღწევათა გვერდის ავლა შეიძლება, პირიქით, ალტერნატიულ ფორმებსაც კლასიკური გამძლეობის, დროში შედეგობის თვისება უნდა შევძინოთ: ტომას სტერნზ ელიოტი უდიდესი მოდერნისტიცაა და უდიდესი ნეოკლასიციისტიც.

არ უნდა დაგვაზინყდეს, რომ პოეტური ნაწარმოების შეფასების მთავარი კრიტერიუმი მაინც მისი მხატვრული დონეა. სასურველი დონის მიღწევას კი ოსტატობა სჭირდება და ალბათ აჯობებს, პოეტებმა ამ მხრივ გააძლიერონ თავიანთი აქტივობა და ნაკლები დრო დაუთმონ ისეთ არალიტერატურულ ქმედებებს, როგორიცაა საზოგადოების ეპატაჟის მცდელობა, ნონკონფორმისტული იმიჯის შესაქმნელად გამიზნული ფოკუსები, „რევოლუციური“ ბუნტარობა. ეს ყოველივე უკვე ჩავლილ მეოცე საუკუნეს დაფუტოვით, რომელთან ერთადაც დამთავრდა მოდერნიზაციის ეპოქა.

გო კილაძე

ჩემი და შენი მრავალწერტილავი

## ნაწყვეტი რომანიდან

ნიგნი, რომელსაც ახლა ვწერ და აუცილებლად გამოვცემ განშორებაზე კი არა, გამთლიანებაზეა... დაგვიანებულ გამთლიანებაზე. ოჯახზე. სამ შვილსა და მომავალზე... გრძელ გზაზეა... ადრე ბილიკებით სიარულს რომ ვადარებდი და ახლა ოთხმოცდაათიანი წლების ქალაქის ნახევრადცენტრალურ ქუჩებს რომ ვამსგავსებ, აი, სწორედ იმაზე. ნახევრადცენტრალურ ქუჩებამდე გზატკეცილიც იყო... ოთხზოლიანი... ის გზა ახლა დახეთქილი და ბევრგან პირდაფრენილია... პირაფრენილი არა, ვაგრძელებ „ქალები-ს“ კითხვას. აი სულ ახლახან ნაკითხულმა აბზაცმა გვარიანად დამაფიქრა: “განშორება ძალიან მიჭირავს, თუმცა სწორედ ვიღაცასთან განშორება ხდოდა შესაძლებელს სხვა ქალთან შეხვედრას. ხოლო ქალთა შესაცნობად, მათ სულში ჩასახლდა, ბევრი ქალი უნდა გაეცნო...”

აბზაცი აქ არ მთავრდება, სამ წერტილში ჩატეული ფიქრები, უფრო გაფიქრებები კიდევ მეტ საფიქრალს მიჩენს... ბევრ კითხვას შობს, მაიძულებს მაპასუხებინოს და მაინც, ერთი კითხვაა უამრავ კითხვას შორის მთავარი: კი მაგრამ, რატომ უნდა შეიცნო ქალი? საერთოდ რატომ უნდა შეიცნო ვინმე ერთი ან ათასერთი?! გინდა კაცი და გინდაც ქალი? განა ორი ადამიანის პირადი ურთიერთობა ბიზნესია?!

პასუხი ერთია - არაა! არაა და იყვნენ ადამიანები ისეთები, როგორებიც უნდათ რომ იყვნენ... იყვნენ შენთან და იყვნენ სხვასთან... იყვნენ როგორებიც უნდათ რომ იყვნენ და მენდე ნაკლებ ტკივილს მიაყენებენ საკუთარ თავებს, მითუმეტეს სხეულებს და კიდევ უფრო, მითუმეტეს შენ...

აი, ეს ვცადე ანდასთან და...

აი, დას მიყოლებულ სამწერტილში, სახელად მრავალწერტილში, ჩატეულ უსასრულობაზეც იქნება კარგახანს დანყებული და ათასჯერ მიტოვებული ნიგნი. ჩარლ ბუკოვსკის „ქალები“ რომ დავინყე მეგონა სწრაფად წაიკითხავდი და ნაკითხ-



ვისთანავე ანა გავალდას „მე ის მიყვარდას“ მივაყოლებდი. არ გამოდის. რაღაც უცნაური ნიგნია. ნაკითხვაზე მეტად გადანიერას მთხოვს. ვუძალიანდები. დაკვირვებით ვკითხულობ, უფრო დაკვირვებით - ქალების შეფასებას, საოცარ დასკვნებს აკეთებს ჩარლი. მართლა ასეა? - ვეკითხები საკუთარ თავს და პასუხი იქვეა... პრაქტიკა ყოველთვის არ არის ჭეშმარიტების კრიტერიუმი და მაინც... დიდგავლენიანია ფსიქიკაზე თუ არა, მოქმედებასა და ქცევაში მაინც...

და იყო დრო თავში ავარდნის, ყოველდღიური სიზმრების მოყოლისა და წერილების...

სიზმარმა შემახსენა თავი... უცნაური სიზმარი იყო... გამდინარე წყალს რომ უნდა გაატანო ისეთი. გავატანე... და ჩაიარა სიზმრიანმა წყალმა ჯერ ნიჟარაში, მერე მილებში და შეუერთდა ცენტრალურ კანალიზაციას... იყოს იქ... დროებით კი არა მუდმივად. სხვა სიზმარი უნდა მოვყვე ახლა... მჯერა სიზმრების შიგადაშიგ და რა ვქნა. უნდა ვალიარო და ზოგი. გამდინარე წყალს გავატანო და ზოგიც მოვყვე...

შემხვდა ძველი ნაცნობი ქუჩაში... ეს ის პერიოდია ბოლო სიყვარული დღითი დღე რომ ძლიერდება და იმედია სამარადჟამოდ შეიფსკვნება ქაშვეთის ეკლესიის ზედა სართულზე...

- დამესიზმრე. - მეუბნება. თეთრი პერანგი გეცვა და ლექციას კითხულობდი.

- საკითხი?! - დაუფიქრებლად გკითხე. - სულ დამავიწყდა მეთქვა ასპირანტი ვიყავი მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის... პირველი წელი მიდიოდა სწავლის... ვერაფრით აღვიქვი მე და ლექციის ჩატარება. მომდევნო გამოცდის ერთ-ერთი საკითხი იქნებოდა სავარაუდოდ...

- სიყვარულზე თქვა და გაიცინა... - ისე გულიანად... როგორც იცოდა იმ დროს და კიდევ კაი ხანს...

- სიყვარულზე?! - გაკვირვებით ვთქვი და წამოვედი...

გაივლის დრო და მე მართლა წავიკითხავ ლექციას, სიყვარულზე არა, „ბუნებათსარგებლობის ეკონომიკაში“. გრძელი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელს დავწერე დაფაზე, გამიხარდება არაფერის შეშლა და გამახსენდება გინდა არ გინდა ეკონომიკა და ბუნება ერთმანეთის მიმართ ანტაგონისტურად „განწყობილი“ სისტემებია, რომლებმაც უნდათ არ უნდათ ერთმანეთს უნდა შეეწყონ.

თეთრი პერანგი მეცვა.

მუქი ლურჯი შარვალი და შავი, სეზონისთვის არცთუ შესაფერისი „ტუფლები“.

ცარცით შარვალდასვრილმა მოდელი წავშალე, სტუდენტებს მადლობა გადავუხადე და დაუმშვიდობებლად წამოვედი...

მოვდიოდი ტროლეიბუსით თავისუფლების მოედნისკენ...

მოვდიოდი დაღლილი, მაინც ბედნიერი და ვფიქრობდი ანდაზე.

— გოგოვ, ხომ ხარ ბედნიერი?

— ჰო, ვარ და სულ არ მრცხვენია...

— და რატომ უნდა გრცხვენოდეს?!

— დღეს მოვდიოდი, რუსთაველზე, მართო, იებით ხელში და ჩემთვის ვიღიმებოდი. ერთ-ერთ ვიტრინაში შევიხედე, ჩემი თავიც მომეწონა, წელში გავსწორდი და გავაგრძელე გზა...

— აუ, რა კარგად ყვები! დანერე რა ეგეთები...

— არაა, არ დავწერ, შენ მოგიყვები... გიო, გიო, მოვდიოდი და თან უცნობ ხალხს

ვულოცავდი ახალ წელს, ისინიც მიღიმოდნენ და ჩამივლიდნენ გვერდს...

— ეტყობა ცოტა ბიჭი იყო.

— გურული ოტელო ხარ... წამდვილი...

— არ დანერ და მე დავწერ... დრო რომ მოვა...

— იცი, ამიტომაც ვარ ბედნიერი, მოვა დრო, კაცმა არ იცის სად იქნები შენ და სად ვიქნები — მე... არაა მთავარი... შენი არ ვიცი მერამდენე წიგნის რომელილაც მონაკვეთში ხომ ვიქნები... ნეტა, როგორი ვიქნები ისე 25 წლის მერე? შენ? არ დაგლალე? წარმოგიდგენია აი, ამ გრძნობების ფრქვევით ვლლიდი იმასა ვინც მიმატოვა...

— ვინ?

— ვინც ჩემი პირველი, დამანგრეველი სიყვარული იყო

— სექსი გქონდათ?

— მერე იყო რალაც სიყვარულობები, მერე უცებ გავთხოვდი და სიგიჟემდე შემეყვარდა, მისი მოჭრილი ფრჩხილიც მენანებოდა გადასაგდებად... . ეხლა ვცხოვრობ ზომიერად, მაგრამ ის დიდი რაც იყო, კარგა ხანია დასრულდა...

— მწერალი ხარ. შეგინახავ ამას...

— იცი, რა ძნელია, ზომიერი ცხოვრება. ფრთები შემაჭრა, ფრენის სურვილი არაფრით გამიარა და ვარ ასე...

— ახლა?

— ახლა? დავფრინავ, ჯერ იყო და თავს ვუთხარი, ძნელია მარტო ფრენა, მერე ვიფიქრე, იყოს რაც იქნება, იყოს-მეთქი. მიყვარს ჩემს თავზე გვერდიდან ყურება...

— იფ. იფ.

— საოცარი ბიჭი ხარ, გიო, რაიმე თბილს რომ გეტყვი, როგორ გაიტრუნები ხოლმე...

ვზივარ ახლა ღრმა სავარძელში, მიდევს მეუღლის ნოუთბუქი მუხლებზე, ვსვამ ყავას, მოვრჩი წერას და ვფიქრობ. გავიტრუნო ახლაც თუ მაგრად შემრცხვენს...

მარინა თექუმანიძე


**უტრინხაპი ზვიად გამსახურდიას  
პორტრეტისთვის**

ყოველთვის მიჭირს იმ პერიოდის გახსენება, ვინაიდან მოუშუშებელ ჭრილობას, რომელსაც სულ ვცდილობ რაღაც საშუალებებით ვუმკურნალო, გახსენების დროს, კვლავ პირს ვუხსნი... თუმცა ეს ჩემი სუბიექტური დამოკიდებულებაა და არავინ არაფერი რომ არ გაიხსენოს, ჩვენი ისტორიის არც ნათელი და არც სამარცხვინო ფურცლები არ გვექნებოდა...

გავიხსენებ ფრაგმენტებს ჩვენი ურთიერთობებიდან შეფასებების გარეშე. დასკვნა თქვენთვის, მკითხველისთვის მომინდვია. .

ეროვნული მოძრაობა მასშტაბებს იძენს. იმ დროს საბავშვო გაზეთის რედაქციაში ვმუშაობ და ეს რედაქცია მაშინდელი ლენინის(მ. კოსტავას) 14-ში არის განთავსებული. ზვიად გამსახურდიამ ჟურნალისტებთან და სტამბის თანამშრომლებთან შეხვედრა მოინდომა. ბუნებრივია ყველას გვანტერესებს ამ ადამიანთან შეხვედრა, საქართველოს მომავლის მიხედვითი წერეთა. მეხუთე სართულზე მდებარე სააქტო დარბაზი გადაჭედვითაა. მოვიდა ზვიად გამსახურდია და ფეხდაფეხ ირაკლი ნერეთელი მოჰყვა თავის მომხრეებთან ერთად. ყოფილ მეგობრებს შორის უკვე განხეთქილებაა. ირაკლი ცდილობს ჩაშალოს ეს შეხვედრა და ზვიადს ცუდად მოიხსენიებს. ხალხი დაბნეულია, არავინ იცის, როგორ მოიქცეს. დღესაც არ ვიცი საიდან მეყო ძალა, ავმდგარიყავი და პირდაპირ სცენაზე ავსულიყავი. საკუთარი თავის ქება არ მინდა, ერთს ვიტყვი მხოლოდ, კოლეგებმა მხარი ამიბეს და ის შეხვედრა შედგა. იმ დღიდან დაიწყო ბატონი ზვიადის და ჩემი ნაცნობობა. ერთი რამ დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა. არ არსებობს არც დღევანდელ და არც მაშინდელ საქართველოში ადამიანი, ვისაც სამშობლო მასზე მეტად უყვარდა...

პირველი მრავალპარტიული არჩევნების წინა პერიოდია. ალბათ სექტემბრის დასაწყისი. ცხინვალში არეულობა უკვე დაწყებულია. მე და მაშინდელი ჟურნალისტთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი ზაურ გომართელი კოლხურ კოშკს ვესტუმრეთ დილაადრიან. ქვემოთ ვსხედვართ, პირველ სართულზე, ბატონი ზვიადი შიანაურებად გვთვლის და შინაურულად გვხვდება, ყოველგვარი ოფიციალურობის გარეშე. მანანა არჩვადე ჩაით და უგემრიელესი ტორტით გვიმასპინძლებდა. ყველა ერთად ვსაუზმობთ. სასადილო



ოთახის წინ შემოსასვლელია. იქიდან ტელეფონის ხმა ისმის. ბატონი ზვიადი ყურმილს იღებს და ვილაცას ესაუბრება. ხმაზე ვატყობ, ძალიან არის შენუხებული. ოთახში რომ შემოვიდა, ფერი არ ედო. - რა მოხდა? - ვეკითხებით. თვალებიდან შეკავებული ცრემლი მოუჩანს. პასუხი არასოდეს დამავინცდება: - ცხინვალში ქართველი მოუკლავთ, ყოველი ქართველის სიკვდილი ჩემთვის სისხლით ნათესავის სიკვდილს უდრის. მისი იმდღევანდელი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განაცხადი. - ახლა, ამ არჩევნებზე კომუნისტებმა თუ გაიმარჯვეს, ჩავთვლი, რომ თავისუფლების ღირსი არ ვართ. ჩავიცვამ ხალათს, სახლის ჩუსტებს და მეცნიერებას მივუბრუნდები.

ცხინვალში არეულობაა. პოლიციის ქვედანაყოფებს აგზავნიან, რომ არ მოხდეს ვითარების კიდევ მეტად ესკალაცია. მე ვახერხებ და ორჯერ შევდივარ ფაქტობრივად მკვდარ ქალაქში. პოლიციელი ბიჭები უკმაყოფილოდ ბუზღუნებენ, რომ მათ სროლის საშუალებას არ აძლევენ და რომ ბრძანება ზვიად გამსახურდიასგან მოდის, მას იმედი აქვს, რომ უსისხლოდ მოხდება ქართველი და ოსი ხალხების შერიგება. შტაბს გენერალ-მაიორი გივი კვანტალიანი ხელმძღვანელობს, შინაგან საქმეთა მინისტრი კი დილარ ხაბულიანია. ვცდილობ, ოსების მხარესაც გადავიდე და გივი კვანტალიანი საშინელ წინააღმდეგობას მი-

წევს -ტყვედ აგიყვანენ და შენი გამოსხნა გაგვიჭირდებაო. მერე კი, როცა შუა ქუჩაში ვდგავარ, ხელს მკიდებენ და პოლიციელებს გვერდით გადაყვავარ, -ზუსტად ამ ადგილას, ამ დილას, გურჯაანელი პოლიციელი მოგვიკლესო. ამას მხოლოდ და მხოლოდ ვიხსენებ იმიტომ, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ზვიად გამსახურდიას ომი არ სურს. ცდილობს ყველაფერი ფართომასშტაბიანი კონფლიქტის გარეშე მოაგვაროს...

სამსახურში, ჩემთან, ქალები მოდიან (შეგნებულად არ ვასახელებ მათ ვინაობას). კატეგორიულად მოითხოვენ, რომ ეროვნებით ოსი მემანქანე სამსახურიდან დავითხოვო. -რატომ?-გაოცებული ვკითხულობ. ის მშვენივრად ართმევს თავს საქმეს. ცდილობენ საქართველოს ღალატში დამდონ ბრალი. კარისკენ ვუთითებ და ორივეს გარეთ ვუშვებ. მერე, ერთ-ერთი შეხვედრისას ბატონ ზვიადს ამ ინციდენტზე ვუამბებ. რა თქმა უნდა, კარგად მოიქეცი უდანაშაულო ადამიანი სამსახურიდან რომ არ გაუშვი. ხედავ, როგორ მითხრიან ძირს? ოს ტაქსისტებს სამსახურიდან ათავისუფლებენ ეროვნული ნიშნით, მათ ადგილზე ქართველებს იღებენ, ოღონდ თანხას სძალავენ და ეს ყველაფერი მე მბრალდება, -სწუხს ბატონი ზვიადი.

დღესაც არ ვიცი, ვინ შეადგინა ედუარდ შევარდნაძესთან გასაგზავნი შეკითხვები. ამ შეკითხვებზე ხელი ჟურნალისტებმა უნდა მოვანეროთ (მერე, შევარდნაძემ, გაპროკურორებული ჟურნალისტები გვინოდა ხელმომწერებს). ერთ-ერთ შეკითხვაში, სადაც შევარდნაძემ თავისი აზრი უნდა გამოთქვას, აკაკი ბაქრაძეს და კობა იმედაშვილს ქვეყნის ღალატში ედებათ ბრალი. ძალიან შევწუხდი. ბატონი ზვიადი უკვე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეა. მდივანს ვიცნობ, ოლიკო ჰქვია. იმედი არ მაქვს, მაგრამ სამთავრობო ტელეფონით (კომუნისტების დროიდან გვაქვს რედაქციაში) ვრეკავ ბატონ ზვიადთან. ოლიკო მპასუხობს. ვთხოვ, რომ ბატონ ზვიადს თუ დრო აქვს, ერთი წუთით დამალაპარაკოს. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე მაშინვე იღებს ყურმილს. ვეუბნები, რომ შევარდნაძესთან გასაგზავნი შეკითხვებში, აკაკი ბაქრაძე და კობა იმედაშვილი ცუდად არიან მოხსენიებული. -ამოიღეთ ბაქრაძეც და, რა თქმა უნდა, იმედაშვილიც! -მემის ყურმილიდან ხმა.

31 მარტია, რეფერენდუმის დღე. ამ დღეს ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეც არის. მეც სტუმართა შორის ვარ. არასოდეს დამავინწყდება საჩუქრები, რომელთა აბსოლუტური უმრავლე-

სობა წიგნია. სხვას ვერც ვერაფერს შეკადრებ ბატონ ზვიადს. ასევე ვერ დავივინყებ მის უბედნიერეს სახეს. ის, მაშინ, ალბათ მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ადამიანი იყო. იმ დღეს ქართველმა ხალხმა ხმა მისცა დამოუკიდებლობას...

პუტჩის დღეები დგას. 22 დეკემბერს საშინელ სროლაში მოვხვდი. მთელი რუსთაველი ძირს წევს. მხატვრის სახლს შევაფარეთ თავი. არიან დაჭრილებიც...

უზენაესი საბჭოს შენობაში გვინდა შესვლა და ბატონი ზვიადის გამხნელება. ზემოდან, მთაწმინდიდან გადავდივართ მე, რუსუდან გაბროშვილი და ბონდო მძინარაშვილი. როგორც იქნა მოვხვდით შენობასთან, მაგრამ დაცვა შიგნით არ გვიშვებს და ალბათ კარგადაც იქცევა...

6 იანვარს ზვიად გამსახურდია საქართველოს ტოვებს. მიუხედავად დაპირებისა, ავტობუსებს მეტეხის ხიდთან ხვდებიან და სხვებთან ერთად არის შესანიშნავი ვაჟკაცი, გამსახურდიას თანამებრძოლი გოგი გაბროშვილი. მან თავისი ჯავშანფილეტი თანასოფელ ახალგაზრდას ჩააცვა. გოგის ტყვია სხეულზე ხვდება, იმ ბიჭს კი (გვარი აღარ მახსოვს) თავში და ორივე იღუპება. ზვიადის თანამებრძოლებს ასევე ხვდებიან ალაიანთან და იქაც ხოცავენ...

ბატონი ზვიადი გროზნოშია. მირეკავს ირაკლი აბაშიძის დისშვილი გურამი... და მეუბნება, რომ მცხეთაშიც რომ წავიდე, დამაპატიმრებენ. მაფრთხილებს თბილისიდან ფეხი არ გავდგა.

ჩემი გაზრდილი, კარის მეზობელი, ზვიად კუპრაშვილი მაშინდელ უშიშროებაში მუშაობს და შემთხვევით ჩემს საქმეს ნაანყდება, სადაც დამსმენი მადანაშაულებს, რომ ჩემს სახლში იგეგმება ყველა ხიდის აფეთქება. კარის მეზობელი სამსახურს ტოვებს.

თენგიზ კიტოვანს დასაჭერების სიაში ვყავარ. ამ სიას ნახულობს მაშინდელი ინფორმაციის მინისტრი არჩილ გოგელია და დაჭერისგან გადამარჩენს.

და ბოლოს, ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში ნუგზარ ნიკლაურმა გაიხსენა დაცვის თანამშრომლის ნამბობი, როცა სამეგრელოს ტყეებში, პრეზიდენტს, მდევარი ედგა კვალში და როცა წასავლელად აჩქარებდნენ, როგორ მიბრუნდა, გაიხედა უკან და სიმღერა წამოიწყო: "ლალე, ლალე, ჩემო ლამაზო სამშობლოვ, შენ კი გენაცვალე"...

P. S. ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმე დღემდე გაუხსნელია...

## ციცი გურიელი

## არმაზი და სერაფიტა

თუთის სამნახადი არყით ჩამთვრალი კაცებივით დგანან სახლები – მხრებში მოხრილები, დათოვლილები, ბინდუნდმი მფშვინავები – შეციებულ მინებზე იდუმალი იეროგლიფებით-თოვლის ავტოგრაფებით... ღამის ანაკვიანი უნდა რომ აისრულოს. მთელი ცხოვრება მონობას გაქცეული, ნაბეგვი სხეულივით სტკივა ზურგზე მოკიდებული წლები... ალიონს გაჰყურებს. სინანულის ხელისგულებით ეფერება ჭაღარების არტახებში ჩაკრულ, მუდმივ ბავშვად დარჩენილ საკუთარ თავს. – არმაზის ღვთისმშობლის ეკლესია ელოდება ზევით. არც უხდება ცხოვრებას და ველარც ეგუება უენძელო გაზაფხულებიან სიცოცხლეს, ენანება ოცდაერთი წლის ულამაზესი სერაფიტასავით ნაადრევად დამარხული ოცნებები, წუთისოფლის აცახცახებული მეტაფორები ხომ გამუდმებით ღლიან ტრაგიკომედიული კითხვით: – რა იქნება ხვალეს იქით??? – ჰოდა ავა, მიეახლება ღვთისმშობლის ეკლესიას! არმაზის კერპებივით ძველ ბილიკებზე თოვლნამქრინ ქარავანს აჰყვება... . – ჰოდა აჰყვება! ხორცის საკურნებლად, სულის საცხონებლად... . იმ უძველესი ბილიკებივით დაიღალა. – დაღალა ცხოვრებამ. იქ უნდა რომ დატოვოს უცხო მენამულისფერი, ქურდბაცაცა ღამეების ღალატისფრად მძიმე სურნელი – მთელი ცხოვრება რომ ახრჩობს... . მერე კი როცა ლოცვა გულს და სულს მონახავს, მის წილ ფერწასულ მხესაც აუცილებლად დაედება ოქროსფერი... . – მანამდე კი უნდა გათენდეს... . ჯერ ისევ ბინდია და არაქათგამოცლილი მთვარე თითქოს ბროლისფერ, ღამეულ ვნებას სუნთქვასავით იკავებს ყელში... – მანამდე კი აზრები ზამთრული წახნაგების თეთრი სინრფელით ლაგდებიან გაყინულ გზებზე და ალუბლის სისხლით დასვრილი, ალერსისთვის გამზადებული სერაფიტას ტუჩებივით თრთიან მასში უდიდეს რწმენად ანთებული იმედი და სიცოცხლის სიყვარული... .

## მარო გეგო

ასე იყო ყოველთვის, როცა სოფელში მივდიოდი, ერთი სული მქონდა გზა მალე გალუულიყო და ჩაგხუტებოდი... შენ სახლში რა გაგაჩერებდა, სულ ვენახში იყავი, ვაზს შვილივით ეფერე-



ბოდი, ეგურგურებოდი, ადამიანურ სიხარულსა და დარდზე უყვებოდი... ერთხელაც ასე ვენახში დაგადექი თავზე... ჩუმად მოგეპარე. ვაზის მწკრივში იდექი, შავი თავსაფარი თვალბამდე ჩამოგენია, ხვატს რომ დამალვოდი. აღმური ასდიოდა გვალვისგან დაშლილ, ბელტებად პირდაღებულ მინას... რალაცას ზუზუნებდი... გავიტრუნე და გაფაციცებულმა სიყვარულით მოგიგდე ყური. – დედა მოგიკვდეს ჩემო ნანი-ნანატრო, ჩემო ცქრიალა და ღამაზო შვილო, აფსუსი არ არის შენ შავი მინა გჭამდეს და მე ძალით მივათრევდე ამ გამწარებულ წუთისოფელსააა??? ვაიმე, ჩემო ელიკოვ! დედა განაცვალოს, აღარა ვარ შენი ობლების საცოდაობით, რას მერჩოდი შვილო, ჩემო გამწარებულ გოგოვ, ვის უტოვებდი შვილებს, შენ მოგიკვდეს დედაშენი შვილოოო!!! ბოლმისგან ყურთასმენადახმობილს აღარ მესმოდა ბებიაჩემისა და მტკიოდა ჩემი ობლობით გატანილი ბავშვობა, დედაჩემის მონატრების სიმწარე კი სიკვდილს მანატრებდა... . . მერე დიდხანს ველარ გავჩერდი და გულაჩუყებული შევვარდი მწკრივში... ფეხი მიბრუნდებოდა ბელტებზე, ფეხსაცმელში მინა მეყრებოდა, მე კი მაინც გავრბოდი... . არასდროს დამავინყდება, როგორ მოიხედა ბებიაჩემმა, ხელი მოიჩრდილა თვალბამდე, ფაციფუცით აიკეცა თავშლის ყურები და ხელები შვილიშვილის გულში ჩასახუტებლად გაშალა: – ეჰააა! ! ჩამომიხვედი ჩემო ობლოოო???მომიხვედი ბებოს ქალოოო?? – მკოცნა და ვკოცნე, მიხუტა და ვეხუტე, მერე გავედი და დავსხედით დიდი ლეღვების

ჩრდილებქვეშ... იქ გრილი ლიტრა, კიტრი-პამიდორი, ლავაში და ყველი გააჩინა ბებომ – ნამგზავრი ხარ და უნდა დაგაპუროო!!! .. მერე იმნაირი ლიმილით-მარტო მან რომ იცოდა-ვინ იცის უკვე მერანდენედ მომიყვა ჩემი თოთოობის ამბავი, როგორ წამოვუყვანივარ, როგორ გაუბამს ჰამაკი ლელვებს შუა, ჩაუნვენივარ და თვითონ კი ვენახში შესულა სამუშაოდ... მერე როგორ დამსევნიან ლელვებიდან გადმოსული ჭიანჭველები და შენუხებულს ღნავილი ამიტეხია... დაფეთებული ბებიაჩემი არ დაბნეულა და-არც ვაციე, არც ვაცხელე და იქვე, შაბიამნის გასახსნელ წყლიან აუზში ჩაგაყუდე ეს გადაბჟირებული ბავშვიო... გაიხსენა და გულიანად მაცინა. მეც მონატრებული ვეხუტებოდი, იმ დამჭენარ-დაღარულ ხელებს ვუკოცნიდი, მთელ ქვეყანაზე უგემრიელესი ერბო-კვერცხის შენვა რომ შეეძლოთ... – დიდი ხანია გადაბარგდი იქეთურობაში ბებო, მხოლოდ შენი სახელობის შენსავით პატარა და კოხტა საფლავის ბორცვი დამიტოვე, რომელსაც დღემდე ვუნთებ სანთლებს, დავტირი – ცრემლებს ვატან შენამდე ჩამოსალწევად ტკივილიან და უსაშველო სატიკვარს და გულს შიშით ვეფერები: – ქვეშ რომ დამიტანოს და გამსრისოს დარდმა, ვილას დავეტოვო შვილები, ვინ მოეფერება მათ და ვინ მიწუგეშებს, სიზმრად მაინც მოდი და მასწავლე როგორ უნდა გავუძლო შენსავით ამ გაძალღებულ ცხოვრებას, ჩემო ტკბილო და საყვარელო, სულგანათლებულ ბებო მარიამო!!!

### წერილი მემობარს

– „ვკითხულობ შენს ნაწერებს და მახარებენ შენი მუხები-სულის ჭინკები! აი, მე კი მგონი სადღაც გამეპარნენ ჩემებიო! „ – მომწერე... . – ჰოდა, ამ ჭინკების ამბავი მინდა მოგიყვე! ახლა მე და ისინი ერთნი ვართ, ოღონდ არ ვიცი, როდის ჩამისახლდნენ... – იქნებ მაშინ, როცა პირველად ამიფრინდა სულიდან ლოცვა. ან, იქნებ მაშინ – ბავშვობის გუმბათჩამოქცეული ტაძრის ცაზე რომ დავლანდე ამოუხსნელი, რიჟრაჟისფერი ფოლიანტები და უმანკო თითებით პირველად ავინთე იმედის სანთელი? – ან, იქნებ მაშინ - გულების გაუცხოება რომ ვიგრძენი და სულწრფელად ვერიდებოდი მრუდე ნაბიჯებს – ცხვირწინ არაადამიანობით აჭედილი კარებით ერთმანეთს რომ გვაშორებდნენ მე და სიცოცხ-

ლეს... დღემდე ღალატისფერი გულგრილობა ეტყობათ ჩემი ცხოვრების დღეებს. ფეხი მეფლობა ტალახივით ჭუჭყიან წყენაში. ბავშვობის შარაზე ვიდექი და უკვე სამყაროსხელა დარდი მომყვებოდა... – ის ჭინკა მუხები არ მავინყებდნენ, მანერინებდნენ ლამაზ და სევდიან ამბებს... მახსენებდნენ პაპაჩემის მარანში, ცხელი შოთის ოხშივარს და გუდის ყველის სურნელს როგორ აყოლებდნენ ქვევრის მირონს პაპასავით სუფთა კაცები, მერე უკვე მთვრალი ლექსებით მარნიდან გაბანცალეული კაცი-ბავშვები, პაპასავით ალალები... – ან, იქნებ მაშინ? – ობლობა რომ ამიფათურდა სულის ჩრდილებში, ცრემლის აკვანში რომ ვიშრობდი უდედობის მლაშე დღეებს, კლასობანად დახაზული ეზო და სახლობანა რომ აღარ ეკარებოდა გულს... პირველი სტრიქონები მეღნისფერ ტკივილებად მაშინ ჩამომირიგეს ფურცლებზე იმ ჭინკა მუხებმა. ზოგი კი მაშინ – მზებუდარა, წელამდე თმები დედინაცვალმა ავი ხარხარით რომ წამაჭრა ძირში... უმწოდე ეყარნენ გათელილ თავმოყვარეობასთან ერთად მკვდარი თმები-ჩემი თავის საკუთარი ნაწილები... . დედინაცვლის ჯვალოსავით უხეში ხასიათი მისერავდა თავისუფლების ურჩ სურვილს მზერაში. – დროს რა გააჩერებს? ჭინკებიც ჩემთან ერთად დაიზარდნენ, მოთხოვნილებად მიქციეს ჰაერივით საჭირო სიყვარულით სახელწარმეული ქუჩების და უმისამართო ადამიანების დაპურება, მოგონებების ფიქრით ჩავლილი წლების მზისფერი ჯეჯილის თიბვა. პაპაჩემის ქვევრის ლექივით ნაძირლებით სავსე ქვეყნის დაგურგურება, მოფერება და ჩახუტება... – კაცი-ნამდვილი-მეცოტავება გარშემო... მგლების ხროვაში გზადაგზა, აქა-იქა აკრეფილი სხივიანი დღეები ნუ შეგშურდება ბედისწერავ... – მუხის ჭინკები იმასაც მეუბნებიან – ცხოვრების გაუხედნავ ოცნებების ფაფარაშლილ ჟინს ამოსდგო სურვილის ლაგამი და ქალური მსოფლმხედველობის უნაგირი დაადგო! – ჰოდა დღემდე ჩემი წილი ღამის ანაფორაში დამალული ვერცხლები ისე ბრწყინავენ – როგორც სულის მეცხრე ცაზე ჩემ გადამრჩენელ მუხის ჭინკებთან ერთად ფურცლებზე ჯერ გაუცხადებელი ოცნებები! – აი, ესეც ჩემი ჭინკა-მუხების ამბავი, ტკბილო და კეთილო მეგობარო, არ იდარდო-მუხები არ გაგეპარებოდნენ, კარგად ჩასძახე და ისინიც მაშინვე ამოგძახებენ!!!

## ირაკლი ბაზაძე

## ტუნია

ტუნია, ჩუმად ტირის ტუნია,  
როდესაც ქარი შესძრავს ტუიას  
მდგარს შენს ეზოში, ნაბი.

აქ ყველაფერი განწირულია,  
განწირულია, განწირულია  
უმაღესი და სწრაფი

წლებით მასკდება მკერდზე ზღვაური  
მეც პოეტების და მოგზაურის  
ვარ ჯილაგის და გენის.  
ჩემში სამყარო სიზმრის მტვერია  
და ვმღერი მაშინ, როცა ვტირივარ  
და ვტირი, როცა ვმღერი.

ტუნიაც ტირის, ტირის ტუნიაც,  
რა სიცხადეა, რა სიცრუეა,  
წუთისოფელი, ნაბი.

მაგრამ ჯერ ცაა სულ სხვა სრულიად,  
შენი სხეულიც მოჩითულია  
ჯერაც აპრილის კაბით.  
ტუნია, ჩუმად ტირის ტუნია...

## მისალოცი

**ჟურნალ „ისინდის“ მთელს რედაქციას და მის სუპერ  
ენერგიულ რედაქტორს – იკა ქადაგიძეს ვულოცავ-  
ჟურნალის სამი წლის იუბილეს.**

აღსანიშნავია, რომ ამ ჟურნალში ფრიად საინტერესო  
და ღირებული მასალა ქვეყნდება, რომ აღარაფერი  
ვთქვათ მის მეტად ორიგინალურ მხატვრულ გა-  
ფორმებაზე.

გისურვებთ კიდევ მრავალი წელი გაგეხარებინოთ-  
ნამდვილი ლიტერატურის მოყვარული მკითხველის-  
გული.

პატივისცემითა და დიდი წარმატებების სურვილით

## გიორგი ნატროშვილი

ლიტერატურულ აღმანახ „ხორნაბუჯის“ რედა-  
ქტორ-გამომცემელი  
დედოფლის წყაროს მწერალთა ასოციაცია  
„ფიროსმანის“ თავმჯდომარე

## მარსიანი

## რა კარგი იყავ, სიყვარულო...

იმ გარდასულთა გაზაფხულთა მოჰგვანან მერცხლებს:  
არც ისე ხშირად, მაგრამ მაინც დროდადრო, სიზმრად  
მოდის ხან ერთი, ხან მეორე, მესამე, მეცხრე... —  
ნათდება სივრცე და ყინული გულს ველარ მიზრავს;  
როდესაც სიზმრის მოალერსე ხელებს ვბარდები,  
ნებდება გული ან გარდასულ ვნებათა იმ ღვარს:  
მოდიან ჩემთან ჩემი ძველი გულისვარდები  
და ზღაპარია კვლავ ყოველი და ყველა მიყვარს...

რა კარგი იყავ, სიყვარულო, რა კარგი იყავ!

ცხადში კი სადღაც ჩაიკარგა და ჩაიცალა  
პირველ ვნებათა მძაფრი სუნთქვა, სუნთქვა ტყიური,  
ჩემს თმაშიც უკვე რახანია ნისლმა იძალა,  
მუხლებს ტკივილი მოურია რევმატიული;  
ხმელი ფოთლები ჰქრიან შფოთით და ფორიაქით,  
ვატყობ სიცოცხლე უამური თანდათან მრეყავს...  
და მენატრება კვლავ ის ტკბილი შხამი, თრიაქი -  
რა კარგი იყავ, სიყვარულო, რა კარგი იყავ!

შენ ერთი იყავ, სიყვარულო, თუმცა გულის მახედ  
მევიწინებოდი ნაირ-ნაირ ყვაველთა კონად:-  
სხვადასხვა ქალის გქონდა გული სხეული, სახე,  
სხვადასხვა ქალით მაცდუნებდი შენს ერთგულ მონას.  
თუმცა ცოტა ჯილდოს მომიგებდი და მრავალ სასჯელს,  
არ დამცდენია არასოდეს ყვედრების სიტყვა,  
სხვადასხვა ქალად გადაცმულმა რამდენი მტანჯე...  
რა კარგი იყავ, სიყვარულო, რა კარგი იყავ!

ჩემს კუთვნილ ცაზე ან მრავალგზის გაავდარდება:  
დალლა, მოწყენა ამ კაბადონს ხშირად მონისლავს,  
თქვენ კი სადა ხართ ახლა, ჩემო გულისვარდებო,  
თქვენც დაგიქროლათ ცივმა ქარმა შემოდგომისამ?  
გაგიუხეშათ ყოფნის სუსხმა იქნებ გულები,  
ველარ კისკასებთ უდარდელნი, როგორც რომ წინათ?  
რაც კარგი იყო თქვენში, ჩემო სიყვარულებო,  
ამ ჩემს სიზმრებში ჩარჩენილა და ისევ ბრწყინავს...  
მეც ისევ სიზმრის მოალერსე ხელებს ვბარდები,  
ძილის ღვთაებამ მომიფინოს, მაქციოს თიხად:  
სიზმრად ხომ მაინც მოვლენ ჩემი გულისვარდები,  
სიზმრად ხომ ყველა ჩემი არის და ყველა მიყვარს!  
რა კარგი იყავ, სიყვარულო, რა კარგი იყავ!

მარინა ხუჭუა

„სომ გელდინ პატრონ!“

შენ ყოველ დილით, ტილოთი ხელში, ფიქრებში მხედავ...

ან შენ რას გერჩი, ტილო კი არა, ფიქრებია ეს ტილო ჩემში...

წელში მოხრილი ძვლები დალბა...

“სომ გელდინ პატრონ!”, დღეს რას ინებებთ...

უსიტყვობას თუ ფიქრის დაცლას...

ზოგჯერ მე “პატრონ” ფიქრი რაა ფიქრსაც ვერ ვბედავ...

რას გერჩი პატრონ, ფეხით ჩემით მოგვგარე თავი, ენის გატეხვით, ჯანის გატეხვით, სულის გატეხვით და კიდევ რავი...

“სომ გელდინ პატრონ...”

მეშველება ნეტავ ოდესმე, მეშინია, პატრონო ჩემო, ჩემი ნასვლით შფოთავს “მოკეთე”

მე ოცნებაში ერთი მქონდა, არ უნერია თუმცა ახდენა, არ ნასულიყვნენ შვილნი ჩემნი, ისევ შვილების გადასარჩენად...

“სომ გელდინ პატრონ, ”გამიმართლა მაინც ასიდან, რამდენჯერ ფიქრში შერეული წამომაცენე, რამდენჯერ ცრემლი მომწმინდე და რამდენჯერ სიტყვა სილასავით გამანანი, მერე ბოდიშით დაბრუნება შემომატენე...

ე, ჰეი პატრონ, რას ფიქრობ გულში,

ერთი გეყავს ღმერთი იესოსა და ალაჰის იქით, შენ კი, შენ პატრონ, არც ალაჰის გნამს და არც იმ ღმერთის...

ულმერთობა ახლა შენში, ახალგაზრდა ხარ, ჯერაც იმისთვის გეშინოდეს სიკვდილის ჩრდილის ...

შენი შვილები ევროპას ავსებს... მე მეშინია, ჩემს შვილებს პურის ნაჭერი, ვახშმად აქვთ რამე?

“სომ გელდინ პატრონ...”

შენი დიდი სიყვარულით, მოგზაურობის რამდენი ვნახე...

თვალს უხარია, გულს კი ცრემლი და არდამონების მყიფე სურვილი წვეთობით ავსებს...

“თამამ”

ვამბობ და გულში ხრჩოლავს მწარე ურჩობა...

გაიქეცი, წადი, გაცილდი... წინაპრების სისხლი ყეფავს იქვე, რომ შეანთხია ბრძოლას ურდოსთან...

რას გერჩი, პატრონ!

შენ ჩემს მონობას, მე ამ მონობის გაგლეჯვას ვლამობ...

“სომ გელდინ პატრონ”

ოდესმე გეტყვი ალბად “სომჩაკალ, “მაინც მადლობა, შენ ჩემში სულია სული მბორგავი, რომ არ, თუ ვერ ჩაკალ... გადავარჩინე...”

“სომ გელდინ პატრონ!”

შენ ყოველ დილით, ტილოთი ხელში, დაჩოქილი ფიქრებში მხედავ... ეს არ გეგონოს უბრალო ტილო, აქ, ამ ტილოზე წერია ყველა და ყველაფერი, რასაც ვინახავ...

მიყვარხარ მაინც...

ვერც ამ სიყვარულს ვერ გაიგებ, თუ არ გინახავს...



ნუ განახოს უფალმა ღმერთმა...

“სომ გელდინ პატრონ...”

ერთ დღესაც გეტყვი ალბათ “სომჩაკალ...”

30. 10. 2019

ბედობის დილა

ძალიან დაიღალა დღეს, ფიზიკურად იმდენად ვერ გრძნობს დაღლას, მაგრამ როგორადაც არ უნდა გაიმხნოს თავი, მაინც უკიდურესად დაძაბული და თანაც გახარებული ბრუნდება, გახარებული იმით, რომ დღესაც გადარჩა. საკმაოდ დიდი ტერიტორია განალმეს ბიჭებმა. უცხო მინაა, ძნელია უცხოობაში ყოფნა, ფსიქოლოგიურად ყოველთვის მომზადებული გადის ოპერაციაზე, თავის თავში დაჯერებული და მაინც... ვინ იცის სად ჩაგისაფრდება სიკვდილი.

სულ რამდენიმე თვე დარჩა, დრო კი უფრო და უფრო გაიწელა. ადრე სიზმარში მაინც ნახულობდა თავის სოფელს, მოხუც დედ-მამას და კიდევ... ეჰ, კიდევ... კიდევ თავის ოცნებას, ახლა ძილიც გაუკრთა, აზრებსაც ვეღარ ალაგებს. ჩავიდე და წყალი თავის გზას მოძებნისო ამითლა იიმედებს გულს.

ამ ბოლოს მამაც რაღაცნაირად არეული ელაპარაკება, კითხვებსაც აღარ პასუხობს ბოლომდე, ნეტავი რა ხდება, დედასაც დაელაპარაკა რამდენიმეჯერ. ხშირად ვერ ელაპარაკება არაა ამისი დრო, მაგრამ რა ვიცი, ეჭვი ფაჩუნობს გულის კუნჭულში. ნეტავი ეთქვა მაინც, ორიოდ იმედიანი სიტყვა დაეტოვებინა და მასაც წამოეღო საგზლად, მაგრამ არ იყო დარწმუნებული გოგოს ფიქრებში და ვერ გაბედა...

კალენდარზე ზანტად იხეოდა ფურცლები, ფიქრიც დაავიწყდა, ან კი სადღა იყო ფიქრისა და ოცნების დრო?! სროლები არ წყდებოდა და თუ გაგიტენდებოდა, დაღამებისთვის უნდა გელოცა. დაღამდებოდა და ღმერთო გამითენეო, სხვადასხვა ენაზე, ჩურჩულით ყველა ამ ორ სიტყვას იმეორებდა.

მაინც მიიღია დღეები. დღეს მამას დაელაპარაკება, ვერ გადანყვიტა ახაროს თუ არა. ტელეფონთან რიგი იდგა, სულ ხუთი წუთი აქვს. მაინც ვერ მოითმინა და მიახლოებით ჩამოსვლის დღე დაუსახელა. გაუხარ-

და მოხუცს, მაგრამ ენის ბორძიკით რალაცის ახსნას ცდილობს... დედა ცოცხალია ხოლო? იკითხა გიორგიმ ჩაგუდული ხმით. კი, შვილო ცოცხალია და შენთვის კარგი ამბავიც გვაქვს, ბარში ჩამოვედით შვილო, სახლი ვიყიდეთ ბიძაშენის ახლოს, იქა ვართ გადმობარგებული... ტელეფონის ხმა განწყდა, დრო დამთავრდა, თუმცა გიორგისთვის სულ ერთი იყო მისამართი, იცოდა გული მაინც იქ გაუწევდა, სადაც თავისი დატოვებული მოგონებები ეგულბოდა...

ავტობუსმა ქოშინით აათავა აღმართი და ფარდულის წინ გაჩერდა. ლამდებოდა უკვე. ავტობუსიდან მხოლოდ ერთი მგზავრი ჩამოვიდა და მძიმე ნაბიჯით გაუყვა ჩაბნელებულ შარას. სიბნელეში ნელ-ნელა გამოიკვეთა სახლის კონტურები, თითქოს ხელგანვდილი ეგებებოდნენ გიორგის. შეალო კარი და უსიამოვნო სუნი ეცა, დიდი ხნის დაკეტილი სახლის სუნი. ფანჯრები გამოაღო, ბუხარი გააღვიძა, ატკაცუნდა ხმელი შეშა. თითქოს ამბავს უყვებოდა გიორგის და ისიც საცეცხლურით აქეზებდა და აქეზებდა. შესცივდა ცოტათი, ადგა და ფანჯრები დახურა, თვალი გაექცა სერზე გადმოდგმული სახლისაკენ...

ჭიშკრის ხმამ გამოაღვიძა გიორგი, ჩასძინებოდა. უგემურად გაიზმორა, ბეჭები ასტიკვდა. არ უკითხია ვინ იქნებოდა მიხვდა, თუმცა გაუკვირდა კია საიდან უნდა გაეგოთ შვილის ჩამოსვლა... კარები გამოაღო, კიბეზე ძლივს ამოდიოდა დედა, ცალი ხელი გულზე მიეკრა, მამა კი კაი მოზრდილ კალათას მოათრევდა. უკან დარცხვენილი ღიმილით და მეორე კალათით იმ ავტობუსის მძლოლი მოყვებოდა გიორგი რომ ამოყვა სოფლის ფარდულამდე.

სახელდახელოდ გაშალეს სუფრა, მამამ გადანახულ ჭურს მოხადა თავი, სიტყვის თქმა უჭირდა მოხუცს, სიხარულს დაემუნჯებინა, სვამდა კია. დედა ხშირ ხშირად მალულად ინმენდდა ცრემლებს. კაცებს ღვინო მოერიათ, ლაპარაკის საღერღელიც აშლოდათ და ასე ფერება ლოცვაში გათენებულიყო კიდეც, ბედობა დილა მზესთან ერთად შემოსულიყო ღია კარებიდან და კარებში გასუსულმდგარი მეზობლის საცრისთვალეზა თეონა სიხარულის სხივებში გაეხვია.

04. 12. 2017

### ბაბუ!

რა იყო ბაბუ!

შენ ხომ ყველაფერს მიხსნი და მასწავლი ბაბუ?

მერე ბაბუ,

საქართველო გაბრწყინდებაო რომ ამბობენ, ძალიან მაინტერესებს, როდის გაბრწყინდება ბაბუ, ან რას ნიშნავს გაბრწყინება, მითხარი რა ბაბუ.

ჰოოო, ბაბუ, შენ როდის შემომეზარდე ასეთ რალაცებზე რომ ფიქრობ უკვე?

რა ვიცი აბააა.

როცა ყველა ქართველი გაბრწყინდება ბაბუ.

ეს რალას ნიშნავს?

როცა ყველა ქართველი ქართველობას ისწავლის, ბაბუ.

ქართველს ქართველობის სწავლა რად უნდა ბაბუ, ისედაც ხომ ქართველია?

ჰო ბაბუ, ქართველია, მაგრამ ქართველობა რააა არ იცის.

ვერაფერი გავიგე ბაბუ, თუ არ იცის ვასწავლოთ ბაბუ.

არა ბაბუმ გენაცვალოს, ქართველობა არ ისწავლება.

აბა ბაბუ?

ქართველობას ვერავინ გასწავლის, თვითონ უნდა ისწავლო.

როგორ ბაბუ?

გონების თვალთ ბაბუ.

მე მაქვს ბაბუ გონების თვალი?

კი ბაბუ, ყველას აქვს, მაგრამ გახელა არ უნდათ.

რატომ ბაბუ?

სიყვარული არ იციან და იმიტომ ბაბუ

მე ხომ ვიცი ბაბუ?

რა იცი ბაბუ, აბა მითხარი.

შენ რომ მიყვარხარ, ის სიყვარული არააა?

სიყვარულია.

კიდეც?

კიდეც დედა მიყვარს.

კიდეც?

მამა მიყვარს.

კიდეც?

ჩემი და მიყვარს, არაა საკმარისი ბაბუ?

არა ბაბუ არაა საკმარისი, ღმერთი გიყვარს ბაბუ?

კი, ბაბუ როგორ არ მიყვარს.

ჰოდა ბაბუ, ღმერთივით უნდა გიყვარდეს სამშობლო ბაბუ.

შენ რომ უფრო მიყვარხარ ბაბუ?

მეც უნდა გიყვარდე ბაბუ, მაგრამ თუ მე უფრო გიყვარვარ, ვიდრე ღმერთი და სამშობლო, მაშინ ქართველობა არ გცოდნია ბაბუ, ქართველობას ღმერთის სიყვარულივით რომ გაუფრთხილდები, საქართველო მაშინ გაბრწყინდება ბაბუ.

მაშინ ადვილი ყოფილა ბაბუ.

არაა ასე ადვილი ბაბუ, მარტო შენ რომ გიყვარდეს საკმარისი არაა, ყველა ქართველს უნდა უყვარდეს ქართველობა, საქართველოც მაშინ გაბრწყინდება ბაბუ.

ღმერთი ხომ ყოვლისშემძლეა ბაბუ, რატომ არ აბრწყინებს საქართველოს?

ჩვენ გველოდება ბაბუ.

რატომ ბაბუ?

ქართველობამდე რომ ავმალდეთ, ბაბუ,

მაშინ რა მოხდება ბაბუ?

ქართველები გაგაბრწყინებთ საქართველოს ბაბუ.

აკი ღმერთი გააბრწყინებსო?

ღმერთის ნებით იქნება შვილო, ღმერთი დაინახავს ქართველების ქართველობას, დაინახავს უფლის სიყვარულს და ამ სიყვარულით საქართველო გაბრწყინდება, ბაბუ.

ამინ! ბაბუ!

ამინ!

30. 11. 2015

ელისაბედ ჯავახიშვილი

\*\*\*

და აი როგორც იქნა, პანდემიის ქარიშხალი დასასრულს მიუახლოვდა, ამოძრავდა მსოფლიო და მხოლოდ ნიღბიანი სახეებილა გვახსენებს დროს, რომელიც არასოდეს დაგვაგინყდება. მსოფლიოს მოსახლეობას ცუნამივით რომ გადაუარა, კორონა ვირუსის შიშმა და სახლებში გამოკეტილმა ადამიანებმა ბევრი რამ ახლებურად დაინახეს. გადავაფასეთ აზრებიცა და ურთიერთობებიც. ერთხელ კიდევ აღმოვაჩინეთ, რომ სიყვარულის დეფიციტი გვაქვს ადამიანებს. ვერასოდეს ვიფიქრებდი ამ ამბის თქვენთვის მოყოლას, რომ არა ის უცნაური ემოცია ფეხითმსვლელობისას რომ დამეფუფლა. მივდიოდი გზად და ოთხმოცდაათიანების უკან მოტოვებული დღეების ტკბილ-მწარე მოგონებები მახსენებდა თავს, როცა 2კგ. მჭადის ფეკილისათვის 8კმ. უნდა გამეგლო მუხლამდე თოვლში, ღვთისმშობელო ქალწულოს ათასგზის ლოცვით. ცრემლები ყინვისაგან სახეზე მეყინებოდა და სახლში მისული ვმადლობდი უფალს, რომ ჩემი პატარების დაპურება შემეძლო. ეს იყო დიდი ბედნიერება, თავისებური გამოცდილებითა და წვრთვებით...

ასე მოხდა ახლაც. როცა დანესებული კანონის მიხედვით ტრანსპორტი შეჩერდა და ჩემმა გერმანელმა მონივნებით შემატყობინა ქალბატონო ელისაბედ, ხომ ვერ შეძლებთ მოსვლასო?! . ჯერ დავიბენი, მერე კი, როგორ არა მოვალ-მეთქი, არც კი დავფიქრებულვარ რითი და როგორ. წარმოვიდგინე ას ლარად შეძენილი პროდუქტი, რომელიც რამდენიმე დღეს ბალიშზე მშვიდად დამადებინებდა თავს.

გახარებულმა კაიმ ბევრი მადლობა გადამიხადა და აშკარად შვებით ამოისუნთქა. მე კი მთელი სამეგობრო გადავამოწმე გონებით, მინდოდა გამეხსენებინა თუ ვის ჰქონდა ველოსიპედი. გადავრეკე, გადმოვრეკე და ყველასგან უარი მივიღე. თუმცა იქვე ახლოშივე, მომინია 9კმ-ის გავლა ფეხაჩქარებულს, როგორმე დროში რომ ჩავტეულიყავ და 9 სთ-მდე შინ მისვლაც მომესწრო. მივხვდი, აშკარად თავი რომ აარიდეს თხოვებას, შარში არ გავეხვიოთო და ასე გადაწყდა ჩემი ფეხითმსვლელობა, ვარკეთილიდან ფილარმონიამდე. მთელი ღამე ვერ დავიძინე, ნერვიულობისაგან ფეხმაც ტკივილი დამიწყო და როდის-როდის ძლივს ჩამეძინა, მადლიერების განცდით ავსილს, რომ უფალმა 100 ლარის წყალობა მოიღო ჩვენზე. დილის ხუთ საათზე გამომეღვიძა, ფანჯარას გავხედე, ისევ ბნელოდა, თან ექვსამდე გარეთ მაინც ვერ გავიდოდი, შვიდის ათ წუთზე სირბილით დავეშვი მეცხრე სართულიდან. წინა დღის აღებული ხელფასიდან ასი ლარილა მქონდა შემორჩენილი. დაუდევრად ჩავიკუჭე ჯიბეში იმ იმედით სადმე დავახურდავებ, რომ ინტერნეტი ჩავრთო და ამხელა გზაზე რაიმეს მოვუსმინო-მეთქი. სადარბაზოს წინ რატომღაც ტელეფონი ამოვიღე და გადავამოწმე მქონდა თუარა დარჩენილი მეგაბაიტები. ამ დროს შემთხვევით ამომივარდა, ის ასი ლარიც და ალბათ ღმერთმა არ გამწირა, რომ უკან მიმახედა. ეგდო



უდარდელად და მპოვნელს ელოდა.  
 წარმოვიდგინე, როგორ იპოვიდა ვინმე ჩემნაირი გაჭირვებული და გამიხარდასავით. მერე ღრმად ამოვიოხრე და დანანებით ავიღე. გზაზე ფსალმუნების კითხვით, პირზე ჩემივე შეკერილი გაპრანჭული პირბადით და ხელზე მაქმანიანი შავი ხელთათმანებით გავუდექი გზას მეტროს მიმართულებით. კაციშვილი არავინ შემხვედრია და უცნაურმა განცდამ შემიპყრო. მე ხომ შიში ისედაც დავამარცხე და წლების უკან ჩამოვიტოვე, ანუ შიშზე გავიმარჯვე, მაგრამ მივხვდი, რომ ისევ მომეძალა ჩემდაუნებლიეთ. გზადმიმავალს რამდენიმე ძალი ამედევნა ყეფა-ყეფით. ეტყობა ჩემმა ფერადმა ჩაცმულობამ გააღიზიანათ. შევდექი და სიყვარულით ვეცადე დამეშოშმინებინა, რაც ნამდვილად გამომივიდა. სანყლები ჯერ ხომ არავინ ეფერებოდათ და სიყვარულმონატრებულებმა გამომაცილეს კიდევ, მადლიერი თვალებით. თან მსუნავდნენ და სათითაოდ მათვალიერებდნენ. ბოლოს სხვა საინტერესო აღმოაჩინეს და გამცილდნენ. მერე პატრულის მანქანამ მათვალიერა და როგორც იქნა, მეტრომდეც მივედი. დამავინყდა კიდევ, რომ სახლიდან გამოსულს ფეხი გადამიბრუნდა. დავითარსე-მეთქი ერთი გაფიქრება გავიფიქრე, მაგრამ ფიქრი გულიდან გადავიგდე და გზა განვაგრძე. მთელი ბავშვობა ვოცნიებოდი თავგადასავლებზე. ჰოდა ნამიერად სულ გადამაყინყდა კორონათი გაჟღენთილი მძიმე, დაძაბული ყოფა და ისეთი ალტყინებით აღვივსე თითქოს მსოფლიოს დასალაშქრავად მივდიოდი და არა, ჩემს გერმანელთან. როგორც იქნა, ეგრეთ ნოდებულ “ვასმოი პოლკამდეც” მივედი. აი იქ კი მაგრად ავირიე. რა გინდა გააკეთო დილის რვის ნახევარზე. ძეხორციელის ჭაჭანება არაა ირგვლივ. ვის გინდა, რომ ჰკითხო საით ნახვიდე. იმდენი მიხვეულ-მოხვეული ჩიხებია, ნამდვილად ვერ გავარჩევდი საით იყო სწორი გზა. ამიტომ ქუჩაში მიმავალ მანქანებს თხოვნით და ყელის გამოწვევით ხელი დავუქნიე. შენც არ მომიკვდე, არავინ გამიჩერა და უცნაურმა შიშმა შემიპყრო. სად ვარ ღმერთო, ნუთუ ამ ხალხს ასე ემინია, რომ ქუჩაში მდგომ ყელგამონეულ ქალსაც არად აგდებენ? ბომჟს ნამდვილად არ ვგავდი და ვერაფრით მივიღე ასეთი უსულგულობა თუ შიში. .. ღმერთო ჩემო, მე ხომ ყველაფერს გუ-

ლით ვგრძნობ და რატომ მე არ მაქვს ასეთი შიშის განცდათქო ჩავეკითხე თავს. მაინც არ შევეპუე და იქნებ ვინმე ღვთისნიერი შემხედეს-მეთქი. უნუგეშოდ კი აღვმოვჩნდი, არავინ... ვიდექი გაოგნებული და ვფიქრობდი რა ექნა?!. სიმწრით ცრემლები გადმომდინდა თვალებიდან და სადაცა ავლრიალდები, ღმერთო, რა ხდება მიშველეთქო. წმინდა ნიკოლოზს შევთხოვე შეველა და უნებლიედ ისევ გავუქნიე მანქანას ხელი. როგორც იქნა! გააჩერა და რა გჭირდებათ ქალბატონო, მორიდებით მომმართა. ჯერ მადლობა გადაუხადე და მერე კი ჩემი გაჭირვების შესახებ ვამცნე. არ დამზარდა და ამისხნა როგორ გავაღწევი ჯორჯ ბუშის გზატკეცილამდე, მერე მომიბოდიშა წამალი მიმაქვს თორემ წაგიყვანდითო. ავტირდი და უკვე დაძრულ მანქანას ჯვარი გადავსახე, ჩემი შვილის კბილა ბიჭი გულით დავლოცე. ასე დავადექი ავლაბრისკენ მიმავალ გზას, წარა-მარა საათს დავუყურებდი. მივხვდი, რომ დროში ვასწრებდი მაგრამ, გულში შემოჩენილი შიში მღრღნიდა. - შევძლებ?! ვეკითხებოდი თავს. ჯერ კიდევ მეტროსთან მისულს ფეხმა დამინყო ტკივილი. წარმოდგენაც კი არ მინდოდა, რომ სადმე ნერვი დამარტყავდა და გამაჩერებდა. როგორც იქნა, გავლიე ჯორჯ ბუშის ქუჩა და გამწარებულმა იმით, რომ ჯორჯ ბუშის ქუჩაზე მივდიოდი, მე ცხრა შვილის დედა, ჩემი განცდებითა და ტკივილებით შეძრული ვშფოთავდი, ნუთუ ამდენი დაღუპული ბიჭი, რომელთაც თავი დადეს სამშობლოსათვის, მათი გვარ-სახელი არ დაამშვენებდა ამ ულამაზეს გზატკეცილს. სულელი მიშას გამო ჯორჯ ბუშის ქუჩას უნდა ვტკეპნიდეთ ჩვენ, ვისაც ასე გვტკივა თვითოეული გოჯი მინა-წყლისა?! . მომკალით და ასე ვფიქრობ ჩემებურად, მივაბიჯებ გულდამძიმებული და ტერფმოლლილი და ასე ვშფოთავ... ესეც ხომ გათვლილი პოლიტიკაა, ჩემებურად კი, კუდის ქიცინი. ღმერთო, რა გაასწორებს ამ მთა-ბარს?!. სასაფლაოს მხრიდან იასამნების სურნელი მიგრილებს გზადმიმავალს ყვრიმალებს. რა არ ვიფიქრე, წარმოვიდგინე ჩემი გერმანელი, რომელიც უცხო ქვეყანაში კარგამოკეტილი იჯდა მიუსაფარი და მიუხედავად იმისა, რომ ის მამაკაცი იყო და მე ქალი, მომინდა მისთვის იასამნების თაიგული მომეკრიფა, მაგრამ... სასაფლაოზე დაკრეფილი თაიგული არასწორ საქციელად მივიჩნიე და უკან ჩავაბრუნე სურვილი, სამაგიეროდ გამახსენდა რომ ღვთისმშობი-შია, კაი და ავდექი და სააღდგომო პასკა ვუყიდე. მივდიოდი და ათას რამეს მივედ-მოვედებოდი გონებით. მანქანების შხუილი კიდევ უფრო მიშლიდა ნერვებს, რატომ? იმიტომ, რომ ქართული უსამართლობა აქაც კარგად ჩანს, ამდენი საშვის გაცემა იმ დროს, როცა ასეთი საშიშროება მძვინვარებს და ჩემს გულს შესული იჭვითა და ფეხმომატებული ტკივილით მივაბიჯებდი ჩემშივე მოკონინებული ნუხილნარევი იმედით, რომ ეს ყველაფერი ცუდი სიზმარია მხოლოდ... თავს ვიმშვიდებ იმით რომ, ერთ მშვენიერ დღეს გამომელვძიება და ისევ ისეთები იქნებიან ადამიანები, სამყარო, თუმცა ყველაფერს აქვს კარგი მხარე. ბედნიერი ვარ იმით, რომ დედამინამ დაისვენა, შვებულება

ელირსა, როგორც იქნა... და აი ბარათაშვილის ხიდზეც გადავაბიჯე, როგორც იქნა. გული კი უკვე საგულეში მიფეთქავს და მომეძალა სიყვარული. სიყვარულმა შვილები გამახსენა და გათოშილი სხეული გამითბო, აღარც ართროზი მახსოვს და ბედნიერი ვარ, იმით, რომ გზაზე მივაბიჯებ, რომ კალორიებს დავწვავ, რომ მტკივა ფეხი და არად ვაგდებ, აი ასეთი განწყობით მივალნიე კაიმდე. დიდი სიხარულით გამილო კარი. არ დამავინყდება მისი გაოცებული თვალები და ღმილით მოქცეული სახე. დაფაცურდა, არ უკითხავს ჩვეულებისამებრ ჩაის დალევ თუ ყავასო. პირდაპირ მკითხა, ვისკის თუ დალევო?! ღმილით ვანიშნე, კაი მაგარი ბიჭი ხარ-მეთქი და მონყვევით დავეშვი სკამზე. ვისხედით, ვწრუპავდი ვისკის და ბედნიერ კაის ვუყურებდი, რომელსაც პატარა მაგიდაზე სააღდგომო კომპოზიცია მოუნყო. პასკამაც გამოუკეთა განწყობა და თავისი დამტვრეული რუსულით მიაშბო რას აკეთებდა, რას კითხულობდა. ასე გავაბედნიერე კაი და საჩქაროდ უკან გამოვეშურე. აი, უკანა გზაზე კი ბარათაშვილის ხიდამდე კარგად ვიარე. სურათებიც გადავიღე, რაც საინტერესოდ მომეჩვენა. უკან წამოსულმა კი ახლა მიშას გაკეთებულ ეგრეთ წოდებულ თეატრზე ვიბობოქრე. ერთი მომცა ბულდოზერი და გადამავლევინა-მეთქი. ამინდიც გაუარესდა, საშინელი ქარი ამოვარდა და წვიმაც დაიწყო. ზურგჩანთაში ჩადებული სანვიმარი ამოვიღე და ასე აჩონჩხილი მოვაბიჯებ საფრთხობელასავით. გზაზე გეგმებსაც ვადგენ, როგორ მოვკალათდები და ცოტა გამახურებელსაც ჩავერტყამ, ტვინის გასახსნელად რომ გადაღებულ ფოტოებს ტექსტიც დაეურთო. ამასობაში მარინა თექეთმანიძე მიჩეკავს და მკითხულობს როგორ ხარო? მას ჩემი ჩანერილი ხმოვანი გზავნილი გადავუგზავნე და არა მარტო მას, სხვებსაც. პატრული გამოიძახეო, მეუბნება შენუხებული და თავს მიხედეო მაფრთხილებს. მერე ჩემი გუთიკო მკითხულობს და მეგობრების თანადგომით მივაბიჯებ უკანა გზას. გაჭირვებით მივედი ისევ მერვე პოლკამდე და დავდექი. მივხვდი, რომ ვეღარ ვადგამ ფეხებს. ფეხისგულები მენვენება, გული მეკუმშება და ასთორმეტში ვრეკავ. აი აქ კი ნამდვილი ტრაგიკომედია იმართება. აღარ მოვეყვები, იმიტომ რომ ყველაზე დაუცველად და უსუსურად ვიგრძენი თავი. დიდი ომის შემდეგ კი სასწრაფომ ამიყვანა სახლამდე. სასწრაფოს ექიმის კითხვამ კი დიმედროლ ანალგინის ნემსის შემოთავაზებამდე ნოდარ დუმბაძის თეთრი ბაირალები გამახსენა, ნუნუ ექიმი რომ სთავაზობს ყველას ლუმინალი... ეს, კორონა ვირუსი კი არა და სიყვარულის ვირუსი გამოიგონეთ თქვე ოჯახაშენებულებო თქვენა, ვფიქრობდი დალილობით ილაჯგანყვეტილი და გამარჯვებული საკუთარ შიშზე. აი იმ ასი ლარის დახარჯვა კი ისე დამენანა ლამის ვიტირე, ერთი კგ. ლიმონი რომ 17 ლარი ეღირება, რალა უნდა თქვა? ასე დამრჩა მესიერებაში ვარკეთილიდან ფილარმონიამდე გავლილი ოცი კილომეტრი...

ციური ასპანიძე -მესხიშვილი

### მესხეთის მეფეობის დღე

სამარგალიტო მესხეთის სამაგიდო გაზეთს „ლიტერატურულ მესხეთს“, რუსთაველის ლოგოსთან ერთად, თავსათაურად ამშვენებს ამონარიდი გიორგი ლეონიძის ლექსიდან: „დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი.“

დიახ! დიდმა პოეტმა, ამით ხაზი გაუსვა მესხეთის მნიშვნელობას ქართულ კულტურაში. მრავალჯერ ანიოკებულმა მესხმა დედებმა, არ გააცვივს კერა. დარანებში თუ მიწურებში, მტერს გადარჩენილები, არწევდნენ აკვნებს და მღეროდნენ: „... ვაჟის მამა შინ არ არის, მზევ, შინ შემოდით, აკვნის საყიდლად წასულა, მზევ შინ შემოდით“...

დიახ, 1950 წლის 5 თებერვალს, მეფე ერეკლეს სადიდებელ ასპინძაში, ციხის უბანში, მესხურ ოდაში ჩავიდა მზე და დაიბადა ვაჟი, კიდეც ერთი „ვინმე მესხი“-სულმნათი შოთასნაირი ვერ, მაგრამ მისი კალმის დამფასებელი „კაი ყრმა“რომ დაიბადა, უკვე ვხედავთ. (აკი, მიანიჭეს კიდეც „ქართული მწერლობის ამგდარის“წოდება, მწერალთა კავშირიდან) პოეზიის სახალხო დღესასწაულს „შ ო თ ა ო ბ ა ს“(სწორედ აქ, დაჯილდოებისას გავიცანი იგი) პატრონად გამოუჩინდა. გეგონება, სულმნათ შოთას ნათლულიაო... უფალმა, სახელიც საკადრისი შეურჩია და დღემდე „ავთანდილი-ავთანდილობს“... რაინდობს და ღირსეულად ატარებს მწერალთა კავშირიდან მინიჭებულ „რაინდის“. წოდებას.

იშვიათია ადამიანი, რომელიც, თავის ტიტულებს ასე ღირსეულად იმშვენებდეს. მოკრძალებული, სათნო, მშვიდი, განონასწორებული, სულიერებაში სუფთა და წყაროს წყალივით აწკარავს. მისი ხავერდოვანი, დაბალი ხმის ტემბრი, ტკბილი მამისა და პაპის შთაბეჭდილებას ტოვებს. და, რაც ყველაზე მთავარია, სამშობლოზე უზომოდ, რაღაცნაირი, ამოუცნობი, კოსმიური გრძნობით მოტრფიალედ და მოფოფინე თავანკარა ადამიანია.

გასაოცარია, ჩვეულებრივმა მოკვდავმა, ასეთი ტიტანური შრომა რუდუნებით და ხალისით გასწიო! მოიძიო უამრავი ფოლკლორული ფოლიანტები და „ოქროს წიგნებად“გამოსცე. ისტორიაზე, და განსაკუთრებით



მესხეთის წარსულზე შეყვარებული დასდევს და აგროვებს ყველაფერს, რაც კი მისი კუთხის დაცემასა და აღზევებას ეხება.

მეფე ერეკლე II ბავშვობიდანვე მისი იდეალია. 1966 წელს რუსთაველის 800 წლის იუბელასთან დაკავშირებით, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე, 16 წლის ჭაბუკმა მეფე ერეკლეს როლი შეასრულა. მას შემდეგ ამ როლში დარჩა. პროფესიით ისტორიკოსმა, იშრომა და იბრძოლა იმდენი, რომ ასპინძის ომის 250 წლისთავთან დაკავშირებით, უკვე სტამბაში ჩაუშვა ისტორიული ნარკვევი-თანდართული ილუსტრაციებით. საიუბილეოდ კი თავისი სულისცალი წიგნი „მარადიული ვალი“გამოსცა. სათაურიც, რა უცნაურად შეურჩია ამ დალოცვილს?! . . ეს ვალმოხდილი ადამიანი, სათაურით მიგვანიშნებს, რომ სამშობლოს ვალიდან, ვერასოდეს, ვერავინ ამოვა. ავთანდილ ბერიძის სახით, მესხეთში, ფეხადგმული ისტორია დადის.

ნიშანდობლივია რომ თბილისის მერიამ, 2010 წელს, იგი, ქართული კულტურის დესპანის“მედალით დააჯილდოვა. ბატონი ავთანდილი არამარტო დესპანია, ვფიქრობ იგი, მესხეთის სრულფლებიანი ელჩია,“წარგზავნილი სრულიად საქართველოში, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ეგიდით.

მოვა დრო და დაბა ასპინძაში, მისი სახელობის ქუჩაც გაჩნდება და დაარქმევენ: „ჩვენი ავთოს ქუჩას“. სიცოცხლეში კი სასიამოვნო იქნება, თუ მესხეთზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანს, განეული ღვანლისათვის ახალციხისა და ასპინძის საპატიო მოქალაქედ აირჩევენ და უფრო მეტიც, ახალციხის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდებას უნივერსიტე-

ტის მედალით დაადასტურებენ. მას სახელთან ერთად, ღმერთმა, გვარიც დიდებული უბოძა, რასაც სულის სამშვენიისად დაატარებს. ბერობიდან გამოსული ერისკაცი- ბერიძე, აუცილებლად, სამშობლოსთვის სანთელივით დაინვება. ამას, მისი ლექსიდან მოტანილი სტრიქონიც ადასტურებს: „სამშობლოს ჭაპნის განევა, ვაი, რა ძნელი ყოფილა“...

დიდხანს გეზიდოთ ჭაპანი ქართული მიწის ხნულში. ღმერთს ებარებოდეთ!

### ავთანდილ ბერიძე

#### მე სამცხე მტკივა

მე სამცხე მტკივა,  
ჩემი ტაო, ჩემი შავშეთი,  
მე არტანუჯის სანახები  
მტკივა და მტკივა,  
დღეს ნაქცეული საქართველოს  
ტკივილით ვცხოვრობ,  
უიმედობის მოლოდინშიც  
არავინ მკილავს.

დასაბამიდან  
ასე მოველ, -  
სისხლი მრავალი  
სად არ მიღვრია ჩემი მიწის  
გადასარჩენად.  
თუმც ვაჟკაცობა,  
მკლავის ძალა, არასდროს მკლავდა,  
მიტომ არაფრით შემიძლია  
ასე დარჩენა.  
მე ნაქცეულიც,  
მომაკვდავიც,  
ბევრჯერ მიხილეს,  
ბრძოლის ველიდან გაქცეული კი-  
არასოდეს,  
თურქის, არაბის  
ხელით ბევრჯერ სისხლი მაღინეს,  
მამელუკს ჩალმაც არაერთხელ  
თავზეც დამხურეს.  
წამებით ვთესე  
წინაპართა ნაპოხ მიწაზე,  
ცრემლით და სისხლით

მიზიდია ეს მძიმე  
ჯვარი,  
რომ ჩემი მიწის-  
ქართველობის გადასარჩენად  
მკერდით დამეცვა  
საქართველოს დასაფიცარი!

### ციური მესხიშვილი

#### ყველგან დამაგვიანდა

(გუძღვნი: ა. ბერიძეს)  
ვერც ენძელად ამოვედი, ვერც ლურჯთვალა  
იადა,  
გაზაფხულად მოსვლა მსურდა, მაგრამ  
დამაგვიანდა! ..  
გზაზე ფურისულა შემხვდა, მიჰყვებოდა  
ლიანდაგს...  
მოფერება დავუპირე, მივხვდი დამაგვიანდა! ..  
ცხელ თონეში, დედას პური, ნაცრით  
რომ გახმიადდა,  
იქაც ჩემი ბრალი იყო, - ლოცვა  
დამაგვიანდა! ..  
ცხრათვალა მზე, ვარსკვლავებით, ცას  
რომ უფენს ფიანდაზს,  
ისიც მთვარემ შეიყვარა, - კოცნა  
დამაგვიანდა! ..  
გახსოვს?- ჩვენი სიყვარული, ასე რომ  
გახმიანდა...  
პაემანზე დამიბარე, მოსვლა დამაგვიანდა! ..  
დახტის, დახტის ჩიტბატონა, პირს უსინჯავს  
ნიადაგს  
და მეძახის მეტსახელად:, ყველგან  
დამაგვიანდას“...  
რა ვქნა? რბოლა, ვერ ვასწავლე, ჩემ შავთვალ  
იაბოს,  
რა მოხდება, რომ სიკვდილმაც,  
ასე დაიგვიანოს?!

ჯენი ჩხეიძე

\* \* \*

ცა ელვა-ჭექით სიბრაზეს აჩენს,  
 მოაპირქვავა ღრუბლის მათარა,  
 შენ მეკითხები, - წვიმაში დავგრჩეთ?!  
 და მე გპასუხობ, - რატომაც არა!  
 ფეხის თითებზე შემდგარმა წვიმამ,  
 თავზე შხაპუნით გადაგვიარა,  
 მერე წვილ ნელზე შემომეხვია,  
 შენი მკლავების გრძელი ხვიარა.  
 გული სპეტაკი განცდით მევესება,  
 დამა ვარ, შენ კი ჩემი ვალეტი  
 და მაპატიე, ეჭვის ნემსებით,  
 თუ კი გჩხვლეტი და სულს გინვალებდი.  
 შენი სამყარო თვალებში ჩამდის,  
 თავს შევაფარებთ სველი ხის ჯარგვალს,  
 და როგორც ბაღში ამოთხრილ ტიტას,  
 მე შენი გულის წიაღში ჩამრგავ.  
 ცა ელვა-ჭექით სიბრაზეს აჩენს,  
 მოაპირქვავა ღრუბლის მათარა,  
 შენ მეკითხები, - წვიმაში დავგრჩეთ?!  
 და მე გპასუხობ, - რატომაც არა!



ჩემი თმები აგინენია,  
 ამ დიდ სიყვარულს,  
 ჩემს თვალებში ამოიკითხავ.

\* \* \*

შენი აჩრდილი არ მასვენებს  
 დღისით თუ ღამით,  
 უცებ სახეზე გადამირბენს,  
 დამაფრთხობს ელდა,  
 ვერ დავუჭირე უშენობას  
 რა ვქნა, მულამი,  
 და ვზივარ ახლა  
 დაღვრემილი ღამაზ ტიტებთან.  
 მე ვერ ვისვენებ,  
 უშენობით  
 ვგავარ საბრალოს,  
 წიგნზე მიწყვია  
 მოდუნებით თხელი ხელები,  
 თუ მაპატიებ, ეს სიშორე  
 რომ დაგაბრალო?!  
 მე მენატრები  
 პოეტურად და გახელებით.  
 ნეტავ, ვიცოდე რას მიმზადებს  
 ბედი მუხთალი,  
 მოფრინდი, დალილს  
 დამიკოცნე ნაზი ტუჩები,  
 წამოუნექი და უნებლიედ  
 დავხუჭე თვალი,  
 შენ ტკივილი ხარ,  
 და თუ გნახავ გამიყურდები.  
 პოეტო შენი ტრფიალების განცდა მენვია,  
 მე მეყვარები სამუდამოდ,  
 ყველაზე დიდხანს,  
 გუმინ სიზმარში,

\* \* \*

იცი რად მიყვარს ტიტები?  
 არ მითქვამს? ახლა გეტყვი,  
 ღამაზები და მდიდრები,  
 დედოფლები და მეტიცი,  
 როგორ იხდენენ ვაზაში  
 მართლაც დედოფლურ იერს,  
 არის მათ სიღამაზეში  
 ცის ნათება მზის მიერ.  
 მაგრამ როგორც კი ჩადის მზე,  
 ხვდებიან თავის დახრით,  
 თითქოს საღამოს ნადიმზე  
 მონყენითა და დალით...  
 მისხვდი? ამაში მე მგვანან,  
 მეც ზუსტად ასე ვიცი,  
 დღისით ჩემია ქვეყანა,  
 ღამით ხასიათს ვიცვლი. .  
 დღე გავალ, მზეს ვეუღლები,  
 ცისარტყელების ხიდებს,  
 ღამე ვტირ, ვესაუბრები  
 ცრემლით, მონყენილ ტიტებს. .  
 მაგრამ როგორც კი თენდება,  
 ქარი იყოს, გინდ წვიმა,  
 ჩვენ ვმზეობთ, მე და ტიტები,  
 დედოფლებივით ვბრწყინავთ!

ვუმზერდი დიდხანს,  
 ძალიან დიდხანს,  
 მინდოდა მეთქვა  
 და მაინც არ ვთქვი!  
 და რაც მინდოდა,  
 ნურავინ მკითხავს,  
 აღარ მსურს ცეცხლზე  
 დავასხა ნავთი.  
 ვუმზერდი - მზერა,  
 ჰგავდა იმ მზერას,  
 დანურულ ყურძნის,  
 (ერთ დროს რჩეულის)  
 სანნახელში რომ  
 აგდია ჯერაც  
 ცრემლმორეული  
 და ამღვრეული.  
 მერე კი როცა  
 დაეშვა ფარდა,  
 მე წამოვედი  
 სცენიდან მარტო,  
 არც არვინ დარჩა  
 თვალების გარდა,  
 ნურც იმას მკითხავთ  
 რისთვის და რატომ -  
 არ სინანული,  
 თუნდაც მცირედი,  
 როგორც არასდროს,  
 ვიყავ ძლიერი!  
 მე მივდიოდი  
 და მაცილებდნენ  
 თვალები ღია  
 და ცარიელი...

\* \* \*

ფოთოლცვენა,  
 ფოთოლცვენა,  
 გული სევდით  
 მევსება,  
 შემოდგომამ  
 მომიტაცა -  
 სახლში  
 არ შემესვლება.  
 უჰ, რამდენი  
 ფოთოლია  
 მწვანე  
 ყვითელ-წითელი,  
 ამ ხეივნის მწკრივში  
 დგანან  
 ვერხვი, ცაცხვი,

წიფელი.  
 თუ გრძნობ,  
 მოდი,  
 მისალბუნე,  
 გულს რა დარდი  
 მიმიძიმებს,  
 ქარი აშლილ  
 ფოთლის წყებას  
 ყელზე  
 შემომიძიმებს.  
 შენი დარდი  
 შენზე ფიქრი,  
 ოი, როგორ  
 მაშფოთებს.  
 ცად ღრუბლები  
 მაგონებენ  
 საზიზღარ  
 ეშაფოტებს.  
 ამ გულს შენი  
 სურვილი კლავს -  
 ხანჯალი  
 ორლესური  
 ღვინობისთვის  
 მიწურულს ვარ,  
 უფრო პოეტესური!  
 ხვალ სისხამზე  
 მოდი, ბიჭო  
 რამებშებმულ  
 კარეტით,  
 სულ შენი ვარ...  
 გახსოვს ადრე?  
 ახლოს  
 არ გიკარებდი...  
 ვოცნებობო...  
 ჰა, ვარ შენი  
 ახდენილი  
 ოცნება,  
 სხვებმა ისევ  
 იოცნებონ,  
 სხვები მე ვერ  
 მომწვევება!  
 ჩავინთქმებით  
 გრძნობის ზღვაში -  
 გვითრევს ვნების  
 მორევი...  
 მოდი ხვალე,  
 გელოდები,  
 ხვალე გეამბორები...

ვახტანგ ბახტაძე

ჟურნალისტი, პუბლიცისტი  
„სპეციალურად „ისინდისათვის“

**პატრიარქ ტიხონის ანათემა ბოლშევიკებს**

გთავაზობთ ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის ვახტანგ ბახტაძის თარგმანს რუსული ენიდან, წყალობითა ღვთისათვისა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავრის, პატრიარქ ტიხონის (ერისკაცობაში ვასილი ბელლაგინის) ცნობილ ეპისტოლეს ღვთისაგან კურთხეული მღვდელმთავრების, მღვდელმსახურების და ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგულ შვილთა მიმართ (დათარიღებულია 1918 წლის 19 იანვრით).

თარგმანს თან ახლავს მთარგმნელის „წინათქმა“ და „ბოლოთქმა“, რომელიც შესრულდა ქართულ ენაზე პირველად და სპეციალურად მომზადდა ჟურნალ „ისინდისათვის“.

წელს, აპრილში შესრულდა 95 წელი პატრიარქ ტიხონის (ა. წ. მინდანად შერაცხული 1989 წ.) გარდაცვალებიდან.



**წინათქმა**

საბჭოთა რუსეთის შემსწავლელ დასავლეთის ცნობილ ისტორიკოსთა (ანტიტოტალიტარისტ) აზრით, ვლადიმერ ულიანოვ - ლენინის მოღვაწეობა, მისი საქმიანობის ანალიზი, „მსოფლიოს პროლეტარიატის ბელადის“ თანამებრძოლთა მიერ განვლილი გზა აშკარად და ხშირ შემთხვევაში, დაუფარავად გვიჩვენებს, რომ ლენინი იყო ბოლშევიკური ტერორიზმის თეორიისა და პრაქტიკის ფუძემდებელი; მან მოკლე დროის განმავლობაში ხელთ იგდო რუსეთის იმპერიის მოსახლეობის მიერ შექმნილი ღირებულებანი, უთვალავი სიმდიდრე, რომლებიც საუკუნეების მანძილზე გროვდებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

გასული საუკუნის პირველი ნახევრის ბოლშევიკი ისტორიკოსები (მარქსისტულ - ლენინური იდეოლოგიის თვალსაზრისით) თითქმის ყველა, ამართლებდნენ ბოლშევიკურ ტერორს, როგორც „რევოლუციურ აუცილებლობას“. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში რევოლუციური ტერორი განიხილებოდა, როგორც პროგრესული, ჰუმანური აუცილებლობა „კონტრევოლუციური“ ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამის დასტურად გთავაზობთ ბოლშევიკი ლიდერების რამდენიმე გამონათქვამს:

„არის მხოლოდ ერთი საშუალება, დაჩქარდეს, გამარტივდეს ძველი საზოგადოების კრუნჩხვა, ახალი საზოგადოების მშობიარობის ტკივილები - ესაა რევოლუციური ტერორი“ (კარლ მარქსი).

„დახვრეტას ექვემდებარება შეთქმულებთან და ამბოხებულებთან დაკავშირებული ყველა პიროვნება“ (ვლადიმერ ულიანოვ-ლენინი).

„თუ გვინდა, რომ ჩვენი ნაოცნებარი სოციალიზმი ავაშენოთ, ამისათვის აუცილებელია ტერორი, დაუნდობელი ბრძოლა მტრების წინააღმდეგ - მხოლოდ ტერორი და სხვა არაფერი“ (ლევ ტროცკი).

„დახვრეტები არის ერთ-ერთი ფორმა კომუნისტური საზოგადოების დამკვიდრებისა“ (ნიკოლაი ბუხარინი).

„მასობრივი რეპრესიების და დახვრეტების გარეშე კომუნიზმს ვერ ავაშენებთ“ (ნიკოლაი ბუხარინი).

„ჩეკა არის კომუნისტური პარტიის მშვენიერა და სიამაყე“ (გრიგორი ზინოვიევი).

საფრანგეთის დიდ რევოლუციას არ დაუღვრია იმდენი სისხლი, რამდენიც საბჭოთა რუსეთში ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ დაღვარა. რუსეთში კლასობრივი სიძულვილის საფუძველზე გაჩაღებულმა ჯერ საბჭოთა რუსეთის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ, შემდეგ საბჭოთა კავშირში განხორციელებულმა „წითელმა ტერორმა“ არნახულ მასშტაბებს მიაღწია, რაც უპირველესად განაპირობა ლენინის „სოციალისტური რევოლუციის“ თეორიამ.

ლენინი მზად იყო, გაენყვიტა მთელი მოსახლეობის 90%, რათა დარჩენილ 10%-ს რაღაც ბოღვით, უტოპიურ კომუნიზმში ეცხოვრა.

გავიხსენოთ, როგორ განმარტავდა ლენინი დიქტატურას: „დიქტატურის ცნება სხვა არაფერია, თუ არა ყოვლად განუსაზღვრელი, კანონებით და წესებით აბსოლუტურად შეუზღუდავი, უშუალო ძალმომრეობაზე დაფუძნებული ხელისუფლება“ (ტ. 44, გვ. 383)

ამიტომაც ასე სამართლიანად უწოდა აშშ-ს ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა მეორმოცე პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა საბჭოთა კავშირს „ბოროტების იმპერია“. რომლის ადმინისტრაციამ, მისი ხელმძღვანელობით, რესპუბლიკური პარტიის, კონსერვატორი ქორების გუნდის მეშვეობით შეძლო შეემუშავებინა საბჭოთა იმპერიასთან ურთიერთობის მკაცრი და ეფექტური პოლიტიკური (ანტიტოტალიტური) კურსი, რომელსაც მიზანმიმართულად და გონივრულად ახორციელებდა: ეს იყო საბჭოთა კავშირის ეკონომიკური გამოფიტვა, გამალებული შეიარაღებით მოქანცვა (არსებითად „SVI“-ის, „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივით“- მოხრჩობა) ფულადი საკრედიტო პოლიტიკის ეფექტური გამოყენება... რეიგანის მეორე საპრეზიდენტო ვადის ბოლოს სახეზე იყო საყოველთაო პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური კრიზისი, რომელიც შემდგომში საბოლოო კრახით დასრულდა.

თანამედროვეობის უდიდესი ამერიკელი სოვეტოლოგი რიჩარდ პაიპსი თავის ნაშრომში რუსეთის იმპერიის შესახებ

ხატონად წერდა: „რუსეთის იმპერია არის დიდი ფეტიში, რომელსაც ეტრფის ცარიზმი, თუ ბოლშევიზმი.“

ამას წინათ ჩემს პირად არქივში გამოჩენილი რუსი მწერლის მიხეილ ბულგაკოვის ძველ ჩანაწერში („დღიური“) ამოვიკითხე: „ამ ძალთაპირმა ბოლშევიკებმა შექმნეს ავბედითი ემბაკეული მონსტრი.“

ამას ძნელია არ დაეთანხმო.

ალბათ ქვეშარიტებს ლაღადებდა უილიამ ფოლკენერი, როდესაც წერდა: „მონობაში არის რაღაც უკეთური და არაბუნებრივი, მონობა უმსგავსოა.“

ბოლშევიზკურ მებრძოლ ათეისტთა პარტიამ, ლენინ - სტალინის მეთაურობით, უდიდესი დანაშაული ჩაიდინა ღვთისა და კაცობრიობის წინააღმდეგ. იგი მსოფლიო ისტორიაში შევა, როგორც უდიდესი ბოროტება.

### პატრიარქი ტიხონი

წმინდა ტიხონი, პატრიარქი მოსკოვისა და სრულიად რუსეთისა (ერისკაცობაში ვასილ ბელლაგინი) 1865 წლის 19 იანვარს დაიბადა ფსკოვის გუბერნიაში, ტროიციკის მაზრაში, მღვდლის, იოანე ბელლაგინის ოჯახში.

ფსკოვის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ წმიდანი სანკტ-პეტერბურგში სწავლობდა, სასულიერო აკადემიაში. არქიმანდრიტის ხარისხში ნეტარი დაინიშნა ხოლმის სასულიერო სემინარიის რექტორად. 1898 წლიდან ეპისკოპოსად იქნა დადგენილი. წმიდა მამა ფრიად დაშვრ მართლმადიდებელი სარწმუნოების განსამტკიცებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მას დღემდე მართლმადიდებლობის მოციქულს უწოდებენ. მღვდელმთვარი ტიხონი 1905 წელს მთავარეპისკოპოსის ხარისხში იქნა აყვანილი და 1907 წლიდან იაროსლავის, 1913 წლიდან კი - ლიტვის (ვილნოს) კათედრაზე გაამწესეს. 1917 წლიდან წმიდანი მოსკოვისა და კოლომნის მთავარეპისკოპოსია (აგვისტოს თვიდან - მიტროპოლიტი). 1917 წლის 5 ნოემბერს სრულიად რუსეთის ადგილობრივ კრებაზე, რომელმაც აღადგინა პატრიარქობა, წმინდა ტიხონი აირჩეს რუსეთის ეკლესიის მესაჭედ-ინტრონიზაცია კრემლის მიძინების ტაძარში აღესრულა 21 ნოემბერს. ნეტარი ტიხონი ღრმად მორწმუნე, საოცრად მშვიდი, კეთილი და გულთბილი ადამიანი იყო, მაგრამ საეკლესიო საქმეებში, განსაკუთრებით კი მტერთა ძალადობისაგან ეკლესიის დაცვისას, შურყვევლ სიმტკიცეს იჩენდა. ეკლესიის რღვევის, რასკოლის, ქრისტეს მსახურთა დევნისა და ხოცვა - ჟლეტის წლებში მან შეძლო დაეცვა მართლმადიდებლობის სინდინდე.

1921 წლის აგვისტოში, ვოლგისპირეთში შიმშილობის მძინვარების ჟამს, პატრიარქმა მორწმუნეები აკურთხა, მოუწოდა დამშუვლთა დასახმარებლად შეეგროვებინათ ძვირფასი ნივთები, რომელთაც საეკლესიო დანიშნულება არ გააჩნდათ. ამ მოწოდების პასუხად 1922 წლის თებერვალში საბჭოთა ხელისუფლებამ დაადგინა, ტაძრებიდან ყოველგვარი საეკლესიო ფასეულობა გაეტანათ. ნეტარმა ტიხონმა ხმა აღიმალა ამგვარი ძალადობის წინააღმდეგ, რაც საბოტაჟად შეფასდა და ეკლესიის წინამძღვარი დააპატიმრეს. 1921 წლის აპრილიდან 1923 წლის ივნისამდე მწყემსთათვარი პერობილობაში იმყოფებოდა. განთავისუფლების შემდეგ კი, 1923 წლის 26 ივნისს, დაიბრუნა სამღვდელმთავრო ტახტი.

პატრიარქი ტიხონი მოულოდნელად გარდაიცვალა (რუსეთის ეკლესიის მკვლევარ ისტორიკოსთა წყაროებზე დაყრდნობით, იგი საბჭოთა რუსეთის ჩეკას აგენტურამ მოწამლა) 1925 წლის 6-7 აპრილს, ღამის 12 საათზე, ოსტოჟენკის საავადმყოფოში. 1989 წლის 26 სექტემბერს იგი წმინდანად შერაცხეს, 1992 წლის 19 თებერვალს კი მოხდა მისი უხრწნელი ნაწილების აღმოყვანება.

### ვლადიმერ ულიანოვ-ლენინი და აკლესია

#### პატრიარქი ტიხონი და საბჭოთა რუსეთის (ბოლშევიკური) მთავრობა

სრულიად არ არის გასაკვირი ეკლესიის მტრული დამოკიდებულება ბოლშევიკების ხელისუფლებისადმი. ულიანოვ - ლენინმა პირველი დღიდანვე დაიწყო აშკარა შეტევა ეკლესიაზე, გამოსცა მთელი რიგი დეკრეტები, რითაც ეკლესიას ჩამოართვა „სახელმწიფოებრივი“ სტატუსი, მოახდინა საეკლესიო და სამონასტრო მიწების კონფისკაცია, ეკლესიას აუკრძალა ყოველგვარი სხვა საქმიანობა, გარდა „კულტის მსახურებისა“.

მართლმადიდებელი (და არა მარტო მართლმადიდებელი) ეკლესია უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა რუსი ხალხის უმრავლესობაში და ეკლესიის პოზიციაზე ბევრად იყო დამოკიდებული სამოქალაქო ომის შედეგი. ამიტომ ლენინს მოუხდა, შეეკავებინა თავისი სწრაფვა, თუმცა ბოლშევიკები სამოქალაქო ომის დამთავრებამდეც ხვრეტდნენ მღვდლებს, ძარცვავდნენ და სწვავდნენ ეკლესიებსა და ტაძრებს, მაგრამ ამას უსისტემო ხასიათი ჰქონდა, ხოლო როცა ფაქტობრივად გადაწყდა სამოქალაქო ომის ბედი საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ, ლენინმა გადაწყვიტა, საბოლოოდ გაესწორებინა ანგარიში ეკლესიის მსახურებთან, მოეპოო ისინი.

ამთავითვე უნდა ითქვას, ბოლშევიკებმა კარგად უწყოდნენ, რომ ეკლესიამ თავისი არსებობის 900 წელზე მეტი ხნის განმავლობაში აურაცხელი სიმდიდრე დააგროვა. იგი ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ მუშაობას, აშენებდა საავადმყოფოებს, თავშესაფრებს, უპატრონოთა სახლებს, სკოლებს, სასწავლებლებს და ბევრ სხვა რამეს. როცა შიმშილობა დაიწყო, ეკლესია შეუდგა ფულისა და საეკლესიო ღირებულებათა შეგროვებას მოშიმშილეთა დასახმარებლად პურის შესყიდვისათვის.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა ტიხონმა წერილით მიმართა სხვადასხვა ქრისტიანული ეკლესიის მეთაურებს - მართლმადიდებელ პატრიარქებს, რომის პაპს, კენტერბერიის არქიეპისკოპოსს და ნიუ-იორკის ეპისკოპოსს ქრისტიანული სიყვარულისათვის შეეგროვებინათ ფული და სურსათი და გაეგზავნათ შიმშილით სიკვდილის პირას მისული ვოლგისპირეთის მოსახლეობისათვის. იმავე დროს შეიქმნა სრულიად რუსეთის საეკლესიო კომიტეტი მოშიმშილეთა დასახმარებლად. მაგრამ ასეთი საეკლესიო ორგანიზაცია საბჭოთა მთავრობამ ზედმეტად სცნო და „მთელი შეგროვითი საეკლესიო ფულადი თანხა მოითხოვა ჩაებარებინათ სამთავრობო კომიტეტისათვის“ („საეკლესიო უწყებანი“, 1922, N 6-7, გვ. 2), მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ (1921 წლის დეკემბერში) ბოლშევიკებმა ეკლესიას უშუალოდ მოსთხოვეს შეგროვითი ფული და სურსათი, რათა თვითონ დახმარებოდნენ მოშიმშილეებს. მაშინ პატრიარქ ტიხონის ინიცია-

ტივით, საეკლესიო მრევლის საბჭოსა და საზოგადოებებს ნება დაერთოთ მოშიშმილეთა საჭიროებისათვის შეენირათ ძვირფასი სამკაულები და საგნები, რომელთაც არ ჰქონდათ ღვთისმსახურების დანიშნულება.

პატრიარქმა ტიხონმა 1918 წლის 15 (28) თებერვალს მთავრობის ნებართვით ამის თაობაზე მოსახლეობას განსაკუთრებული მონოდებით მიმართა და ლენინს გაუგზავნა წერილი, რომლითაც წინადადება მისცა, საეკლესიო ღირებულებათა ნაწილი გადაეცა მოშიშმილეთა დასახმარებლად პურის შესასყიდად.

დოკუმენტში ვკითხულობთ:

„(...) ჩვენს საეკლესიო მრევლთან და საზოგადოებასთან ერთად შესაძლებლად მივიჩნით, მოშიშმილეთა დასახმარებლად შესანიშნავის სახით გავიღოთ საეკლესიო მოკაზმულობა და საგნები, რომელთაც არა აქვთ ღვთისმსახურების დანიშნულება. ამის შესახებ ვაცნობთ მართლმადიდებელ მოსახლეობას ა. წ. 6 (19) თებერვალს საგანგებო მონოდებით, რომლის დაბეჭდვისა და მოსახლეობაში გავრცელების ნებართვა მთავრობისგან გვექონდა მიღებული.“

ამას მოჰყვა ეკლესიის სულიერ ხელმძღვანელთა მიმართ სამთავრობო გაზეთების მწვავე თავდასხმები და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 10 (23) თებერვლის დადგენილება მოშიშმილეთა დასახმარებლად ტაძრებიდან ამოღებულიყო ყველა ძვირადღირებული საეკლესიო ნივთი, მათ შორის წმინდა ჭურჭლები და საღვთისმსახურო დანიშნულების საეკლესიო ნივთები. ეკლესიის თვალსაზრისით ასეთი აქტი წარმოადგენს მკრეხელობას. ამიტომ ჩვენ ჩვენს წმინდა მოვალეობად მიგვაჩნია, განვმართოთ ეკლესიის თვალსაზრისი ამ აქტზე, და ამის შესახებ ჩვენს სულიერ შვილებს ვაუწყოთ. ჩვენ, უაღრესად მძიმე ვითარებიდან გამომდინარე, შესაძლებლად ვცანიტ შესანიშნავის სახით ისეთი საეკლესიო ნივთები, რომლებიც არ წარმოადგენენ სინმინდებს და არ არიან ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი. ჩვენ მოვუწოდებთ ეკლესიის მორწმუნე შვილებს, გაიღონ ასეთი შესანიშნავი, მხოლოდ ერთი სურვილი გვაქვს, რომ ეს შესანიშნავი იყოს გამოძახილი მოყვარული გულებისა მოყვასის დასახმარებლად, და ეს ნამდვილად მოხმარდეს ჩვენს ტანჯულ ძმებს. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მოვიწოდოთ ტაძრებიდან სინმინდების ამოღება, რომელთა გამოყენება არასაღვთისმსახურო მიზნებისათვის აკრძალულია საეკლესიო კრების კანონებით და, როგორც მკრეხელობა, ისევე - საეროები ეკლესიისაგან განკვეთით, ხოლო მღვდელმსახურები - სამღვდლო ხარისხის ჩამორთმევით.“

პატრიარქის პისტოლე დაეგზავნა ეპარქიების მღვდელმთავრებს, რათა იგი გაეცნოთ მრევლისათვის.

მარტში ზოგიერთ ეპარქიაში მოხდა მღვდლთა რეპრესიები საეკლესიო სინმინდეთა ამოღებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით შუეში (შუეს საქმე). ამ უკანასკნელს უკავშირდება 1922 წლის 19 მარტს სახალხო კომისარიატის თავმჯდომარის ვლადიმერ ლენინის საიდუმლო წერილი. წერილში შუის მოვლენები შეფასებულია, როგორც საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტის წინააღმდეგ „გაველენიანი შავრანული სამღვდლოების“ საერთო გემის ერთ-ერთი გამოვლენა.

1922 წლის 22 მარტის პოლიტბიუროს სხდომაზე ლენინის წინადადებით მიღებულ იქნა ტროცკის გეგმა საეკლესიო ორგანიზაციების რეპრესირების შესახებ: უნდა დაეპატიმრებინათ პატრიარქი და სინოდის წევრები (10-15 დღეში), პრესას ძვირადღირებული საეკლესიო ნივთების ამოღების მიზნით

უნდა დაეწყოს გააფრთხილებული ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ. მარტში დაიწყო პატრიარქ ტიხონის დაკითხვები. იგი გამოიძახეს მთავარ პოლიტიკურ სამმართველოში ლუბიანკაზე, სადაც მოსთხოვეს, რომ საჯაროდ გამოეხატა თავისი დამოკიდებულება „კონტრევოლუციური შეთქმულების მიმართ.“

ლენინმა პატრიარქის წერილი ალიკვა აღმამფოთებელ გამონევეად და ეს მთავრობის დამცირებად შეაფასა, თითქოს მას უნარი არ შესწევდა, თავად გადაეჭრა ეს პრობლემა. ვიდრე პატრიარქი ტიხონი ელოდა საბჭოთა მთავრობის პასუხს მის კეთილშობილურ წინადადებაზე, 1922 წლის 26 თებერვალს სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „საეკლესიო ღირებულებათა ამოღების შესახებ მოშიშმილეთა სასარგებლოდ“. „სამუზეუმო ქონების ამოღების შესახებ დეკრეტის დამატებაში, - ნათქვამია დადგენილებაში, - წინადადება მიეცათ ადგილობრივ საბჭოებს ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში ამოღებულ იქნას საეკლესიო ქონებიდან აღწერილი და ხელშეკრულებებით ყველა რელიგიის მორწმუნეთა ჯგუფის საჭიროებისათვის გადაცემული ძვირფასი ნივთები, ოქრო-ვერცხლი და ქვები, რომელთა ამოღება არსებითად არ შეეხება თვით კულტის ინტერესებს...“ (გაზ. „იზესტია“, 1922, 26 თებერვალი). ეს ბრძანება გამოიცა პრესაში ხალხის მოსაწყუებლად, თვალის ასახვევად. 1922 წლის 19 მარტს ლენინი საიდუმლო სადირექტივო წერილს უგზავნის პოლიტბიუროს ყველა წევრს, სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს, იუსტიციის სახალხო კომისარიატს და რევოლუციურ ტრიბუნალს და კალინინს (ცაკ-ის თავმჯდომარე) ამ დეკრეტის შესრულების თაობაზე: „ამოღებულ იქნას განსაკუთრებით ყველაზე მდიდარი ლავრების, - მიუთითებს ლენინი, - მონასტრებისა და ეკლესიების ღირებულებანი, ეს უნდა მოხდეს უღმობელი სიმტკიცით, შეუჩერებლად და უმოკლეს ვადაში. რაც უფრო მეტ რეაქციული ბურჟუაზიისა და რეაქციული სასულიერო პირების წარმომადგენლებს დაეხვრეტთ ამისათვის, მით უკეთესი. საჭიროა სწორედ ახლა ვასწავლოთ ჭკუა ამ პუბლიკას ისე, რომ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე რაიმე წინააღმდეგობის განევაზე ფიქრიც კი ვერ გაბედონ“ („საეკლესიო უწყებანი, 1922, ნ 6-7, გვ. 2).

რუსეთის იმპერიის ისტორიის (ანტიტოტალისტ) სპეცილისტთა აზრით, მსოფლიო ისტორიაში არ არსებობს ასეთი საბუთი, მიმართული თავისი ხალხის წინააღმდეგ, სადაც სახელმწიფოს მეთაურს გადაეწყვიტოს ხელი მოეწერა ასეთი დოკუმენტისათვის.

პატრიარქი ტიხონი, რომელიც ბოლშევიკებისაგან მრავალ შეურაცხყოფას იტანდა, თუმცა იგი მაინც არ ელოდა ასეთი სახის დეკრეტს. მან, როგორც რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა, ასრულებდა რა თავის მოვალეობას, მონოდებით მიმართა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა მორწმუნეს:

გთავაზობთ ნაწყევლებს:

„... 26 თებერვალს სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მოშიშმილეთათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით დაადგინა, ტაძრებიდან ამოღებულ ყველა ძვირფასი საეკლესიო ნივთი, მათ შორის ჭურჭლული და ღვთისმსახურების სხვა საეკლესიო საგნები. ეკლესიის თვალსაზრისით ასეთი აქტი არის მკრეხელური აქტი და ჩვენ წმინდა მოვალეობად მივიჩნით გამოგვეკვლია ეკლესიის

შეხედულება ამ აქტზე, აგრეთვე გვეუწყებინა ყველა ჩვენი ერთგული მორწმუნისათვის. ჩვენ განსაკუთრებით მძიმე გარემოებათა გამო დავუშვით იმ საეკლესიო ნივთების შეწირვის შესაძლებლობა, რომლებიც არ წარმოადგენენ წმინდას და არ გამოიყენებიან ღვთისმსახურებაში. ჩვენ მოვუწოდებთ ეკლესიის მრევლს, მორწმუნეებს - ახლაც გაიღონ ასეთი შესაწირავები, მხოლოდ ერთი სურვილით, რომ ასეთი შეწირულობები იყოს მოსიყვარულე გულის გამოძახილი გასაჭირში მყოფი მოყვასისადმი, რათა მათ ნამდვილად რეალური დახმარება გაუწიონ ჩვენს გატანჯულ ძმებს, მაგრამ ჩვენ ვერ მოვიწონებთ ტაძრებიდან ამოიღონ და თუნდაც ნებაყოფლობით შესწირონ წმინდა საგნები, რომელთა გამოყენება არაღვთისმსახურებათა მიზნებისათვის იკრძალება მსოფლიო საეკლესიო კანონებით და ისჯება, როგორც მორწმუნეთა მკრეხელობა - ეკლესიიდან განკვეთით და ღვთისმსახურის წოდების ჩამორთმევით“ (გაზ. „პრავდა“, 1921, 21 აპრილი).

პატრიარქის მონოღება ხალხმა საკუთარ უბედურებად აღიქვა. მთელ ქვეყანაში ტაძრებთან იკრიბებოდა ათასობით მორწმუნე და პროტესტს გამოთქვამდა ლენინური დეკრეტის წინააღმდეგ. კბილებამდე შეიარაღებული განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილები შეკრებილ მორწმუნეებს ან არბევდნენ, ან ადგილზევე ხვრეტდნენ.

ულიანოვ-ლენინმა იცოდა, რამდენად დიდი იყო ეკლესიის ავტორიტეტი რუსეთში მცხოვრებ უბრალო ადამიანებს შორის, და სრულიად სახალხო აჯანყების შიშით, მიმართა, როგორც ყოველთვის, ფარისევლურ და ცრუ მტკიცებებს, მოუწოდა „ხალხს“ და „მშრომელ მასებს“. 1921 წლის 28 მარტს ბოლშევიკების გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა მთავრობის ცნობა: „მთავრობისათვის უცხოა ყოველგვარი აზრი მორწმუნეთა და ეკლესიის დევნის შესახებ... ხალხის შრომით შექმნილი ღირებულებანი ხალხსავე ეკუთვნის. რელიგიურ მსახურებათა შესრულებას არ დააკინებთ ძვირფასი ნივთების სხვა უბრალო ნივთებით შეცვლა. ძვირფასეულობით კი შეიძლება პურის, თესლის, მუშა პირუტყვის, იარაღების საკმაო რაოდენობით ყიდვა, რათა გადავარჩინოთ ვოლგისპირეთის და საბჭოთა ფედერაციის სხვა ადგილების გლეხთა არა მარტო სიცოცხლე, არამედ მეურნეობაც... მაგრამ ეკლესიის თავადთა ხროვას, რომელიც მიჩვეულია ფუფუნებას, ოქროს, აბრეშუმსა და ძვირფას ქვებს, არ სურს გაიღოს ეს განძეული მილიონობით დაღუპვის პირას მისულთა ხსნის საქმისათვის. იგი ხშირად ისწრაფვის, რადაც უნდა დაუჯდეს, შეინარჩუნოს ღირებულობანი. საეკლესიო პირთა ხროვა უკან არ იხევს დანაშაულებრივი შეთქმულებებისა და აჯანყებათა ამკარა პროვოცირების წინაშე. საბჭოთა მთავრობა უწინდებურად ინარჩუნებს სრულ ყურადღებასა და შემწყნარებლობას მორწმუნეებისადმი, ერთი საათითაც არ მოითმენს, რომ ეკლესიის პრივილეგიებულმა მესვეურებმა მორთულ-მოკაზმული აბრეშუმითა და ბრილიანტებით შექმნილი ეკლესიის თავადთა განსაკუთრებული სახელმწიფო მუშათა და გლეხთა სახელმწიფოში“ (გაზ. „პრავდა“, 1921, 21 აპრილი). ერთი თვის შემდეგ იმავე გაზეთში გამოქვეყნდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წერილი პირველი მაისის დღესასწაულის თაობაზე, სადაც ნათქვამი იყო: „... არ იქნას დაშვებული რაიმე გამოსვლები, რომლებიც შელახვენ მოსახლეობის მასების რელიგიურ გრძნობას...“

იმ დღეს, როცა ლენინმა გაგზავნა სრულიად საიდუმლო წერილი-დირექტივა ყველა წევრისა და კალინინისადმი საეკლესიო ღირებულებათა ამოღების შესახებ, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. მოლოტოვმა დაშიფრული დეპეშა დაუგზავნა საგუბერნიო კომისრებს: „... ცენტრალური კომიტეტისაგან განსაკუთრებულ შეტყობინებამდე შეჩერდეს საეკლესიო ღირებულებათა ამოღება. “ასეთი დეპეშა გაიგზავნა, როგორც იტყვიან, თვალის ასახვევად, რათა გზა-კვალი აერიათ მასებისათვის, მოწინააღმდეგეებისათვის. თვით ლენინი უსინდისოდ ამას ასე ხსნის: „დეპეშა ღირებულებათა ამოღების დროებითი შეჩერების შესახებ არ უნდა გაუქმდეს. ის ჩვენთვის ხელსაყრელია, ვინაიდან მოწინააღმდეგეში ისეთ წარმოდგენას შექმნის, თითქოს ჩვენ ვყოყმანობთ, თითქოს მან შეძლო ჩვენი შეშინება (ამ საიდუმლო დეპეშის შესახებ, სწორედ იმიტომ, რომ იგი საიდუმლოა, მოწინააღმდეგე, რა თქმა უნდა, მალე შეიტყობს)...“ (7PLXИДИИ, აღწ. 1 საქ. 29947).

1921 წლის 19 მარტის დეპეშის დამატებით რკპ ცენტრალური კომიტეტი 23 მარტს საგუბერნიო კომიტეტებს უგზავნის ინსტრუქციას საეკლესიო ღირებულებათა ამოღების და ამ მიზნით საიდუმლო კომისიის შექმნის შესახებ.

**გთავაზობთ ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელიც 70 წლის მანძილზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის საცავის საიდუმლო საქალაქში იდო, რაც იმას მოწმობს, რომ ლენინი საეკლესიო ღირებულებებს დრაკონული მეთოდებით იღებდა, სრულიად არ სჩადიოდა ამას თავისი ხალხის საკეთილდღეოდ.**

„ამ საიდუმლო მოსამზადებელ კომისიებთან ერთად ქმნის ოფიციალურ კომისიებს ან მაგიდებს მოშიშმილეთა დახმარების კომიტეტებთან, მორწმუნეთა ჯგუფებთან მოლაპარაკების გზით ღირებულებათა ფორმალური მიღებისათვის და სხვა.“

... მოამზადეთ შესაბამისი აპარატი ამოღების აღრიცხვისათვის იმ ანგარიშით, რომ ეს სამუშაო შესრულდეს უმოკლეს ვადაში... გულმოდგინედ მოამზადეთ ყველა დეტალი (კომუნისტები უნდა იყვნენ ყველა მეზობელ ქუჩაზე, არ დაუშვან ადამიანთა თავმოყრა, საიმედო ნაწილი - ყველაფერს სჯობს განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილები - უნდა იყვნენ ახლოს და ა. შ.)“.

ხოლო კომისიებს სულ სხვა მოთხოვნებს უდგენენ „ღირებულებათა ფორმალური მიღებისათვის“. „... საეკლესიო ღირებულებათა აღრიცხვისათვის მოშიშმილეთა დახმარების კომისიებთან დაშვებულ იქნან გუბერნიებსა და ცენტრში ლოიალური სამღვდელეობის წარმომადგენლები, ფართოდ იქნან ინფორმირებული იმის შესახებ, რომ მოსახლეობას ექნება სრული შესაძლებლობა, თვალყური ადევნოს იმას, რომ სამღვდელეობის ქონების ნატამალსაც კი არ მიეცეს სხვა მნიშვნელობა, გარდა მოშიშმილეთა დახმარებისა.“

გარდა ამისა, ვლადიმერ ლენინის წინადადებით შეიქმნა სპეციალური კომისია ტროცკისა და კალინინის მონაწილეობით, „ისე, რომ არ გამოქვეყნებულა არავითარი ცნობა ამ კომისიის შესახებ და ამასთან, იმ მიზნით, რომ მისთვის ყველა ოპერაციის დაქვემდებარება უზრუნველყოფილი იქნას და განხორციელდეს არა კომისიის სახელით, არამედ საერთო საბჭოური და საერთო სახალხო წესით.“ „პროლეტარიატის ბელადი მოითხოვდა: „დაინიშნონ განსაკუთრებული პასუხისმგებლობის და საუკეთესო მუშაკები ამ ღონისძიების გასატარებლად ყველაზე უფრო მდიდარ ლაერებში, მონას-

ტრებსა და ეკლესიებში“ (РЦЦИДНИ, ფ. 2 აღნ. 1 საქ. 29947).

ამ კომისიების შექმნა - ეს კიდევ ერთი მორიგი მოტყუება იყო ორპირი და სასტიკი დესპოტის ულიანოვ-ლენინის მიერ.

ლენინის სცენარმა საეკლესიო ღირებულებათა ამოღების შესახებ სრული მხარდაჭერა ჰპოვა პოლიტიკურის ყველა წევრის მხრიდან.

შესასრულებელი იყო უდიდესი სამუშაო საეკლესიო ღირებულებათა ამოღების საქმეში. რუსეთში დაახლოებით 80 ათასი ქრისტიანული ეკლესია არსებობდა, ბევრი მათგანი საშუალოდ 300 წელს ითვლიდა. განსაკუთრებით შერჩეული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს რაზმები დიდი გულმოდგინებითა და სისასტიკით შეუდგნენ ბელადის მითითებების შესრულებას: „რეაქციული ბურჟუაზიისა და რეაქციული სამღვდლოების რაც უფრო მეტი წარმომადგენლის დახვეწება შეეძლებოდა ამის თაობაზე, მით უკეთესი.“ ამ მხრივ ლენინი წარმოადგენს არა უბრალოდ რევოლუციური ტერორის სულისჩამდგმელს სამღვდლოების წინააღმდეგ, არამედ ამ ტერორისათვის მასშტაბური სახელმწიფოებრივი ხასიათის მიმცემს. როგორც კი ლენინმა გასცა ბრძანება, „უმოკლეს დროში“ დაიხვერიტა 40 ათასი მღვდელი, დიაკვანი და ბერი, აგრეთვე დაახლოებით 100 ათასი მონაწილე, რომლებიც შედიოდნენ საეკლესიო ოცეულებსა და თემებში და ცდილობდნენ თავიანთი სხეულით დაეცვათ ძვირფასი სინდინდები. თანამედროვე რუსი ისტორიკოსების მიახლოებითი შეფასებით, წმინდა მოგებამ შეადგინა ორნახევარი მილიარდი ოქროს მანეთი, ხოლო დასავლელ ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ ბოლშევიკებმა ეკლესიის ღირებულებათა გაძარცვის შემდეგ მიიღეს სამჯერ მეტი თანხა.

ისმის კითხვა: სად გაქრა ეს ზღაპრული სიმდიდრე? ან იქნებ ბოლშევიკებმა ეს გამოიყენეს მოშიშმილეთა გადასარჩენად, პირუტყვის, სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაძენად? - დაბეჯითებით შეიძლება ითქვას - არა! მათ 1922-23 წლებში, საბჭოთა სტატისტიკის თანახმად, საზღვარგარეთ მხოლოდ ერთი მილიონი მანეთის პური შეისყიდეს, მაშინ როცა ამერიკის დახმარებამ შეადგინა 137 მილიონი დოლარი და შიმშილით სიკვდილისაგან იხსნა 22 მილიონი ადამიანი. საეკლესიო ღირებულებათა ამოღება, როგორც ირწმუნებოდა ლენინი, ხორციელდებოდა მოშიშმილეთა გადასარჩენად, ხოლო საბოლოო ანგარიშით, მათი ნაძარცვიდან მათთვის დაიხარჯა, როგორც ვხედავთ, მიზეზული ნაწილი.

ამერიკული ჰუმანიტარული დახმარების ადმინისტრაცია დახმარებას უწევდა ომისშემდგომ ევროპას. 1921 წლის დეკემბერში ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა რუსეთის მოშიშმილეთს გამოუყო 20 მილიონი, ხოლო მოქალაქეებს მოუწოდეს დამშეული რუსეთისათვის შეენიერათ საკუთარი სახსრები. ამერიკულ ჰუმანიტარულ ადმინისტრაციას მეთაურობდა ამერიკის შეერთებული შტატების მომავალი პრეზიდენტი ჰუვერი.

კითხვაზე - სად მიჰქონდათ ბოლშევიკებს ნაძარცვი აურაცხელი სიმდიდრე? - ბუხარინი, ბოლშევიკური მორალით და პირდაპირობით, ასე პასუხობს: „... ჩვენ ეკლესია გავყვლიფეთ და მის „წმინდა ღირებულებებით“ ვენვეით ჩვენს მსოფლიო პროპაგანდას, ისე რომ იქიდან დამშეულთათვის არაფერი არ მიგვიცია: სახელმწიფო პოლიტსამმართველოსთან ჩვენ აღვმართეთ ჩვენი „ეკლესია“ მართლ-

მადიდებელი მღვდლების დახმარებით და ჯოჯოხეთის კარიბჭენი ვერ დაძლევენ მას; ფილარეტის კატეხიზმო შეეცვალეთ ჩემი გულის საყვარელი „კომუნისმის ანბანით“, საღვთო სჯული - პოლიტიკური განათლებით, ბავშვებს ჩამოვგლიჯეთ ჯვრები და ავგაროზები, სატების ნაცვლად ჩამოვიკიდეთ „ბელადები“ და შეეცვდებით ქვედაფენებისათვის შევაზავთ ილიჩის სინდინდები კომუნისტური საწებლით... „სულელური ქვეყანა!“ (ი. ბუნიჩი, სატანას პოლიგონი, როსტოვ-დონი, 1994, გვ. 108). უნდა ითქვას, რომ ულიანოვ-ლენინის საყვარელი ადამიანი ბოლომდე გულწრფელი არ არის. ბუხარინი არ ასახელებს იმ თანხას, რომელიც მან მიითვისა და იძულებული გახდა დაპატიმრების შემდეგ „ნებაყოფლობით“ გადაეტანა ეს ფული მოსკოვში შვეიცარიის ბანკიდან.

1922 წლის 5 მაისს ვლადიმერ ლენინის ინიციატივით მიიღეს გადაწყვეტილება პატრიარქი ტიხონი სასამართლოსთვის გადაეცათ და მღვდლებისათვის მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა. მათი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, ვინაიდან პოლიტიკურად წინასწარ, გაუსამართლებლად და გამოუძიებლად განსაზღვრა განაჩენი, ხოლო პარტიის უმაღლესი ორგანოს გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.

რუსეთის პატრიარქი ტიხონი დაპატიმრეს წმინდა სინოდის ყველა სხვა წევრთან ერთად. 32 მიტროპოლიტი და არქიეპისკოპოსი სადისტურად ანამეს და დახვეწეს. მაგალითად, პეტერბურგის მიტროპოლიტი ბენიამინი, პატრიარქი ტიხონის მეგვიდრე, აქციეს ყინულის ბოძად, მოასხეს ცივი წყალი ყინვის დროს, შემდეგ კი დაახრჩვეს. როგორც ჩანს, მოკვლის ასეთი ხერხი ფაშისტებმა ბოლშევიკებისაგან გადმოიღეს. მათ ორი ათწლეულის შემდეგ ასევე დასაჯეს საკონცენტრაციო ბანაკში გენერალი კორბიშევი.

ტობოლსკის ეპისკოპოსი გერმოგენი, რომელიც თავისი დროს ნებაყოფლობით გაჰყვა ნიკოლოზ მეორეს გადასახლებაში, ცოცხლად მიაბეს გემის ბორბალს და ნაკუნ-ნაკუნად აქციეს. პერმის არქიეპისკოპოსი ანდრონიკე ცოცხლად დამარხეს მინაში. კიევის მიტროპოლიტი ვლადიმერი დიდი ხნის წამების შემდეგ დახვეწეს და შიშველი დაადგეს ცხოველების საჯიჯგნად. ჩერნიგორის არქიეპისკოპოსი ვასილი ჯვარზე გააკრეს და დაწვეს.

ბოლშევიკი ჩეკისტები გულმოდგინედ ასრულებდნენ ვლადიმერ ლენინის მითითებებს. პატრიარქმა ტიხონმა (ბელაგინმა), საკ. კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის კომისიის ზეგავლენით, ხელი მოაწერა რსფსრ რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მონოდებას - „მონარქისტულ საზოგადოებაში აღზრდილი, ჩემს დაპატიმრებამდე ანტისაბჭოური პირების გავლენის ქვეშ მყოფი, ნამდვილად მტრულად ვიყავი განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ... ვაღიარებ რა სასამართლოს გადაწყვეტილების სისწორეს ჩემს პასუხისგებაში მიცემის თაობაზე სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლით გათვალისწინებული ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის, ვინაიდან სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ ჩემს ქცევას და ვთხოვ უმაღლეს სასამართლოს, შეიცვალოს სასჯელის ზომა, ესე იგი გამათავისუფლოს პატიმრობიდან...“ (გაზ. „იზვესტია“, 1923, 27 ივნისი).

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ვანო გელაშვილი


ზომფო

(უპატრონოს ამაგავი)

1

ნამდვილი სახელი ალექსანდრე ერქვა. ერთი ვინმე ზორბა, გაუთლელი ჯველი იყო. თავისი მოუქნელობითა და უხეში ტანის გაუაზრებელი საქციელის გამო, სოფლის დაცინვის საგნად იქცა. ასაკს ნამდვილად ვერ გამოიცნობდი. ისე კი 25 წელს გადაცილებულს ჰგავდა. პირუტყვივით შეეძლო გაუმადლრად ესვა, ეჭამა, ხოდა ასეთი საქციელის გამო გოდორივით მსუქანი და ზონზროხა ტანისა იყო. ზამთრობით ძველმანებში გამოხვეული, სოფელ-სოფელ დადიოდა ლუკმა პურის საშოვნელად. მის საცხოვრებელ ადგილს სახლს ვერ დაარქმევდი. ეს იყო ყოფილი საქონლის სადგომინავარი, რომელშიც ზამთარსა თუ ზაფხულში ქარი თავისუფლად ნავარდობდა. ყბაჩამოქცეულ ბუხარში თუკი მოახერხებდა და ცეცხლს დაანთებდა კვამლი და ისეთი ბორიყი დგებოდა, რომ შიგ გაჩერება ცოტახან არსებობისთვის შესაძლებელი იყო. ტახტი, ის ერთი მხარე აგურებით იყო ფეხებშენყობილი, ზედ ოდესღაც ხმარებაში მყოფი, გაცვეთილი ნაბადი იყო დაფენილი, ძველი დარღვეული მუთაქა, ბალიში კი არ ჰქონდა. ასე ტანგაუხდელი მიეგდებოდა და ისეთ ხვრინვას ამოუშვებდა, რომ გეგონებოდა ცა ჩამოინგრავო. დედა ხუთი წლის ასაკში გარდაეცვალა, მამამ მეზობელ სოფლიდან განათხოვარი ვიღაც ფეთხუმი მოიყვანა, რომელმაც კიდევ სამი შვილი გააჩინა და გერისათვის არ ეცალა. ასე უპატრონოდ მეზობლების ამარა, იზრდებოდა ყოვლად მიუსაფარი, მშიერ-მწყურვალი, დაუბანელი ზომფო. გაზაფხულზე ყანებში ხვნის დროს, მეხრეებს დასდევდა, ისინიც მშიერს არ სტოვებდნენ. მისთვის ბედნიერი დღე აღდგომა იყო. სასაფლაოზე გასული ხალხი ქვებზე კვერცხს, პურს და სხვა ბევრ რამეს ტოვებდა.

რა თქმა უნდა, ზომფო თავისებურად ქეიფობდა სასმელ - სანოვაცე - სახლშიც მიჰქონდა. მიეჩვია შინაურად გამოხდომილ არაყს. თვრებოდა, მერე გაღეშილი, ბარბაცით ღამეულში ძლივს აღწევდა ქოხამდე. ასე ღვთის გლახად წოდებული ზედმეტ სახელად ზომფო, რომელსაც თავისი ნამდვილი სახელი აღარ ახსოვდა, იზრდებოდა სოფლის ზედმეტ ბარგად. თანდათან ხანში შედიოდა. ქვეყანაში რევოლუცია ახალი მომხდარი იყო და სოფლად რაღაც ხმები დადიოდა "არიქა წითლები მოდიანო ადამიანებს ჭამენო, რაღაც ჭირისა და უბედურებას ავრცელებენ ზომფოს ისედაც გადარეულს ეს უნდო-



და? თავისი ბუნაგიდან საღამოს გამოძვრებოდა მშიერი, ძლივს მილასლასდებოდა სოფელში და ქოხში შევიდოდა. ძველ ჭინჭებში გამოხვეულ ძველი პურის ნახინხვალას გამოლოღინდა, თუნგიტ ნყალს დააყოლებდა და შეშინებული, დაღლილი ხის ტახტზე მობლუნძული ღრმა ძილს მიეცემოდა. ძილში კი, რაღაც საშინელ სიზმრებს ნახულობდა: თითქოს წითელი მაჯლაჯუნები დასდევდნენ, ახრჩოდნენ, ის კი გარბოდა, იმალებოდა, ამ წვალეზაში და ჯიჯგენაში გადარეულს ეღვიძებოდა, კარში გამოვარდებოდა, ბაღში, სადაც ქოხი ედგა, მაყვლის ჯაგები იყო, შიგ თავპირისმტვრევით შევარდებოდა და ასე გატანჯულს დილაზე ეძინა, სანამ შიმშილი არ შეაწუხებდა. ერთხელაც რაღაც საშინელმა ხმაურმა, სოფელში ატეხილმა ძაღლების ყეფამ და ხალხის ყვირილმა გამოაღვიძა. სოფელში ჩოჩქოლი, ხმაური, გაქცევა, გამოქცევა ხალხის გადაძახილი ყვირილი: მოდიან - მერე ცხენების ფეხის და ფრუტუნის ხმა გაოგნებული ზომფო, ფეხზე წამოაგდო. კარში გამოვარდა და რას ხედავს - სოფელში მართლაც ახლახან სიზმარში ნახული, წითლები შემოდოდნენ, ზომფომ თვალეებს არ დაუჯერა, ქუთუთოები კარგად მოისრისა, თავი გააქნია არაო! ხმამაღლა იღრიალა და გარღვეულ ღობეს მივარდა: რას ხედავს, მართლაც სოფელში ცხენებზე ამხედრებული წითლები შემოდოდნენ. სამ მწკრივად ჩარიგებული ცხენები, თავის კანტურითა და ფრუტუნით იქაურობას

იკლებდნენ. წითელარმიელებს მეთაური მიუძღოდა. მეთაურსა და ყველას გულზე წითელი ბაბთები ეკეთათ, თავზე წონოლა ქუდები და ვარსკლავები ჰქონდათ მიბნეული. აუ, ესენი არიან წითლები? - გაიფიქრა ზომფომ, რომელმაც ლობიდან გაბურგდნული თავი გამოყო. თავისდაუნებურად, ერთმა წითელარმიელმა, რომელიც ჯაგლაგ და უცნაურად აწონილ ცხენზე იჯდა, ძალიან ახლოს ჩაუარა, ისე რომ ცხენმა ლობეში თავგამოყოფილს კინაღამ ფეხი ნაჰკრა, დროზე თავი რომ არ მოერიდებინა, ზომფოს, ნაღდად რაღაცა დაემართებოდა. წითელარმიელმა შენიშნა ზომფომ, თითი დაუქნია და “ნო, ნო” შეძახილით ცხენს ალვირი მოქაჩა, ოდნავ გვერდზე გასწია და წინ გაიჭრა. “წითელარმიელთა” რაზმი სოფლის მოედანზე შეჩერდა, მეთაურმა, რომელიც უცნაურად აბრიალებდა თვალებს, ბრძანება გასცა: ცხენებიდან! და თვითონაც ჩამოხტა - და ალვირი იქვე მდგომ ჯარისკაცს მიუგდო. ეტყობა მისი მსახური და ცხენის მომვლელი იყო, ალვირი სწრაფად დაიჭირა და თავის ცხენიანად გვერდზე გადავა. წითელარმიელები დაქვეითდნენ. სახელდახელოდ კარვები გაშალეს, ცხენებს უნაგირები მოხსნეს, თოკები პირამიდებად დადგეს და ყოფით თადარიგს შეუდგნენ. მეთაურმა სოფლის ბიჭები მოიხმო, თითო ნაჭერი შაქარი დაურიგა, სალამოს კიდევ მოგცემთო, ცხენების პატრონობა დაავალა, ტყეში გარეკეთო, აბალახეთო, ბიჭები სიამოვნებით დათანხმდნენ, - უბელო ცხენებზე შესხდნენ და პირუტყვი ტყეში გარეკეს. ცხენებში შებმულმა ოთხთვალამ, საველე სამზარეულო მოაბრინა. მეთაურის ბრძანებით, ჯარისკაცებმა ქვაბუნები და კოვზები მოიმარჯვეს და საჭმლის მიღების რიგში ჩადგნენ. ხალხი ნელ-ნელა იკრიბებოდა. ვისაც ცნობისმოყვარეობა სძლედა, წინ მიიწვედნენ. გაცხარებული მეთაური შემალღებულ ადგილზე შემდგარიყო და ხელების ქნევით ხალხს მიმართავდა, მაგრამ მისი სიტყვა არ ესმოდათ - “Товарищи” ეს სიტყვა ყოველთვის რაღაც ხაზგასმით უღერდა. ბოლოს ერთი ქართველი ჯარისკაცი გამოეყო და მეთაურის სიტყვა თარგმნა “ამხანაგებო ამბობსო მეთაური - გაუმარჯოს ახალ მთავრობას, მალე მინა თქვენ მოგცემთო, - კაცო, ე მინა რა, ჩვენი არ არი? - ჩაილაპარაკა და გვერდით გადახედა იქვე მდგომ გაბოს გიო ჭოჭონა პაპამ. მეთაურმა და მთარგმნელმა კიდევ დიდხანს ილაპარაკეს, ხშირად ახსენებდნენ, ლენინს კალინინს და კიდევ ვილაცის სახელებს. მთარგმნელს ეტყობა მაინც და მაინც კარგად არ ესმოდა რუსული და ცდილობდა თავისი სიტყვებით შეეცხო მეთაურის ლაპარაკი. ზომფომც გამოძვრა ორლობიდან - ფაფის

სუნმა მადა აღუძრა ნაშიმშილარს - “ძველმა“ნაც-ნობმა წითელარმიელმა იცნო ზომფომ თითის დაქნევით მოიხმო, - უბიდან ნაჭერში გამოხვეული შაქრის ნატეხი გაუნოდა, ზომფომ ერთხანს შედგა, ხან წითელარმიელს შეხედავდა და ხან პაპა გიო ჭოჭონას, რომელიც წინა რიგში იდგა და ამავე დროს მისი ერთგვარი მფარველი იყო. წითელარმიელი ხან საქრის ნატეხს და ხან ქვაბუნას აჩვენებდა “ИДИ, ИДИ сюда”, - ძახილით თავისთან იხმობდა. შაქარი და ქვაბუნებიდან ამოსული ფაფის სუნი, იმდენად მაცდური იყო, რომ ზომფომ ველარ გაუძლო ცდუნებას და გაბედა, პაპა გიომაც უბიძგა “მიდი, მიდიო” - წითელარმიელმა, რომელსაც დიდულვაშა ზახარას ეძახდნენ, ნაბიჯი წინ წადგა. წითელარმიელმა ქვაბუნა და შაქარი ზომფოს მიანოდა, ზომფომ ერთდროულად დაითრია ქვაბუნა და შაქარი. შაქარი უბეში ჩაიღო, ხოლო ქვაბუნაში ხელი ჩაყო, ფაფა ამოიღო და პირში იტაცა. ზახარას რაღაც გაუგებარი ყვირილის ხმა აღმოხდა, - ზომფოს ხელი დაენვა, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ფაფა სწრაფად შესანსლა და ზაქარას ცარიელი ქვაბუნა დაუბრუნა. ზომფომ თავი დაუქნია, საველე სამზარეულოსთან მდგარმა მზარეულმა თავისთან მოიხმო დიდი ჩამჩით ქვაბუნა პირთამდე აუვსო, კოვზიც მიანოდა, ე მანდ ხელებს ნუ ინვამო. ამან როგორც წითელარმიელებში, ისე იქ მდგარ ხალხში აღტაცება გამოიწვია, რა სწრაფად განმუხტა ის დაძახულობა და დროებითი უნდობლობა, რაც წითელარმიელებსა და ხალხს შორის იყო. ბავშვებმა და ზოგიერთმაც დააგემოვნეს სალდათური “კაშა”. ზომფომ ქვაბუნა ამოასუფთავა, ამოლოკა და ზახარას გაუნოდა, გამომძლარი სიფათით პაპა გიო ჭოჭონასთან დაბრუნდა. - აი, შენ მსუნაგო, შენა, - პაპამ თავში წაუთაქა და თავიდან მოიცილა. გამომძლარი ზომფომ ხალხს გამორდა, გახარებულმა გულში ამბობდა: “არც თუ ისეთი საშიში ხალხი ყოფილან ეს წითლებიო”. ქობისაკენ წაჩერჩეტდა, უბეში ჩადებულ შაქრის ნატეხს დროდადრო ამონმებდა, ენით ლოკავდა, შეათვალეერებდა და ისევ უბეში ინახავდა. ზახარას მოცემულ “ბუხანკა” პურსაც შეათვალეერებდა ხოლმე. აჰა ეგეც შენი წითელარმიელები. ზომფომ ისე დაუახლოვდა ზახარას, რომ დღე და ღამ მასთან იყო, არ სცილდებოდა. ერთხელაც მეთაურმა ზახარა მოიხმო; - საკმაოდ თბილა. აქ, ქვევით მდინარეა- ჩაიყვანეთ შენ და იგორამ ეგ მურტალი “ბრადიაგა“წაიღეთ საპონი, მაკრატელი, საცვლები მოძებნე “სტარშინას” გამოართვი ძველმანები, დაბანეთ, გაკრიჭეთ, ეტყობა პატრონი არა ჰყავს ამ უბედურს. კარგი საქმე იქნებაო, ჩემმა მზემამო სიხარულით დათანხმდა ჯარისკა-

ცი. მეორე დღეს ზომფო და სოფლის ბიჭები ცხენებით წაიყვანეს ქალაში. ზახარამ ზომფო თავის ცხენზე შესვა. ეს დაუბანელი, გაუკრეჭავი, გარუჟული, გაუბედურებული უპატრონო ჯარისკაცებმა ადამიანს დაამგვანეს. ზახარას დიდად გაუჭირდა ფრჩხილების გაჭრა იმდენად ჰქონდა ხორცში ჩაბრუნებული. ცივ წყალში ზომფო დიდხანს ვერ ძლებდა, მერე კი შეეჩვია და აღარ ამოდოდა მდინარიდან. ბანაობა კარგი ყოფილა იმეორებდა გულში ზომფო. ლოცავდა ზახარას, რომელსაც საჭმელიც წამოეღო. გამამძღარი, გასუფთავებული ზომფო მზის გულზე წამოგდო და პირველად თავის ცხოვრებაში გემრიელად ჩაეძინა. “**Ты на него посмотри-дурак, но человек**“-სიცილით იჭაჭებოდა ზახარა, რომელიც თვითონაც სიამოვნებით ჭყუმპალობდა ხელდახელ ჩაგუბებულ მორევში. ფეხებზე კი შემოახვია სახვევები, მაგრამ ზომფომ ისე შეჰყვირა, რომ სიმნრის ცრემლები გადმოსცვივდა. დახეთქილი ქუსლებიდან სისხლი წასკდა. ერიჰა! შეიცხადა ზახარამ, ვაი-ვაგლახით შესვა ცხენზე და იფიქრა, “ფელშერს“ ვაჩვენებო. ზახარამ მართლაც ადამიანობა გამოიჩინა, მისი ქოხიც მოინახულა, გამობერტყა, გამოგავა, ლოგინიც შეუსწორა, ერთი ფარაჯაც აჩუქა, ემანდ ზამთარში მოიხურე, არ გაცივდეო. ერთი კვირა კარში არ გამოუშვა სანამ ფერშალმა წყლულები არ მოურჩინა. ასე ზახარას წყალობით – კაცს დამგვანებული ჩვენი ზომფო ნამდვილ ბალის საფრთხობელას დაემსგავსა. ის უფრო ჯარისკაცების გასართობი მასხარა იყო. -იი მეხი კი დავაყარე! შეხე, შეხე, რასა გავს, ეგ ოხერი, ეგა! - ქოქოლას აყრიდა მისი დედინაცვალი ქლაკვა მამო, სოფელში ქათმის ქურდად ცნობილი. ზომფოს ისე ეჯავრებოდა დედინაცვალი, რომ ჭირის დასახანავად ეზარებოდა, განსაკუთრებით მამის სიკვდილის შემდეგ. საღამოს, როდესაც მეცადინეობას მორჩებოდნენ, ჯარისკაცები ლხინს მართავდნენ, გარმოშკა, ცეკვა-თამაშით რაღაც სევდიან სიმღერებსაც მღეროდნენ. სამშობლოდან ასე შორს “მოგზაურობა“- მათ ოჯახებს მაინცდამაინც კარგ ხეირს არ აყრიდა. რაღაც კარგს ელოდნენ, მაგრამ რატომღაც ეს “ზღაპარივით“ შორს ჩანდა. ზოგს ეჭვიც კი ეპარებოდა იმ დაპირებულ მომავალზე, რომელსაც წითელი აგიტატორები “პოლიცზანიატიებზე“ ქადაგებდნენ. უპატრონოებისთვის სულერთი იყო, სად იქნებოდნენ. ჯარში ყოფნა ჭამა - სმა და იარაღი ყვალაფერი ჰქონდათ. მაგრამ, მათთვის, ვინც ოჯახი დატოვა: ცოლი, შვილი, დედ - მამა, - საშინელი ნოსტალგია ეწყებოდათ. ისინი ვერ იგებდნენ ეს “პარტიულობები“, ომები, კაცთა კვლა, დაპატიმრებები,

კულაკები, მენშევიკები, ბოლშევიკები და სხვა. რა საჭირო იყო შიმშილი გამუდმებული “პოლიტიკური“ “თუ არა პოლიტიკური დაპირისპირება. ეს რაღაც ლოზუნგები, პლაკატები “მინა გლეხებს!“ - “მუშებს ფაბრიკა - ქარხნები!“ ეს ისედაც უნდა ასე იყოს, რად უნდა მიტინგები, გამოსვლები, ომები. ღმერთი არ არისო, ეკლესიები დაანგრის, ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვაო, ის ვილაცა დარვინი გაიძახის მე მგონი თვითონ წარმოიშვა მაიმუნისგან. აბა ერთი მითხარით, სამყარო ვინ შექმნა თუ არა ზებუნებრივმა ძალამ, ღმერთმა; მე მგონი აქ არც მარქსი, არც ენგელსი, ლენინი და სხვა ვილაცეები არაფერ შუაშია. ახალგაზრდები, ტყუილუბრალოდ ეწირებოდნენ ვილაც - ვილაცეების ახირებულ ზრახვებს, ვითომდაც ხალხის “მსხნელებად“ რომ იყვნენ მოვლენილი. ზომფოც ჯარისკაცებში გარეული ღრეჭვით თავისებურად ერთობოდა. ერთობოდა, ჭამდა ფაფას ხანდისხან შაქრის ნატეხსაც დაიმსახურებდა ხოლმე. ზახარამ ჩაის დალევა ასწავლა, ვილაცამ უთხრა, მაგას ნამდვილი სახელი ალექსანდრე ჰქვიაო - აა ალექსეი, ძალიან კარგი თორემ ზომფო “**Ничо**“ დღედღეზე იწურებოდა ალბად დადგებოდა ერთი დროც, როდესაც ჯარისკაცები ნავიდოდნენ, მერე რა ეშველებოდა ზომფოს. ამას არ ფიქრობდა ფაფის ჭამით გამოკეთებული ზომფო. ერთხელაც მეზობელ სოფელში, ძმა, ჯაჯო ჯოჯგანა პაპის დასაფლავებაზე მოხვდა. ჯაჯო პაპა მართლაც განთქმული იყო იმ რაიონში თავისი გაუმადრობით, თავისუფლად შეეძლო ერთი გოჭისა, ხუთი ლიტრა სასმელის ჩანთქმა. ბევრი ნიძლავიც მოუგია. თავის პაპის ძმას ხომ არ დაემგვანა ჩვენი ზომფო, იფიქრებდა კაცი. ჯაჯოს ჯოჯგანა სოფელმა შეარქვა ფეხებგაჭიმულსა და მუცელგადმოგდებულს, კარგად შეეფერებოდა ეს სახელი. აი რა მოისმინა ქელეხზე გლეხებისაგან ჩვენმა ზომფომ: - ბესო, კაცო, იცი რა ყოფილა? აი ცხენები რომ ჰყავთ გაშვებული ხელგულელებში ჯარისკაცებს, ყურებში ერთი მუჭა მარილი ჩააყარე და მეორე დღეს ფეხებს გაფშკავსო მერე გაატყავე, ხორცად ხორცია ცხენისა, ჰო რა არ გიჭამიათ? ტყავისაგანა კიდენა კაი ქალამნებიც შეიკერება. მართლა კარგი იქნება ხომ იცი, - დაუმონმა გაბომ. ეს რა მოისმინა ზომფოს ყურებმა? ჰა, მარილი ცხენს ყურებში ჩააყარეო! ჰეი, ჰეი. მეორე დღეს ზომფომ შინელის ჯიბეები მარილით ამოივსო, სადღაც მოძებნა თავისი ძველი ნაჯახი და დილაადრიან ტყეში ყველას გაეპარა. შორიდან შემოესმა ცხენების ფრუტუნის ხმა. გვერდი აუარა ტყით “დანაობით“ გართულ ბიჭებს, მაინცდამაინც ზახარას ცხენს მიადგა. შაქარზე მიჩვეულმა ცხენმა ზომფო ახლო მიუშვა.

თავი დახარა, პირი ზომფოს ხელს გაუშვირა, ზომფომ შაქრის პატარა ნატეხი გაუნოდა, აბა დიდ ხომ არ მისცემდა. ზომფომ უცბად ყურებში სტაცა ხელი, ჯერ ერთ ყურში, ჩაუყარა მარილი. ცხენმა თავი გააქნია და გაიქცა. ზომფო უკან მიჰყვა - ცხენს ბევრი არ ურბენია, ერთი შეჩერდა და მერე დაეცა მინაზე. ზომფო შეხტა სიხარულისაგან, მერე შეეშინდა, აქეთ-იქით მიმოიხედა, ხომ არავინ მიყურებსო, ცხენს ნაჯახით თავი გადააჭრა და ჯაყვით გატყავებდა დაუნყო, ხორციც ააჭრა, რის ნამოლება შეეძლო გაანყო, დანარჩენი კი იქვე კლდეზე გადაყარა, იქაურობა მოასუფთავა, როგორც შეეძლო კვალი დაფარა, დაღამებას დაუცადა და კლდე-ღრეში ხეტილით სოფლის შემოვლით ქობში შეიპარა. მეორე დღეს მეთაურმა განგაში გამოაცხადა, ცხენები მორეკეს, აღიკაზმნენ და ჯარი მოენყო; დიდხანს იტრიალა ზახარამ, მაგრამ ცხენის გზა-კვალს ვერ მიაგნო; ასე უნაგირაკიდებული უცხენო ზახარა კულში მიჩანჩალებდა ცხენოსან ჯარისკაცებს, რომლებიც სიცილით იჭაჭებოდნენ. ზომფო არ გამოჩენილა, არ გაუცილებია თავისი ძმაკაცი. ასე გადაუხადა სამაგიერო ზახარას, ყველაფრისათვის. ეს ამბავი არ დამალულა, რისთვისაც სოფლის თავკაცმა ერთი კარგად მიბეგვა, ზომფო ხელზე შემოაკვდებოდა, რომ გიო ჭოჭონა პაპა არ შეშველებოდა: - რასა შვრები კაცო, ვერა ხედავ ერთი ობოლი და უბედურია, მაგასა ეგეცა, ეყოფა შენა კიდენა სცემ? შენ რა იცი, რა ზარალი მიაყენა მთავრობას? ერთი ბებრევი ცხენით არ გაღარიბდება ეგ შენი მთავრობაი, ეგ ცხენი ისეთი ბებერი იყო, რომ სადმე გზაში მოუკვდებოდა მაგ კაზაკს. - შენა გიო, ცოტა ენა დაიმოკლე თორემა ე მაგ სიტყვებისათვის ციმბირში არ ამოყო თავი, - მე? ჰეი, ჰეი თუ ოთხმოცი წლის კაცს თუ გამაცემბირებენ დიდი მოგებაა, შენა კიდე დიდ გმირობად ჩაგეთვლება, ამ დიალოგის მოსმენისას ზომფო ჩუმად გაიპარა, რომ არავის დაუნახავს. ორი დღე და ღამე არ გამოსულა. მხოლოდ გიო ჭოჭონა პაპა აკითხავდა დროდადრო, საჭმელს აწვდიდა და როგორც შეეძლო ანუგეშებდა: გამოდი იმ ჯაგლაგი ცხენის გულისათვის ხელს არავინ გახლებს. ნამოდი, ნამოდი. ზომფოც გიო პაპას უკან გაჰყვა. გულში კი ფიქრობდა: არასდროს თვალში არ მოენვეთებოდა სოფლის თავს, პარმენის ანონილ ტანსა და უკულმართს, წარსულში ძროხის ქურდს, რომელსაც მერე აპატიეს, დაემუქრნენ, ისიც შიშით ნელში მოკაკული ახალი მთავრობის ლაქუცა ძალლი გახდა. სოფელში აივლ-ჩაივლიდა, ყველას ამრეზით უყურებდა, აქაოდა ეზოები დაუგველ - დაულაგებელი არა გაქეთო, ემანდ ღობე შეაკეთეთო. როდესაც

ქვეყანაში კოლექტივიზაცია დაიწყო, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ პარმენი დანიშნეს, ისე რომ ხალხს მაინცდამაინც არავინ დაკითხვია. კანტორის თავზე, რომელიც ერთ დროს სატყეომეურნეობის მესვეურებმა ააშენეს გასულ საუკუნეში, წითელი დროშა ააფრიალა, კარზე აბრა მიაჭედა - ამა და ამ სოფლის კოლმეურნეობა, თავმჯდომარე: პარმენ ალბერტის ძე შარიშვილი. ეს ყველაფერი ქიმიური ფანქრით იყო ვილაცის მიერ დაწერილი და რვეულის ფურცლები ოთხად დაკეცილი და კუთხეში ლურსმებით მიჭედებული. პარმენს ჭროლა ელამი თვალების გამო სოფელმა არ დააყოვნა და “დამფრთხალი კაცის” ზედმეტი სახელი მიანიჭა. სად იმოვა ეს გრძელი შინელი, რომლის ბოლოები ამ წონლოკინა კაცს წვივებამდე ძლივს სწვებოდა. სიარულისას ბუქნით დადიოდა, ოდნავ მარცხენა კოჭლ ფეხს, გვერდით იქნევდა. მეტად სასაცილო გაბრაზება იცოდა, რა თქმა უნდა, უმიზეზოდ, დაქაჩულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, ულვაშებს იგრეხდა, ქუდს, რომელიც ქორის ბუდესავით ჰქონდა თავზე მოგდებული, ხშირად იხდიდა, მერე ისევ იხურავდა, მელოტ თავს ცხვირსახოცით იწმენდა. ერთი სიტყვით მისი გაუნათლებელი და უვიცი ფიზიონომია ზამბარასავით ხან იკუმშებოდა და ხან იშლებოდა. ხშირად რაიონში იძახდნენ რალაც “ლექციებს” კითხულობდა. უფრო სწორად ის ნატაციებს ჰგავდა. მერე დასტა - დასტა ლოზუნგებს ატანდნენ, პლაკატები, რალაც დიაგრამები, ეს ყველაფერი მისთვის ჩინური ენა იყო. კანტორის კედლები სულ აჭრელებული იყო ამნაირი წარწერებით: “ძირს მუქთახორები!” - რუსულად “Долой капитализм!” და მისთანები. სოფელში სადაც კი ორღობე იყო, ყველგან აკრავდა, საკვირველი კი ის იყო, რომ ეს წერა - კითხვის უსწავლელი ხალხი ამას ვერ კითხულობდა - კი ჰყავდა სოფელს “აგიტატორი”, რომელიც ხალხს თავყრილობაზე ყველაფერს უხსნიდა, გაზეთებს უკითხავდა, მაგრამ გლეხებს სულ სხვა რამე უნდოდათ. მერე იასონა ჭლექით დაავადდა და მალე სულ ახალგაზრდა გარდაიცვალა. კარგი ახალგაზრდა იყო ის უბედური, ამით პარმენს თითქოს მარჯვენა ხელი მოაჭრესო. გლეხობას ლოზუნგების, პლაკატების, გინდაც აგიტატორის საუბრები რას მისცემდა? დღე-ღამე მინას ჩასჩინებდა, ან ნახირს მწყემსავდნენ - თუთუნის გასახვევ ქალაღდად კი, ეს შენი პლაკატები არ ვარგოდა, ვინმეს რომ მოეპარა ან ჩამოეხია. პარმენმა კრება მოიწვია ხალხი გააფრთხილა - ვინც კი ამ პლაკატებსა და თვალსაჩინოების ამსახველ ლოზუნგებს ჩამოხვეს (ეს მალაღფარდოვანი სიტყვები იქ რაიონში ლექციების დროს დაიმახსოვრა),

ან მოიპარავს, იცოდეთ ციმბირი არ აცდებდათო. ხალხი გაოცებული უსმენდა - ყველა თავისთვის ფიქრობდა ეე ნეტა ვის რათ უნდა ეგ რალაცა ქალაღდებიო. ერთხელ ზომფომ მანაც დააპირა ჩამოეხია ყველა ლოზუნგი, პლაკატი, რაც სოფლის ორლობეზე და მოედანზე იყო გაკრული, მაგრამ გადაიფიქრა: თვალწინ დაუდგა გაცეცხლებული პარმენი, მამბელარა თითო-ოროლა წუნკალი ენაჭარტალა გლეხი, რომლებიც თავის გამოჩენისათვის არავის დაზოგავდნენ. სოფლიდან წითელარმიელების წასვლის შემდეგ ზომფოს დააკლდა "ძმაკაცი რუსი ზახარას" ყურადღება, ისევ ჩამოიძონა, ის ერთად ერთი ბანაობა მდინარეში სიზმარივით ახსოვდა - კი იფიქრა "ჩავალ, ვიბანავებო," მაგრამ მდინარის წყლის ეშინოდა, სოფლის ბიჭები კი დადიოდნენ, მაგრამ მათთან არ ამხანაგობდა, ისინი სულ დასცილოდნენ, შეიძლება დაეხჩოთ კიდევაც.

სამამულო ომიც დაიწყო. სოფელში არ დარჩენილა ახალგაზრდა თითქმის ორმოცდაათ წლამდე ყველა გაიწვიეს ფრონტზე. მუნჯი იოსება კი ტრიალეზდა სოფელში, ვის შემს მოუტანდა ან დაუბოზდა, ვის ზამთარში სახლის სახურავიდან თოვლს გადმოუყრიდა ვის რას და ვის რამეს გაუკეთებდა. ერთი პარმენა დარბოდა ზევით-ქვევით, მაგრამ ისიც რალაც მოტეხილი ჩანდა. იმის მერე, რაც გერმანელებმა კავკასიონს შემოუტიეს, მაშინ სულ მთლად გადაირია, - ეჭეე თუ მოვიდნენ ჰა, ხშირად სოფლიდან გაღმა მთას საბურღაოს რომ ეძახდნენ გახედავდა... შიშით უკვე ისე ხმამაღლა ველარ უყვიროდა ხალხს, საგუშაგოზე გამოდითო გაბოსა და გიოჭოჭონას ევედრებოდა, დაფრთხა, მოიკუნტა თავის ტყავში შეძვრა, კანტორიდან იშვიათად გამოდიოდა, ერთთავად მაგიდაზე დადგმულ ტელეფონს მისჩერებოდა ვინმემ რაიონიდან არ დარეკოსო. ყოველი ზარის ხმაზე ტანში ყრუანტელი უვლიდა. ზამთარ - ზაფხულს ანთებულ ლუმელს არ აქრობდა, შეშა ბლომად ჰქონდა, კანტორის მომვლელი ქალი აგრაფინა თვალეებში შესცივინებდა და თავმჯდომარეს ლუმელში შებრანულ კარტოფილს უმარჯვებდა. ნელა-ნელა მოხუცებიც გაიკრიფდნენ; ჯერ ას წელს გადაცილებული გაბო, მას გიოჭოჭონა პაპა მიჰყვა, მერე ზომფო და მისი ერთგული ძალლი ბათურა. სიბერე მასაც შეეპარა, ომმა ხომ სულ მთლად დაამშია. სოფელში თითქმის ყველას უჭირდა, ვილას ახსოვდა ქონში გამომწყვდეული ზომფო და მისი ძალლი. ისევ ბავშვები აკითხავდნენ და საკვებს აწვდიდნენ. ნელ-ნელა ეცლებოდა ძალა, უფრო და უფრო უძლიერდებოდა ავადმყოფობა, ბოლოს ფეხები დაუსივდა, დაუნყლულდა, აუტანელი შმორისა

და გახრწნილი გვამის სუნი იდგა ქონში. ბოლოს ბავშვები რომ შიგნით ვერ შედიოდნენ, ქონში გრძელი, ორკაპი ჯოხით სახელყურიან პატარა სპილენძის ქვაბით უგზავნიდნენ საჭმელს. იდგა 1945 წლის გაზაფხული, ომის ქარცეცხლმა გადაიარა დამთავრდა კაცობრიობის დამლუპველი ტრაგედია დაჭრილი, დამახინჯებული მამაკაცები შინ ბრუნდებოდნენ. ბევრიც ვერ დაბრუნდა. სწორედ ამ დროს გარდაიცვალა ყველასაგან მივიწყებული ზომფო. ასევე მივიწყებულია მისი საფლავი დღეს. ძალლი ბათურა ზომფოს საფლავს არ მოსცილებია მალევე ისიც ზედ დააკვდა.

P. S. ქოხი კი მისმა დედინაცვალმა გადაწვა, ემანდ ჭირი არ გაჩნდესო. ასე წავიდა ამ ქვეყნიდან ალექსანდრე - ზომფო, გაუხარელი, ღმერთისაგან, ხალხისაგან მივიწყებული, რომელიც სოფელს არ გასცილებია, მან არ იცოდა თუ დედამინა მრგვალი იყო, თუ არსებობდა ზღვები, ოკეანები და საერთოდ ადამიანის მოდგმა. გაიხსენეთ ზღაპარი თუ მითი, მაუგლი, რომელიც ჯუნგლებში მხეცებთან გაიზარდა - ან ძველი ხალხური ანდაზა: ხარი ხართან დააბი, ორი ხარი იქნებო; ასეა ადამიანიც, რა პირობებშიც, გაიზრდება, ისეთ "პროდუქტს" მივიღებთ. ასე იყო ეს უბედური ზომფოც. მან ჭამის გარდა საერთოდ არაფერი იცოდა. მეც მიმიტანია ქვაბუნათი სუპი პურით, ბავშვები მხოლოდ გარედან ვუვლიდით ქოხს. თავის დროზე ზომფო მშობლებს უყურადღებოდ რომ არ მიეტოვებინათ, სრულიად ჯანსაღი და ნორმალური პიროვნება გაიზრდებოდა.

გიორგი შიშნიაშვილი


ასე

**მიწიერი კაცის ზეციური სამყარო**

„თვალეები ლურჯი და ნანამები ხედავს ამ ზეცას.“  
/ტერენტი/

ტერენტი გრანელის პოეზია მისტიციზმის უმაღლესი განცდის გარეშე რომ წარმოუდგენელია, ეს ახალი ამბავი როდია, მაგრამ მკითხველთა გაოცებას ყოველთვის ახერხებს ამ ერთი შეხედვით მიწიერი კაცის უდიდესი ზეციური სამყარო. იგი უმაღლესი ოსტატობით იპყრობს ზეციურ მწვერვალებს, საუბრობს ანგელოზებთან და უცდის ქრისტეს ლანდს... — **„მე ისევ ვდგავარ მარადისობის გარინდებულ საზღვართან, ვით მგლოვია რე სერაფიმი და ველი ქრისტეს ლანდს, რომელიც მიხსნის მე განსაცდელისგან.“** - **“გულიდან სისხლის წვეთები“**.

მისტიციზმი... ეს რელიგიურ - ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც თავისთავად გულისხმობს კავშირს ზებუნებრივ ღვთაებებთან, ავტორისთვის პირდაპირპროპორციულად არის “გზა ხსნისა”, რადგან მას ამ გზით შეუძლია ჩასწვდეს ჩვეულებრივი გონებისათვის მიუწვდომელ საიდუმლოებებს. ქრისტე პოეტისათვის განსაკუთრებულად საკრალურია... ის წერს მასზე, უცდის მაცხოვარს და დიდი ალბათობით ხედავს კიდეც, რადგან ზუსტად წარმოუდგენია მისი თვალების მეტყველი და საოცრად მშვიდი მზერა. ლექსში: “ჩემო ზოზია, მე წავალ მალე”, რომელიც პირველად დიდი ხნის წინ წავიკითხე და მისით მოგვრილი უწინდელი განცდა დღემდე არ მტოვებს, იგი ასეთ სტრიქონებს წერს: **“ამ ნათურების ცოფიან თვალებს, ქრისტეს თვალები შეცვლიან მაშინ“**. ო, რა მოულოდნელი და ამაღელვებელი შედარებაა... რა პოეტური დიალოგი იმართება ლექსის ლირიკულ გმირსა და ადრესატს შორის, რომელსაც დაკვირვებული მკითხ-



ველი აუცილებლად აღმოაჩენს; - “ჩემო ზოზია, მე წავალ მალე“, - (როდის)? —“მაშინ“... დღემდე ვფიქრობ, როგორი ნათურები შეიძლებოდა ყოფილიყო პოეტის ინსპირაციის წყარო, რაზეც ზუსტ პასუხს ალბათ ველარ მივიღებ, მაგრამ ერთი ცხადია, ყოველთვის, როცა ანთებულ ნათურას წამიერად შევხედავ, ეს სტრიქონები მახსენდება და ვრწმუნდები, რომ ის ნამდვილად “ცოფიანია“... ჩვენ უკვე ვიცით, რომ ქრისტესთან შეხვედრა პოეტისათვის სულიერი სიმშვიდის სანინდარია, რაც ამ ლექსშიც კარგად ჩანს, როდესაც იგი შესანიშნავ კონტრასტს ქმნის, “ჩემ სანთლებსა“ და “ცოფიან ნათურებს“ შორის. “ჩემი სანთლები“, ჩემი აზრით, პირდაპირი მეტაფორაა “ქრისტეს თვალების“, რადგან, როცა დადგება დრო და “ცოფიან ნათურებს“ “ჩემი სანთლები“ შეცვლიან, პოეტი იგრძნობს “უმაღლეს მოსვენებას“. ო, რა პოეტური და ამაღელვებელი დიალოგი იმართება ლექსის ლირიკულ გმირსა და ადრესატს შორის?! . -“ჩემო ზოზია, მე წავალ მალე“, - (როდის)? —“მაშინ“...

07.04.2019

წერილს, რომელსაც ჩვენი ჟურნალის ერთგულ მკითხველს ვთავაზობ, მართლაც ძალზე ჩახლართული, საინტერესო შინაარსი გააჩნია. აქვე დავაზუსტებ, ამ ცხელ ვნებათაღელვაში თავადაც ვმონანილები, როდესაც აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია ჩვეულებისამებრ პრინციპულად და ღიად გამოვხატე, როგორც მრავალბრძოლაგამოვლილმა კრიტიკოსმა; საქმის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ფაქტების ფაბრიკაციის მეშვეობით მწერლის წინააღმდეგ გათამამებულ პროვოკაციას საკადრისი პასუხი დროულად თუ არ გაეცა, მრავალფეროვანი ინტრიგებით დაბინძურებულ ლიტერატურულ ჯუნგლებში სამართალი ვერასდროს იხეიმებს. სტატიაში გადმოცემული ფაქტები თავისთავად მოწმობს რა დიდი ძალისხმევაა საჭირო სიცრუისა და სიყალბის პირისპირ სიმართლე არ დაიჩაგროს და ბოროტგანმზრახველებმა კუთვნილი ზღონ. კონკრეტული პუბლიკაცია ნათლად მიუთითებს თანამედროვე სამწერლო პროცესის წარმართვისას რა სახის ქვედინებებია გააქტიურებული, რაც მძიმე საფიქრალის საპირწონედ მიუკერძოებლად მოაზროვნე მწერლების მხრიდან მართებულ ჩარევასა და სწორი ორიენტაციის გამოხატვას საჭიროებს და მოითხოვს. პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩეკისტური სტილის პირად ანგარიშსწორებას ბოლო უნდა მოეღოს. ეს დაუწერელი კანონი ნებისმიერ ხელოვანს ავალდებულებს დისკუსიისა და პაექრობის დროს ელემენტარული ეთიკის ნორმები დაიცვას, რაც სამწუხაროდ ხშირად ირღვევა და ზემოთხსენებული პუბლიკაციის ირგვლივ ატეხილ არაჯანსაღ ვნებათაღელვას ფაქტების მეშვეობით ააშკარავებს. ჩემთვის ამგვარი გაყალბება და ლიტერატურულ საზღვარს გადაცდენილი ლანძღვა - გინება მიუღებელია, რის გამოც გადავწყვიტე ფალსიფიცირებული ვერდიქტის თავგადასავალი საამქარაოზე გამომეტანა და სამწერლო საზოგადოებისთვის კიდევ ერთხელ შემეხსენებინა, რომ პაექრობა თუ პირად ანგარიშსწორებაში გადაიზარდა, მაშინ რკინის არგუმენტებიც ძალადაკარგულია და ჯანსაღი, მიუკერძოებელი კრიტიკის ნაცვლად წინა პლანზე ძალმომრეობა გადმოდის, რასაც როგორც პროფესიონალი კრიტიკოსი მუდამ პრინციპულად ვაპროტესტებ.

აქედან გამომდინარე, ყველაზე მეტად და ეროვნული ჟურნალი "ისინდი" საკუთარ დევიზს არასდროს ღალატობს და უსამართლოდ დაჩაგრულ მწერლებს, განუხრელად მათი მიკუთვნებისა "მოკავშირისა" თუ "მონიწილმდეგის" ბანაკისა, ფაქტების მეშვეობით მიუკერძოებლად იცავს და ქომაგობს, რაც სამწერლო პროცესების გაჯანსაღების უცილობელი გარანტია.

ჟურნალ "ისინდის" რედაქტორი იკა ქადაგიძე

**ცნობადი მწერლებისა და ცნობადი სახეების სახელების**

**გამოყენების მცდელობა, გორბატაჟის ხალი!**

ყველაფერი იმით დაიწყო, როდესაც მწერალ ზეინაბ მეტრეველის ერთ-ერთ ლექსზე ჩემი აზრი გამოვთქვი...

როდესაც ამა თუ იმ ლექსზე ისეთი კომენტარების ცვენაა, რომლებიც სრულიად არ შეესაბამება გამოქვეყნებულ ლიტერატურულ ნაღვანს, ნორმალურ ადამიანს გაუჩნდება კითხვა: საიდან მოსდით თავში ეს ტექსტები?! — „ღვთიურია!“, „უფლის ნაკარნახევია!“, „ზეციურია!“ და ა. შ.

კითხულობ ტექსტს, ეძებ მასში ზეციურს, ღვთიურს, უფლის ნაკარნახევ ფრაზებს, ზებუნებრივს და იმედგაცრუებული რჩები, ვინაიდან სამწუხაროდ ვერაფერს ხედავ ზეციურს...

სწორედ ამგვარ ფაქტთან დაკავშირებით, გამოვთქვი ჩემი შეხედულება, რომ ქ - ნ ზეინაბის ფრაზები, კონკრეტულად ამ ლექსში, ვიმეორებ, კონკრეტულად ამ ლექსში! უფლის ნაკარნახევი არ იყო და ვერც ვერაფერ ზეციურს ვხედავდი მასში. აღვნიშნე, რომ სიტყვების გართიმვა, არ ნიშნავდა იმას, რომ ჩვეულებრივი მოკვდავის მატერიალისტური შეხედულება სიცოცხლეზე, დაახ, სიცოცხლეზე, რომელიც უფალმა გვაჩუქა, უფლის კარნახად შეგვერაცხა. ხომ არ შეიძლება ყველა მოკვდავის ტვინში აგორებული აზრი ზებუნებრივად მოვნათლოთ და სუფლირობა ზეცას დავაბრალოთ?! ჩემ მიერ გამოთქმულ აზრს, რომლის

დაფიქსირების უფლება ნამდვილად მქონდა, ადამიანური უფლებიდან გამომდინარე (ბოლოს და ბოლოს დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ!) და თუ „ზოგს მღვდელი მოსწონს და ზოგს - მღვდლის ცოლი,“ დამეთანხმებით, აქ ტრაგიკული და გასაბრაზებელი არაფერია. დიახ, ჩემს მიერ გამოთქმულ აზრს, მოჰყვა მწერალთა და ვაი - მწერალთა ცუნამი... მოკლედ ამ დიდ აურზაურში ვერ გაიგებდი ვინ რას სწერდა და ვინ რას ითხოვდა... კომენტარი, კომენტარზე იჩეკებოდა ჩემს სოციალურ გვერდზე და იყო გამიშვი და დამიჭირე... ჩემი მომხრეები უმცირესობაში აღმოჩნდნენ და ამ დიდი ზეინოლის გამო ისინიც შემომეფანტნენ, ყველა ხომ ვერ იქნება უშუალო ჯარისკაცი, რომ ომში ბოლომდე გვერდში დგომა მოსთხოვო? თუმცა არც არავისთვის მითხოვია დაცვა და არც არავისი ადვოკატობა მჭირდებოდა, დაახლოებით 500 მწერალი, ვაი - მწერალი და ვინ მოსთვლის რა პროფესიის ადამიანები არ მიტევდნენ. ჩემ მიერ გამოთქმული აზრი მონათლეს ზეინაბ მეტრეველის მწვავე კრიტიკად, შურად, ბოლმად და ეს იყო სრული უმეცრება, ვინაიდან ჩემი პროტესტი, კრიტიკა კი არა, უბრალოდ ერთ ლექსზე ჩემი შეხედულების გამოხატვა იყო და მეტი არაფერი...

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, მინდა მთავარ სათქმელამდე სწრაფად მივიდე. თავი რომ არ შეგანყინოთ, შევეცდები სრულყოფილად გადმოვცე ის ფაქტები, რამაც ამ წერილის გამოქვეყნება გადაამწყვეტინა.

მივყვები მოვლენების ეტაპობრივად გაშუქებას, როგორც ზემოთ მოგახსენეთ. ჩემ წინააღმდეგ აგორებულ ცუნამში გადავეში და უკან არ დავიხიე. ბავშვობიდან სპარტანულად მზრდიდნენ და ეს შემოტევა ვერც ჩემს ჯანმრთელო-



ბაზე იმოქმედებდა და ვერც იხტიბარს გამატეხინებდა. ჩემი მომხრეები მართალია ბრძოლაში ჩაბმას ველარ ბედავდნენ, მაგრამ სატელეფონო ზარები არ წყდებოდა, გულისტკივილით კითხულობდნენ ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობას და მირჩევდნენ უკან დამეხია. მათ აწუხებდათ ეს უსამართლო ომი, ამ ომში დაახლოებით ხუთასი ადამიანი ერთის წინააღმდეგ იბრძოდა! ჩემს მხარდამჭერებს აწუხებდათ ეს „სამამულო ომი“ ფატალური შედეგით არ დამთავრებულიყო და გულის შეტევით რეანიმაციულ განყოფილებაში არ მოვხვედრილიყავი... მაგრამ მე ბავშვობიდან მასწავლეს, რომ მტერს დიდი იუმორითა და გულწრფელი ღიმილით მოერევი და მთელი ამ ბრძოლის მანძილზე, ეს ღიმილი ჩემს სახეს არ მოსცილებია...

მთავარ სათქმელს აღარ გავაჭიანურებ: გაქანებულ ომში, უცვებ აფრილდა ჩემი მისამართით გაჟღერებული კრიტიკიული სტატია, რომელსაც საყოველთაოდ ცნობილი პოეტის, რეზო ამაშუკელის გვარ-სახელი ეწერა. წერილის შინაარსს სრულად მოგანვდით:

“ყარაულაშვილი სამარცხვინო ბოძზე გაეკრას!

სკან-დალი ყარაულაშვილს უნდოდა მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობა, რამდენიმე ავტორი გაანვერინა კიდეც, რათა ხმა მიეცათ მისთვის, კოვზი ნაცარში რომ ჩაუვარდა (კიდეც კარგი) განაცხადა კავშირს ვტოვებ და თქვენც დატოვეთო!

გუშინწინ ზეინაბის დიდებულ ლექსს უნიჭოდ დაესხა თავს, რაზეც არაერთი ავტორიტეტული მწერლის ობიექტური კრიტიკა დაიშასურა. კომენტარში პოეზიარმა რომ უპასუხა, ზეინაბის უპირატესობით გამოწვეულმა შურმა და ბოლმამ გადაგრია, მისი ერთი ლექსი გადასწონის თქვენს ყველა ლექსს, რაც წამიკითხავს(მართლა ასეა გულწრფელად ვამბობ) და ამ უნიჭო „სკანდალით“ გადანყვით ხალხის ყურადღება მიგექციაო, სიმართლე არ ესიამოვნა და ნაშალა. ესეც არ იკმარა და ზ. მეტრეველს პლაგიატობაც

დააბრალა შემდეგ ცოცხალ “ანგელოზებთან“, ვიღაც “სასულიერო პირებთან” გადაღებული ფოტო დადო, აი, ნახეთ ესენი დამეთანხმნენ ზეინაბის ლექსის არაქრისტიანულობაშიო, თითქოს ავტორიტეტები და თეოლოგ-ლიტერატორები იყვნენ ისინი, შესაძლოა იტყუება კიდეც, რა გასაკვირია. გარიცხეთ მწერალთა კავშირიდან ცილისმწამებელი დალი ყარაულაშვილი და ჩამოართვით ნაჩუქარი ოქროს კალამი, აგრეთვე შოთა რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის პრემიები. მიეცეს 10 წლიანი ვადა, რომ დაწეროს ზეინაბის ბოლო ორი წლის განმავლობაში დაწერილ ნებისმიერ ლექსზე უკეთესი ერთი ლექსი მაინც და მოიხადოს საჯარო ბოდიში, რის შემდეგადაც დააბრუნეთ მწერალთა კავშირის რიგებში.

რეზო ამაშუკელი

ვინაიდან ჩემ წინააღმდეგ არცერთი ჩემთვის მიღებული ავტორიტეტული მწერალი არ გამოსულა, პირიქით, ავტორიტეტულმა მწერლებმა ამ ომში მონაწილეობა არც ისურვეს და თავი შორს დაიჭირეს ამ დომბალისგან, თუ არ ჩავთვლი რამდენიმე ცნობილ მწერალს, რომლებმაც უბრალოდ გამოთქვეს საკუთარი აზრი და ჩემი სალანძღავი ფრაზა არც კი წამოსცდენიათ, ვიფიქრე, რომ ან ბ-ნი რეზო საქმის კურსში არ იყო, ან ეს წერილი მის კალამს არ ეკუთვნოდა. ჩემში დიდ ეჭვს იწვევდა თავად წერილის უნიჭო შესრულება...

სიმართლის გასარკვევად დავიწყე ყურწინაღმართური გამოძიება, რის შედეგადაც დავადგინე, რომ ეს წერილი რეზო ამაშუკელის დაწერილი არ გახლავთ. აღმოჩნდა, რომ რეზო ამაშუკელი სრულებით არ მიცნობდა არც მე და არც ზეინაბ მეტრეველს ამიტომ საერთოდ წარმოდგენა არ ჰქონდა მისი სახელით გამოქვეყნებულ პროვოკაციულ ნაჯღაბნზე, რომელმაც ჩემ წინააღმდეგ მწერლები აამხედრა.

როდესაც ამ ფაქტის შესახებ ცნობილ მწერალსა და მე-ბრძოლ კრიტიკოსს, იკა ქადაგიძეს მოვუყვიე, იკას, რომელსაც ქართული მწერლობის ყანა და, არც უწოდებენ, რადგან ყოველთვის სამართლიანობის მეზარადე გვევლინება, ეს ისტორია არ გაჰკვირვებია და ჩემს ზურგში ასე საზიზღრად, არაკაცურად ჩაცემული ლახვარი სასაცილოდ არ ეყო! ვინაიდან სიმართლის დაცვისას თავადაც ბევრჯერ გამხდარა ცილისმწამებისა და ლალატის ობიექტი. მან მიჩნია, ამ საეჭვო სცენარისთვის ფარდა ამეხადა და საქვეყნოდ მემხილებინა სავარაუდო დამნაშავენი. იგივე მოთხოვნა ჰქონდა ბ-ნ რეზო ამაშუკელსაც, რომელიც ასევე შეურაცხვეს და პასკვილის ბრმა იარაღი გახადეს. მისი სახელი გამოიყენეს ჩემი რეპუტაციის შესალახად. ამ საზიზღარი ტექსტის საშუალებით ვიღაც-ვიღაცებს გულით სურთ ცნობადი სახეების მემუგობით გააცამტვერონ ჩემი შემოქმედება და ყველაფერი აქეთ არის მომართული!

მამაცხოვნებულებო! თუ ბრძოლა გენბავთ, აიღეთ ხმალი და ღიად გამოდით ბრძოლის ველზე! რეზო ამაშუკელისა და ლევან ბერძენიშვილის სახელებს რას ეფარებით?! აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ ანალოგიური შინაარსის წერილი ლევან ბერძენიშვილის სახელითაც გაჟღერდა და კაცი კაფით მომათხრევენეს! თუმცა მისი არაეროვნულობა ჩემთვის მაინც მიუღებელი იყო და მას ადრე თუ გვიან პასუხს მოეთხოვდი ლადო ასათიანის გაბიაზურების, დედა-უნის უარყოფისა და ათასი არაეროვნული განცხადებისთვის, რაც მომავალი თაობების მსოფლმხედველობას დიდ ზიანს

აყენებს! აღმოჩნდა, რომ არც ლევან ბერძენიშვილს დაუნერია ჩემი გასაკილი წერილი. გამოდის, ყველა ერთი დიდი ტყუილის ბადეში გახვევს.

ახლა სად ვეძებოთ ამ შუღლის ჩამომგდებლის ფესვები?! ეს არის დანაშაული! აქვე მოგახსენებთ, რომ ეს ორი ცილისმწამლებლური წერილი გამოქვეყნდა ვირტუალური საიტის, „პოეზია რის“ გვერდზე. მე ვიყავი სამიზნე და რეზო ამაშუკელის სახელი კი - იარაღი, ვილაც ჩასაფრებული, უნიჭო მტრის ხელში. ასევე ლევან ბერძენიშვილის წერილიც არის სრული სიცრუე და ვილაცის მიერ ამონთხეული გესლი! საავტორო უფლებების დარღვევის, ცილისწამებისა და ფაქტების გაყალბების ფონზე ყველას ვეკითხები: როდემდე უნდა ჩასცეთ მახვილი ნამდვილ, გულწრფელ, ეროვნულ მწერლებს?! ერთი დანაშაულს სჩადის და მეორე ამ პროვოკაციას აზიარებს და აფრიალებს, რეკლამას უკეთებს ლალატს და ფარისევლობას! „პოეზიარის“ გვერდიდან ატაცებული იქნა ეს ცილისმწამლებლური სიცრუე და აფრიალებული, როგორც ვითომ სიმართლე, „- შეხედეთ დალი ყარაულაშვილის პოეზია დაინუნესო!“ თქვენდა სამწუხაროდ ამ ბილნი იარაღით ჩემს პოეზიას საძირკველს ვერ შეურყევეთ!

ბ-ნ რეზო ამაშუკელის დავალებით და მისი თხოვნით ვამხელ სპეციალურად შეითხნის სიცრუეს და ვკითხულობ: - ვინ არის ამ უნიჭოდ შესრულებული ტექსტის ნამდვილი ავტორი?! მეც და რეზო ამაშუკელიც გამოვხატავთ აღშფოთებას, რატომ ქვეყნდება გადაუმონებელი წერილები ამა თუ იმ ლიტერატურულ გვერდზე და რატომ არ ჰყავს პატრონი ამ განუკითხაობას?! სამართლიანი საყვედური მინდა გამოვთქვა „პოეზია რის“ ადმინისტრაციის მიმართ და მაინტერესებს, ერთი კაცია გარეული ამ დომხალში თუ ამ პროვოკაციის ავტორს დამქაშებიც ჰყავს, რომლებიც სიერს კულისებიდან უყურებენ და ღიად გამოჩენას ვერ ბედავენ?!

აქვე მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო ლიტერატორ კახა ნადირაძეს, რომელსაც არ ვიცნობდი და არც ჩემს მეგობრებში ფიქსირდებოდა. დღეს ბედნიერი ვარ ამ შემთხვევის წყალობით ამ ღირსეული ადამიანის გაცნობის შესაძლებლობა რომ მომეცა. მან ერთადერთმა შეძლო პასუხი გაეცა ამ ბუღინგისთვის! ვინაიდან იგი ჩემი მეგობრების მეგობრად იყო მონიშნული, სოციალურ ქსელში შემთხვევით ამოვარდა მის თვალთახედვაში ეს ცუნამი, ომი, რომელიც სრულიად უსაფუძვლოდ იქნა წამოწყებული. კახა ნადირაძემ ვრცელი კომენტარით დამიჭირა მხარი და გაიზიარა ჩემი ჭირი. აფერუმ კახა! სულ არ იყო ეს ადამიანი ვალდებული, ეს აგორებული ტალახი თავისი მისამართითაც გადაეგორებინა, მაგრამ იგი არ შეუშინდა ამ ცუნამს, რომელსაც ბევრი ჩემი ნაცნობი მწერალი სიხარულით აჰყვა. უცნობმა ადამიანმა კი თავისი პოზიცია დააფიქსირა ჩემს სასარგებლოდ. თავისი მართალი სიტყვა არ დაიშურა და დამიცვა სრულიად არაფრის მომტან, უსარგებლო შემოტევისგან! აქვე მინდა მოგანოვლო ბატონი კახას თამამი და უშიშარი პროტესტი ამ განუკითხაობის მიმართ:

„ქალბატონო დალი, ძლივს, როგორც იქნა, გავეცანი საქმის არსს, რა მომხდარა თურმე და ვინ რა თქვა. ჩვენ აქ მეგობრები არ ვართ, მაგრამ კომენტარის ველი მოჩანდა და კი დავნერ აქვე, მას, რის თქმაც მინდოდა: მოგახსენებთ, რომ მე ამ საქმის დეტალების ცოდნის გარეშეც ვწერდი, რომ ეს ისტერია, რაც თქვენ მიმართ წამოე-

იდა და 500-მდე კომენტარშია განანილებული, ეს არის დანაშაული თქვენ მიმართ. ეს არის არასწორი საქციელი და ყველამ ბოდიში უნდა მოგიხადოთ, - ვინც აქ უხეზად და უდიერად მოგმართათ! აქ ვნახე გაცოფებული, ზომბირებული ადამიანები, რომლებიც არ სცნობენ არანაირ მორალსა და წესს - ურთიერთობისას... აქ რაც მე ვნახე, ზედა პოსტის კომენტარებშიც, - ეს, უბრალოდ - საშინელებაა. რაც შეეხება თქვენს კრიტიკულ გამონათქვამებს, ქ-ნი ზეინაბ მეტრეველის ამ ლექსის მიმართ, გეტყვით, რომ ნამდვილად გაქვთ უფლება, რომ მოგწონდეთ ან არ მოგწონდეთ; შეაქოთ, ურჩიოთ ან გააკრიტიკოთ... მაგრამ ამ ყველაფერს, თავის მხრივ, თავის წესები აქვს, მოგესხენებათ. ამიტომ მოგესხენებათ, რომ როგორც თქვით - გაგაჩნიათ შესაბამისი განათლება. თუმცა, გირჩევდით, რომ თქვენი შესაძლებლობები, უფრო საგნობრივი მსჯელობისთვის გაიხარჯოთ. მოიყვანოთ ციტატები, დებულებები, დოგმები, ესთეტიკური ნარკვევები და სუბსტანციები. სიმართლე გითხრათ, ამ ლექსში, რის გაკრიტიკებაც შეიძლებოდა, ის ვერ შეგიმჩნევიათ და სრულიად ჰიპოთეტურ საკითხებზე დავობთ. პირდაპირ რომ ვთქვა, თქვენი კრიტიკა, საჭირო მოუზადებლობის გამო, სრულიად არ არის კრიტიკა და უფრო „უკმაყოფილოდ ცხვირის აბზუებას“ ჰგავს, გისურვებთ წარმატებას და გამძლეობას! (გირჩევთ, რომ ამ თემაზე არსებული პოსტები ჩაკეტოთ ან წაშალოთ, რადგან თქვენ ჯანმრთელობაზე ცუდად არ იმოქმედოს ამდენმა შეურაცხყოფამ, საღისტურმა და არანორმალურმა გამონათქვამებმა და ბუღინგმა).“

დაიხ! ეს იყო ჩემი შეხედულება და არა მწერლის შეურაცხყოფელი კრიტიკა, რაც დანარჩენმა ხელზე დაიხვიეს და ისე დამესივნენ, არც კი დაფიქრებულან ადამიანურად ეს რამდენად გამართლებული იყო. ამ უნიჭო პასკვილმა ეს თავდასხმა გააძლიერა.


ვიმეორებ, ვინ გამცემს პასუხს აღნიშნულ დანაშაულზე?! იმ ცილისწამებაზე, რაც აგორდა რეზო ამაშუკელისა და ჩემი მისამართით?!

მოვითხოვ გვერდის ადმინისტრაციამ, რომლის ადმინისტრატორი გახლავთ თემურ ქახნაკია, განგვიმარტოს, არა მხოლოდ მე, არამედ ბატონ რეზო ამაშუკელსა და შეცდომაში შეყვანილ მთელ სამწერლო საზოგადოებას, როგორ მოხვდა ეს გადაუმონებელი ცილისწამება მის ლიტერატურულ სივრცეში და თუ ეს პასკვილი ჩათვალეს გასაჯაროების ღირსად, ასევე თამამად აღიარონ, ვინ არის ამ წერილის ნამდვილი ავტორი?! ან ავტორები?! მოვითხოვ პასუხი გაეცეს, რას ემსახურება ეს გამიზნული ბოროტება?! რა არის ამ წერილის მიზანი?! ის, რომ ადამიანები ერთმანეთს ნაჰკიდონ და ერთმანეთი აძიგინონ?! ის, რომ ეროვნული პოეზია დაასამარონ?! თუ ადამიანს გული გაუხეთქონ და ფატალური შედეგი დააყენონ? გარწმუნებთ, ჩემნაირებს ამ ლაჩრული შემტევებისგან გული არ უსკდებათ! იქით გაუფრთხილდით მოლაღატე და ფარისევლ გულებს! სხვა რა სახელი უნდა ვუწოდო ამ გამოხტომას?! ამას ლალატიც არ ჰქვია! ეს ლაჩრებისა და პატარა კაცუნების საქციელია! რა უნდათ ასეთ ადამიანებს ლიტერატურულ სფეროში?! საკითხავი აი ეს არის!

პოეტი: დალი ყარაულაშვილი

**ფრანსუა ვიიონი ფრანგი პოეტი,**

**Francois Villon (XV ს შუა წლები) ბალადა  
ბარდასული დროის ქალბატონებზე**



რომელ მხარეში შთანთქა წყვილიაღმა ფლორა, დიადი რომის მშვენიება,

ან თაისი და არქიპიადე სად გაიტაცეს დროის ცხენებმა; ან მათი ექო, წყალს რომ მოჰქონდა, და დაცემული ტბაზე ბინდები,

ან ის სინაზე და ჯადოქრობა? . .

სად არის თოვლი შარშანწინდელი?

ან ელოიზა დრომ სად ისროლა, რომლის მშვენიებამ პიერ აბელარს არგუნა ბედად საჭურისობა და სიყვარულის სული შთაბერა;

ან დედოფალი სად გაქრა, რომლის ნებით აქაფდა სენის ზვირთები და ბურიდანი ისროლეს ტომრით? . .

სად არის თოვლი შარშანწინდელი?

დედოფალ ბლანშზე რას იტყვით ნეტავ, სადღაა მისი ხმა და მისი.

ან დიდფეხება სად არის ბერტა, ან არამბურჟის სახლი მაინზე;

ლორენის მკვიდრი სად არის, ჟანა, რომ აგიზგიზდა მისი დიდების ცეცხლი რუჟანში. აღარსად ჩანან...

სად არის თოვლი შარშანწინდელი? ვერვინ ნაუვა, პრინცო გარდუვალს, ქრება ციმციმიც მარგალიტების და ვიმეორებთ სოფლის სამღურავს:

სად არის თოვლი შარშანწინდელი?

**თიოფილ გოტიე ფრანგი პოეტი Pierre Jules  
Theophile Gautier (1811-1872)**

**საიმიჰეჟიუნიო კოპნიაოზა**

როცა მოვკვდები, ვიდრე მიმავალს დამიჭედებდეთ კუბოს ლურსმანით,

კარგი იქნება, ფერმკრთალ ყვრიმალეებს თუ ცოტაოდენ ფერს ნაუსვამდით.

მე მსურს, ისეთი, შენ რომ გამიცან, ვიყო, მიწაში როცა ჩავნვები,

წარბზე ფანქარი რომ გადამისვან და ვარდისფერი მქონდეს ღანვები,

ვიცი, სუდარა მელის უხეში, მაგრამ მე მინდა უსპეტაკესი რომ დამეფინოს შიშველ მუხლებზე მუსლინის კაბის ყველა ნაკეცი.

გამორჩეული ვიყავი იმით და მიმზიდველი როგორც ნახატი

როცა პირველად მაჩუქე ღიმი... აქამდე მქონდა და ვინახავდი.

ვიტყოდი უარს დიდი ხალისით თვით ყვავილებზეც, ცრემლიც მაკმარეთ, მხოლოდ დამიდეთ თავქვეშ ბალიში და ჩემი თავი ანდეთ მაქმანებს.

ვერვინ მიხვდება ვერც ვარაუდით, სიგიჟეს შუბლი ვით შევაგებთ და გონდოლების გრძნობდა მაუდი, რომ მიკოცნიდა მკერდს და ბაგეებს.

და ბოლოს, მინდა, ვით მეგობარი ჩემს გაყვითლებულ ხელებს საკუთრად

კრილოსანი ანდოთ ოპალის რომელიც რომის პაპმა აკურთხა.

მე ბინადარი ცივი სასახლის იმ კრილოსანს ვიხმარ მოცლილი და გავისხენებ იმ ლოცვასავით როგორ ითვლიდი, როცა მკოცნიდი.

**შარლ ბოდლერი ფრანგი პოეტი Charles  
Pierre Baudelaire (1821 - 1867) ალბატროსი  
აპორგეჟული სტიქიონის მკერდზე  
მატროსაჟს**

როცა შეიპყრობს ნალველი და გართობა უნდათ, იჭერენ ხოლმე ზღვის ფრინველებს, დიდ ალბატროსებს, რომელნიც ხომალდს მონყენილნი მისდევენ გუნდად. მსხვერპლი უხეშად დაგდებული აწყდება გემბანს, ლაჟვარდის მეფე, მონყვეტილი ცას და სინათლეს, მოუქნელი და შერცხვენილი უმწეოდ კვდება და ფრთებს ვეება ნიჩბებივით ძლივსღა მიათრევს.

ახლახან ცაში ადიოდა ჩვეულ სისხარტით,

ახლა უმზერენ უსიცოცხლოს, ტლანქს და საძაგელს, ხარხართ სწრიან აბოლებულ ჩიბუხს ნისკარტში და ხტუნვა-ხტუნვით დაკოჭლებულ ფრთოსანს ბაძავენ.

ასე პოეტი მშვილდოსანთა უძლებს დაცინვას, ღრუბლებს ბრძანებლობს და გრივალთან ღამეს ათენებს, მაგრამ მიწაზე,

სადაც კაცთა დგას ღრიანცელი, რომ გაიაროს, ფრთები უშლის გოლიათური.

**პოლ ვერლენი ფრანგი პოეტი Paul Marie  
Verlaine (1844 - 1896) ჩამს სულს აწვიმს**

რა უსიტყვო ნალველს მალავს სული, ჩემი მეუფე, სულსაც აწვიმს, როგორც ქალაქს, ანდა მის გარეუბნებს.

აწვიმს მიწას და სახურავს და შრიალით ავივსე, სევდა სულში ჩასახული უკრავს წვიმის კლავიშზე.

ცხოვრობს სულით ეს ობლობა ჩუმი წვიმის მეზობლად სულში ჩაჯდა ვით ობობა, სევდის უმიზეზობა.

და მით უფრო არის მძაფრი უმიზეზო ნალველი არსაიდან რომ არაფრით არის ნაკარნახევი.

**არტურ რიმბო (Arthur Rimbaud) (1854 – 1891)  
– ზრანგი პოეტი, სიმბოლისტი. მთვრალი  
სომალი**

როცა მე მდორე მდინარეთა მივყევ დინებას,  
ვიგრძენ, მეგზური აღარ მყავდა და ვერც მოვძებნე,  
სამიზნოდ სამოსგანძარცული მეზაგირენი გაეკრათ ვე-  
ლურ ინდიელებს ფერად ბოქებზე.

მხოლოდ მე ვიყავ უდარდელი ინგლისურ ბამბის და  
ფლამანდური ჭირნახულის

იმ მზიდავეებში და როცა მიწყდა ჟრიაშული, გავყევი ნა-  
პირს და მდინარებას მინდობილი ქვევით დავეშვი.

იმ ზამთარს ვიყავ ყრუ ყრმის ტვინზე, ვერ ამშვიდებდა  
ზღვას ვერაფერი და მოქცევის იდგა ხმაური;

ასე მივქროდი! იმ კუნძულებს და იმ კიდეებს არ მოს-  
წრებიან ჯერ იმგვარი დღესასწაული.

გამოვეთხოვე სიზმრებიან და მშვიდ ღამეებს, მათამა-  
შებდა საცობივით ზვირთის ალერსი,

ამ ბრუნვას ერქვა უსასრულოდ მსხვერპლის წამება,  
ათ ღამეს კრთოდა გულგრილობა ჭრაქის თვალეებში.

უტკბესი, როგორც ბავშვებისთვის ვაშლი მთაქალა, გვამ-  
ში ჩამიდგა მწვანე ზვირთი თითქოს სისხლივით,

ღვინის ნარწყევი გადარეცხა და ფრთა გაშალა, ლუზა  
მოგლიჯა, საჭეს ეცა და დამიმსხვრია.

მეც ჩამითრია ზღვის სიმღერამ, იქ ცის კამარა და  
ვარსკვლავებით მოჭედილი მარადისობა იმზირებოდა და  
ქცეული უძღებ სამარედ

ხანდახან ცხედარს, ჩაფიქრებულს, ზევით ესროდა.  
უცებ დაირღვა ლილისფერი ზღვის მაქმანები,

დღის ნელი რიტმი და კაშკაში, და ვით უღვინოდ  
დათრობა ანდა უსაზღვრობა ჩვენი ქნარების,

გამწარებული სიყვარულის ვიგრძენ დულილი! მე ვნახე  
ზეცის ჩამოქცევა, რომ იხედება ელვა, და ზვირთი რომ ღრი-  
ალებს,

ვნახე საღამო - აღტაცებული ფრთის მოქნევა ლურჯი  
მტრედების,

- რაც ადამიანს ესიზმრება დაუსაბამოდ! მე დავინახე,  
მზე იდუმალ ბურუსს არღვევდა,

ისიფერ ზოლად დაფენილი ენთო დასავლით, ანტიურ  
დრამის მსახიობთა მსგავსი ტალღები იგრანებოდნენ ზღვის  
კიდესთან შავ ფარდასავით!

მეზმანა, თოვლი მაბრმავებდა, ზღვა თვალს ახელდა და  
მიკოცნიდა ზურმუხტისფერ მწუხრში ბაგეებს,

ზღვის გაღვიძება დავინახე ჯერარნახული, ლურჯის და  
ყვითლის ფოსფორული აციაგება!

მე გავყევი მთვარეს, ასკდებოდა თითქოს ღობეებს  
საქონლის ჯოგი, ზღვა ბლავილით ისე მიტევედა,

ვინ იფიქრებდა, რომ შეძლებდა დღეს ღვთისმშობელი  
აღმუვლებული ოკეანის კვლავ დამშვიდებას!

გაუგონარი ფლორიდები ვერ იოკებდნენ ავაზას მხერას,  
მე ყვავილებს რომ შევადარე!

ზღვის ჰორიზონტზე, ჭაობისფერ ზვირთის ჯოგებზე  
გადაიჭიმა ცისარტყელა, როგორც სადავე!

მხოლოდ დულილი, უსაზღვრობა, მხოლოდ ჭაობთა და  
ლელაინში აყროლება დამპალ ვეშაპთა.

ბნელ ჯურღმულებში წყლის ჩაქცევის სანახაობა და  
ნიაღვრებში უცებ თვალწინ გადამეშალა!

ბრწყინვა მყინვართა, ზღვის სადაფთა, მარწყვისფერ  
ცათა!

იქ მეჩეჩებზე გახირული, ბალღამით სასვე და ბალღინ-  
ჯოთა გამოჭმული წყეული ყარდა, უზარმაზარი, ნაქცეული  
ხეების მსგავსი!

მე რომ შემეძლოს ვაჩვენებდი ახლავე ბავშვებს ზღვის  
იმ ბავჯალოს, იმ მომღერალ ოქროსფერ თევზებს,

ყვავილთა ქაფმა იავანანა უმღერა ზღვაში ჩემს გატაცე-  
ბას არნახული ქარების ფრთებზე.

ზღვამ მოქანცულმა განედებზე ბრძოლით, ბლავილით,  
ტკბილი ქვითინი გამაგონა,

რწევით დამალა, მესროდა ჩრდილის ამოურცულ  
ყვითელ ყვავილებს და მე ქალივით დაჩოქილი ვიდეგ ამგ-  
ვარად...

აბობოქრება, როგორც კუნძულს, მეხეთქებოდა, რეცხა-  
ვდა ზვირთი აჟივლებულ ჩიტების სკორეს.

ზღვის ბინადარი ეშვებოდნენ ფსკერზე ქვებივით. ჩემს  
ნაკვალევზე აქაფებდნენ ამღვრულ მორევს!

ვიყავ მძვინვარე ქარიშხლების ფრთებით ნაცემი და  
ყურეებში გახლართული, ჩემს ჩონჩხს ღრიალით მთვრალ  
ოკეანეს ვერასოდეს გამოსტაცებდნენ

ვერც ალბათ ჰანზის ხომალდები იალქნიანი. თავისუფა-  
ლი, ცას იისფერ ნისლში ვხედავდი და კედელივით მივარ-  
ღვევდი და მივდიოდი,

ცა მენამული მირონცხებულ მოლექსეთათვის ლაჟ-  
ვარდის დუჟით და მზის ხავსით იყო დიადი.

ცა დადგომოდა, მორკალული, შარავანდედად და  
გახელებულ ცხენთევზების მახლდა ამაღა, ასე მივქროდი და  
ივლისი კომბლით ანგრევედა ცხელ და ძაბრივით გადმოშო-  
ბილ ზეცის კამარას.

მე ვკანკალებდი, ორმოცდაათ მილზე ბლაოდნენ ბეჰე-  
მოტები, ცივ ზვირთებში რომ ინებირეს.

ქსოვდა მალსტრემი მარადიულ ლურჯ უძრობას და  
ჩემი ფიქრი კვლავ ევროპის მისწვდა ჯებირებს!

მე დავინახე ვარსკვლავების არქიპელაგი, ცის დარბაზე-  
ბი, ფრინველები სადაც სახლობდნენ!

მომავლის ძალას - ოქროს ჩიტებს ღამე ვერაგი ალბათ  
იქ მალავს, იქ იძინებს, მის სიახლოვეს!

დიდხანს ვტიროდი! შევეყურებდი დილას მრისხანეს და  
გულშემზარავს, მზეს მცხუნვარეს, მთვარეს საშინელს,

ვარ სიყვარულით უსასოო, დე, დამიმსხვრიოს ზღვამ ხე-  
რხემალი და ახლავე დამნთქას ზღვაშივე!

მე მსურს ევროპის მხოლოდ გუბე; იქ, იმ გუბეში, როცა  
მზე წითლად ჩამავალი ღებავს დასავლეთს,

გემს უშვებს ბიჭი, ნალვლიანი და უნუგემო, აფარ-  
ფატებულს გაზაფხულის პეპელასავით.

მე, თქვენთან ნარწევს და განბანილს, ახლა, ზვირთებო,  
როდესაც მზერა პონტონების ასე ახლოა,

არ შემეძლია გამოვუდგე ბამბის მტვირთავებს  
და არც დროშების ავიტანო ის ქედმაღლობა.

**გივი გვაგუქორი**

თარგმანი მოგვანოდა მსოფლიო პოეზიის ბიბლიოთეკის  
გვერდის მმართველმა პოეტ პოეტიშვილმა

ჯემალ მეხრიშვილი

**დანესტილი ასანთის ღერები**

„თანამედროვე მწერალთა დიდ ნაწილს არ აქვს წერის ელემენტარული კულტურა, მშობლიური ენის ბუნებრივი გრძნობა, რომ აღარაფერი ვთქვათ გრამატიკის სრულ უცოდინარობაზე. მათ ტექსტებს ნაკლებად ემჩნევა შრომის, გარჯის კვალი. ისევე, როგორც ყველა ამ ქვეყანაში, თანამედროვე მწერალიც „ხალტურაზეა“ გადასული და თავს ნაკლებად იწუხებს ორიგინალური ტექსტების ძიებით, ენის დახვეწით, ტექსტის მხატვრული სრულყოფით, რადგან მიეჩნევა, რომ მისი ნაწერი ამის გარეშეც იოლად სალდება და არავითარი დაბრკოლება არ ხვდება ჟურნალსა თუ გამომცემლობაში.

**ლევან ბებურიშვილი**

ჟურნალ „ახალი საუნჯის“ (რედაქტორი შოთა იათაშვილი) 2018 წლის მე-5 ნომერში წავეითებ ნინო სადლობელაშვილის შვიდგვერდიანი მოთხრობა „ფიჭვის კევი“.

მთავარი პერსონაჟი მამაკაცის, მუროს პირით სულწასული ავტორის თვითმიზნურ-უნმანურმა გინებას მწერალი ქალბატონისადმი უცებ ისეთი განსხვავებული, მანამდე განუცდელი ლიტერატურულ-კრიტიკული განცდა აღმიძრა, როგორც მწერალმა, იმავნამიერად თავი ვალდებული ვიგრძენ, ეს მკითხველი საზოგადოებისთვისაც გამეზიარებინა!.. მაგრამ ბუნებრივ შემართებას ჭინჭარივით მისუსხავდა მწარე გამოცდილება. კრიტიკული სტატიის დანერგა ადვილია, მაგრამ მერე მისი გამოქვეყნება ხდება ხოლმე ხათაბალა!..

2015-2019 წლებში დაწერილი შვიდი კრიტიკული წერილიდან რაკი „ლიტერატურულ საქართველოში“ ვერც ერთის დაბეჭდვა ვერ მოხერხდა, მეც კარდაკარ დავეჩვიე და თვითოეული მათგანის სადმე გამოქვეყნება ჯოჯოხეთის ახალ-ახალ ხვერელში გაძრომას ეთანაბრებოდა! მოდი და ამის შემდეგ... ერთი სიტყვით, „ფიჭვის კევი“ უმძრახივით დავშორდი და რაკი იმხანად ვრცელ ნოველას „კალიბრი“ თავგადადებით ვწერდი, სინდისის დასამშვიდებლად თან ლაჩრულ თავმოკატუნებას მივმართე - ორ ფრონტზე ერთდროულად ბრძოლა სად შემიძლია-მეთქი! მართალია, ის ნოველა დავასრულე და მისი ნაწყვეტი დაიბეჭდა კიდევ („ლს“, 2018, 24 ოქტომბერი), მაგრამ როგორც კი დავაპირებდი ხოლმე „ფიჭვის კევი“ ახლა მაინც შევზომდი, კრიტიკული წერილების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ყოველგვარი უმადურობაც მაშინვე თავს მახსენებდა და ისე მადრწუნებდა, როგორც პატარა ბავშვს შორცმომარჯვებული ექთანნი!!!

მეც მეტი რალა ჩარა დამრჩენოდა - მხდალივით დაყვარე ფარ-ხმალი და როგორც მაშინ მეგონა,



მასზე ფიქრს სამუდამოდ ჩამოვეთხოვე! მართალია, ვითომ თავისუფლად კი ამოვისუნთქე, მაგრამ ადგილზევე დასახვერეტი ლიტერატურული დეზერტირის უამური განცდა ზოგჯერ ძილ-ღვიძილში მაჯლაჯუნასავით მანვებოდა და მანამებდა, მაგრამ... მაგრამ მოკვდავთაგან ვინ გაჰქცევია თავის ბედისწერას, მე გავექცეოდი?!

ახლა აქ უყურეთ, რა მოხდა!

2019 წლის 15 ნოემბრის დილას ახალნაყიდი „ლიტერატურული საქართველო“ გადავფურცლე და თავიდან არც საკუთარ თვალებს ვუფერებდი, არც გონებას: იმავე „ფიჭვის კევი“ გაზეთის ორი გამწვანებული გვერდი ეჭირა!!! ეს უკვე მეტისმეტად მეჩვენა! ეტყობა, იმავე წამს ამიტომაც მიელვა - განგება თურმე ამისთვის მათმენინებდა და მამზადებდა!.. ისიც ვიგრძენ, ჩემში აქამდე თავშეფარებული ლიტერატურული დეზერტირი მოულოდნელად როგორ იქცა სამკვდრო-სასიცოცხლო შტურმისთვის თავგადადებულ ჯარისკაცად! კი მაგრამ, გამოქვეყნება?! მეტი რა გზა მექნებოდა - ძველებურად ისევ კარდაკარ ჩამოვივლიდი! თუ ვინმე გამიკითხავდა, ხომ კარგი, არადა, ჩემს არქივში ჩავაგდებდი! ახლა მთავარი იყო, საკუთარ სინდისთან პირნათელი ვყოფილიყავი!

მოთხრობას კარგად დავაკვირდი-ავტორად ისევ ნინო სადლობელაშვილი კი არ იყო მითითებული, არამედ ნინია სადლობელაშვილი! მაგრამ მარტო სახელის დარდინანდულად გადასხვაფერება არ გამკვირვებია, ვინაიდან თავისი მკითხველებისადმი ეს ავტორის მორიგ გაკეკლუცებად მივიჩნიე, როგორც აგერ, ეს მისი ძველი ფოტოსურათი, საზოგადოებას ვეებერთელა ცარიელი ჩიბუხით რომ ეპრანჭება! ჯერ ხომ ამან ჩამაგლო საგონებელში: ნეტა ავტორი რედაქციას თვითონ შეაპარებდა თავის უკვე გამოქვეყნებულ მოთხრობას თუ „ლიტერატურული საქართველო“ ავტორთან შეუთანხმებლად, საკუთარი სურვილით გადაბეჭდვდა-მეთქი?! კი მაგრამ, მწერალს, რედაქციასა და მკითხველებს ეს რალას აძლევს - აზირ ახ-

ალი მოთხრობა მიეტანა ან მიეტანინებინათ?! . ანდა, თვით „ლიტერატურულმა საქართველომ“ ისე როგორ შემოიფრთხო პროზაიკოსები, რომ იძულებულია, უკვე ერთობ სახელგატეხილი ჟურნალიდან მოთხრობების გადაბეჭდვაზე გადავიდეს?!

არ დავმალავ, თან მსუბუქი გულისტკენაც დამე-  
ნონა: 2019 წლის 17 სექტემბერს გვერდნახვერიანი (!) ნერილი „ე“ თუ „ო?“ მივიტანე, სადაც მოკრძალებულ მოსაზრებას გამოვთქვამ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ სიტყვასთან დაკავშირებით, მაგრამ „ლიტერატურული საქართველოს“ ექვსი (!) ნომერი ისე გამოვიდა, მკითხველებამდე არა და არ მიმიშვეს!!! იმედგადაწურულმა ეს ნერილი 11 ნოემბერს ახლა „საქართველოს რესპუბლიკაში“ (მთ. რედაქტორი სპარტაკ ქობულაია) წავიღე და 13 ნოემბრის ნომერშივე გამომიქვეყნეს! ხოლო გაზეთს, „ლიტერატურული მესხეთი“ (რედაქტორი ავთანდილ ბერიძე) თვეში ერთხელ (!) რომ გამოდის, რაკი ეს რუსთაველს ეხებოდა, სასწრაფოდ გადაებეჭდა დეკემბრის ნომერში... „ლიტერატურულმა საქართველომ“ კი...

არავის ეგონოს, ამ კრიტიკულ ნერილს შურისძიება მანერინებდეს! პირიქით, ეს გარემოება უფრო მანონასწორებს და მავალდებულებს, უკიდურესად სამართლიანი ვიყო როგორც „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციის, ისე ჩემთვის პიროვნულად სრულიად უცნობი ავტორისადმი! . .

„ფიჭვის კევის“ საგაზეთო მოცულობაც მესხვაფერ-მეცოტავა! ამიტომ ის მაშინდელი „ახალი საუნჯე“ გადმოვიღე და შენიშვნებით გაჭრელებული მოთხრობა საგაზეთო ვარიანტს შევუდარე. ეტყობა, ღვთის ჩანაფიქრით ამ შედარებას საქრესტომათიო სახე უნდა მიეღო - საგაზეთო ვარიანტი 202 (!) სტრიქონით ანუ ჟურნალის მთელი ერთი ფურცლით (!) აღმოჩნდა შემცირებული!

რა ვქნა, სინდისი ნებას არ მაძლევს, დამწყებ პროზაიკოსებს მამაშვილურად არ ვურჩიო: „ფიჭვის კევის“ საჟურნალო და საგაზეთო ქსეროასლები გადააღებინონ და ოსტატობის გამოსამუშავებლად შედარებისთვის შეინახონ! 202 (!!!) სტრიქონით შემცირება საგაზეთო ვარიანტის მხატვრულობას სრულებით ვერაფერს აკლებს და პირიქით: ეს 202 (!!!) სტრიქონი საჟურნალო ვარიანტსაც არაფერს მატებს - მხოლოდ უაზროდ ამძიმებს და გრაფომანული ტლაპოს ფსკერისკენ ლეშივით მიათრევს! და ეს მაშინ, როცა რიგიანი მოთხრობა რამდენიმე სტრიქონითაც რომ შემამცირონ, შეიძლება მონოლითური არქიტექტონიკა საბედისწეროდ დაუზიანდეს, ადგილ-ადგილ სათხრობის ეპიზოდები ერთმანეთს ბუნებრივად ველ-არ გადაებას ან სულაც ჩამოინგრეს!

საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, „ფიჭვის კევის“ მსგავსი საშიშროება თვით 202 (!!!) სტრიქონის შემცირებითაც კი ვერ დავმუქრა! იქ არაფერი არ ინგრევა და

არც შეიძლება ჩამოინგრეს, ვინაიდან უთავბოლო ტექსტი თხელ ტლაპოსავით თავშესაწყენად თავისთვის მიტბორავს! ამიტომ იქიდან დიდრონი თავლია კასრითაც რომ ამოხაპონ, ტლაპოს მორევის თვითშევესება თვალსა და ხელს შუა თავისით მოხდება და დანაკლისს არ დაიტყობს, ვინაიდან ნაწარმოების აგებისა და თხრობის ტექნიკა მონაფურ-პრიმიტიულია, ამასთან სულ არ იგრძნობა თემის გამოკვეთა და მასალის მხატვრულად დამორჩილება!

სწორედ ამ მიზეზით მთლიანი მოთხრობა ვერ ახერხებს მკითხველის თუგინდ ზედაპირულ გათვითცნობიერებას - საიდან რა გამომდინარეობს, რომელი ამბავი რას, როგორ ანდა რისთვის უკავშირდება!!!

\* \* \*

პირუთვნელად თუ ვიტყვი, „ფიჭვის კევი“ აღმოჩნდა არა თუგინდ სუსტი მოთხრობა, არამედ ძალდატანებით ნარმონადგენი მოთხრობის შესაქმნელად ჯაბახანა სატვირთო ვაგონით მიტანილი და აქა-იქ უნესრიგოდ დახვავებული მდარე მხატვრული მადანი! ავტორს არ ესმის ანდა არ შეუძლია: ამ მადანს გულმოდგინე დაქუცმაცება-დახარისხება, მწერლურ ქურაში გადადნობა, მერე კი სასურველი ჟანრის მოსახდენ ყალიბში ოსტატურად ჩამოსხმა სჭირდება!!!

მწერალი ასევე ვერ ახდენს გულშესაწარმებლად სქემატურ პერსონაჟთა ტიპიზაციას. ამიტომ ისინი აქა-იქ უნესრიგოდ მიმოყრილი პლასტიკატის მანეკენების შთაბეჭდილებას ტოვებენ, რადგან უნაღვლეა ავტორი უშუალოდ მათ კი არ ალაპარაკებს, არამედ მათ შორის დაულალავად დააბოტებს და ყველას მაგიერ ვარაუდით მხოლოდ თვითონ ლაპარაკობს!!!

ერთი სიტყვით, მთლიანი ტექსტი ასეთ შთაბეჭდილებას ქმნის: ქ-ნი ნინო (ნინია) სადღობელაშვილი შემოქმედებითად თავს კი არ იტანჯავს, რათა იქნებ რამედ ღირებული მოთხრობა გამოუვიდეს, არამედ გვერდების ალაღბელური რაოდენობა ჰაიჰარად შეავსოს! მერე კი... ჰმ, ლიტერატურულ ჯუნგლებში ისეთი წრე და კავშირები გააჩნია, მერე არ გაუჭირდება სადმე ან რამდენგანმეც (!) მისი დაბეჭდვა! ჰოდა, მწერლობაც ეს არი, სხვა კი არაფერი!!! თუგინდ მიმდინარე ლიტერატურულ პროცესს გადაჰკარით თვალი! თითოეულ სიტყვასა თუ სურათს დღეს თავს ვილა აკლავს - ყველა ერთნაირად არ მიიჩქარის და მისთბავს! თქვე დალოცვილებო, მამ, რალა მაინცდამაინც ნინია სადღობელაშვილისგან ითხოვთ ცოცხალ პერსონაჟებს... დახვენილ სტილს... დამაჯერებელ დილოგებს... გამართულ ქართ...

\* \* \*

სხენებაზე! ავტორი შიგადაშიგ ისეთ ენობრივ შეცდომებს გამოურევს ხოლმე, სახტად რჩები - რანაირად შეიძლება ეს არა სცოდნოდა ანდა არ შეე-

ჭვებულის მანც და ორთოგრაფიული ლექსიკონის ფურცლები მფარველი ანგელოზის ფრთებივით არ აეშრიალებინაო! იგი წერს: თვალს მოკრავს, სასაფლაოს გადმოყურებს, მუჯღუგუნს გაკრავს, თვალბში შეყურებ, და ბოლოს, ჩემს გვერდით, ვანა-ტუალეტი, შენს წინაშე, ჰოლისკენ მიყავს, ერთი ორჯერ, მთელის ჩემის თავით, შვილებზე ყვებოდნენ და ა. შ.

უნდა იყოს: თვალს მოჰკრავს, სასაფლაოს გადმოჰყურებს, მუჯღუგუნს გაჰკრავს, თვალბში შეჰყურებ, დაბოლოს (უმჯობესია დასასრულ), ჩემ გვერდით, აბა-ზანა-საპირფარეშო, შენ წინაშე, ჰოლისკენ მიჰყავს, ერთი-ორჯერ, მთელი ჩემი თავით, შვილებზე ჰყვებოდნენ და ა. შ.

ბოლოს და ბოლოს, მწერალმა ნორმატიული გრამატიკა მანც ხომ უნდა იცოდეს?! .

ავტორს მეტი დაფიქრება მართებს ყოფითი წვრილმანების გადმოცემისას. „ეს ჭერი არა აგურისა და (უნდა იყოს ან. ჯ. მ.) ალიზისა“.

ვინმეს უნახავს, აქამდე გაეგონა ან წარმოუდგენია მანც - აგურის ან ალიზის და მით უმეტეს „აგურისა და ალიზის“ ჭერი?!

ნ. სადღობელაშვილი ხეირიანად ვერ არის განდობილი ქართული ზმნის უმარტივეს შესაძლებლობებსაც კი. იტალიაში საშოვარზე გადავარდნილი ქართველი ქალი, დალი იქიდან სკაიპით აი, რას ეკითხება თბილისში მყოფ თავის ქმარს, მუროს. „- მანდ როგორი ამინდები გაქვთ?“

პირდაპირ გასაოცარია! ამინდი, ვთქვათ, კომპიუტერი... ყავის საფქვაკი... მიქსერი... ჩაქუჩი... თუშფალანგი თუ მისთ. რამე ხომ არ არის, ვინმეს ჰქონდეს?! მწერლის პრეტენზიის მქონემ ამ უმარტივეს გარემოში თავის პერსონაჟს ნუთუ გამართულად ვერ უნდა ათქმევინოს: მანდ როგორი ამინდებია?... მანდ როგორი ამინდები დგას?... მანდეთ როგორი ამინდები უჭირავსო? .

ეს დალი სახლის პატრონს, იტალიელ ქალბატონს გვაცნობს.

„ოთხმოცდასამისა გახდა ტერეზა წინა კვირაში“.

აკრობატიკული სინტაქსით აგებული ეს წინადადება ხომ რუსულის ყბადაღებული კალკია! უნდა იყოს. „წინაკვირას ტერეზა ოთხმოცდასამისა გახდა“.

შვილმონატრებულ დალის ბუნებრივად აჰკვირებია ფრაზა „დედა მოუკვდეს!“ ჰოდა, ავტორი აგერ, ახლა რას ათქმევინებს. „რომ იცოდეს ტერეზამ (უნდა იყოს „ტერეზამ რომ იცოდეს“. ჯ. მ.), ხანდახან მურიკოსთან (დალის ქმარი. ჯ. მ.) ლაპარაკშიც ეს „დედა მოუკვდეს!“ რომ (რალა საჭირო იყო აქ ეს მეორე „რომ?!“ ჯ. მ.) წარმომცდება ხოლმე, ალბათ, მანიაკად მაღიარებდა“. კი მაგრამ, რა შუაშია აქ მანიაკი და მით უმეტეს, „მაღიარებდა?!“ ან რა არის აქ საღიარებელი?! . ამ უმარტივეს გარემოში მწერალმა დალი ნუთუ გამართულად ვერ უნდა აალაპარაკოს: მანიაკი

ვეგონებოდი, მანიაკად ჩამთვლიდა, მანიაკად მიმიჩნევდა და ა. შ.

დროდადრო დალი ამ იტალიელ ქალბატონს თავის სამშობლოზე თურმე ჭრელ-ჭრელ ამბებს უამბობს. ჰოდა, საქართველოს ედემურობით შურადრული ქ-ნ ტერეზას ავტორი აგერ, რას ათქმევინებს.

„თქვენ რომ წყალი, ხილი და ბოსტნეული გაქვთ (უნდა იყოს, გქონიათ. ჯ. მ.), მათუსალას ასაკამდე უნდა ცხოვრობდეთო“.

არადა, ამ შემთხვევაში საკითხი ეხება არა ზოგადად ცხოვრებას, არამედ ბიბლიური პატრიარქის, მათუსალას სიცოცხლის ხანგრძლივობას! ახლა თავად მკითხველებმა განსაჯონ: ამ უმარტივეს ვითარებაში ავტორი იმასაც კი რომ ვერ ხვდება, აქ რომელი სიტყვა იყო სახმარი - სიცოცხლე თუ ცხოვრება - აბა, რომელ მხატვრულობაზელა შეიძლება ლაპარაკი?! მოკლედ, თვალახელა თანდათან ხდება - მწერალმა საყველპურო ქართულიც არ იცის!

მეორე, ვითომ ინტელექტუალური ქალბატონი დიანა, აი, რას გვეუბნება.

„უცებ საოცარი აზრი მომივიდა თავში“.

აქ კი სევდიანად გაგელიმებათ, ვინაიდან შეუძლებელია არ გაგელიმოთ: რალა საჭირო იყო ეს სრულიად ზედმეტი ბოლო სიტყვაც „თავში“, როცა ყველაფერი ისედაც გასაგები იქნებოდა?! ნეტავი ერთი მაცოდინა, რას ფიქრობს თავად ქ-ნი ნინო სადღობელაშვილი: ეს ბოლო სიტყვაც „თავში“ დილეტანტურად რომ არ ჩაეჩხირა, ნუთუ ჰგონია, საგონებელში ჩაცვენილი თავისი მკითხველები მობილური ტელეფონებით დღედაღამ ნაღველს გაუსიებდნენ, რათა დაზუსტებით შეეტყვოთ - დიანას ეს „საოცარი აზრი“, მანც სად მოუვიდოდაო - თავში... ნიკაპში, რომელიმე თითში, იდაყვში, მუხლისთავში, ილლიაში, ქუსლში... კისერში, ცხვირში თუ... თუმც აქ ჩამოთვლის შეწყვეტა აჯობებს!

იგივე დიანა აი, ახლა რას გვაუწყებს.

„მურო ნათელ ფაზაში გავიცანი“.

ვის შეუძლია განმარტოს - რას ნიშნავს ეს „ნათელ ფაზაში“ გაცნობა?! . ეს რანაირი ქართულია ან რა მხატვრულობა?!

\* \* \*

მწერალი ასევე ვერ ახერ... ვერ ახერხებს კი არა, ვერცა ხვდება, დიალოგისას პერსონაჟთა ნათქვამი ერთმანეთს დროში უნდა ეხამებოდეს!

აი, ამის ორი სამარცხვინო მაგალითი.

ბედის ანაბარად მიგდებული თექვსმეტიოდე წლის ვაჟიმვილის მამათმავლობაში დაეჭვებული მამა რისხვამორევით უყვირის.

„-იცოდე, ჯერ შენ მოგკლავ და მერე მე მოვიკლავ თავს!“

ახლა ჭაბუკის პასუხი მოისმინეთ.

„-რისთვის მკლავ?“

ვააჰჰ!.. რა წყალს მიეცეს ორ-ორი რედაქციისგან განამებული უდანაშაულო მკითხველი! ავტორს აქ ისე გამოჰყავს, თითქოს განრისხებული მამა სამსხვერპლო ზვარაკით წამოქცეულ პირმშოს ახლავე, ამნუთას კლავდეს - წამებდათვლილ მოზარდს ყელზე ფხაბასრი ბებუთი ჰქონდეს მიბჯენილი!!! დავთრებდაფანტული მამა ვაჟიშვილს მხოლოდ აფრთხილებს, სამომავლოდ ემუქრება, თავისი ეჭვი თუ დაიდასტურა!!! ამიტომ, ცხადია, ყმანვილის გაკვირვებაც შესაბამისი დროით უნდა გამოხატულიყო!

„--რისთვის (რატომ) უნდა მომკლა, (მამა)?“

მეორე მაგალითი. ამავე დიალოგის დასაწყისში ეჭვალეული მურო შვილს ქუშად ეკითხება.

„-- სულ აგირიეს ტვინი, ხო? -- ვინ? -- მე რა ვიცი, შენ გეკითხები. ხან ვინ მეტყვის შენზე რალაცას გადაკრულად, ხან ვინ!“

ეს უკვე ყოველგვარ საზღვარს სცილდება! ავტორს სულ არ გააჩნია მშობლიური ენის ფაქიზი განცდა: „ხან ვინ მეტყვის“ კი არა, აქ უნდა დაეწერა - „ხან ვინ მეუბნება“! „მეტყვის“ სულ სხვა დროსა და თხრობით ნიუანსს გამოხატავს, „მეუბნება“ - სულ სხვას!

ერთი სიტყვით, მსგავსი ლაფსუსებით სავსე ტექსტი ავტორთან პაექრობის ყოველგვარ სურვილს გისპობს და უარეს საგონებელში გამწყვდევს: დღეს რედაქციებში ნუთუ აღარ ხდება გამოსაქვეყნებლად ხელდებული მასალების გრამატიკული... ენობრივ-აზრობრივი, სტილისტური, ორთოგრაფიული თუ პუნქტუაციური რედაქტირება?! არადა, ამგვარ დასარეკლიანებულ ტექსტს რა პირით სთავაზობენ მკითხველებს?!

\* \* \*

მომოტივეთ, მომთმენო მკითხველო, რადგან რაც აქამდე ვიუბნ-ვილაყბე, სიტყვას მოსდევდა, მე კი სინდისი არ მიშვრებოდა, ენის სინმინდისათვის გვერდი გულგრილად ამევლო, თორემ ამ წერილის მთავარი მიზანი თავიდანვე სულ სხვა იყო! მაშ, გადავიდეთ იმ მთავარზე!

თანამედროვე ქართულ მწერლობაში ერთი წყება ავტორების მიერ განურჩეველი ბილწსიტყვაობა და უხამსი ლანძღვა-გინება ლამის წარმატების უცილობელ საწინდარად და „დიდ მწერლობაში“ ტაშ-ფერხულით შესვლის „საიდუმლო“ პაროლად იქცა! ეს აღსამფოთებელი მოვლენა მთელი სისასტიკითა დასაგმობი, მაგრამ ამავე დროს, რას იზამ, თავისთავად გასაგებიც არის: პოპულარობას პათოლოგიურად მოწყურებული ავტორი თავადვე გრძნობს რა თავისი მკვდრადშობილი ქმნილების პიტალო უიმედობას, წყალწაღებულივით ხავსს ჩაეჭიდება ხოლმე - უწმანური ლანძღვა-გინების მოშველიებით ტექსტს იქნებ მიეცეს მაცდური „მხატვრობის“ ელფერი და მკითხველთა რომელიმე ფენაზე მაინც მოახდინოს ერთგვარი შთაბეჭდილება!

ჩემი დაკვირვებით, ნინო სადღობელაშვილის შემთხვევაში სულ სხვანაირ მოვლენასთან გვაქვს საქმე. აქ ავტორი თავის პერსონაჟ მამაკაცს ამდენს იმიტომ კი არ აგინებინებს, რომ მიამიტი დებიუტანტივით სწამდეს - ეს წყალწაღა ტექსტს რაიმე მხატვრობას შემატებს ანდა ვინმეს გააოცებს, არამედ პირადი სიამოვნებისთვის ხელსაყრელ შემთხვევას „არასამსახურებრივი“ დანიშნულებისათვის იყენებს, რათა ასაკოვანი მანდილოსნის დაგვალული სმენა მკითხველის თანდასწრებით საოცნებო ფრაზებით გაიღბოს!!!

მხატვრული ლიტერატურიდან ერთი ნუთით დღევანდელი გაძალღებული ცხოვრების ორომტრიალში გადავინაცვლოთ. შეუძლებელია, ზოგიერთი მკითხველი მაინც არ შესწრებოდეს ასეთ სცენას. მოულოდნელად რალაცაზე გაკაპასებით წაკიდებული, ერთმანეთისთვის სრულიად უცნობი ორი ქალიდან ერთ-ერთი მათგანი უცებ ისეთ... მამაკაცურ გინებას ამოშაქრავს ხოლმე, შემთხვევითი მსმენელები თავშეკავებულ სიცილსა თუ ღიმილს ვერ იკავებენ, ვინაიდან მსგავსი დანაქადნის სისრულეში მოყვანას ის, როგორც ქალი, ვერ შეძლებს! ცხადია, ეს თავადაც კარგად ესმით, მაგრამ რალაც მიზეზით - რაც ფსიქოლოგიურ ლექსიკონში შესაბამისი ტერმინით იქნება განმარტებული! - ალბათ, თავისებურ სიამოვნებას ანიჭებთ საკუთარი პერსონის მამაკაცად წარმოდგენა და საზოგადოებაში მამაკაცური გინებით თავმონონება!

თუმც რალა შორს მივდივარ! „ლიტერატურული საქართველოს“ იმჟამინდელმა ორმა ხელმძღვანელმა მანდილოსანმა 2019 წლის 28 ივნისის ნომერში დიდი ამბით ხელახლა (?) დაბეჭდა ადრე ამავე გაზეთში ასეთი სათაურით გამოქვეყნებული წერილი.

„ამ დედამოკლულ მეოცნებეებს სამართლიანობის აღდგენისკენ ჯერ არც გაუხედავთ!“

ჩემი სიმტყუნისთვის ახლა დავდოთ ქუდი და გავაჩინოთ სამართალი: ჯერ თუგინდ მხატვრულ ნაწარმოებში, ხოლო პოლემიკისას, სადაც კონკრეტული პიროვნებები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეები ან რომელიმე სფეროს წარმომადგენელთა მთელი ფენაა დასახელებული, შეურაცხყოფის, ზიზლის, გალიზიანებისა და ურთიერთგაუცხოების მეტს რას იძლევა ჯერ სულ თავდაპირველად, ვინ მოთვლის, რამდენჯერ და მით უმეტეს, დღეს, კიდევ ერთხელ, თანაც ასაკოვანი მანდილოსნების თაოსნობით მეოცნებეთა და არსებითად, მთელი საქართველოს სახელმწიფო ჩინოვნიკების ამგვარი უწმანური მინიშნებით დედის შეგინების განმეორება?! აბა, გულზე ხელდადებით წარმოვიდგინოთ - ამდენ შეგინებულთაგან, ვინ იცის, ღვიძლი დედა ვის როდის, რისგან ან რა ვითარებაში გარდაეცვალა! ჰოდა... არ ვიცი... აზრი მინყდება... საჭირო სიტყვები აღარ მომდის...

ანდა, საერთოდ, მწერლებზე რა შთაბეჭდილება

ჩამოუყალიბდება მთელ საზოგადოებას, ახალთაობას, მეტადრე კი მეოცნებეთა ცოცხალ დედებს - იგივე ჩვენს თანამოძმე ქალბატონებს: ჩვენ რა დანაშაული მიგვიძღვის, წარამარა ასე უხამსად რატომ გვაგინებენო?!

ვინ შეძლებს ამაზე ჭკვაგარკვევით პასუხის გაცემას?! უხერხულობაში რომ არავინ ჩავგადო, სახელდებით არ ჩამოვთვლი იმ ნაცნობ მწერლებს, მორიდებული გულისტკივილით რომ განმდობიან: სოფელსა და რაიონში სირცხვილით ველარ გაგვივლია, რადგან ადგილობრივი ხელმძღვანელები სულ ამას შემოგვჩივიან - რა არის მართლა და მართლა, „ლიტერატურული საქართველო“ ასე განუკითხავად რატო გვაგინებს დედასო?!

ღმერთო, სახელოვან ქართველ მოღვაწეთა მწვავე პოლემიკური წერილების რაინდული კილო და მისაბაძი ლექსიკა ნუთუ უკვე ისე დაგვიშორიშორდა, სასწრაფო კვეთილი ლანძღვა-გინების მეტი აღარაფერი დაგვრჩენია?!

კარგი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნუთუ ამდენ დედაშეგინებულთა დიდსულოვან დუმილსა და მოთმინებას მაინც არ უნდა გასწეოდა ანგარიში?! . .

მოკლედ, უკიდურესად შეურაცხყოფილი და აღშფოთებული ჩვენი საზოგადოების აზრის გათვალისწინებით, დროა, მწერალთა უპირველესი გაზეთის ფურცლებზე ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოელოს ამ „დედამოკლულების...“ „ტანჯვა - თან ჯ... ას...“ „მამაძალი!“ „მავანს არ უდგება!..“ „ვისი მთხლე ვის კასრშია!“ და მსგავსი ქუჩური „მარგალიტების“ თავანყვეტილ თარეშს!

აქ უმთავრესი და გადამწყვეტი კი მაინც აი, რა არის: აუცილებლობისას საზოგადოება კულისებში ნუნუნითა და გაუბედავი ჩივილით კი ნუ იფარგლება, არამედ ეთიკის დუნე, თანაც ჟანგმოდებული ლაგამი სწორუპოვრად მოჭიმოს ხოლმე!..

ისევ მთავარ სათქმელს მივუტრიალდეთ!

\* \* \*

„ფიჭვის კევის“ მთავარი პერსონაჟი მამაკაცი, მურო მართლა თავისი შეხედულებისამებრ კი არა, არამედ ასაკოვანი მანდილოსნის ნება-სურვილით იგინება!

აჰა, თქვენც მოუსმინეთ! ეს მურო ყოველგვარი მხატვრული აუცილებლობისა და დამაჯერებლობის გარეშე თავის „ინტელექტუალურ“ საყვარელს, დიანას ლოგინში, თანაც სექსის დროს (!) ასე მიმართავს.

„- შენი კუდიანი დედა მო... ან მე!“

მუროს არც თავისი გზაკვალარეული შვილის ერიდება.

„- შენი დედა რო მო... ან მე!“ იქვე ღვიძლ შვილსა და იტალიაში გადახვეწილ დედამის ასე „ამკობს“. „- თქვენი დედები რო მო... ან მე!“ ეს სქემატური მურო,

თუთიყუშვიტით მხოლოდ ავტორის ფრაზებს რომ იმეორებს, არც საკუთარ თავს ზოგავს. „- ჩემი გაჩენის დღე რო მო... ან!“

მოდით და, ამგვარი „მხატვრულობისთვის“ ნინია სადღობელაშვილს ნობელის თუ ვერა, ერთად ალბულ ყველა ქართულ ლიტერეშიაზე ნუ წარადგენთ!.. აბურდულ-დაბურდული სინტაქსისთვის აღარ მცხელა! აღარც იმის გარჩევას გამოვუდგები, ერთ ადამიანს მაინც რამდენი მშობელი „დედები“ შეიძლება ჰყავდეს!.. თუმც ჩემი მხრიდან უსამართლობა იქნებოდა, ამ ტექსტის ერთგვარი „გაუმჯობესება“ არ აღმენიშნა! „ახალ საუნჯეში“ მუროს ოთხივეჯერ შეგინება თუ სრული დასახელებით შემოგვთავაზეს, არ ვიცი, თვითონ ავტორისა თუ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციის მიერ სამგან, სადაც უშუალოდ დედის გინებაა, მრავალწერტილით შეურბილებიათ! ერთგან კი, რაკი ეს მურო ვისიმე დედას კი არა, მხოლოდ თავისი გაჩენის დღეს აგინებს, ხელუხლებლად დაუტოვებიათ!!!

თუმც ძნელი მისახვედრია - ასე შეგნებულად მოიქცნენ თუ აქ კონტურული ხაზი გამოეპარათ! მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა აღარც აქვს... ერთი სიტყვით, ამდენმა თვითმიზნურმა უნმანურობამ შეხნიერებული ავტორისადმი მოულოდნელად თანაგრძნობითა და სიბრაღულით ამავსო, ვინაიდან ჩემს წარმოდგენაში უცებ დაემსგავსა მივარდნილი, დაცარიელებული სოფლის მარტოხელა დედაბერს, ზამთრის ყიამეთისაგან გულ-მუცელი სულ რომ გასთოშვია და ერთი სული აქვს, მონარჩუნებული რაღაც წვნიანი ძილის წინ ღუმელზე გაიცხელოს და შიგნეული ცოტათი მაინც შეითბოს! ოღონდ ასანთის უკანასკნელ კოლოფში ოთხად ოთხი ღერილა დარჩენია!

ჰოდა, თითებდაკრუნჩხული ეს დედაბერიც პირველ ღერს მთელი სიფრთხილით გაჰკრავს, მაგრამ ილბალი არ გინდა!

-- ჩხიკ!.. შ... შ... შშშ! - და ასანთის ღერი აუალებლად გაიშიშინებს.

ზუსტად იგივე ემართება დანესტილი ასანთის მეორე, მესამე და მეოთხე ღერსაც!

- ჩხიკ!.. შ... შ... შშშ!.. ჩხიკ!.. შ... შ... შშშ!..

მოკლედ, მშიერი დედაბერი ღუმელს ვერ აინთებს და გაყინული წვნიანის ამარა დარჩება!..

ორგუნება ავტორი მანდილოსნისგან ნაქეზებული ამ მუროს ოთხივეჯერ შეგინებაც რაკი მხატვრული აუცილებლობით არ არის ნაკარნახევი, ამიტომ არც მხატვრული შედეგი მოსდევს, არც ქუჩური ეფექტი ან უცენზურო ჟღერადობა!.. ეროტიკულ-სექსუალური ალტკინების გამონვევაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!..

უფრო უარესი - თვით მკაცრი მსაჯულიც კი ვერ აღუშფოთებია, ვინაიდან მუროს თითოეული თვითმიზნურ-თუთიყუშისებრი შეგინება ჩემი ფანტაზიით წარმოდგენილი იმმარტომყოფისა ცოდავი დედაბრის დანესტილი ასანთის ღერების უალო გაშიშინებას ემსგავსება.

## აფხაზური პოეზია

იუვა კოლონია

### სვანი მირზაყანი

ეს ამბავი მოხდა ჩვენში წინათ  
 გასულია უკვე დიდი ხანი,  
 ვაქებ იმ კაცს, მთებს შემორჩა ვინაც,  
 ვისაც ერქვა სვანი მირზაყანი.  
 მე იმ გმირის გმირობას ვით გიხსნით,  
 მიგდეთ ყური, აღარ მოიწყინოთ,  
 კავკასიელ კაცის ცხელი სისხლი,  
 ძველი არის ვით ქართული ღვინო.  
 არ ყოფილა ის აფხაზი, არა,  
 იყო ბეჭებგანიერი სვანი,  
 იშვიათად ჩავიდოდა ბარად,  
 დასჭექდა და ბანს აძლევდნენ მთანი.  
 გირგვალ ჩაჩბა ცნობილია ჩვენში,  
 დიდებული კაცი არის მეტად,  
 მირზაყანის მსგავსად ისიც მხრებს შლის  
 და თავის ხალხს უდგას მტკიცე სვეტად.  
 შეხვდნენ ერთურთს, გულმა გული იცნო  
 და გაუხსნენ ერთურთს გულის კარი,  
 სვანს თავის და გაატანოს ვინძლო,  
 ენდჯი-ხანუმ ცის ნათელის დარი.  
 დამოყვრება გადანყვიტეს უცებ,  
 გადანყვიტეს აფხაზმა და სვანმა,  
 კაცთ რომ ულხინთ, ქვასაც გული უცემს,  
 იცის ესეც უნდობარმა ხანმა.  
 ფერი ფერს და მადლი მალალ ღმერთსო,  
 დაებდათ ნყვილებს რჩეულთ ბედი,  
 ღვთის სახიერთ სათნოება ეცხოთ,  
 უყვარდათ და არც რა სურდათ მეტი.  
 მათზე უფრო საიმედოს, ერთგულს,  
 ვერ ნახავდით, დადიოდა ვინც კი,  
 სულის სულში უხტებოდნენ ერთურთს,  
 იყვნენ მართლაც ერთმანეთის ღირსი.  
 არ ჩაგრაავდა მირზაყანი ჩაგრულს,  
 თავზარს სცემდა მოძალადეს, მჩაგვრელს,  
 ყურს უგდებდა ზეცის ქნარზე დაკრულს  
 და ლენავდა ბორკილებს და საკვრელთ.  
 ჩასხდნენ ორნი ერთ საერთო ნავში,  
 ერთ მეორეს არცერთი არ დათმობს,  
 კაცი მტკიცე, პიტალო კლდის მსგავსი,  
 ქალი-ალვა, კენარი და სათნო.

პატივს სცემდნენ მირზაყანს, ვით მთიელს,  
 თვალები აქვს სვანს კაცს საცრისხელა  
 პატივს სცემდნენ როგორც კავკასიელს,  
 როგორც სვანსაც პატივს სცემდა ყველა.  
 წარბს რომ სწევდა, მოჰგავდა ზღვის ლელვას,  
 კაცი ზორბა, არნახული ძალის,  
 ციბრუტივით მსრბოლი ჰგავდა ელვას,  
 ელვას ჰგავდა მისი ბასრი ხმალიც.  
 იყო, როცა ნაბდის ჩოხის ძველას,  
 ანაცვლებდნენ ჭრელი ფარჩის სამოსს,  
 ჩვენი ხალხი ითვისებდა ძნელად,  
 უცხო ქვეყნის წესებსა და კანონს.  
 რაც სულს ტკივა, ტკივა დალილ ხორცსაც,  
 გადაეცით უცნობსა და ნაცნობს,  
 გუბერნატორ გაგარინმა როცა  
 კავკასიას თვის ბრძანება ამცნო.  
 ყოველი გზა სამსჯავროსთან მიდის,  
 რომ ხართ, ჩვენი წყალობაა ისიც,  
 თავადები, ყველა კუთხის მკვიდრნი  
 ჩამოვიდნენ ქალაქ ქუთაისში.  
 გვემსახურეთ, გიჯობთ თავდადებით,  
 გაივლიდეთ დღეში ორ დღის სავალს,  
 შეჩოჩოლებული თავადები  
 ჰგვანან ტარიგთ სამსხვერპლოსკენ მავალთ  
 ბზარი ჩნდება დიდკაცების ხმაში,  
 ზოგიერთი უკანაც კი იხევს,  
 იურჩებენ? გაუხდებათ მაშინ,  
 სანატრელი კატორლა და ციხე.  
 მოლოდინი მათი უკვე გაცვდა,  
 მათ ოცნებას შეეკვეცა ფრთები  
 ქუთაისში მეგობრების ნაცვლად,  
 დახვდნენ მათი მოძულე და მტრები  
 საავდროა ღრუბელი და თალხი,  
 ბოროტება არავის არ არგებს,  
 მოტყუებით ჩაყვანილი ხალხი,  
 შეიპყრეს და თოფის ხიმტზე აგეს.  
 ვინც აქედან გასაქცევ გზას ეძებს,  
 გაიგონეთ, დაისჯება ორწილ,  
 შეიპყრობენ თავადებს და ხელზე,  
 დაადებენ ხუნდებსა და ბორკილს.  
 ქუთაისში დადის მირზაყანიც,  
 იმისთვისაც ავბედითი დღეა,  
 ვერ იქნება გულდღეაღი სვანი,  
 ის ხომ მტრისთვის მიუვალი კლდეა.  
 მოდის, თითქოს ფეხს იდგამენ მთანი,

მოდის აქ ხმა რაშის გულისცემის,  
 ამაყია ცხენით ცხენოსანი  
 და პატრონით ამაყია ცხენი.  
 მოჰგავს თავად გაგარინის შტაბი,  
 მოჰგავს წითელ ჭინჭველების ბუდეს  
 აქ მრავალი გულღრძოა და ზადი,  
 გულის ნაცვლად აქ მკერდში ქვა უდევთ.  
 აქ არავინ არის მომფერები,  
 აქ არავინ დადის შთაგონებით,  
 ზოგს ამშვენებს მკერდზე ორდენები,  
 ზოგს ამშვენებს მხრებზე პაგონები.  
 თუ განგაშის ზარმა უცებ დაჰკრა,  
 თქვენ, მუნდირით კვლავ რომ იმოსებით,  
 ვისშიც სული და ვაჟკაცი ჩაკვდა  
 ცარიელი დარჩით ჩინოსნები.  
 მოახსენეს გაგარინს, რომ უკვე,  
 მირზაყანი შტაბისაკენ მოდის,  
 ფეხქვეშ თელავს ქუთაისის შუკებს,  
 აქ მოაღწევს, აღარ ვიცით, როდის.  
 ჩაიცინა ჩუმად გენერალმა,  
 მე ვიპოვნი მის დაჭერის საბაბს,  
 არც კი იცის გულსადაგმა სვანმა  
 როგორ უგებ საიმედოდ ხაფანგს.  
 კაცია და უნდა გახდეს ლანდი,  
 რა სურს მაინც, ნეტავ რალას ითხოვს,  
 ისე ყინჩად და ამაყად დადის,  
 რომ ქორწილში ყოფილიყო თითქოს.  
 რაც მიქნია, ისევ იმას ვიზამ,  
 ავამღერებ, ჩამოვდივარ ნაძლევს,  
 მოემზადეთ და იყავით ფხიზლად,  
 საგანგებო დავალებას გაძლევთ.  
 გირგვალ ჩაჩბა მდგმურად იყო ქალაქს,  
 ქუთაისში ჰქონდა მყუდრო ბინა,  
 ახლობლობას სვანთან ის არ მალავს  
 დაუხვდება ის მირზაყანს წინა.  
 ღვთის წყალობა გქონდეს, სვან კაცს ეტყვის,  
 სადაც მიხვალ, იყავ მეტად ფრთხილად,  
 მოლოდინი გქონდეს მთიელს სეტყვის  
 არ დაგიჯდეს სითამამე ძვირად.  
 განსაცდელი, რაც შენ ახლა გელის  
 გევალება, შეაფასო სალად,  
 კი დაჰქროდი შენ სვანეთის მთებში,  
 ქარაფებზე დაფრინავდი ლალად.  
 აქ კი, ერთი რას განვდები ასსა  
 იქ ცხოვრებას ეწეოდი ლხენით,



წყალობდი და პატრონობდი სხვასაც  
 და პატრონიც თავად იყავ შენი.  
 მალი ხარ, ვით ცეცხლი, მისი ალი,  
 მაგრამ ასე ითხოვს რაკი საქმე,  
 თუ მოგთხოვს, ჩააბარე ხმალი,  
 არ გაჯიქდე და მორჩილად დათმე.  
 გეტყვი, შტაბში კაცი ვით ვერ მივალ,  
 თუ მივლია ყინვასა და ქარში,  
 თუ ღირსება ავიყარე, გირგვალ  
 მე სიცოცხლე რალად მინდა მაშინ.  
 ნისლი ქალაქს თავზე ედგა, ჰბანდა  
 ჰბანდა ქალაქს ისიც მხოლოდ დილით,  
 არ აშინებ მთიდან მოსულ სვან კაცს,  
 არ აშინებს ავის მოლოდინი.  
 კვლავ მიუგო ჩაჩბას მისმა სიძემ,  
 რაც გითხარი, არ გაუვა წყალი,  
 მკერდში გული ტყუილა როდი მიცემს,  
 ძველებურად ჭრის კვლავ ჩემი ხმალი.  
 ფანტავს ქარი ბინდს, ვით ფუტკრის ნაყარს,  
 მივალ, თორემ შევიშლები მთლადო,  
 თუ სურთ ჩემთის იარაღის აყრა,  
 მოვიდნენ და ვით ამყრიან, სცადონ!

(დასასრული შემდეგ ნომერში)  
 თარგმანი ერეკლე სალღიანის

თეიმურაზ ნადარეიშვილი

სულის ფოტოგრაფია

ამ ჩანახატებში გადმოცემულია ის პირველადი შთაბეჭდილებები, რომლებითაც ჩვენ „ვიმუხტებით“ გარე სამყაროსთან „შეჯახებისას“! უმეტესწილად ამ პროცესში წარმოშობილ ფიქრებს მონესრიგებულობა, „დავარცხნა“ აკლიათ, მაგრამ იმით არიან საინტერესო, რომ ადამიანის უშუალო, შეურყვენელ ემოციებს გადმოსცემენ. ამიტომ გადავწყვიტე ამ ფიქრებმა (ჩემმა „სულის ფოტოგრაფიებმა“) დღის სინათლე იხილონ.

თუ არ იცი რა გინდა, როგორ მიხვდები, მიაღწიე თუ არა იმას რაც გინდოდა!

\* \* \*

ზოგჯერ შემოქმედი უბრალო მდაბიოზე დაბალ დონეზეც კი ეშვება, მაგრამ მდაბიო ვერასოდეს ამაღლდება შემოქმედის დონემდე!

\* \* \*

დიდი ტკივილს მატარებელ ადამიანს უკეთ შეუძლია დაამშვიდოს სხვა ადამიანი, რადგანაც მან კარგად იცის ტკივილის „შინაგანი ანატომია“!

დაპარგული ფიქრები

მახსოვს, ტელევიზიით ვნახე თეოდორ დოსტოევსკის ცნობილი ნოველის „სოფელი სტეპანჩიკოვო და მისი მაცხოვრებლები“-ის ეკრანიზაცია. ძალიან მომეწონა ფილმი. მთავარი გმირის — ფომა ფომიჩის როლს შთამბეჭდავად განასახიერებდა ცნობილი რუსი მსახიობი ალექსანდრე გრიბოვი.

ნოველაში გამოცემულია ადამიანის გარეგნულად კარგად შენიღბული მისწრაფება გარკვეული გავლენა მოახდინოს სხვა ადამიანებზე, ყოველთვის ყურადღების ცენტრში, ლიდერის პოზიციაში იყოს! ამ „პროგრამას“ შესანიშნავად ახორციელებს ფომა ფომიჩი თავისი ერთი შეხედვით მიაღწი, „უსუსური“, ზოგჯერ „შესაბრალისი“ ქცევითაც კი! ზოგჯერ ფომა საკუთარი არყოფნითაც კი, ძლიერ ზეგავლენას ახდენს ადამიანებზე (როგორც დოსტოევსკი წერს: „Он блистал своим отсутствием!“ - შესანიშნავი ფრაზა!) და როგორც შედეგი იგი მართლაც ლიდერის როლს იკავებს. ასეთი ადამიანები გარკვეული საფრთხის მომტან ადამიანთა კატეგორიას განეკუთვნებიან. ამიტომ საჭიროა მათი დროულად გამოაშკარევა.“

ფილმის დამთავრების შემდეგ უამრავი ემოციით, შთაბეჭდილებით „დასუნძლული“ გამოვედი სახლიდან. მე ვიმყოფებოდი ლევ ტოლსტოის მდგომარეობაში — იგი წერდა: „Читаю Гёте и роятся мысли в голове!“ მეც უამრავი აზრი მერეოდა თავში, თითქოს მათ შევზიბრი ჰქონდათ გამართული ჩემს ტვინში, თუ რომელ მათგანს გავიფიქრებდი პირველად! ქუჩაში სინყნარე იყო, კარგი ამინდი იდგა, რამაც კიდევ უფრო ინტენსიური გახადა, გაამდიდრა ფილმით პროვოცირებული ფიქრების „გუნდი“!

ასე ნელ-ნელა მიუყვებოდი ქუჩას და თან ახალ — ახალ



„აღმოჩენებს“ ვაკეთებდი, მაგრამ ჩემდა „საუბედუროდ“ მალე დიდი ხნის უნახავი ნათესავი შემხვდა, რომელმაც მისდაუნებურად შეწყვიტა ჩემი „აღმოჩენების“ წარმატებული „სერიალი“! ბუნებრივია ჩვენ ერთმანეთი მოვიკითხეთ და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ვისაუბრეთ დოსტოევსკის გმირებისაგან განსხვავებულ პოლიტიკურ, ყოფით თუ სხვა პრობლემებზე (ჩვენს სინამდვილეში პრობლემებს რა გამოლევს!) - მოკლედ თუ ვიტყვით, მე ღრუბლებიდან ქვემოთ დავეშვი! ასე რომ, ის უამრავი აზრი, რაც ნათესავთან შეხვედრამდე მქონდა, თითქმის უკვლოდ გაქრა! ახლაც კი ვნანობ, ნეტავ იმ დღეს სახლიდან საერთოდ არ გამოვსულიყავი და ეს ჩემი უშუალო, „შეურყენელი“, პირველადი ემოციები, ფიქრები ჩანანერებში „დამეტყვევებინა“!

\* \* \*

განუმეორებელი ფასდაუდებელია, რადგანაც არ მეორდება და ამიტომ ვერ შეადარებ, იმას, რასაც „ფასი“ გააჩნია!

\* \* \*

სახიფათოა საკუთარი შეცდომების ხშირი დავინყება, რადგანაც თანდათანობით უსირცხვილო ხდები!

\* \* \*

ნდობა მონყვეტილი ყვავილივითაა - მონყვეტ და ველარ გააცოცხლებ, რამდენიც არ უნდა ეცადო!

\* \* \*

„Поживём-увидим“-ამ უბრალო რუსულ ხალხურ გამოთქვაში ძალიან დიდი სიბრძნეა გამოხატული! კერძოდ, ცხოვრება (Поживём) გაცილებით უფრო მეტს გვაძლევს, ვიდრე ჩვენი თეორიული კონსტრუქციები მომავლის შესახებ (ცხოვრება ჩვენზე „ჭკვიანია“!). ამიტომ დროში თავად ცხოვრება გვიჩვენებს თუ რა უნდა ვაკეთოთ ანუ ჩვენი თეორიული კონსტრუქციებიდან, რომელი აღმოჩნდება სიცოცხლის უნარიანი!

\* \* \*

სწავლების ერთ-ერთი დანიშნულება ისიც არის, რომ ასწავლოს ადამიანს არ გაიმეოროს სხვა ადამიანების მიერ წარსულში დაშვებული შეცდომები!

\* \* \*

ის საზოგადოება დალუპვისთვისაა განწირული, რომელ-

საც სამართლიანობა აღარ სჭირდება, რადგანაც საზოგადო-  
ბაშიც (როგორც ბუნების ნაწილი!), იგივე კანონები მოქ-  
მედებს, რაც თავად ბუნებაში და სწორედ სამართლიანობა  
გამოხატავს ამ კანონების არსს! თუ ჩვენ აღარ გვჭირდება  
სამართლიანობა, მაშინ კანონებიც ზედმეტია ჩვენთვის ანუ  
ქაოსში გვინდა ცხოვრება და სწორედ ეს გამოიწვევს საზო-  
გადოების დაღუპვას! ასე, რომ „არ უნდა გადმოვფონოთ  
სიმშვიდის დროშა“ სამართლიანობისათვის ბრძოლაში!!!

\* \* \*

სწორედ არდავინყება, მოგონებაა ადამიანის ნამდვილი  
გამარჯვება - ეს ის მაქსიმუმი, რაც ერთმა ადამიანმა შეი-  
ძლება გაუკეთოს მისთვის ძვირფას სხვა ადამიანს!

**ფეოლა**

ყველას გვახსოვს და გვიყვარს ქართული მოკლემეტრა-  
ჟიანი ფილმი “ფეოლა”, შეუდარებელი იპოლიტე ხვიჩიათი  
მთავარ როლში. მიუხედავად იმისა, რომ “ფეოლა” აღიქმე-  
ბა როგორც გასართობი, სახალისო ფილმი (რამაც მთავარი  
“დამნაშავე”, რა თქმა უნდა, ბატონი იპოლიტეა!), მე მაინც  
ვფიქრობ, რომ სინამდვილეში “ფეოლა” ძალზედ ღრმააზრო-  
ვანი ფილმია! მართლაც გავიხსენოთ, რომ მთავარი გმირი  
ბონდო დოლაბერიძე “იძულების წესით” დანიშნული ბავშვთა  
საფეხბურთო მწვრთნელია. ეს იძულება თავს იჩენს პირვე-  
ლივე მატჩში - როდესაც ბონდო შეიტყობს, რომ ტურნირი  
ოლიმპიური წესით ტარდება (ნაგებული ტოვებს ასპარეზო-  
ბას!), იგი აღფრთოვანებით წამოიძახებს: „ნააგე?! — ნადი,  
დაისვენე!” მაგრამ ბავშვთა თავდადებული თამაშის გამო  
(ბონდოს განსაკუთრებით „ლალატობს” სვედელიძე, რო-  
მელსაც უამრავი ბურთი გააქვს და საკუთარი შვილიც კი  
— შესანიშნავი მეკარე!), მას შეუყვარდება საკუთარი საქმი-  
ანობა და ფილმის ფინალში მისი აღსაზრდელები პარიზში  
მიემგზავრებიან საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის  
მისაღებად. მე მგონი, ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც  
ცხოვრება თავად “კარნახობს” ადამიანს თუ რა უნდა აკე-  
თოს მან, როცა ადამიანი კი არ ირჩევს პროფესიას, არამედ  
პროფესია ირჩევს ადამიანს!

\* \* \*

ხალხში ყოფნისას ადამიანს უნდა ახსოვდეს ის, რაზეც  
განმარტოებისას ფიქრობდა და განმარტოებისას იფიქროს  
იმაზე, რაც ხალხში ყოფნის დროს გაიგო!

\* \* \*

რაზეც ფიქრობ, იმაზე უნდა ილაპარაკო და ისე იცხოვ-  
რო, როგორც ლაპარაკობ!

\* \* \*

ცუდის სწავლას არ სჭირდება მასწავლებელი!

\* \* \*

კეთილშობილ ადამიანს ხშირად მხოლოდ იმის გამო  
დასცინიან, რომ თავად მას არ აქვს სურვილი სხვას დასცი-  
ნოს! (სწორედ ამ დიდსულოვნებას ვერ პატიობენ მას უკე-  
თური ადამიანები და ცდილობენ ამ სამარცხვინო ქმედებით  
საკუთარ დონემდე „დაანარცხონ“ ეს კეთილშობილება!)

\* \* \*

რილკე, თავის ჩანაწერებში, ერთგან შენიშნავს: “ვერ ვი-  
ტან უზუსტობას პოეზიაში!” შესაძლოა ნაწილობრივ დავე-  
ეთანხმოდ ამ შენიშვნას (თუ ლაპარაკია, მაგალითად, პოეტუ-  
რი ტექნიკის უზუსტობებზე), მაგრამ პოეზიის ხიბლი (მისი

საფუძველიც კი!) სწორედ გარკვეული სახეობის “უზუსტო-  
ების” დაშვებაში მდგომარეობს. ჩემი აზრით აქ მთავარია  
ადამიანის პროტესტი იმის გამო, რომ მისი შესაძლებლობები  
სამყაროში საკმაოდ შეზღუდულია. როგორც ლევ ტოლსტოი  
“ომი და მშვიდობაში” მისთვის დამახასიათებელი მრავალ-  
სიტყვაობით აღნიშნავს, ისეთი უბრალო ქმედებაც კი, რო-  
გორც ხელის ზევით აწევა, ჩვენგან გარკვეულ ძალდატანე-  
ბას მოითხოვს და ეს შეგვახსენებს ჩვენს “მოცემულობას”,  
შეზღუდულობას! პოეზიაში კი, ადამიანი დროებით გამოდის  
(სიტყვით მაინც!) ამ “მოცემულობიდან!” მართლაც აი რა  
შეუძლია მაგალითად, პოეტ ტარიელ ხარხელაურს საკუთარ  
ლექსებში (აი რა სახის “უზუსტობებია” მიმოფანტული მის  
პოეზიაში):

„ცას ავგლეჯ მზეს და  
მყინვარწვერს ვესვრი  
და მზის მტვრად ქცევა  
მთებს ღიმილს მოჰგვრით!”  
ან კიდევ  
“მზე ცერზე მიზის  
როგორც მიმინო!”  
და კიდევ  
„როცა ვმალდები, ცას მხრებით ვზარავ,  
შუბლით ვეხები სამყაროს სარტყელს”

პირდაპირი გაგებით პოეტის ეს სიტყვები ნონსენსია (ეს  
რომ ადამიანს მართლაც შეეძლოს, მაშინ საქმე გვექნებო-  
და უდიდეს მეცნიერულ მიღწევასთან და არა დიდ პოეზი-  
ასთან!), მაგრამ სწორედ ამ სიტყვების წარმოთქმის შემდგომ  
ბ-ნი ტარიელი „შურს იძიებს” სამყაროზე, აღარ არის “მი-  
ჯაჭვული” მასზე! მაგრამ პოეტი მხოლოდ ამით არ კმაყო-  
ფილდება. მას სურს, რომ სხვა სულიერი არსებები, უსულო  
საგნები, ბუნების მოვლენებიც კი ადამიანურ ვნებებს “ემორ-  
ჩილებოდნენ!” ამის დასტურად კიდევ ერთხელ მოვუხსენიოთ  
ბ-ნი ტარიელს:

„ცის ჩამოშლილი კალთები  
მთვარემ ბეჭებზე მოისხა  
მკერდზე აინთო სანთელი  
საწურთოს საღამოისა”

\* \* \*

ხშირად სხვებს მხოლოდ იმიტომ ვაქებთ, რომ შემდეგ  
მათ ჩვენ გვაქონ! (მართლაც ქმედება უდრის უკუქმედებას!)

\* \* \*

ძალიან მიყვარს ჩემი ჯუჯა ჯიშის პუდელი „პეპი“, მა-  
გრამ მისი ერთი ცუდი თვისება ხშირად მაღიზიანებს. კერ-  
ძოდ, როდესაც საჭმელს ვაძლევ (განსაკუთრებით ძვალს!),  
მაშინ პეპი დასაწყისში მეთამაშება, მაგრამ შემდეგ ყვე-  
ლაფერს „ივინყებს“ და ღრენას მიწყებს, თითქოს ჩემი მიცე-  
მული არ ყოფილიყოს ეს საკვები! თუმცა რა გასაკვირია,  
როდესაც მსგავს უმადურობას და აგრესიასაც კი ბევრი  
ადამიანი გამოხატავს ხოლმე შენსავე მათთვის გაკეთებულ  
სიკეთეზე!

\* \* \*

სწავლას ის ფუნქციაც გააჩნია, რომ დაგანახოს საკუ-  
თარი არასრულყოფილება!

\* \* \*

ვისაც არ უყვარს მარტოობა, თავისუფლებაც არ უყ-  
ვარს, რადგანაც მარტოობისას ყველაზე მეტად ხარ თავი-  
სუფალი!

\* \* \*

ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი  
ეცადნენ და ვერ გამხადეს ფლიდი...  
ნუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე,  
თურმე ესეც გმირობაა დიდი!

**იოსებ ნონეშვილი**

მართლაც არ არის იოლი ცხოვრების სირთულისა და მრავალფეროვნების გამო, ყოველთვის სწორ გზაზე იარო, ცდუნებას არ აჰყვე, არ უღალატო მეგობარს და ა. შ. ანუ ზოგჯერ ელემენტარული ზნეობრივი წესების დაცვა გმირობის ტოლფასი ხდება და ამ გმირობას ყველას ვერ მოსთხოვ! მაგრამ სინამდვილეში ეს ფსევდოგმირობაა, რადგანაც ჭეშმარიტი გმირობა გაცილებით უფრო მაღალი „ჯუჯის“ ზნეობრივი საქციელია, ვიდრე სავალდებულო, რიგითი პატიოსნება და გულწრფელობა!

P. S. ამგვარმა ფსევდოგმირობამ შესაძლოა ადამიანს დათვური სამსახური გაუწიოს ანუ მან შეიძლება დაკარგოს რეალობის გრძნობა, რაც მას ადრე თუ გვიან ძვირად შეიძლება დაუფუძღეს - ცხოვრება თავად შეახსენებს ამგვარი ილუზიებით „გაბრუებულ“ ადამიანს თუ რა არის ჭეშმარიტი გმირობა!

\* \* \*

პოეზიის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ის თითქმის ყველაფერს „იტევს“- სიმარტოვის გრძნობიდან დაწყებული, სამყაროს შემეცნებისაკენ მიმართული „აბეზარი“ კითხვებით დამთავრებული!

**ნოსტალგია**

სევდა ტანჯვაა, იმით გამონევეული, რომ  
სურვილის საგანს ვერ ხედავ!  
**ბენედიქტ სპინოზა**

სამშობლოს სიყვარულთან ორგანულადაა დაკავშირებული, ხშირად კი სულიერ ტკივილამდე მიყვანილი, სამშობლოს მონატრების - ნოსტალგიის განცდა. სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო - სწორედ ის გენატრება, რაც გიყვარს! დიას იმ შორეულ მხარეში თითქოს ყველაფერია, სისხლსავსე ცხოვრება, სიმშვიდე, მატერიალური კეთილდღეობა (რაც გაკლდა შენს ქვეყანაში და რამაც გიბიძგა „ნებაყოფლობითი მამლუქი“ გამხდარიყავი!), მაგრამ ეს ყველაფერი, უდაბნოში მოხვედრილი ადამიანის მსგავსად, შენთვის მხოლოდ მირაჟია, რადგანაც სხვა ხალხს ეკუთვნის!

P. S. ქართველისათვის კი განსაკუთრებით მწვავეა ნოსტალგიის გრძნობა. მართლაც, ჩვენ, ხომ უცხო მიწაზე უცხოოდ, „უხერხულად“ ვგრძნობთ თავს და ჩვენთვის სულ ერთი არ არის (სხვებისაგან განსხვავებით!), თუ სად მოვიწყობთ სამოთხეს!

\* \* \*

მარტოობის შეცნობა „იძულებითი“, „ცუდი“ ცოდნაა! ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც რაიმეს ცოდნას არასასურველ შედეგებამდე მიყვავართ!

\* \* \*

„ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადა სწორედ!“  
**დათა თუთაშხია**

სამწუნაროდ, ქართველებს, ჩვენი საუკეთესო თვისებები, სტუმართმოყვარეობა და ტოლერანტობა (რითაც ჩვენ ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან ვიყავით გამორჩეულნი), უკან „უკულმართად“ გვიბრუნდება ხოლმე - „სტუმრებს“- მოსწონთ ჩვენს დალოცვილ მიწაზე ყოფნა და ტერიტორიებს გვედავებინ! დიას, ჩვენ დაუნდობლად ვისჯებით, იმის გამო, რომ „ვერ ვისწავლეთ ჭკუა“ - ვერ „მოვიშალეთ“ სხვა ერებისადმი სიყვარული და ესეც შეიძლება იყოს ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ჩვენი ბედუკულმართი ისტორიისა!

\* \* \*

ადამიანი საკუთარ მეობას მხოლოდ საზოგადოებაში ყოფნით, სინამდვილესთან „თვალის გასწორებით“ ადგენს და განიმტკიცებს, რადგანაც ყველაზე დიდი ბრძენი თავად ცხოვრებაა თავისი უსასრულო წახნაგებითა და მოულოდნელობებით. როგორც თ. დოსტოვესკი შენიშნავდა „არაფერი ისეთი ფანტასტიური არ არის, როგორც რეალობა! „ და ამიტომ ნებაყოფლობით განდევნობაში მყოფი, ვირტუალურ სამყაროში „გადაკარგული“ ადამიანი, აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს რეალურ ცხოვრებას, რათა მისი ფანტასტიურობა შეიგრძნოს და ნამდვილ, „გამთლიანებულ“ პიროვნებად იგრძნოს თავი!

\* \* \*

ვინც წინ მიინევს ცოდნაში და ჩამორჩება ზნეობაში,  
უფრო მეტად უკან მიდის, ვიდრე წინ!  
**არისტოტელე**

რამოდენიმეჯერ მქონდა „ბედნიერება“ ე. წ. პირწმინდა ინტელექტუალებთან ურთიერთობისა და დავრწმუნდი იმაში, რომ უმჯობესია ამ ინტრიგებში რაფინირებულ და განვრთვნილ ადამიანებთან კავშირი, რაც შეიძლება მალე უნდა შეწყვიტო, მაგრამ სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ისინი იგივე ერუდირებულობას ამოფარებულები, ოსტატურად ნიღბავენ საკუთარ ნამდვილ სახეს!

\* \* \*

დროს მხოლოდ ნამდვილად ძლიერი პიროვნება უძლებს, რომლის სიძლიერის „საიდუმლო“ იმაში მდგომარეობს, რომ მან იცის თუ რა უნდა ანუ მას მომავალი მოქმედებების საკუთარი გეგმა გააჩნია, რაც მისი დამოუკიდებელი ბუნების უტყუარი ნიშანია! სანახევროდ ძლიერს კი ასეთი გეგმა თითქმის არ გააჩნია და ამიტომ მას ბურბუმელასავით მხოლოდ დროებითი „აალებები“ შეუძლია და ამიტომ დროს ვერ უძლებს. კარგად შენიშნავს ამის შესახებ რ. თავორი: „არაღრმა გონება მუდმივად წინ გამოხტება ხოლმე, მაგრამ ნამდვილად წინ მოძრაობა არ შეუძლია!“

\* \* \*

როდესაც ადამიანი, ამა თუ იმ მიზეზის გამო, სხვა ადამიანებთან დაპირისპირებას გადაწყვეტს, მან ჯერ საკუთარ თავს გულწრფელად უნდა დაუსვას შემდეგი კითხვები: აქვს კი მას განაწყენების ნამდვილი მიზეზი, გრძნობს ის თავს რაღაცით მაინც დამცირებულად და ა. შ. აქ არ შეიძლება თავი მოატყუო, სალად უნდა გაანალიზო რა არ მოგწონს მომავალ მეტოქეში, უნდა სამართლიანად შეაფასო მისი შენდამი დამოკიდებულება, გაიხსენო თუ რატომ დაუახლოვდი ამ ადამიანს, რა გაკავშირებდა მასთან გარკვეული პერიოდი, რა იყო კარგი თქვენი ურთიერთობისას, შენ თა-

ვად სამართლიანი იყავი მის მიმართ?! ამ ანალიზის შემდგომ კი უნდა გეყოს გამბედაობა აღიარო სიმართლე და თუ ეს საჭიროა შენს პირვანდელ „ახირებაზე“ ხელი უნდა აიღო, რაც არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს სისუსტეს, პირიქით ეს სიძლიერის გამოხატულებაა, რადგანაც საკუთარი თავი არ მოატყუე, როდესაც დაინახე, რომ შენ სიმართლე არ „გიმაგრებს ზურგს“!

\* \* \*

სანახევრო გადანყვეტილება არასოდეს არ ვარგა და ამიტომ სწორი, „მთელი“ გადანყვეტილების მისაღებად, გულიც და გონებაც უნდა მონანილობდეს, ოღონდ ემოციური, მყისიერი გადანყვეტილების მიღებისას გული „ჯვონის პროცენტულად“ გონებას, ხოლო ანალიტიკური, უფრო გრძელვადიანი გადანყვეტილებებს „უტოლობის ნიშანი“ იცვლება!

\* \* \*

ზოგჯერ ადამიანს სიმარტოვის შეგრძნება იმდენად უმძაფრდება, რომ მას ურჩევნია თავი დააღწიოს სიმარტოვის „მარწუნებს“ და სევდას (ამ არანაკლები ტანჯვის მომტან გრძნობას!) დაუმეგობრდეს!

\* \* \*

დასვენება და ძალების მოკრეფა აუცილებელია ნებისმიერი ადამიანისა და მითუმეტეს შემოქმედისათვის, მაგრამ „ზედმეტმა“ დასვენებაც „დაღლა“ იცის!

\* \* \*

კურიოზები რომ არ იყოს, ცხოვრება ალბათ ჯოჯოხეთად იქცეოდა! მართლაც არ შეიძლება ყველაფრის სერიოზულად აღქმა, თორემ შეიძლება ადამიანმა ვერც კი გაუძლოს „სერიოზულობის შემოტევას“ და ამიტომ თავად ბუნება „გვასვენებს“ ხოლმე კურიოზებით!

\* \* \*

ყოველთვის მომწონდა თ. დოსტოევსკის შემდეგი მონოდება: „ან ყველაფერი ან არაფერი! „მართლაც ნებისმიერ საქმეში დამლუპველია სანახევროდ საქმის გაკეთება. თუ რამეს მოკიდებ ხელს (თუ სწორად შეაფასე შენი შესაძლებლობები!), მაშინ საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანო ან თავიდანვე არ მოკიდო ხელი! ეს პრინციპი განსაკუთრებით კარგად შევიგრძენი მას შემდეგ, რაც ლექციების წაკითხვა დაიწყე. კერძოდ, ფიზიკაში ან კარგად იცი (გესმის!) საგანი ან საერთოდ არ იცი! ასე, რომ „ნახევრობა“ უპერსპექტივო პრინციპია!

\* \* \*

ზოგჯერ უცნობმა ადამიანმა შენში ისეთი თვისება შეიძლება აღმოაჩინოს, რომელსაც კარგად ნაცნობი ვერ ამჩნევდა! ამის მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ ადამიანი უცნობთან ისეთ თვისებებს ავლენს, რაც მას შინაურებთან არ „სჭირდებოდა“!

\* \* \*

ვინც ნაკლებად ფიქრობს და აზროვნებს, ცხოვრება მისთვის შედარებით მარტივი „ხილია“!

მე ვიცი ის, რომ არაფერი არ ვიცი და ზოგმა ესეც კი არ იცის!  
**წარწერა სოკრატეს საფლავზე**

ძალიან ვაფასებ გაკვირვების უნარს, რადგანაც ადამიანი უტყდება საკუთარ თავს იმაში, რომ მან მანამდე „რაღაც“ არ

იცოდა და ეს „რაღაც“ მისთვის ახალია!

\* \* \*

ისე არ უნდა იცხოვრო, რომ ვინმემ მარტოობა გაგრძნობინოს!

\* \* \*

ცხოვრებაში ბევრი რამ არის დამოკიდებული შემთხვევაზე, მაგრამ ის რაც შემთხვევაზეა დამოკიდებული, მანაც არ არის მთავარი, რადგანაც შემთხვევითი ვერასოდეს „ამაღლებს“ აუცილებლის დონემდე!

\* \* \*

თუ შიშის გრძნობა არ გაქვს, ადვილია იყო სამართლიანი, რადგანაც თავს არ „იმძიმებ“ იმის ცოდნით (არ გეშინია!), თუ რა შეიძლება მოჰყვეს სამართლიანობას შენთვის!

\* \* \*

ფეხბურთის „გადამკვდარ“ გულშემატკივრებს ზუსტად ახსოვთ ბორის პაიჭაძემ თუ მიხეილ მესხმა საკუთარი განუმეორებელი ფინტებით რომელი მცველები მოატყუეს, თუ როგორი „აულებელი“ ბურთი აიღო ბენქსმა პელეს თავური დარტყმის შემდეგ და კარის რომელ კუთხეში მოხდა ეს და ასე დაუსრულებლად შეიძლება გაგრძელდეს ამ „შეუცდომელი“ დეტალების ჩამონათვალი! რას ნიშნავს ეს?! რა მოვლენასთან გვაქვს საქმე?! ეს ალბათ, მანაც გულშემატკივრის (არშემდგარი ფეხბურთელის) არარეალიზებული მოწოდების სპონტანური გამოხატულებაა!

\* \* \*

სოფლის მკვიდრს ქალაქელთან შედარებით ის უპირატესობა მანაც აქვს, რომ მას არ აწუნებს სივრცის უკმარისობა!

\* \* \*

შეუძლებელია ადამიანს ჰქონდეს ყველაფერი, რას მას უყვარს, მაგრამ ის მაინც უნდა უყვარდეს, რაც აქვს!

\* \* \*

ახლის შესაქმნელად ნიჭი და სწავლაა აუცილებელი, გრევეს კი სწავლა არ სჭირდება!

\* \* \*

ცხოვრებისეულ ორომტრიალში აუცილებელია „მოპარო“ მას განმარტოების დღეები, რომ საკუთარ თავთან მარტო დარჩენილმა „გადახარშო“ ის, რაც ორომტრიალში მოგივიდა. ამასთანავე უნდა იფიქრო მომავალზეც, რათა შენი ამოცანით დაბრუნდე უკან და ამიტომაც ნაკლებად დაემორჩილო ცხოვრებისულ დინებას!

\* \* \*

ადვილია იყო ღარიბი, რთულია იყო მდიდარი და მართლაც საშუალო სირთულისაა საშუალო ფენას მიეკუთვნებოდე!

\* \* \*

ცნობილმა რუსმა ებრაელმა ოლიგარქმა რომან აბრამოვიჩმა 2019 წელს გერმანიის ერთ-ერთ ცნობილ კაზინოში 240 ათასი ევრო გადაიხადა და გააუქმა ის ვალი, რომელიც თეოდორ დოსტოევსკის ამ კაზინოსათვის ემართა (ჩამოხსნეს ამ ფაქტის აღმნიშვნელი თითქმის 150 წლის წარწერა). მე მგონი, დიდი რუსი მწერლისადმი სიყვარულის და პატრიოტიზმის კარგი მატერიალური გამოხატვაა მილიარდერის მხრიდან!

\* \* \*

რაც უფრო დიდ ქალაქში ცხოვრობ, მით უფრო მეტად მარტოდ გრძნობ თავს, რადგანაც შენთვის არავის „სცხელა“!

\* \* \*

საცოდავია ბოროტი ადამიანი, რადგანაც მას არ შეუძლია ამაღლდეს კეთილის დონემდე!

\* \* \*

საკუთარ თავზე დაბალი წარმოდგენა ადამიანს მორიდებულს ხდის, სხვაზე იგივე წარმოდგენა კი მას თავხედად აქცევს!

\* \* \*

ყველაზე დიდი სიმართლე ხუმრობაში „გამოჟონავს“ ხოლმე!

\* \* \*

ლელი ანნა: „მხეცმაც კი იცის შებრალება უმძვინვარესმა!“  
რიჩარდი III: „მე კი არ ვიცი შებრალება და ამიტომაც მხეციც კი არ ვარ!“

**უილიამ შექსპირი. რიჩარდი III.  
(თარგმანი თემურ ნადარეიშვილის)**

გამხეცებისას ადამიანი მხეცზე უარესია, რადგანაც ადამიანური ჭკუა (როგორც ფილოსოფოსები ამბობენ: „მეტერიის ორგანიზების უმაღლესი ფორმა!“) მაინც თავის „საქმეს აკეთებს“!

\* \* \*

იქ სადაც ყველა უდანაშაულოა, ყველა დამნაშავეა!

\* \* \*

არ უნდა შეანუხო ადამიანი იმის შესხენებით, რომ მას სიკეთეს უკეთებ!

\* \* \*

სჯობს ადამიანმა გაუძლოს ბოროტებას, ვიდრე თავად ჩაიდინოს ბოროტება!

\* \* \*

სიმდიდრე მანამ არის კარგი სანამ შენ გემსახურება და სახიფათო ხდება, როცა მისი „ტყვე“ ხდება!

\* \* \*

სახელმწიფოს შეუძლია ხელყოს ადამიანის სიცოცხლე, მაგრამ ვერ წაართმევს სიკვდილის უფლებას!

\* \* \*

ლარიბი ის კი არ არის ვისაც ცოტა აქვს, არამედ ის ვისაც რაც აქვს, ის ეცოტავება!

\* \* \*

ვინც არაფერს აკეთებს, სხვას ასწავლის ჭკუას, რადგანაც შინაგანად მასაც უნდა რალაც აკეთოს!

\* \* \*

შესაძლოა ადამიანს უამრავი კარგი თვისება ჰქონდეს, მაგრამ მაინც ვერ ავიდეს „ცხოვრებისეულ კიბეზე“ მაღლა, მაგრამ შეუძლებელია ზემოთ ასულს რალაც კარგი თვისება მაინც არ გააჩნდეს!

\* \* \*

ყველაზე დიდი ნაკლოვანებაა ვერ შეამჩნიო საკუთარი ნაკლოვანებანი!

\* \* \*

რაც უფრო ნაკლებს ლაპარაკობს ადამიანი საკუთარ ღირსებებზე, მით უფრო მეტ სიმპატიას იმსახურებს იგი!

\* \* \*

ზოგჯერ განმარტოება ისევე აუცილებელია, როგორც საქმლისგან თავის შეკავება, მაგრამ თუ განმარტოება დიდხანს გრძელდება, მაშინ ის შესაძლოა ისეთივე დამლუპველი აღმოჩნდეს, როგორც შიმშილი!

\* \* \*

სუსტი ძალაუნებურად კეთილია, რადგანაც მას არაფრის გაკეთება შეუძლია, მათ შორის ცუდისაც!

\* \* \*

განსაცდელი რომ არ იყოს, გმირებიც არ იარსებებდა!

\* \* \*

სიმდიდრე უზრუნველ ცხოვრებას, სიზარმაცეს ბადებს, სიზარმაცემ კი შეიძლება სიმდიდრე დაგაკარგინოს ადამიანს!

\* \* \*

ხშირად იმიტომ დავცინით სხვებს, რომ ჩვენ არ დავცინონ! (თავდასხმა მართლაც თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა!)

\* \* \*

ერთნაირად სახიფათოა შეშლილს მახვილი მისცე და უღირსს ძალაუფლება მიანიჭო!

\* \* \*

„ორი ბოროტებიდან უმცირესი აირჩიე!“ - გვასწავლის რუსული ანდაზა, ხოლო ინგლისური ანდაზა კი გვაფრთხილებს: „ორი ბოროტებიდან არცერთი არ აირჩიო!“ (აქაც კარგად ჩანს განსხვავება რუსულ და ევროპულ მენტალიტეტებს შორის!) სრულიად ვეთანხმები ამ აზრს, რადგანაც როგორი „პატარაც“ არ უნდა იყოს ბოროტება, მაინც არ შეიძლება მისი არჩევა, რადგანაც ბოროტებას მხოლოდ უნდა ებრძოლო!

\* \* \*

ყველაზე დიდი უბედურებაა მხოლოდ წარსულში იყო ბედნიერი!

\* \* \*

თუ ადამიანი აკათებს იმას რაც უნდა, მაშინ ის თავისუფალია, მაგრამ თავად ეს „უნდა“, აუცილებლობით არის გამოწვეული!

\* \* \*

ადამიანს ავინყდება ხოლმე გამხელილი საიდუმლო, მაგრამ ვინც „ალსარება ჩაიბარა“, არ ივინყებს გამხელილის შინაარსს!

\* \* \*

„დამარცხებული დიდებული მეგობრებს კარგავს, აღზევებული მდაბიო კი მტრებს იმეგობრებს!“

**უილიამ შექსპირი. „ჰამლეტი“  
(თარგმანი თემურ ნადარეიშვილის)**

არ შეიძლება ადამიანი მუდმივად გამარჯვებული იყოს (ეს შესაძლოა სახიფათოც კი აღმოჩნდეს მისთვის!). ხანდახან მან დამარცხების „სიმწრის გემოც უნდა იწვნოს“, რათა უკეთ წარმოიდგინოს სხვა დამარცხებულის მდგომარეობა!

მთაწმინდა. 2019-2020 წლები

## სააღდგომო ჰიმნები

არა არს დაღლა,  
მაცხოვარო,  
მინყივ გევედრო,  
გვარიდე დაღმართს,  
ხორცს საწუთრო შემოაკლდება,  
შეივრდე სივრცე- ზმანებების გზა უცხედრებო  
და უმბრძანებლომ განინონე კაცებრი სნება...  
მკვდრეთით აღდგომა უყამო მზის გამოღვიძება!  
ლუსკუმ წყვიდადში გული ასგზის დაიდაგება,  
ხმელეთი ვინც რომ ამოქოლა, ინწნევეს წაგებას,  
რომელმან გიცნო, აამლერა უკვადჰიმნები  
ახალ ერამიც უღმერთობით განვიხიბლებით...  
ფუჭად ფაფხურობ შემთხვევითო, ურჯულო მდგმურო,  
დაგლახვრავს მხსნელი, კაცთა სამტროდ როს უკეთურობ,  
და ვერას გშველის ამქვეყნიურ ჟანგის წერაქვი,  
ეშმას რომ არგო, ნასესხები სიცოცხლე გათქვი...  
არა ვარ მსხემი, უხსოვარი რწმენის სურნელი  
დასალიერის შუქ-წრდილების წილ შევიგრძენი,  
არ მმართებს შენი, მხოლოდ უფლის მაღლი მომსილავს,  
იესოს გარდა გულს არ ვანდობ სატანას მწხიბავს!  
არა არს ნება, რაც დაახშობს ლოცვას გულმართალს,  
უფლის აღდგომა უყამო მზის გამოღვიძება!

ივა ქადაგიძე  
17-19. 04.2020.

